

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՔՐԻՍՏՈՍԻԱՆՈՒԹՅԱՆ
ՍԵՐԻԱ

ՈՅՐԱԿՆԵՐ
1965

ԵՌԵՎԱՆ

7



ბ. ლენინი

ვ. თოფურბე

სილსაქი



910

შინაარსი

თვიდან თვეამდე	3
კოეზია	
მერი ბარნაბიშვილი — ლექსები	7
ფრიდონ ხალვაში — ემრულა	15
გიორგი მარკოზია — ლექსები	17
გიორგი გიგაური — ხარ მოუღლედი	18
ლია ასათიანი — რაც იყო გუშინ	19
პაპლო ნერუდა — სასტიკი ცეცხლი.	
პოემა	69



პროზა

რევაზ ჯაფარიძე — ტყის ბიჭი.	
მოთხრობა	20
თენგიზ გოგოლაძე — კაცი კაცითა.	
რომანი. გაგრძელება	39
კონან ღოილი — შემთხვევა ინტერ-	
ნატში. მოთხრობა	72



ქრიფიკა და პუბლიცისტიკა

ფოთა ძიძიგური — „ირიბი შეტყვე-	
ლების“ დასაცავად	94

7

ივლისი

1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საპარტოვლოს ალკა ც. 4-სა და მწერალთა კავშირის ორბანო



მამია დუღუჩავა — ქართული ეს- თეტიკური აზროვნების ისტორიი- დან	102
გურამ მებრძოლი — მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ	111
მერი ადამია — მეტისმეტი	114
ნათელა ლაშინა — „აქვარიუმი“	117
იური ვოლკოვი — ტრადიცია და სიმღერა	120



სახელოვანი 50 წელი

თევდორე შავიშვილი — ძველი ბოლშევიკის მოგონებიდან	128
---	-----



ნარკვევი

გივი კვიციანილაძე — მტვრთავი	65
დიმიტრი შანუაშვილი — ყირიმის ცის ქვეშ	133



სპორტი

ავთანდილ ციგაძე — სპორტი და ესთეტიკა	145
---	-----



იუმორი

იასონ ვერსამია — უკანასკნელი მა- ნეთიანი. დასასრული	136
--	-----



ყოველი მხრიდან	19, 101, 113, 157
----------------	-------------------

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტის გეოდენზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა კომიტეტმა გამოსცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ატლასი.

ასეთი ატლასი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გამოიცა. ეს საშვილიშვილო საქმე გაკეთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

საქართველოს რესპუბლიკის ატლასი უაღრესად რთული შედგენილობისაა და მრავალფეროვანია. ყველა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანი ატლასში თავისთვის საინტერესო განაკვეთს იპოვნის, სადაც ამომწურავად და ვრცლად იქნება გაცემული პასუხი მისთვის საინტერესო კითხვებზე.

ატლასში თხუთმეტი განყოფილებაა. ყოველ განყოფილებას წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც დახასიათებულია ამა თუ იმ განყოფილებაში მოცემული მასალები. აგ-

რეთვე ატლასს ახლავს შესავალი ნაწილი, სადაც საერთოდ არის დახასიათებული მთელი წიგნი და წარმოდგენილია ავტორთა კოლექტივი, რომელთაც დიდი შრომა და დრო მოანდომეს საქართველოს პირველი ატლასის შექმნას.

რას არ გაიგებს კაცი ამ ატლასის მიხედვით ჩვენს სამშობლოზე?! აქ კაცი გაიცნობს როგორც ფიზიკურ, გეოლოგიურ, გეოფიზიკურ, გეომორფოლოგიურ, ჰიდროლოგიურ რუკებს, ასევე გაეცნობა ჩვენი ქვეყნის კლიმატურ პირობებს, ფლორასა და ფაუნას, წიაღის სიმდიდრეს, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, კულტურულ ნაგებობებს, ჯანმრთელობის დაცვის კერებს და სხვ.

ატლასი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა წვლილი შეაქვს ჩვენს რესპუბლიკას მოძმე რესპუბლიკათა კავშირის საერთო საგანძურში, თუ რა გამოყენება აქვს საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როგორი ეკონო-

მიური კავშირი აქვს დამყარებული საქართველოს სხვა ქვეყნებთან.

ატლასში ასახულია ჩვენი არქეოლოგია და არქიტექტურული ძეგლები, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ნაციონალური შედგენილობა, დაბეჭდილია სხვადასხვა ეპოქის ისტორიული რუკები.

უნდა აღინიშნოს — ატლასი კომპოზიციურად კარგად არის შეკრული, ადვილი მისაგნებია მკითხველისათვის საინტერესო განაკვეთები და ცალკეული რუკები, თემატური საძიებელი ზუსტად მიუთითებს ყოველ გვერდსა და განყოფილებას. საქართველოს რესპუბლიკის პირველი ატლასი დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ბევრი სპეციალობის ადამიანს. ჩვენ მივიღეთ წიგნი, რომელშიც ჩვენს რესპუბლიკაზე ბევრი უადრესად საინტერესო და საჭირო ცნობაა თავმოყრილი.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ კარგი კრიტიკული წერილების კრებული ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში არც თუ ისე ხშირი მოვლენაა, მით უმეტეს სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გამოქვეყნდება „საბჭოთა საქართველომ“ ამ ბოლო დროს გამოსცა საინტერესო კრიტიკული წერილების წიგნი: რევაზ თვარაძის „ლიტერატურული წერილები“.

რევაზ თვარაძის წერილების კრებული თემატურად მრავალფეროვანია და, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მაღალი პროფესიულობითა და პრინციპულობით. კრიტიკოსი თანამიმდევრულად განიხილავს თანამედროვე და ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებს. მის მიერ გამოთქმული ყოველი აზრი, დებულება თუ დასკვნა უადრესად ნათელი, ლოგიკური და გასაგებია.

რევაზ თვარაძე ლაპარაკობს რა „კარგი ლექსის“ ცნების შეცვლაზე, იქვე ეხება ქართული ლექსის განვითარების ტრადიციას და ცდილობს თვი-

სობრივი სიანხლების გარკვეულად ჩამოყალიბებას, ამავე დროს მივითითებს იმ ტენდენციებზე, რაც პოეტური კულტურის აღმავლობას აფერხებს და ლირიკული პოეზიის საზღვრებს ავიწროვებს, იგი პირუთვნელად განიხილავს ბევრი ქართველი პოეტის ლექსებსა და ცალკეულ სტროფებს, ეძებს მათში ძირითად და დამახასიათებელ ნიშნებს და აქვე აღნიშნავს, რომ პოეტური სახის სპეციალური განხილვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გულდასმით იქნება შესწავლილი კლასიკური, —მცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლექსის პოეტურ სახეთა სისტემა.

კრიტიკოსი კრებულში ვულდასმითა და დიდი ლიტერატურული ტაქტით განიხილავს პროზაიკოსთა შემოქმედებას, სალიტერატურო ენასა და თარგმნის საკითხებს. კრებულში დაბეჭდილი ყოველი წერილი ნათლად გამოკვეთილი რომელიმე კონცეფციის გარკვევასა და დასაბუთებას ემსახურება. რევაზ თვარაძისათვის დამახასიათებელია ჯერ გარკვეული აზრის ჩამოყალიბება და შემდეგ მრავალი მაგალითისა და დეტალის დაწვრილებითი ანალიზით ამ აზრის დასაბუთება.

სტატიის დაწერის მიზეზი ყოველთვის ორგანულად და ლოგიკურად არის დაკავშირებული გამოტანილ დასკვნასთან, ყოველთვის იგრძნობა დიდი პასუხისმგებლობა და პროფესიული სიდინჯე. სწორედ ამის გამო ამ წერილებში არსად არ გვხვდება ზედმეტი რიტორიზმი ან ნებისმიერი და ბუნდოვანი გადახვევები. კრიტიკოსი მკაცრი თანამიმდევრობითა და ზუსტი ფორმულირებით მიდის იმ ძირითად დებულებამდე, რომელიც მას ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ რევაზ თვარაძის წერილების ენა, დახვეწილი და მაღლიანი ქართული. კრიტიკოსი თავის თეორიულ დებულებებს სალიტერატურო ენის სიწმინდის შესახებ თავისსავე წერილებში პრაქტიკუ-

ლად ახორციელებს, რის გამოც ეს წერილები მხატვრულ ღირსებას იძენენ და მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ.

თუ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კრიტიკის კულტურის დონეზე, რევაზ თვარაძის პროფესიულობა, სიღინჯე, ლოგიკურობა და ზუსტი ანალიზის უნარი ამ დონის ჩინებული გამომხატველია.

მიმდინარე თეატრალურ სეზონში დაიდგა პოლიკარპე კაკაბაძის ცნობილი კომედია — „კახაბერის ხმალი“ („დავით მერვე“).

სპექტაკლის წარმატება თეატრის მხატვრული ხელმძღვანელისა და რეჟისორის გიორგი ლორთქიფანიძის უდავოდ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

პიესის პროლოგმა, რომელიც ავტორმა საგანგებოდ ამ დადგმისათვის დაწერა, ხაზი გაუსვა ამ ნაწარმოების შინაარსსა და ხასიათს და მკითხველს სასურველი განწყობილება შეუქმნა.

პ. კაკაბაძის კომედიაში ხალხური თეატრის ტრადიციებისა და საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნა ჩანს. მართალია „კახაბერის ხმალი“ რომელიმე კონკრეტულ ფაქტზე და კონკრეტულ პიროვნებაზე არ არის დაწერილი, მაგრამ ვინაც ჩვენი სამშობლოს წარსული იცის, მასში ბევრი რამ ეცნაურება. აქ ჩანს, რომ ერის ბურჯი, მისი მაცოცხლებელი ძალა უბრალო, მშრომელი ხალხია. აქვეა გამოყვანილი უსინდისო, ზნედაცემული ფეოდალები, დალატისა და ავკაცობისათვის მუდამ რომ მზად არიან.

პიესაში მთავარ როლს (გულქანა) ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე. ეს უბრალო გლეხის ქალი და ნამდვილი ქართველი დედა შესანიშნავად დახატა მსახიობმა; მისი თამაში დიდი სისადავითა და უშუალოებით გამოირჩევა. განსაკუთრებით ძლიერია მედეა ჯაფარიძე პიესის ფინალურ სცენაში, სადაც გულქანა

ერისათვის თავდადებულ გმირს კახაბერს თავისი გამრჯე და უტოლდელი ხელით ლეგენდარულ ხმალი გადასცემს.


ამ სპექტაკლის გაფორმება ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს მამია მალაზონიას ეკუთვნის. დეკორაციად მხოლოდ ერთი ურემია გამოყენებული; იგი ხან გლეხის ქოხად გადაკეთდება, ხან — ხელმწიფის სასახლედ, ხან კი ისევ ურმად იქცევა და ადამიანები წუთისოფლის გრძელ გზაზე მიჰყავს.

როცა ახალ ქართულ ფილმს „მე ვხედავ მზეს“ ვუყურებთ, მას უხებლიეთ იმის მიხედვით ვაფასებთ, თუ ეკრანზე გაცოცხლებული მხატვრული სახეები რამდენად შესებაბამებიან გმირებს, რომლებიც ჩვენს წარმოდგენაში ნოდარ დუმბაძის მშვენიერ მოთხრობას წარმოუსახავს. ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ, რომელსაც მკითხველი იცნობს ფილმებით „გელათი“, „თბილისი“ და „ერთი ცის ქვეშ“, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი სახით ჩვენს კინემატოგრაფიას უაღრესად პერსპექტიული და იმედისმომცემი შემოქმედი ჰყავს. ფილმი „მე ვხედავ მზეს“ უბრალო მშრომელი ხალხის — გმირი და გაუტეხელი ხალხის საგალობელია. ესაა მოთხრობა სიკეთეზე, რომელიც ძალ-ღონეს მატებს ადამიანს, ალამაზებს და აკეთილშობილებს მას. ფილმის წარმატება განპირობებულია ცნობილი თუ ნაკლებცნობილი ქართველი კინომსახიობების კარგი თამაშით. ბევრი თქმულა და დაწერილა ს. ყორყოლიანზე, ს. ბაღაშვილზე, გ. გეგეჭკორზე, ზ. ლაფერაძეზე, ლ. ელიავაზე და სხვა ჩვენს მაღალნიჭიერ ოსტატზე. ამიტომ მკითხველს არ უკვირს მათი დახვეწილი თამაში, მათი უნარი — ხორცი შეასხან ნ. დუმბაძის გმირებს. მაგრამ არ შეიძლება მკითხველისათვის მოულოდნელი და სასიამოვნო არ იყოს კინემატოგრაფიაში ღღემღე სახვებით უცნობი გო-

გონას ლ. ყიფიანის თამაში. იგი თავისი სახელოვანი პარტნიორების გვერდით თამამად და საინტერესოდ ხსნის რომანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო პერსონაჟის—ხატისას ხასიათს. ფილმის წარმატებას განაპირობებს აგრეთვე ფ. ლლონტის კარგი მუსიკა და ნიჭიერი ოპერატორის გ. კალატოზიშვილის ნამუშევარი, შესრულებული დიდი გემოვნებითა და სიყვარულით. მაგრამ რა თბილი სიტყვებიც არ უნდა ვთქვათ, ფილმს მაინც აქვს გარკვეული ნაკლი. თუ კლასიკური ნაწარმოების ეკრანიზა-

ციისას რეჟისორი ასე თუ ისე შეზღუდული იქნებოდა, აღნიშნულ შემთხვევაში მას მეტი სითამამე უნდა ჰქონოდა და მოთხრობის ავტორის ნებართვითა და მასთან თანამშრომლობით უფრო გაბედულად შეეცვალა ზოგიერთი დეტალი, თუ მხატვრული სახე, რომელიც, ფილმში ახლა ჩვენი აზრით, კინემატოგრაფიულად ნაკლებსაინტერესოა. მაგრამ ეს ნაკლი ვერ ანელებს იმ სიხარულს, რაც ყოველ კარგ ქართულ კინო-ფილმს ჩვენი მაყურებლისათვის მოაქვს.





მეჩი ბარნაბიშვილის ბიგრაფია ორიოდ სიტყვით შეიძლება გადმოიცეს. დაიბადა 1937 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, 1961 წელს კი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ერთ ხანს თიანეთის რაისაავადმყოფოში მუშაობდა, ამჟამად კი სიღნაღის რაიონში სოფელ ქვემო მაღაროს ექიმი-პედიატრია. ამბობენ, კარგი ექიმის სახელი აქვსო. ვუსურვებდით, რომ მალე კარგი პოეტის სახელიც მოეპოვებინოს. ამის საწინდარია ის დიდი სიყვარული ადამიანებისადმი, სამშობლო ქვეყნისადმი, ის დიდი და ნათელი ჰუმანიზმი, რომლითაც მისი პირველი ლექსეხელი ატყვია, მკითხველს შეიძლება თვალში მოხვდეს ზოგიერთი გაუმართავე სტრიქონი ან რითმა, მოესმას ნაცნობი ინტონაცია, მაგრამ ამ ლექსებში ჩანს ხალასი ნიჭი. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჟურნალმა „ციცქარმა“ ჩვენი მკითხველისათვის საქაშნიკოდ შეეთავაზებინა იგი.




თუმცა არ მითქვამს მე შენზე სიტყვაც,
მაგრამ ვაი რომ ტრფობამ დამდალოს,
მე ხომ ტკივილის დამალვა მიყვარს!
რომ ვერ დავმალო?
სიყვარულს ფრთხილად შენახვა შეენის,
იგი უნაზეს დაფარვას ითხოვს,
სიზმრად რომ დამცდეს სახელი შენი
და დედამ მკითხოს?




რად აქვს მზერა მარტს ასეთი ნაზი,
ხან კი სავესე სევდითა და მწუხრით...
როგორ უხმოდ იცრემლევა ვაზი,
რა მორჩილად მოუყრია მუხლი.

თუ აქვს ნეტავ, თუ აქვს რამე აზრი
ასე უხმო, ასე უთქმელ წუხილს,
როგორ ჩუმად იცრემლება ვაზი,
რა მორჩილად მოუყრია მუხლი.




სულ არ ველოდი


როგორ მეგონა, უკვალოდ გაჰქრა
და ნატამალიც არ დაგრჩა მცირე,
ლოყაზე ძველმა სიფითრემ გაგკრა,
რატომ არ მოხველ, არ გამიცინე.
მე ხომ არასდროს არ დაგამცირე,
ჩემს დავიწყებას მევე გშველოდი...
ლოყაზე ძველმა სიფითრემ გაგკრა,
მე ამ სინანულს აღარ ველოდი.



ნეტავ ვინ ჰპოვებს შენ გვერდით ადგილს,
ვის დაუბრუნებ დაკარგულ რწმენას,
ვის აუსრულებ ყოველგვარ წადილს,
ვის დაავიწყებ ყოველგვარ წყენას.
ვისთვის მოილო ზენამ ეს მადლი.
ნეტავ ვინ ჰპოვებს შენს გვერდით ადგილს?




ვიღაცა ხშირად მიგზავნის ვარდებს,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის მიგზავნის...
ცვრიან ბილიკებ მივდივარ მარტო,
ეს ველ-მინდვრები ველარ ვიცანი.
ამ სილამაზის სიმღერა მმართებს,
მაისის დღეო, სუფთავ და მშვიდო,
არ ვიცი, ვიღაც მიგზავნის ვარდებს,
თუ გაზაფხული მიგზავნის თვითონ...



გათენება რომ მაუწყა,
ჩემი ზეცის ცისკარია,
თავშალი რომ გადამაძრო,
ჩემი სოფლის გზის ქარია.


☆
მედიკალი
☆
ლევანოვი
☆
მერი ბარნაბეიშვილი
☆

თვალეზით რომ მივეფერე,
ჩემი ეზოს იფნებია.
გულწრფელად რომ გამახარა,
მოფარფატე ფიფქებია.
ასე ძლიერ რომ მომწყურდა,
ჩემი სოფლის მთის წყალია.
ეს პატარა სტრიქონები
სიყვარულის წინწყალია.



ძარიშხალი

არ ერიდება უკუნ ღამეებს,
დაქრის და მისას ვინ რას გაიგებს,
გადაუქროლებს ოკეანეებს
და შეაშფოთებს უღრან ტაიგებს.
მძლავრად დასუნთქავს მთებს და მყინვარებს,
ასი წლის საგალს წამში გაიგნებს,
რა დაუდგება შმაგს და მძვინვარეს
და შიშის ზარს სცემს ზღვებს და ტაიგებს.




მიმოდოდნენ ქარნი სისინით,
კლდენი კი უბრად იდგნენ თავისთვის.
კლდეებს ესმოდათ ავი სიცილი,
მიმოდოდნენ ქარნი სისინით.
მათ გაეთანგათ კლდენი სიცივით,
მზედ იყვნენ მარტო ცრუ და ავისთვის,
მიმოდოდნენ ქარნი სისინით,
კლდენი კი უბრად იდგნენ თავისთვის.



მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და აუხდენელ ტკბილ სიზმრებს ნახავ.
მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და მოგაწყურებს რაიმე ახალს.

მომავლის მზე და დიდი იმედი
ამ ვარდობის თვეს მუდამ თან ახლავს.
მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და რამეს იტყვი უთუოდ ახალს.



როგორ არა ჰგავხარ მიწიერს,
საიდან მიდიხარ საით...
დედის ლოცვებმა თუ მიწიერს,
განდევნეს ყოველი ავი.
მაცილეს ყოველგვარ ბიწიერს,
მანახვეს მე შენი თავი.
როგორ არა ჰგავხარ მიწიერს,
საიდან მიდიხარ საით...




....ის დედას

მე ზეთისხილის რტოს მოგიტან,
სითბოს და ალერსს...
მე დაგიკოცნი მაღალ შუბლს და
სევდიან თვალებს,
არ გაგახსენებ მე არაფერს
ავსა და მწარეს,
გიაშობო მშვიდად, რა ვიხილე
შორეულ მხარეს,
შენი ოჯახის სიკეთეს ვთხოვ
მზესა და მთვარეს,
მე ზეთისხილის რტოს მოგიტან,
სითბოს და ალერსს.



წეროები

საით მიქრიან? საით მიქრიან? —
სადაც მზესა და სითბოს ჰპოვებენ...
შორს წეროების გუნდი მიფრინავს,
ეს წეროებიც მიგვატოვებენ...
მერე რაა, რომ სუსტი ფრთები აქვთ,
მაინც ძლიერთა ჟინი სწვევიათ,
მათ გაზაფხული დასიზმრებიათ,
გული აქ ველარ დაუტევიათ.





მე ატმის ყვავილს მივიბნევ გულზე
და სასეირნოდ ქუჩაში გავალ,
ატმის ყვავილმა მომისწრო სულზე,
მომისწრო, თორემ ვკარგავდი ძალას.
თეთრი ნუშები მდინარის მხრიდან
საამო სურნელს ქარს ჩემკენ ატანს.
ეს მარტის ქარი სულ ჩემკენ ხრიდა
ნუშსა და ატამს, ნუშსა და ატამს.


მე ატმის ყვავილს მივიბნევ გულზე.



რატომ ყოველი, რატომ ყოველი
ელოდა მაისს,
გზებზე იძალა ფშატის სურნელმა,
ფშატები ჰყვავის.
ბაღებს მატებენ თეთრი ვარდები
შნოსა და ხალისს,
და მიაღწიეს ალვის ხეებმა
სიმაღლეს თავისს.
აღორძინებას, აღორძინებას
ყოველი ელის...
ყველას სჭირდება გაზაფხულის
გრძნეული ხელი.
მიტომ ელოდა, მიტომ ელოდა
ყოველი მაისს,
გზებზე იძალა ფშატის სურნელმა,
ფშატები ჰყვავის.



მე გზებზე მხოლოდ ვარდი მეფინა
და ბავშვის გული შემრჩა,
მე ბედმა ისე გამანებოვრა,
შენც მოგიყვანა ჩემთან...
არ მზმანებია ავი სიზმარიც,
ავს რა ხელი აქვს ჩემთან,
თვალს მოფერებით მიხელს ცისკარი
და მზე მინათებს ქვეყნად.



☆
ლექსები
☆
ილია ბარნაბიშვილი
☆



იმ სიზმრებიდან მახსოვხარ ალბათ,
მე რომ ვხედავდი მშვენიერ სიზმრებს...
ან იქნებ მართლა გიხილე სადღაც
არაგვის, ანდა ალაზნის პირზე.
შენ ისე ჰგავხარ მშვენიერ ზღაპარს,
გნახე თუ არა, მაშინვე ვიგრძენ...
შენ იმ სიზმრიდან მოსულსა ჰგავხარ,
მე რომ ვიხილე ალაზნის პირზე.



ჩემს ბალში თეთრი ვარდები იცის,
თეთრი ნუში და თეთრი ფრთოსნები.
გაზაფხულივით დავიწყებ სიცილს,
ნუშივით თეთრად შევიმოსები.
არ შემშურდება სიმდიდრე სხვისი,
ბალში შევყვები მაისს ოცნებით,
თეთრი ვარდები დაიწყებს სიცილს,
მოფრინდებიან ჩემთან ფრთოსნები.




როგორ დავემღურო ბედს,
როცა შენ ამქვეყნად ხარ,
არაფერს მოვითხოვ მეტს,
რა უნდა მინდოდეს სხვა...
შენს ნახვას ამოჰყავს მზე,
მამშვიდებს მე შენი ხმა,
როგორ დავემღურო ბედს,
როცა შენ ამქვეყნად ხარ.




შენ მზემ გიბოძა ბრინჯაოს ფერი
და ოქროსფერი თმები,
შენ ცით მოსული მზეჭაბუკი ხარ,
რას გედრებიან სხვები.
მოხველ და მოგყვა ზღვათა სილაღე,
მოგინატრებენ ზღვები,

შენ ქართლის მთების მოგდეგს სიმაღლე
და ვაჟკაცური მხრები.
ვერას დაგაკლებს ქვეყნის სიავე,
დაყარონ ცუდი ხმები,
შენ მზემ გიბოძა ყველა სიამე
და ოქროსფერი თმები.



იღარღონ სხვებმა, იღარღონ სხვებმა,
ვისაც საერთოდ მოსწყინდა ძებნა.
მე ვერ მომალა ამ შორმა გზებმა.
იღარღონ სხვებმა, იღარღონ სხვებმა.
მე გამამხნევეს შორეულ ხმებმა,
და მიყვარს ძებნა, პოვნა და ძებნა.
იღარღონ სხვებმა, იღარღონ სხვებმა,
ვისაც მოლალა ამ შორმა გზებმა.




ბარათი მებოზარს

მე ვერ მოგაწვდენ აქედან იას,
თუმცა ბევრია ია ივრისპირს,
ჩვენ შორის ბევრი მზიანი დღეა,
როდის შევხვდებით კიდევ, ვინ იცის.

შენს ფანჯარასთან ჩერდება მთვარე,
კარს დაწოლის წინ მოსინჯავ ბევრჯერ.
სახლიდან ველარ გადიხარ გარეთ,
თუ ძველი შიშის მორევა შესძელ?

სამსახურიდან ბრუნდები გვიან?
მადლობის სიტყვას ბევრი იმეტებს?
შენც ყოვლისშემძლე ქალღმერთად გთვლიან,
ვისაც უმართლებ, ღია, იმედებს.


მე ვერ მოგაწვდენ აქედან იას,
თუმცა ბევრია ია ივრისპირს...
რა დაემართა შენს ბავშვურ იერს,
როცა ცხოვრებას შეხვდი პირისპირ.




☆
ლემსუმი
☆
მერი ბარნაბაშვილი

გაზაფხული


ქუჩებში ენძელებს ყიდიან,
ადრიან გაზაფხულს შევხარი,
მზე ბრწყინავს ქალ-ვაჟის ღიმილში,
ქუჩებში ენძელებს ყიდიან.
ცის ლურჯი თავანი მშვიდია,
მეც ლურჯი იეზი შეგკარი,
ქუჩებში ენძელებს ყიდიან,
ადრიან გაზაფხულს შევხარი.



ტყის ბილიკზე მივაბიჯებ,
გზად ვჩერდები,
თოვლს ცალთიბი დაუფარავს,
დიდი მთებიც.
თვალს ვხუჭავ, მსურს მოვიგონო,
სად რა გითქვამს.
წამწამები დამისველა
თოვლის ფიფქა.
ვერც ხეები, ვერც ქალები
ველარ ვიცან.
ო, რა ზრუნვით ეფინება
თოვლი მიწას.



თუ მომეძალნენ ფიქრები და ძილს მომპარავენ,
მე მარტის მზე და ენძელები დამიფარავენ.
გულს აავსებენ გაზაფხულის მზით და ოცნებით
და დავიჯერებ, რომ სულ უნდა ვიყოთ ცოცხლები.
და თუ ჩემს კვალზე დაუბერავს ავი ქარები,
ამ ლამაზ გზებზე მწვანე ფოთლებს მივეფარები,
მე ეს ფოთლები და ხეები დამიფარავენ,
თუ მომეძალნენ ფიქრები და ძილს მომპარავენ.



უკირონ ხალკუში

ემრულა

ემრულა აჭარა-იმერტევეში სილამაზით,
ვაქეცობით, უსამართლობასთან შეტური-
გებლობით სახელგანთქმული იყო. ამ უბ-
რალო სოფლელი ბიჭის სახელის ხსენება
მთავრობის მოხელეებს და ალა-ბეგებს
შიშის ზარს სცემდა. დაიჭირეს ღალატით
1883 წელს და ციხეში მოკლეს.

რომ ცყოლოდი საიმედოდ
მშობელ მიწას — თბილს და ხნიერს,
გზებში, როგორც ყაითნები,
ქალამნებზე დავიხვიე.

ტყე და ქოხი ბინად მქონდა,
საწოლად კი — სექვი ხმელი.
სულ კენჭობით დამითვლია
აჭარა და იმერტევე.

ავუშფოთე ფაშას ძილი,
გავამაგრე ფუხრის ოდა.
შიშით, ჭკუის საკითხავად
ბეგი ჩემთან მოდიოდა.

რატომ უნდა დამემალა?
ყანას ვთხოვდი შავმიწიანს,
თუკი უარს გაბედავდა,
ხშირად სილაც გამიწვნია.

ამირტვია ფული ძალით,
ფულს გლეხებში ვარიგებდი.
ბეგი ყაჩაღს მეძახოდა,
პატიოსანს — ღარიბები.

თუ ცოდვას, მისთვის იყოს,
რა ტკივილიც მითმენია.
ჩემზე უკეთ ვინ იცოდა —
კაცის სისხლი წითელია.

მამწარებდა ყიზილბაშის
თოფ-მახვილის დაგადუგი.
მინახია ჭოროხისკენ
დენა სისხლის ნაკადულის.

მე კი მაინც კაცს კაცურად
შეგვხვდი, ავს კი — სიაგეთი.
ველარც ყაშა მაშინებდა.
ვერც ღმერთი და ყიამეთი.

თუმცა ჯამეც შემიღია...
ბნელს რომ იქაც მოვრეოდი.
ვლოცულობდი, ამით მშობელ
მიწას ვეამბორებოდი.

მაგრამ ბოლოს ჩემზე ძლიერს
შეგვხვდი, მწველად შემომხედა.
დამეჯახა ლანქერივით,
გულის კარი შემოხეთქა.

თურმე მე რომ დუშმანი მყავს,
ვინც მოპარა გლენს ცისკარი,
ბედმა ისე მიღალატა,
მყვარებია მისი ქალი.

მოღალატე სიყვარულმა
მიმიტყუა ჯალათებთან,
რისი სატრფო, მომანატრეს
კვარით ბუხრის განათებაც.

ციცხლი ენთო საშინელი,
ვიყავ ციციხლზე მიშვერილი,
და, მამულო საყვარელო,
მწამდა, მაინც მიშველიდი.

ახლა ახალ აჭარაში
ჩემი ნატვრის დღე თუ არის,
ჩამომძახეთ, გამაგონეთ,
გამახარეთ ემრულაიც.



ბიოგრაფიკა

ჩხოროწყუს ობელისკთან

ფრთა გაუშლია
ციცქენ ობელისკს
წმინდა ფუძიდან ჩემი მამულის,
გული მზის ცეცხლით
ცხოველმყოფელით
სუნთქავს —
სიცოცხლით სავსეა გული.
გამოძერწილა უკვდავის ხელით
ქვები...
ვარდებიც ქვებზე ჰყვავიან...
სადაც სამშობლო სიცოცხლეს შველის
უკვდავებისთვის —
ქვაც უკვდავია.

☆ —————



იცოდე, გული არ დამიწდება,
შენ აგამაღლებს შენი მიზანი,
მზერა მწვერვალზე გადაგიცდება,
იცანი, შენი თავი იცანი.
იცოდე —
გული არ დამიწდება.
შეიგრძენ მიწა მოსილი მწვანით...
სადაც სამშობლოს ზეცა იწყება,
იცანი, ქვეყნის თვალი იცანი,
იცოდე —
გული არ დამიწდება.
საქართველოში, მზით საფიცარი
ადამიანის წმინდა ღირსება,
მზით მარადისით შენად იცანი,
იცოდე —
გული არ დამიწდება!



გიორგი შივაუკი

ხარ მოუღლელი

გიორგი ლეონიძეს

გზას გიკაფავდა ლექსი ქართული,
ქართული სიტყვის დიდებამ გზარდა,
შენი სტრიქონი ელვაჩართული
ისევ ანათებს თბილისის კართან.

გზას გიკაფავდა ივრის სილაღე,
ხარ მოუღლელი, არ დაეცემი.
დღეს გაზაფხულის ანთებ ჩირაღდნებს
გაათკეცებით,
გაასკეცებით.

შენს სიმღერაში სამშობლო მღერის
და ისევ ელავს ალისფერებით,
ამხედრებულან ლექსები შენი,
თითქოს ამდგარან არაგველები...

მოდინხარ,
მოგაქვს სიცოცხლე გულთან,
ატკობო პირიმზეს გაშლილს მთა-ველად,
სახელიანი იყავი მუდამ,
როგორც დაგლოცა ვაჟა-ფშაველამ.



რაც იყო გუშინ

იქნებ არც ღირდეს ამდენ წუხილად:
ჩამოვარდნილი ხმელი ფოთოლი,
რიყეზე ნავი გვერდშელეწილი,
ხილის ნანგრევი თუ ნასახლარი...
იქნებ არც ღირდეს ამდენ წუხილად,
მაგრამ ვლონდებით, როცა ვიგონებთ
იმ ნათელ დღეებს და ვწუხვართ მასზე,
რაც იყო გუშინ და აღარ არის.



სოსხალი ლეჟი

გგონიათ ჯვაროსანი რაინდების ტეტონთა ორდენი ისტორიას ჩაბარდა?—არა, ორდენი თურმე დღესაც არსებობს, მისი ცენტრი მაინის ფრანკფურტშია (გფრ).

ამჟამად ორდენის არსებობა სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული კაზუსი, თუმცა ეს გარემოება სრულიადაც ხელს არ უშლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტებს, „ცოცხალი ლეჟი“ უბადაღებული, „ვოლგამდე გადაჭიმული გერმანიის იმპერიის“ პროპაგანდისტვის გა-

მოიყენონ. ხაჭველმოქმედო საქმიანობის გარდა, ორდენი, რევანშისტების მითითებით, ანტისლავიანურ პროპაგანდასაც ეწევა. ორდენის წევრები ხობას ასხამენ იმ „დიდ მისიას“, რომელსაც ჯვაროსნები აღმოსავლეთში ასრულებდნენ. სამას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯვაროსნები ბასტიონს წარმოადგენდნენ რუსეთის წინააღმდეგ.

ორდენის პროპაგანდა მიმართულია ახალგაზრდობისაკენ. ორდენი იწვევს ახალგაზრდობას მონაწილეობა მი-

იღოს ჯვაროსნულ ომში აღმოსავლეთისაკენ „ორდენის მიწების“ დასაბრუნებლად.

ჯერჯერობით ორდენმა ვერ შეაგროვა „ვოლონტერი ლანდსკენეტები“. მის რიგებში სულ 16 რაინდია. სამაგიეროდ, „საპატიო რაინდთა“ შორის არიან გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი.

აშკარა კრიზისმა, რომელსაც ორდენი განიცდის, მისი მეთაურები აიძულა მიმართონ უკიდურეს საშუალებას: ჯვაროსანთა ძმობის წევრებად ქალების მიღებაც დაიწვეს.



საქართველი

მოთხრობა

ჭრუჭს ზემოთ, წიფლისა და რცხილის უღრან ტყეში, ვიდრე ხიხამთის კალთაზე ცხრაწყაროსთან ახვიდოდე, გზის პირას დარაბებჩაგმანული ფიცრული სახლი შემოგხვდება. ეს ფიცრული სახლი, სულ ცოტა, ნახევარი დღის სავალი გზით მინც არის დაშორებული უახლოეს დასახლებულ ადგილს და ამიტომ, თუ საჩხერედან შქმერისაკენ მიმავალ საქარავნო ბილიკზე ფეხი პირველად გიდვას, დიხაც გაგიკვირდება, წაბლის მშვენიერი ფიცრული სახლი ამ დასაკარგავში ჩასადგმელად რომელმა ჭკუათხელმა გამოიმეტაო.

სიტყვა „მშვენიერი“ ტყეში განმარტობული ფიცრული ქოხის გარეგნული შესახედაობის დასასურათებლად შეიძლება ზოგს გადაჭარბებულ ხელგაშლილობადაც მოეჩვენოს, ოღონდ მის მთავარ ღირსებას ვერასგზით ვერ უარჰყოფს: სახლს კედლები მართლაც წაბლისა აქვს, წაბლი კი, ვინ არ იცის, ძვირფასზე ძვირფასი საშენი მასალაა. კრამიტის ნაცვლად სახლს ზემოდან კარგა გვარიანად შელანძღული, ნესტისაგან მთლად გაშავებული და აქაიქ ხავსმოდებული ყვარი ახურავს.

იმას, ვინც ეს ქოხი აქ ჩადგა, შენობის გადასახურავად იქნებ არც კრამი-

ტი დანანებოდა, მაგრამ კრამიტით დახურულ ნამშრალს ზამთრობით გადათოვლა უნდა, რადგან რაჭა-იმერეთის მთებში საახალწლოდ საქენ თოვლსა სდებს, ხოლო იმ მეორეთმოსვლაში ცხრაწყაროს ფათერაკიან უღელტეხილზე გადმოსვლა და აქაურობის მოპატრონება ნამდვილ თავგანწირვას უღრის.

ადრინაი გაზაფხულიდან მოკიდებულნი, როგორც კი ხიხამთის სამხრეთ კალთებზე თოვლი გადნება, გზა გავა, თოვლის ნადნობი წყლებით მოდიდებული მდინარე ჯრუჭულა იქაურობას აიკლებს ზათქით და ღრიალით, საჩხერის სარკინიგზო სადგურის უკან. მოედანზე დაბანაკებული ჩალვადრებიც აიდგამენ ფეხს — გაივლიან ნაჩერქეზექს, სარეკს, მღვიმევის გადასახვევს, ერთ ხანს შეყოვნდებიან ჯრუჭულის პირზე, წისქვილებთან და, თუ შეატყვევს, წყალი ნამდვილად დამცხარალიაო. ყიჟინითა და დავიდარაბით შეჰყრიან ცხენებს მდინარეში.

ფიცრული ქოხის ღრიჭოდ მოხურულ კარში ამ დროს უკვე კვამლი გამოდის. შუაცეცხლზე კოცონი ტკაცუნებს, ალი რკინის სამფების ქვეშ იკლავნება და სამფებზე შემოდგმულ ქვაბს გამჟვარ-

ტლულ ფსკერსა და კედლებს ულო-
კავს.

გარეთ ჩონჩორიკის და შარდის სუნი
დამდგარა. ყოველნაირად იგრძნობა,
რომ ზამთარი ცრემლად დაიღია და
გაზაფხული ძარღვების მომთენთავი
სითბოთი და უთვალავი ხმით მოვიდა
მთებში. მცხუნვარე მზის დახედვა და
ცხენების ნაბამ ადგილზე ოსშივარის
ავარდნა ერთია. ჩონჩორიკისა და შარ-
დის სუნიც იმ ოსშივარს აპყვება. ესეც
სანატრელი გაზაფხულის მოსვლისა და
მომძლავრების ნიშანია.

ტუხია მედუქნე, ფიცრული ქოხის
პატრონი, ჩაღვადრების ქაქანს ყურს
შორიდანვე მოჰკრავს. უმაღვე გარეთ
გამოვა, დუქნის ჩაყოლებასზე გზის მო-
სახვევს ჩააკითხავს, სადაც ოდესღაც
ოღროზოღროებში ნაღებაყრილი ცხე-
ნების ხელახლა დასაჭედად სამჭედლო
იდგა, მთის კალთაზე გარდიგარდმო
დაკეცილ ბილიკს ეჭვიანად გაახედავს
და დააკვირდება, რამდენი და ვინ მო-
დისო. ბოლოს ისეც დუქანს მიაშურებს,
ციცხლს შეუკეთებს, სოხანეს მუმიად
ნაგულვებ ცოცხს გამოუსვამს და ბოს-
ტანში ამოხრიკდება ნაზამთრალი მწვა-
ნილის გამოსარჩევად. ბოსტანი, მართა-
ლია, პატარაა, მაგრამ ცისა და ქვეყ-
ნის შორის გამოკიდებულ კაცს მაინც
„კაი საქმეს“ უშვრება. ზაფხული გა-
შუალდება თუ არა, აქ თვალს გაეცხა-
რებს მწვანედ ახასხასებული პრასი და
ქინძი, ტარხუნა და ჭარხალი, ოხრა-
ხუში და ჭლაკვი, საადრიო წითე-
ლი ბოლოკი და ცერეცო, სხვა ად-
გილებში კამას რომ უძახიან. ჰყვავის
ზაფრანა და პილბილი, ძეძვზე ასული
ღორა-კვახის ნავარები ბარდები... აგ-
ვისტროში, თუ ცოტა უფრო გვიან, კიტ-
რიც გაჩნდება ხოლმე, მაგრამ, რადგან
ზაფხულის თვეებში კიტრი გზაზე გაშ-
ლილი სუფრის დამამშვენებელია, ტუხი-
ას ის ბარის სოფლებიდან ამოაქვს.
თუმცა თვითონ რატომ ჩავა იქ სავაჭ-
როდ და ლანჩების გასაცვეთად. ჩვენ,
ბარელი ბიჭები, იქ არა ვართ?

კიტრი, საკალოე მსხალი, ცოტა მოგ-
ვიანებით კი პომიდორი და ბადრიჯანი

თავადვე მიგვაქვს მთაში გასაყიდად და
ან ნოყიერ შქმერულ კარტოფილზე
და ოსურ ყველზე გადასაცვლელად...
ციცაბო აღმართი ჯრუჭულის პირ-
ზევე იწყება. მძიმე საბალნით წელში
გადრეკილი სახედრები საკვირვლად
წვრილი, ღონიერი ფეხებით ეჭიდებიან
აღმართს, რომელზედაც ხან წინაღ-
მინდელი წვიმით მოსველებული, ხანაც
მზის სხივებით გამხმარ-გამომშრალი
გზა მიიკლავება.

ხანდახან უკანა ფეხები აუკანკალ-
დება რომელიმე სახედარს, ან ყველას
ერთად, თითქოსდა წუმბეზე გადახტო-
მას აპირებენო, ლორწოიან დრუნჩებს
წინ გაიწვდიან, შეჩერდებიან და ყოვე-
ლი სულდგმულის თავზარდამცემ ყრო-
ყინს მორთავენ.

პირდაპირ ღვთის რისხვა!

ეს შემზარავი ხმა, ხმა კი არა, ხმები,
ერთიათად იზრდება მთებში, ვინ იცის,
რამდენჯერ მეორდება და მთელ ცის-
ქვეშეთს პირამდე ავსებს.

ყროყინის შემდეგ, აქაოდა დაკისრე-
ბული მოვალეობა პირნათლად მოვიხა-
დეთო, სახედრები მხართეძოზე წამოწო-
ლას არიან დაჩვეული და ჩვენ ფხიზ-
ლად მივდევთ ამ უკუღმართებს, რათა
მუხლის ჩახრისა და გვერდზე გადაქა-
ნების ყოველგვარი საშუალება წავარ-
თვათ. ბაყვებსშუა ტალახში ნაგდებ
ჯოხს ვუჩხიკინებთ, უკანა ფეხებს წკაპ-
ლით ვუწვავთ, ხანდახან მუცელზეც
ამოვკრავთ სახრეს. სახედრები წკაპა-
წკუპით მიცუხცუხებენ, ბაყვებს გაშე-
შებული კუდით იფარავენ, უთანაბროდ
აბიჯებენ და თან უკან-უკან იყურებიან,
აბა, პატრონი როდის გაბრიყვდება და
გვერდზე როდის გაიხედავსო.

ჯრუჭს ზემოთ მხოლოდ ორჯერ ვას-
ვენებთ პირუტყვს და თავადაც ვისვე-
ნებთ. მომდევნო და მთავარ გაჩერებად
ტუხიას დუქანია დათქმული. აქ საბალ-
ნესაც კი ჩამოვხსნით ხოლმე სახედ-
რებს, ბალახს მოვადრებთ და ვინაიდან
ღარზე გადმომდინარე წყაროს წყლის

რევაზ ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

დალევა მათ არ შეუძლიათ, ღელეზე ჩავიყვანთ და იქ დავარწყულებთ.

სოფლის ბიჭებისაგან ტუხიამ, აბა, რა ხეირი უნდა ნახოს და ხშირად, თუ კიტრი, პომიდორი ან მსხალი არ შემოაკლდა, გამოჩენაც კი ეზარება. თუ სადმე ახლოს, წყაროზე ან ტყეშია გასული ფიჩხის ან ნაწვიმარზე ამოზავებული მიქლიო-სოკოს მოსაგროვებლად, ხმას იქიდანვე მოგვაწოდებს — აგერა ვარ, სხვაგან არსად გეგონოთ და დუქანში შესვლა და ხელუკუდმართობა არავინ გაბედოთ, თორემ სად წამიხვალთ!

ორ თუ სამ ბიჭს ტუხია სახით გვცნობს. იცის, ვინ ვისი ვართ...

ეს თავბირგაბანჯგელული, ბურთივით მრგვალი ბერიკაცი სადმე ბარში რომ შემოგეყაროს, ასე იტყვი, ამის ნახელავ საჭმელს, შიმშილისაგან სულიც რომ მხდებოდეს, პირს როგორ დავაკარებო. მაგრამ თუ ჯრუჭის აღმართს აივლი და წიფლიანში „ნამჭედურსაც“ უკან მოიტოვებ, ტუხიას ხელით გაკეთებული ცხარე ლობიო და თუნდაც კაკლითა და ძმრით შეზავებული ეკალა, რომელიც ბარშიაც თავზე საყრელია, გეამება კი არა, თუ კაცი ვყოფილვარ, კიდევაც მოგენატრება.

ტუხია უტყუარი გუმანით გრძნობს, ვის უნდა გამოეგებოს, ვის უნდა გაუღოს ზამთარ-ზაფხულ დარაბებჩაგმანული ფიცრული ქოხის ჭრიალა კარი და შორი გზით მოქანულ მგზავრთაგან დუქანში ვინ შეიწვიოს.

საკალოე მსხლის ან კიტრის გადასაცვლელად შქმერს მიმავალ ბიჭებს რამდენჯერ შორიდან გვიდევნებია თვალი ტუხიას მასპინძლობისათვის. როგორ ციბრუტივით დატრიალდებოდა! გინდოდოდა მჯდარიყავ და გეყურებინა, რა მარჯვედ გააღვივებდა ნაცარში ჩახვეულ ნაღვერდალს. თუ მგზავრი ჩქარობდა, ტუხია დილანდელ კერძს შუაცეცხლის კანჯოზე ჩამოჰკიდებდა გასაცხელებლად და, ვიდრე ის შიშინს დაიწყებდა და სურნელოვან ოხშივარს აუშვებდა, თავად წყაროზე ჩაირბენდა

და ნაღვინარი დოქით ცივ წყალს ამოიტანდა.

ლაპარაკი დინჯი და დაღვინებული იცოდა, ხოლო თავსართის ხმოვანებს ისევე გრძლად და ზანტად გამოთქვამდა, როგორც საზოგადოდ შემო რაჭაში გამოთქვამენ ხოლმე. ამას ვარდა, თუ გარემოებაც ხელს შეუწყობდა, არამცთუ მარტო ადამიანებსა და ცხოველებს, თვით უსულო საგნებსაც კი სააღერსო ან კინოზობითი სახელებით იხსენიებდა.

ათას მდინარესა და ღელეში გამოვლილი მუცლამდე სველი ცხენები თქიფინ-თქიფინით მოადგებოდნენ ტუხიას დუქანს.

ცხენების პატრონები ან გამრეკები მართლა ყველა ჩალვადარი როდიდა იყო, მაგრამ ძველთაგანვე შემორჩენილი სახელი ჯერჯერობით ხომ მაინც ვისმე უნდა ეტარებინა. ზოგს შვილი და შვილიშვილი ჰყავდა ქალაქში, ზოგს ნათესავი, ზოგს ძმა და რძალი, ზოგს მოკეთე და ზოგს კიდევ ნათელ-მირონი. მატარებელს საჩხერეში ან დარკვეთში ხვდებოდნენ და ქალაქიდან საავარაკოდ ჩამოსული თავისიანები ჯრუჭის გზაწვრილებით რაჭაში გადაჰყავდათ.

პირაქეთლები, რომელთა ვენახებისა და მწვანედ აბიზინებული ეზოების წინ რაჭას მიმავალ მხედრებს უნდა გაევილოთ, ქალაქიდან საავარაკოდ ჩამოსულთ დიდი უძრავ-მოდრავი ქონების მფლობელად თვლიდნენ და თვალს შურით აყოლებდნენ.

იმათ შორის, ვინც ცხენებზე იჯდა, ზოგი მართლაც შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. ზოგი თორნის პურს აცხობდა თბილისში, ბაქოში ან ვლადიკავკაეში, ზოგს სასაუზმე ან სახინკლე ჰქონდა გახსნილი ხალხის თავშეყრის ადგილებში, ზოგი ხელოსნობა და ზოგი კიდევ, ვისაც უფრო სარფიანი სამუშაო ვერაფერი გამოეძენა, შეზარხოშებულ მუშტარს დასტრიალებდა თავს უზარმაზარი ქალაქების კაფერესტორნებში.

ახლა ისინი, ძველისძველი საქარავნო გზით რაჭას მიმავალნი, თავიანთ ჩასუ-

ქებულ, მოუქნელ ცხენებზე თავმომწო-
ნედ ისხდნენ და, რადგანაც უხეირო
სიარულს დაჩვეული ცხენები ვაკეზე
ძლავუნით მიაბიჯებდნენ, მხედრებიც
აქეთ-იქით ექანებოდნენ ყოველი ასეთი
ნაბიჯის გადადგამაზე. ნეტა ამდენ ძლავ-
უნში ტვინი როგორ არ უღაყდებო-
დათ. განა არ ჯობდა, ფეხით ევლოთ?

ფეხით სიარულის უპირატესობით
მხოლოდ მამაკაცები სარგებლობდნენ.
ისინი ვითომ თავს ისჯიდნენ და ცხე-
ნებს უფრთხილდებოდნენ. ცხენებზე,
მართალია, მგზავრობით დაღლილი, მაგ-
რამ მაინც ნებვივრად სახეგაყინქდილე-
ბული ხორცსავეს დედაკაცები ისხდნენ,
რადგან ქალის ქვეითად სიარული დიდ
სირცხვილად ითვლებოდა. ქალები
წინ ვითომდა ამაყად, ნამდვილად კი
თავმობზერებული იყურებოდნენ. ეს
ტიალი გზა როდის გათავდება, ან ტუ-
ხიას დუქნამდე როდის ავაღწევთ, რომ
ვინმე ღვთისნიერმა ცხენი გავვიჩიროს
და ძირს ჩამოგვსვასო.

ცხენების ძლავაძლუყის გაგონების-
თანავე წისქვილიდან გამოსული ფაფა-
ნაკიანი გლეხები ქარავანს ათვალწუნე-
ბით გაჰხედავდნენ, ლაქდაჭა დედაკა-
ცებს ქურდულად შეათვალეიერებდნენ,
შემდეგ, თითქოს საერთო აზრს გამოთ-
ქვამენო, ცხენებს საპალნეს შეუვიგნებ-
დნენ და ისევ მაგარი თუთუნის ბოლი-
თა და საკიურის სუნით გამოტენილ წის-
ქვილში შერგავდნენ თავს.

— რომელი ხართ, ბიჭო, ვადა? —
გადმოკვძახა ერთხელ ბერიკაცის მყი-
ვანა ხმამ, როცა სწორედ დუქნის წინ
სახედრებს ტვირთი ჩამოგხსენით და
წიფლის ჩეროში დავსხედით ქარის
ამოსაღებად.

ხმა კი მოგვესმა, მაგრამ უცებ ვერ
მოვიმხრეთ, ვინ და საიდან გვეძახდა.
დუქნის კარი გადაარაზული იყო, ტუხია
ყოველთვის ასე შვრებოდა, როდესაც
შორს არსად მიდიოდა, გზაზე კი ჩვენ
სამის მეტი არავენ ჩანდა. მხოლოდ
მესამე დაძახებისას წამოგხტი ზეზე და
მზისგულზე გამოვიდა.

ტუხია ბოსტნის ღობეზე იყო გად-
მომდგარი. ცალ ხელში მოკლეტარიანი

ჩეკია ეკავა, მეორეთი კვლებსშუა გა-
მოხრილი ბალახბულახი ამოქარა
ილღიაში და სწორედ გადაყრასა-
ბდა, რომ ანაზდად ჩვენ დავენახუ-
ბა.

— აქეთ ხომ არ იძახი, ბაბუა? — ხმა
დავიბოხე და სამივეს მაგივრად ვუბა-
სუხე მე.

— ლეტუას ბიჭი არა ხარ, კაცო,
შენ?

— მე ვარ, კი.

— მელაურში რო არი ჩასიძებული...

— კი, ბაბუა, იმისი ვარ.

— ამოდი ერწამა აქ, მად ნუ ჩამო-
მიყვან, თავი ნუ მოგიკვდება.

ნეტა რა უნდა უნდოდეს-მეთქი, გა-
მირბინა გულში და ამხანაგებს გადაე-
ხედე, იმათაც ჩემებრ არაფერი იცოდ-
ნენ. ისლა დამჩვენოდა, საჩრდილობელი
წიფლის ფესვს მოვჭიდებოდი და ტუხი-
ასთან ავსულიყავი.

ტუხიამ ბალახსა და ჩეკიას, რომლე-
ბიც ისევ ხელში ეკავა, ცოტა ყოყმა-
ნისა და აქეთ-იქით თვალების ცეცების
შემდეგ, ძეძვის კონაზე ადგილი მოუ-
ძებნა და ის კონა საგანგებოდ გადას-
წია, რათა მე ბოსტანში შევეშვი.

— მოზრძანდი, ქვე რას გოურჩერი,
შეკაცო, — ჩვეულებისამებრ გააგრძე-
ლა მან თავსართები და, როგორც კი
ახლოს დამიგულა, საკვირველი სიმკ-
ვირცხლით, რაც ბერიკაცს სულ არ
შეეფერებოდა, კოხტად ამოწკებილ ქა-
ლამანში გამოკრული ფეხი გადმოვდა და
საყელოში მწვდა.

— რას შვრები, ბაბუა, ხომ არ გადა-
ირიე, — მხოლოდ ამის დაძახება მოვა-
ხერხე მე და ბერიკაცის მოულოდნელი
ძალადობით შეშინებულმა მყისვე უკან
დავიხიე, მაგრამ უკვე გვიანი იყო —
ტუხიას რკინის ხელს მაგრად ვეჭირე.

— სალა წამიხვალ ახლა, სალა გა-
მექცევი! — ახლა უკვე ხმადაბლა ასი-
სინდა ჩემი შეპყრობით უზომოდ ნასია-
მოვნები მოხუცებული, — ბრავალზლის
წმინდა გიორგი ვეღარ დავისნის-ყე
ახლა ჩემი ხელიდგან. ამ ყურუშსაღს

რევან ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

ვერ უყურებ შენ? ეგ გასწავლა, ბაბუა, მამაშენმა? მაგრე ვეტყვი მე ლეტუნ-კას, არ ამოივლის აქეთ? ნახე თუ არ ვუთხრა! მამაშენი ის არი და უნდა, ქვე მოკვლას, უნდა, ქვე დაგარჩინოს!

წინასწარვე ვიცოდი, არ უნდა შემ-შინებოდა. აბა, რა იყო საშიში! თუ იქით არ შევედავებოდი, თავი გულგრი-ლად მაინც უნდა დამეკირა. ჩემდა გასაკვირლად, ყველა წინასწარ დაწყო-ბილი გეგმა ხუხულასავით დამენგრა და ამ გადარეული ბერიკაცის ტუსადი აღმოვჩნდი.

— ახლავე მითხარი, შე არაწმინდა, სად არი ჩემი ყალიონი? — ჩამყვირა ყურში ტუხიამ და მეორე ხელიც ღო-ნივრად ჩამავლო, თუმცა გაქცევა აზრა-დაც არ დამბადებია. ეტყობოდა, ამ მოულოდნელ შეკითხვაზე დიდ იმედს ამყარებდა, მე კი ჯერ ისევ გაოგნებუ-ლი ვიყავი და იმის მოსაზრებაც ვერ მომხებერებინა, რომ უკიდურესი გასა-ჭირის წუთებში გაქცევაც შეიძლებო-და. შეკითხვის აზრს მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ტუხიამ ღონივრად შე-მაქანჯალა და ხელახლა მკითხა:

— ლეტუნკას ბიჭი ხომ ხარ შენ, ბოშო?

— ვარ, მერე?

— რო უყავი, შე არდასახანებელო, ყალიონი?

— რა ვიცი, ბაბუა... რომელი ყალი-ონი? რა ვიცი მე შენი ყალიონი!

— არა გაცოდინა რა, შვილო, ჩემმა გამჩენმა! რავა არ იცი, ახლა არ იცი?

— არც ახლა ვიცი, ბაბუა და არც...

— შენ გგონია, აგრე ადვილად დაგი-ჯერებ?

— ნუ დამიჯერებ, თუ გინდა, აგერ ბიჭებია და კითხე!

— არავის არ ვკითხავ მე! სად არი ყალიონი?

— არ ვიცი...

— მამის სული წამიწყდეს, თუ... ტვინს დაგასხმევიანებ ახლა აქანა, მით-ხარი, რო უყავი ყალიონი, შე არაწმინ-და, თქვი! იმის მეტი არავინ მოკიდებდა ხელსაო. თუთუნს ის ახრჩოლებსო.

დღეისწორს აქეთ გიდარავებ, ხო და-გიჭირე, სალა წამიხვალ ახლა!

— არ მაქვს მე, ბაბუა, ყალიონი ვიცი მე შენი ყალიონი, ტყეში დაკარგე და მე მთხობ? — ეს უკვე ვედრება იყო. თქმით არ ვამბობდი, მაგრამ უჩვეუ-ლოდ გააღმასებულ ტუხიას სიტყვასა და სიტყვას შუა ვეხვეწებოდი, გამი-შვი-მეთქი, ბრავალზლის წმინდა გიორ-გის მადლმა, ამ საქმეში უბრალო ვარ-მეთქი.

— ტყეში დავკარგე? — ისედაც ჩემს წინააღმდეგ ამხედრებული მოხუცი ვედრების კილომ სულ გადარია, — მოიცა, მოიცა! საით მიიწევე, შენ თუ პირნათელი კაცი ხარ, ქვე სად მიდი-ხარ?! შენ ქვე რა იცი, ტყეში დავკარ-გე თუ ღრეში, თუკი თავად არ წაგი-ღია, პა?

— შენ თუ დაკარგე, მე რაღანაირად წავიღებდი, ბაბუა?

— არსად არ გაგიშვებ. ღვლერძით შეგიკონავ ხელებს და ხეზე მიგაკრავ. მამის სული წამიწყდეს, თუ...

— მიმაკრავ... ჩემი ხელები შენ კი არ მოგეხმარება!

— აქეთ მექადნები, ბიჭო?

— კი არ გექადნები, თავი დამანებე-მე ჩემს საქმეზე მივდივარ. სად მცა-ლია აქ საბლლარძუნოდ?

— ფესხაც ვერ გაადგამ! გადმოი-ბრუნე ახლავე ჯიბუკეები. მიმიშვი, ჩა-მაყოფიე ხელი!

— ჩემ ჯიბეში რა გინდა, კაცო... ჩემ ჯიბეში რა გინდა! როდის ვწევ თუ-თუნს, ვინ გითხრა, თუთუნი მოწიო?! —

— აბა, ეს რა არი, შე ყურუშისალო?! — ტუხიამ შარვლის ჯიბე გადმომიბრუნა და გამხმარი ნეშოს მოყვითალო ნაფხ-ვენები, რომლებიც ოფლიან ხელისგულ-ზე უბრწყინავდა, თვალებთან მომიტა-ნა, — უსუნე ამას! თუთუნი არ არის ეს?

— გამიშვი! — მთელი ძალით დავი-ყვირე მე, — რას გადამეკიდე, კაცო, შემოჩენილი ხომ არა ხარ?!

— თქვი ჯერ, სად არის ყალიონი, — მშვიდად მომიგო ტუხიამ, — არ გითქ-

ვამს და, დედის შვილი ხარ, ფეხს გაადგამ აქიდან!

— ვერ გავადგამ, ხომ? შენ გკითხავ, გგონია?

— აბა, წადი თუ ბიჭი ხარ! — ტუხიამ ნახევრად დაბრუციანებული ჭრელი თვალები თვალებში გამიყარა, ქვემოდან შემომიარა და უკან გასასვლელი გზა გადამიღობა, — დოუძახე, თუ გინდა, იმ შენს ბაცაცა აფხანიკებსაც!

ამხანაგებს დაძახება რაღად უნდოდათ. ორივეს მიეტოვებინა ახლად გაფოთლილი წიფლის ჩრდილი, მზისგულზე გამოსულიყო და ჩვენს ულაზათო ძიძგილაობასა და მიწვევ-მოწვევას თვალს იქიდან ადევნებდა.

ტუხიამ ცალი ხელი გაინთავისუფლა, ძეშვის კონაზე დაგდებულ მოკლეტარიან ჩეკიას დასწვდა და, თუმცა ბიჭები ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, მივეშველოთ თუ არაო, მყივანა ხმით დაიძახა:

— ამას დაგვრავ თავში, ვინც ახლო მომეკარება, ამას, ა! თქვე ძაღლიშვილებო, ბოვში თქვენ მეტი არავინ ყოფილა, რო ქვეყანა არ ამოუგდია? გარეკეთ ეგ სამგლე ვირუებო! აყროლდა აქაურობა ჩონჩორიკით. არ გეყურებათ?

ტუხიას ქაქანმა და მუქარამ, ვინც ახლო მომეკარება, ჩეკიას დაგვრავო, ბიჭები შორიდანვე დააფრთხო. სირცხვილით უსათუოდ ჩემიც რცხვენოდათ, რომ გასაჭირში მტოვებდნენ, მაგრამ საკუთარი ტყავი, ალბათ, უფრო მოსაფრთხილებლად მიიჩინეს და მზისგულს მოსცილდნენ.

— თქვენ ოხტში ამოვალ მე! — ბიჭების ასე იოლი დაფთებით გულმოცემული ტუხია სულ თავს გავიდა, — მოკიდე ამ კონას ხელი!

— ჩემთან რაღა გინდა, ბაბუა, ხომ გაიგე, ჩიბუხი თვალითაც არ მინახავს...

— აბა, ვის მოგკითხო, ბიჭო?

— ჩემს გარდა არავინ დაიარება ამ გზაზე?

— გაკმინდე ხმა!

— ხმა გაკმინდო კი არა...

— გუშინდელივით მახსოვს, — ტუხიამ წინ წამოზრდილი ქალარა წარბე-

ბი აძგობა და შინაური კატის შრეგვლი თვალები ერთ ადგილზე გაუჩერდა. ლობიო ჩავადგი. მერე სახლსკენ გავიქცედი, ღორუკას ნარეცხი გავუტანე კარდლით. აეწყვიტა იმ სამგლეს. დაგდგი ჭურჭელი და გამოვედი. ლობიოს წყალი დავასხი, წალღუკა ჩამოვიდე და თხმელებში ჩავხათქუნდი. ამოესწრო იმ ჩემი ცოდვით სავსეს, ჯერ კარდალა გადაებრუნებინა, მერე დუქანში შევარდნილიყო და ტომარა გაეგლიჯა.

— თხმელებში დაკარგე და მე მთხოვ. ან მიაგდე სადღაცა.

— ყალიონი ბოკონზე იდვა, გეყურება? ღორი კი შემოვიდოდა დუქანში, თუ კარი შეიძინა არავინ გაულო?

— ახლა კარის გაღებასაც მაბრალელებ? — ვთქვი მე და თვალები ცრემლებით ამევესო.

— გამიძეხი წინ! კაი ღვთისაგან წყეული ხარ! თავი გინდა შემაცოდო? შენი მოსატყუებელი კბილუკები კაი ხანია მოვიცვალე. გაადგი ფეხი!

— მაყალე, ჰო, მივიდივარ!

ტოტებგაბარდნილი წიფლის ქვეშ მხოლოდ ჩემი მშვიერი სახედარი დამიხვდა. შუაგზაზე იდო საპალნეც — ერთიმეორეზე დღეერტებით გადაბმული და თხილის ფოთლებით თავდახურული ტკეჩის წყვილი გოდორი. ბიჭებს თავიანთი სახედრები გაერეკათ და წასულიყვნენ. რა იცი, შეიძლება მართლა შეირცხვინა თავი რომელიმე და ტუხიას ოხრად-დასარჩენი ყალიონის მოპარვა ბოლოს მე დამბრალდა?

„ისინი არიან ახლა ხალხი? — მოვთქვამდი მე გულში და უბეებზე მომდგარ სიმწრის ცრემლებს ძლივს ვიმაგრებდი, — მაგათ წამთ ღმერთი? ბებერმა კიდევაც რომ გამიშვას, ვინდა მომეხმარება, ვინ ამაკიდებიანებს საპალნეს, ამისძიმი გოდრებს მე ავწევ?“

— ვისია ეს გოდრები? — გზაზე ჩასვლისთანავე მკითხა ტუხიამ.

— ვისი იქნება, ჩემია!

— რა გაქვს შიგ?

რევაზ ჯაფარიძე
ტყის ბიჭი



— მსხალი.

— შემოიტანე ახლავე ღუქანში!

— ღუქანში რატომ უნდა შემოვიტანო, კი არ მომიყვინძა!

— არ გეყურება უფროსის სიტყვა?

— უფროსმა იქნება ისიც ქე მითხრას, კლდეზე გადავარდით!

— კაი, ნუ შემოიტან. ეგერ ელაგოს. ჯერ ყალიონი გამოაჩინე და მერე გაატან. დედიშენის შვილი ხარ...

ტუხიამ ესა თქვა და გაურკვეველი ბურტყუნით ღუქანში შევიდა. ალბათ კარგად იცოდა, რომ ამდენი ცდითა და გარჯით აქამდე ამოტანილ გოდრებს მე არამცდარაამც არ მივატოვებდი, ხოლო ჩამოსხნილი გოდრების ხელახლა აკიდება და გაქცევა ვაჟაკსაც გაუჭირდებოდა.

შუაღლე ისე გადავიდა, გზაზე არც ჩამვლელი გამოჩენილა ვინმე და არც ამომვლელი. ტუხიამ ორჯერ გამოუტანა სალაფავი თავის ღორებს და ისევ ღუქანში შებრუნდა. პატარა ხნის შემდეგ ხელახლა გამოვიდა, ბანჯგვლიანი მაჯა მოიჩრდილა და იმ მხარეს გამოიხედა, სადაც გზაზე ჩემი თეთრი გოდრები ეგულებოდა.

რაკი შევტყვე, საშველი არ იყო, მე წინდახედულად მოვიქეცი: დამშეული სახედარი ბოსტნის ბოლოზე გამოვაბი, ახოში, სადაც ნაწვიმარზე ამოსული ჩქოლა ბალახი ბიზინებდა, გოდრები კი გადავსენი და გზისპირამდე სათითაოდ მივაფხოკიალე.

ტუხია თავზე სწორედ ამ დროს წამომადგა და ჯერ ერთ გოდორში ჩაიჭვრიტა, მერე მეორეში. მიირთვი-მეთქი, ყასიდად შევთავაზე. ძირს ჩამოვარდნისას ქვებზე დაჩეჩქვილ მსხლებში სხვაზე ნაკლებ დაზიანებულები ამოვარჩიე და მივაწოდე. ტუხიამ ზედაც არ დახედა მსხლებს. თითქოს ცთუნების შეშინებიაო, პირიც კი მიიბრუნა.

— ჭამე, შეკაცო, წლის მოსავალია. გული კი არ მომდის, — უფრო თამამად ვუთხარი მე, — რა ვუყოთ, შეცდომით შეიძლება კაცს კაციც შემოაკედეს. მიირთვი!

— დავდივარ ასე და ვეძებ, ისე თავის ყალიონს დასტიროდა აბა, შენ არ ავილია?

— არა, ბაბუა, ხომ გითხარი. დედამა გამიწყდეს, თუ...

— ღუქანში არ შესულხარ?

— რა მინდოდა, კაცო, შენს ღუქანში!

— თვალეში შემომხედე!

— ა, ბატონო!

— რა გქვია შენ სახელი?

— გიგია.

— რამდენი წლის ხარ?

— თოთხმეტის. ამ თიბათვეში მეთხუთმეტეში გადავდექი.

— მამაშენი გინახავს მაგ თუთუნს და მერე უყურე შენ!

— სად მინახავს, სახლში კი არ მივიტან!

— თვად ვერ წამოიღებს ამ სხალუკას, შენ რო გარონიებს?

— იმას სხვა საქმე აქვს, — გამოვესარჩლე მე მამაჩემს და, რადგანაც შევატყვე, კერპი ბერიკაცი გულზე მიხუტებული ათიოდე მსხლის გამორთმევას მართლა არ აპირებდა, ყველა უკანვე ჩავაბრუნე გოდორში.

— დღის მატარებლის ხალხი ჯერ არა ჩანს, — მშვიდობიანად თქვა ტუხიამ, მარჯვენა ხელის საჩვენებელა თითი ისე დაიკავა, თითქოს თუთუნით გატენილ ჩიბუხს გაღვივებულ აბებს ადებსო და უცბილობის გამო ერთმანეთზე დაბჯენილი ტურები ააპლაკუნა, — თქვენ რა დროს გამოხვედით?

— პირველ მამლიყიულზე.

— ყოჩაღად გიგლიათ.

— ვირები წამოვიდნენ ჩქარა და ჩვენც ვდიეთ. მატარებელი გვიან მოდის, ტუხია ბაბუა. ის რომ დარკვეთის კლდეებს მოაკივლებდა, ჩვენ ალბათ ჯრუჭულის ბონდს მაინც ვიქნებოდით გამოცილებული.

— ახლა ადრე თენდება. წლისოდენი დღე მოდის.

— ელი ვისმე?

— შეიძლება გამოჩნდეს ხალხი, — ეს უკანასკნელი სიტყვები ტუხიამ ფიქრიანად და გულითადად თქვა. ასე ვინ-

შე თავის ტოლს თუ ეტყოდა. — შენ რაღას იზამ ახლა?

— რას ვიზამ, — მე ისევ მომიარა ჯავრმა და ადუღებულმა განზე გავიხედე, — შქმერში ველარ ავალ. დამადამდე. იქ ღამეს ვინ გამათევენებს!

— შენი აფხანიკები ამ საღამოსაცე მობრუნდებიან?

— ჩამოივლიან, სადაც არის.

— რატომ მიგატოვებს?

— ეგ იმათ კითხე!

— აფხანიკობაში მაგისთანა ორპირობა ქვე რავე შეიძლება. მე რო მიყურეფ, ფეხით მაქ შემოვლილი დედამიწის ზურგი. ამერიკაში არა ვყოფილვარ, თუარა, ისე სად არ მივაჭრია. ამხანაგებს რო ასთე მიგვეტოვებია-ყე ერთმანეთი, ახლა ჩემი ძვლებიც აღარსა იქნებოდა.

— რა ვიცი, ჩეკას დაგკრავთო და...

— აა, ბიჭო, თქვენი სამასხარავო ვარ მე, დროული კაცი?

— მე რას მეჩხუბები, ტუხია ბაბუა. ხომ დარწმუნდი, რომ შენი ყალიონი თვალთ არ მინახავს.

— იქნება იმათ წოლცდათ ხელუკა...

— სხვის მაგიერად მერე მე მაწვალებ? წედან რომ დამიძახე და ჩემი ფეხით გეახელი, ადამიანდაც არ უნდა ჩამეგდე, ის იქნებოდა კარგი!

— გიგიუკა, — ტუხიას გული მოუღბო ჩემმა წრფელმა საყვედურებმა და მამაშვილურად მომეთილისმა, — მიაკითხ-მოაკითხე, თუ ხათრი გაქ, ბიჭუნებში. შენ ვინ რას დაგიმალავს! თუ სამაგიერო პატივი არა გცე, ეს ულაში გამპარსე და უპირული კაცი დამიძახე. საქუდე შალს გიყიდი. ძალიან შეჩვეული ვიყავი, ბიჭო. ნათლიმამის ნაჩუქარია.

— ვნახოთ... გამოვიკითხავ, — შევიფერე მე და თავი მხრებში ჩავრგე.

— აა, შენ იცი! — ტუხია გამოცოცხლდა, თითქოს უკვე ხელში სჭეროდეს თავისი მონატრებული ყალიონი, — მე შამკითხე მერე შენი პატივისცემა. სხალუკა ბევრი გაქ?

— ეს არის, რასაც ხედავ.

— რამ დაანაკლულა, გაყიდე სადმე?

— თავისით დაიწია.

— მე რო ამელო ცოტუნია?

— მაგას რაღა აჯობებს!

— ვაითუ დამილბეს, ბიჭო;

— რა დაალობს, ახალი მოკრეფილია.

— ძირნაყარია, ვერა ვხედავ?

— ამოვარჩიოთ.

— აქანა ქვე რაღას აარჩევ, სულ დაჩეხილა ქვებზე.

— ძირნაყარი თავზე მოვალაგე ცოტა. ქვეშ სულ გუშინდელი მოკრეფილია.

ვინ იცის, ჩვენი ვაჭრობა და ჭრიჭინი რამდენ ხანს გასტანდა, გზის ქვედა მხრიდან ჩალვადრის გამამხნევებელი შექახილი და ცხენის ფეხისხმა რომ არ გაგვეგონა. ორივემ უმაღვე დავანებეთ თავი გოდრებს. ტუხიამ ბალთიანი ქამარი შეისწორა და დუქანს მიაშურა, მე კი გოდრების ჩამოხსნისას ვადმოყრილი თხილის ფოთლები ავკრიფე და მსხალს ისევ ზემოდან დავაფარე.

გზის მოსახვევში, „ნამქედურზე“, ჯერ შავი ცხენი გამოჩნდა, მერე მისი პატრონი, ნაბდისქუდიანი შავწვერა კაცი. მალე მთელი გზა ნამქედურიდან ტუხიას დუქანამდე გაოფლილი ცხენებითა და ქვეითად მომავალი კაცებით აივსო. ცხენები გულდაგულ მოსდევდნენ ერთმანეთს და ოთხივე ფეხს ზუსტად იმავე ადგილზე ადგამდნენ, სადაც წუთის წინ მეწინავე ცხენმა გაიარა. კაცებიც ცხენების მწკრივში მოაბიჯებდნენ და ესენიც ცდილობდნენ, წინ მიმავალ ცხენს ან კაცს კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ და ხაზი არ გაემრუდებინათ.

ცხენები თითქმის ყველა საბალნიანი იყო. მგზავრები — ორი ჭილისქუდიანი შილიფად ჩაცმული ხორცსავესე ქალი და ორიც ბავშვი, ერთი — ზომაზე მიტად გასუქებული ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი და მეორე — თვალისმომჭრელ წითელ კაბაში გამოწყობილი თორმეტიოდე წლის გოგონა, ალბათ მსუქანი

რევაზ ჯაფარიძე

ტყის ბიჭი

ბიჭის და ან ბიძაშვილი, — ბარგზე ისხდნენ და წამდაუწყებლად იკუთხებოდნენ, გზაზე გადმოხრილ ტოტებს არსად გამოეფეთ და მიწაზე ზღართან არ მოვადინოთო.

ნაბდისქუდიანი შავწვერა კაცი დუქნის წინ გაჩერდა, თავისი თვინიერი ცხენის ადვირი მხარზე გადაიგდო და, როცა დაინახა, ცხენიც გაჩერდაო, ტუხიას ძმაკაცურად მიესალმა. ძველი ნაცნობები თუ იყვნენ. იმწამსვე ტაბილი მასლათი გააბეს და თან თვალს ადევნებდნენ, როგორ ამოდიოდნენ გაქაფული ცხენები დუქნის წინ, გზის ზედა გვერდიდან კარავივით გადმოწოლილი უზარმაზარი თეთრი წიფლის ჩეროში, და რადგანაც კბილებში ამოჭერილი ლაგამი წინ აღარ უშვებდათ, აქ ერთმანეთს ეხლებოდნენ.

გოგომ ცხენიდან ჩამოსმა მოითხოვა. მსუქანი ბიჭი გაბურბუსალებული იჯდა და დიდრონი, სევდიანი თვალებით წინ იყურებოდა, იყურებოდა, მაგრამ ვატყობდი, დანახვით ვერაფერს ხედავდა. ან ძალიან დაღლილი იყო, ან უძილარი, ან ორივე ერთად.

გოგო ჩამოსვეს. გულმოღეღილი შუახნის კაცი, რომელსაც ჭადარაშერეული შავი თმა კეფამდე მოკლედ შეეკრისა, რაც კიდევ მეტი სიმსუქნის იერს აძლევდა, ალბათ ოჯახის მამა, ქალებთან მივიდა და ერთ-ერთ მათგანს უზანგი დაუკავა.

ფაშფაშა ქალმა მოურიდებლად გადმოატარა მარცხენა ფეხი თეთრეულით თუ ლოგინით გატენილ ჯვალოს ტომარაზე და ისედაც მოშიშვლებულ მუხლზე კაბა სულ წამოხება. ქალი საკმაოდ დაღლილი იყო, გზის ერთფეროვნებასაც თავი უკვე მოებუზრებინა, მაგრამ მზინც ხმამაღლა კისკისებდა. თავის მობერებულ ქმარს თუ ეკეკლუტებოდა. კაცს მისი მხიარულება არ გაუზიარებია. უზანგი გულგრილად ეკავა.

უცებ მან უკან მოიხედა, შემამჩნია და დამიღრინა:

— რას უდგებარ, ბიჭო, მანდ?

— არაფერს... — ყურებიან-ლაწვე-ბიან-ნიკაპიანა გავწითლდი მე.

— მოშორდი მადაურობას!

მე, რასაკვირველია, შემეძლო დავუყოვნებლივ მეთქვა, რომ, მკვლევარ ღმერთს, მის ადგილმამულში არ ვიყავი და, ვინაიდან ეს გზაც, ტყეც და კლდეც საერთოა, არავის არა ჰქონდა უფლება, აქედან დავეთხოვე, მაგრამ ხმაც ვერ ამოვიღე, უსიტყვოდ მიგტრიალდი და წიფლის ფეხს მოგეჭიდე ტუხიას ბოსტნის ბოლოზე ასასვლელად, სადაც სახედარი მყავდა დაბმული.

— რას ერჩოდი ბავშვს, არა გრცხვენია? — მომესმა ნაწყენი ქალის ჩურჩული, როცა საჩრდილობელი წიფელი უკან დარჩა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელი ძახელის ბუჩქს მოგავლე.

— არ არის შენი საქმე! — ბრაზიანად მოუჭრა ქალს კაცის ხმამ, — ბავშვს!

ამის მერე ლაპარაკი აღარ გამიგონია. ქალი ალბათ ცხენიდან ჩამოვიდა და კაცმა ახლა მეორე ფაშფაშა ქალს მიაშურა ჩამოსაყვანად.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ქალის ხმა მომესმა:

— ევა, არ დამღუბო, ევა, ჩაიცივო ფეხზე!

ევა უთუოდ ის გოგო იყო, ცხენიდან რომ პირველი ჩამოსვეს, მხოლოდ ის კი ვეღარ გავიგე, ფეხზე რისთვის უნდა გაეხადა, ანდა რა დაღუპავდა დედა მისს, თუ ევა ფეხზე გაიხდიდა.

მე სახედარი ავუშვი, თოკი დავაგრძელე და ბოსტნის ბოლოს გავეყვი, სხვა ადგილას გადავბამ-მეთქი. სახედარი, ასე მალე გაძდა თუ რა იყო, გაჯიქდა და ფეხი არ მოიცვალა. მოვქაჩე. ამისთანა დროს საშინელი გაჯიქება იცოდა. წვალემა დიდხანს როდი დამჭირებია. სახედარმა უცებ გადაიფიქრა ძველ ადგილზე დგომა და მორჩილად გამომყვა. მოვიხედე, ეს რა ღმერთი შეეწია-მეთქი, მოვიხედე და რას ვხედავ! სახედარს უკან წითელი კაბა დასდგომია, წკეპლას უღერებს და წასაშველებლად ფერღე აწვება.

ჯერ ყველაფერი მოჩვენება მეგონა. ნუთუ ეს მართლა ის გოგო იყო, წიდან

რომ ცხენზე იჯდა და მამამისმა ძირს ჩამოიყვანა? მერე აქ რისთვის და როდის ამოვიდა? მაგრამ ის, რასაც უმალვე უნდა მივმხვდარიყავი, სულ ბოლოს გამახსენდა: ვთქვით და მოჰგონებოდა სახედარს თავისებური... ხომ მოკლავდა გოგოს! უბედურების წარმოდგენამ თავგზა ისე ამიზნია, კრინტიც ვეღარ დავძარი, მხოლოდ თოკს, რითაც სახედარს ვეჭაჩებოდი, ცივად ვუჭვი ხელი, უკან გადავხტი და თვალის დახამხამებაში წითელ კაზას და პირუტყვს შუა ჩავდექი.

უფრო გაკვირვებულ, ვიდრე შეშინებულ გოგოს ჯოხი ხელში შერჩა და მე მიყურებდა ფართოდ გახელილი თვალებით, თითქოს იმის შეტყობა მოუნდომებია, არის თუ არა საჭირო დავიწვილო და მამაჩემს საშველად მოვუხმო.

— კვინტი იცის... — ბოდინის მოხდის კილოზე ვთქვი მე და უმალ გამახსენდა, რომ ამ უხერხულ ადგილზე დგომა არც ჩემთვის იყო ხელსაყრელი — სახედარს შეეძლო ორივე უკანა ფეხი ტყუპად ეკრა და სახტად დარჩენილი ქალაქელი გოგოს თვალწინ გზაზე ბურთივით გადაეგდებ.

— ვინ? — მკითხა გოგომ.

— აჰან... — მივუგე მე და სახედარს დიდი სიფრთხილით მოვცილდი.

— რა არის კვინტი?

— კვინტი... კვინტი კვინტია. ესე იგი წიხლი. ვირის წიხლი...

— მერე ამოდენა კაცს ვირის წიხლის გეშინია? — გოგომ ხმამაღლა გადაიკისკისა და მე მხოლოდ ახლა დავინახე: ის ფეხშიშველი იყო.

— მე არ მეშინია... მე... შენთვის რომ ეკრა კვინტი?


— თავი გაწირე?

— რა თავი... — გავეჩქე მე და მეტი ვეღარაფერი მოვიფიქრე, რომ მეტქვა.

— გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ? — მითხრა უცებ გოგომ, ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და წკებლა ფეხებთან დამიგდო, — მე შენი არ მეშინია. სულ არ მეშინია. აი, ხომ ხედავ?

— რატომ უნდა გეშინოდეს?

— შენ ხომ ტყის ბიჭი ხარ?

— ვიყო, თუ გინდა, ტყის ბიჭი,  ხან აგრე...

— მაშ, გავიცნოთ ერთმანეთი, — საკვირველი სითამამით თქვა ამ თითის სიგრძე გოგომ და პატარა ხელი ისე გამომიწოდა, თითქოს საჩუქრად მაძლევდა, — მე ევა მქვია.

— მე — გიგია, — ძლივს გასაგონად წავილულულუდე ჩემი სახელი, რომელიც ძალზე არაკეთილხმოვნად მომეჩვენა და, რადგანაც სხვა გზა არ იყო, გოგოს ხელი ჩამოვართვი.

— ტყეში ცხოვრობ?

— ტყეში რატომ უნდა ცხოვრობდე. სახლი არა მაქვს თუ?

— წამიყვან შენს სახლში?

— მე ვისი წამყვანი ვარ!

— შორს არის?

— რა?

— შენი სახლი.

— მე კი მეშორება და... ახლა თუ წახვალ, დადამებამდე შეიძლება მიხვიდე. შენ საიდან ჩამობრძანდი?

— თუ „შენს“ ამბობ, მაშინ „ჩამობრძანდი“ აღარ უნდა თქვა. უზრდელობაა. ბებიაშენი არ გასწავლის? სახედარი ვინ მოგცა?

— ვის უნდა მოგცა, ჩემია.

— რა ქვია?

— სახედარს სახელს როდის ვარქმევთ!

— ვაი, რატომ?

— გულმაგიწყია. თავის სახელს ვერ იმასსოვრებს.

— საწყალი. აბა, როგორ არის ისე?

— არის. ხომ ხედავ!

— შენ დაიმახსოვრე ჩემი სახელი?

— როგორ არა. ევა.

— შენი სახელი კი დღეს პირველად მესმის. გიგია! ასეთი სახელი არ გამიგონია.

— რა ვქნა ახლა!

— იცი, ვინ იყო ევა?

— ევა ვინ იყო? ასე არ თქვი, მე მქვიაო?

რევაზ ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

— მე კი მქვია, მაგრამ... სხვა ევა.
— ვინ იყო?
— პირველი ქალი. ეს სახელი ამიტომ დამარქვა ბებია.
— როგორ პირველი?
— სულ პირველი ქალი, სულ, სულ, სულ. იმაზე ადრე ქალი არ დაბადებულა.

— აბა, მართო კაცები იყვნენ?
— იყო ერთი კაცი, ადამი...
— ადამი კი არა... — უნდობლად გავიღრვიე მე და გოგოს თვალი მოვარიდე. ვატყობდი, ცოცხალ ტყუილს მეუბნებოდა და მე ხომ მისი ბავშვი არ ვიყავი, თავი მომეტყუებინებინა.

— არა გჯერა? — საიდუმლოსავით წამჩურჩულა ევამ, ჩაცუცქდა და ვარდისფერ სავსე მუხლებზე დამოკლებული კაბის კალთა ჩაიჭიმა, — გინდა თავიდან ბოლომდე მოგიყვე?

— მოყვი! — ცალკბად ვუთხარი მე და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. — ეგ ზღაპარია!

— შენ რა იცი, ზღაპარია, თუ ნამდვილი ამბავი?

— ვერ ვხვდები?
— არა, რას ამბობ, გიგია, ეს ნამდვილად მოხდა. ქვეყანაზე მხოლოდ ორი ადამიანი იყო, ადამი და ევა...

— შვილი არ ჰყავდათ?

— მოიცა, სწორედ მაგას გეუბნები. როგორ მეჯავრება, როცა ადამიანს მოსმენა არ შეუძლია და უნდა მართო თვითონ ილაპარაკოს. თუ გინდა, შენ მოყვი რამეს, — ევა გაიბუტა და თავისი გადაწყვეტილება ერთბაშად შეცვალა, თუმცა ამბის მოყოლა უკვე დაწყებული ჰქონდა, — მე მოგისმენ, — მუხლზე ნიდაყვი დაიბჯინა, თავი გვერდზე გადახარა, ხელს ნიკაპით დაეყრდნო და ყურის დასაგდებად მოემზადა.

— მე რა უნდა მოგიყვე რა, ისევ შენ მოყვი იმ შენი ადამის და ევას ამბავი!

ევას სწორედ ამ დროს დაუძახეს. დედამისის ხმა თითქოს ჭის ფსკერიდან მოისმა. მეჯავრები ალბათ დღევანდელი იყვნენ ჩასული გასაგრილებლად და,

როცა ევა ახლოს ვედარ დინახეს, ასე ნაგვიანვედ მოისაკლისეს. გამოვირდა, რომ ევა გაუნძრევლად იჯდა თითქოს ამას კი არა, ვიღაც სხვას უძნინავდა და პასუხის გაცემა აზრადაც არ მოსდიოდა.

— არ გესმის? — ვედარ მოვითმინე მე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შემოვთვებული ქალის ხმას კაცის ხმაც მიემატა და ნაცნობ გაჯავრებულ კილოზე დაძახა ევა, ევაო.

— მოეშვი, იძახონ. ტვინი გამიხვრიტეს. მე შენთან მინდა! — გულგრილად თქვა ევამ და ჩალისფერ თმაში მიმალული სიფრიფანა ყურები თითებით დაიცო, — დაიწყე ამბის მოყოლა. მე გისმენ!

— ევა, არ გესმის? — განმეორებით ვუთხარი მე და განვიზარხე კიდევაც ხელებზე ხელი მეტაცა, რათა ყურებიდან თითები გამოეღო, — უპასუხე! გინდა, ყველაფერი მე დამბრალდეს?

გოგო ეშმაკურად იღიმებოდა და ალბათ ძალიან ნასიამოვნები იყო, რომ თავისიანები ასე უღვთოდ ააწიოკა. მე მართლა ძალიან შემეშინდა. შემეშინდა კი არა, რაღაც უცნაურად ავფორიაქდი. კანკალი დამაწყებინა. სახეზე ალბათ სულ გავლურჯდი. ქვევით იმისთანა ამბავი იყო, დედა შეგლს არ აიყვანდა. მხოლოდ რამდენიმე წამს ვყოყმანობდი. ბოლოს უცერად მოვისაზრე, რაც უნდა მექნა. ევას მივვარდი, მკლავში ხელი ვტაცე და ზეზე წამოვაგდე.

— გაგიქდი? — მრისხანედ დამიბრიალა თვალები ჩემი უცერარი შეცვლით ცოტათი შეშინებულმა გოგომ და წვეტიანი ფრჩხილები მაჯაში ჩამასო.

— აბა, რატომ არ გესმის, როცა გიძახიან!

— შენ ვინ გკითხავს! ჩემი ძმა ხარ თუ? ამ წუთში ხელი გამიშვი, თორემ გიკბენ!

— მიკბენ და მოგხვდება!

ამის თქმაც იყო და სიბრაზისაგან ატირებულმა ევამ ჩალისფერი თმა მაჯაზე დამაყარა, მაგრამ მე დროზე გავლში ხელი და ზურგით შეინდის ბურქებს მივაწყვი.

— წადი ახლა! — შეურიგებელი ზიზ-
ლით თქვა გოგომ, — საძაგელი!

პასუხი აღარ გამიცია. ევა იმავე
ადგილზე მივატოვე, სადაც იდგა, თო-
კის ბოლოს ხელი დაველე, სახედარს
შევუტიე და კუდამოდებული ბოსტინს
ბოლოს მოვცილდი.

— მშოშარა! — ძარღვებში სისხლის
გამყინავი ხმით დამადევნა მან, — მე
მართლა ტყის ბიჭი მეგონა!

გული საშინლად მიძგერდა, მიძგერ-
და კი არა, ნამდვილად ფართხალებდა
საგულეში. მხოლოდ მაშინ დავეშვინ-
დი, როცა სამშვიდობოს გავედი და შვინ-
დის ბუჩქნარში დავიმაღე.

მაგრამ ჩემი გოდრები? გზაზე უპატ-
რონოდ მიტოვებული სავესე გოდრები
ახლალა გამახსენდა და გული შემიქან-
და. იქ ჩასვლა შეუძლებელი იყო. მა-
შინვე დამეტაკებოდნენ, ასეთ და ასეთ
გოგოსათვის თვალი ხომ არ მოგვიკ-
რავსო.

ფაშფაშა ქალის ხმა უკვე აღარ ის-
მოდა. იმას იქნებ გულიც შეუწუხდა და
წყლით აბრუნებდნენ. სახედარი მოკ-
ლედ გამოვაბი შვინდის ძირზე და ბუჩ-
ქნარიდან ფრთხილად გამოვიჭვრიტე.

ევა უკვე აღარ იყო ახოში. შეიძლება,
ზედ გზასთან ხეზედაც ავიდა და ტუ-
ხიას დუქნის წინ დატრიალებულ ცოდ-
ვისკითხვას იქიდან უთვალთვალებდა,
უთვალთვალებდა და გულში იცინოდა.

„ამისთანა საძაგელი გოგო ჩემს დღე-
ში არ მინახავს! — ვფიქრობდი მე და
საჩრდილობელი წიფლისაკენ ჩოქვა-
ჩოქვით მივიწვედი, — უნდა წაავლო
ხელი და ქოჩრით ათრიო, მარა ვინ
ჰყავს პატრონი!“

— გიგიააა!

საკუთარი სახელის გაგონებას ყვე-
ლაზე ნაკლებ მოველოდი. ტუხიას,
ეტყობოდა, ბოლოს მაინც მოვაგონდი
და მგონი ნამჭედურიდან მეძახდა.

— ბატონოო! — უმაღლე გავცხმიანე
მე, ბუჩქები აქეთ-იქით გადავწვ-
ვადმოვწიე და ქვემოთ გადავიხედე.

— რა გინდა, ბიჭო, მა ზეით? —
ამომძახა არცთუ სახუმროდ შეშინე-
ბულმა ტუხიამ.

— ავერ ვიყავი, ახოში, ვირი დაგვამი.

— დაგაბამ მე შენ! ბოსტინსაში არ
გადევიდეს, ბიჭო, მოასარგალე მს-
რობას და, მამის სული ნუ წამიწყდება,
ვედარსა გამასწრებ!

— არა, ბაბუა, გადაღმა დავაბი,
შვინდებში.

— პატარია გოგუნა ხომ არ ამო-
სულა ტყეში?

— ვინ პატარია გოგუნა? — მანამ
ვიცრუე მე, ვიდრე სიცრუის თქმას გან-
ვიზრახავდი და საკუთარმა უტიფრობამ
ყურები ამიწვა.

— ვინ და რა... მომაცოლე ახლა
თავიდან!

— არ ვიცი, ტუხია ბაბუა, მე არავინ
მინახავს.

— ჩაყვივი აბა ამ ბილიკას, მიიხედ-
მიიხედე, იქნება ქე დეინახო სადმე.
ნეტაი წყალი არ წვილებდეს და...
დიდება შენდა, ღმერთო! გოგუნა დეე-
კარქათ საძახა ამ ოჯახქორებს. მოიცა,
მოიცა, ბიჭო!

— რა იყო?

— იპონეს, გონია. ეი-ეპეპეი! — თა-
ვისებური მყივანა ხმით გასძახა ტუხიამ
ტყეში და გზაზე გაბნეულ ხალხს.

— ო-პო-პოო... — უპასუხეს ზემო-
დან, — ამოდი, ამოდი, ტუხია, აქ
არის, აქ!

გულზე მომეშვა. წუთით როგორღაც
მეც კი დავიჯერე, რომ ის აღქაჯი გოგო
ნამდვილად დაიკარგა და ახლა უზო-
მოდ გამეხარდა, რომ იპონესს.

დუქნის წინ ავლისას გარეთ კაცი-
შვილი აღარ დამხედვარია. დიდი და
პატარა დუქანში იყო შეყუჟული. ამ-
დენი ძებნისა და აურზაურის შემდეგ
ნაპოვნი ევაც აღმათ იქ შეეყვანათ.
ვინ იცის, რა დღე აყრიდნენ! კარი ისევ
ღრიჭოდ იყო მოხურული. ძალიან მო-
მინდა შიგ შემიხედა და დამენახა, რა
ხდებოდა დუქანში, მაგრამ ვერ გავ-
ბედე. ხოლო იმან, რის მოწმეც ორიო-
დე წამის შემდეგ გავხდი, ყვილაფერი
ერთბაშად დამავიწყა და გამაშეშა.

რევაზ ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

სანამ ჩვენ ყველა დაკარგულ ევას ვეძებდით, ცხენების მისაბმელ მარგილზე გამობმულ ცხენთაგან ერთ-ერთს აეშვა. აღვირი, რითაც დაბმული იყო, აეთრია, ჯერ აქეთ-ჩქით ეწოწილა, რასაც გზისპირებზე ნახობები აღვირის კვალი მოწმობდა, და, ბოლოს, ალაღბედლად თუ წინასწარი მოფიქრებით, ჩემი უპატრონოდ მიტოვებული გოდრეზისათვის მიეგნო.

ერთი გოდორი უკვე წაქცეული იყო. გზაზე გაბნეულ ორიოდ მსხალს პირზე დუქმომდვარი კვიცი დააგორებდა და ცდილობდა ხორკლიანი ენა როგორმე ქვემოდან ამოედო, მეორეში ნაცრისფერლაქებიან მუცელგაბერილ ფაშატს ყურებამდე ჩაერგო ოკრობოკრო თავი და მამასისხლად მოგროვებულ მსხალს პირუტყვეული მოუთმენლობითა და სიხარბით ნთქავდა.

ცხენი განა შემეპუა. ფეხისხმამ მხოლოდ კვიცი დააფრთხო. ყურები სტკვიტა და გაკვირვებულმა შემომხედდა. მერე ალბათ იფიქრა, მეთამაშებო, ყელი მოიდერა, განზე გადგმულ ჯოხისმაგვარ ფეხებზე შეიკუნტრუშდა და ღორმუცელა დედის სქელ გავას ამოეფარა.

ცხენს გამწარებული დავეტაკე. ფერდებში, თავში, კისერზე წიხლები და მუშტები დაგუშინე. უკანასკნელი სიტყვებით ვლანძღავდი და მიწასთან ვასწორებდი. არ დამლუბა? არ ამომადგოდ? რაღა პირით ვჩვენებოდი დღეს შინაურებს? პატრონამოსაწყვეტი ცხენის გასაძღომად გამომიშვეს ამხელა გზაზე? რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, სიშმაგე კიდევ უფრო მეტი ძალით მედებოდა გულზე და, თუკი მოვერეოდი, მზად ვიყავი ეს ცხენი და მისი ჯოხისფეხება კვიცი თვალჩაუწყდენელ უფსკრულში გადამიჩეხა, საჩრდილობელი წიფელიც ზედ შუა გზაზე წამექცია და ტუხიას დუქანიც გადამიწვა...

უეცრად ვილაცამ ყვრიმალზე მომიფათურა ოფლიანი ხელი და მერე ყურზე მტაცა. მომიჩვენა, რომ ხელმა ჰაერში ამწია, მიწას ამაცილა და ერთ ხანს ასე ვეჭირე.

— ვის ავინებ შენ აქ? ავაგლეჯ, შე

შარხვეტია, ვინ ნახე აქ შენი საგრებელი!

— გამიშვი... გამიშვი ხელი! — ტკივილისაგან გამწარებულმა უცებ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და, ევასი არ იყოს, ფრჩხილებით ჩავაფრინდი უცნობის ტაბიკა თითებს, რომელთაც ჩემი ყური ეჭირათ.

ბოლოს, გული რომ მოიჯერა, მიშვა ხელი ვილაცა იყო. ტკივილისაგან მთელი სახე მიხურდა, მარჯვენა ყურზე კი, რომელზედაც ჯერ კიდევ ვგრძნობდი ოფლიან, ტაბიკა თითებს, სულ ცეცხლი მეკიდა.

ამასობაში დუქნის წინ ფაშფაშა ქალი და ორიც კიდევ გულგაღელილი კაცი გამოსულყო და მე და კვიციანი ცხენის პატრონის უთანასწორო ძიძგილაობას პირზე ღიმილით ადევნებდნენ თვალს.

ხალხის დანახვამ, თუმცა დუქნის წინ მდგომთაგან ვიცოდი, მე არავინ მომეხმარებოდა, ძალა მომმატა, ვააფთრებული დავიდუნე და წინასწარ შეგულებულ თეთრ ქვას დავავლე ხელი, მაგრამ გახურებული რკინის ტაბიკები ამჯერად კისერზე შემომექდო, თან ხრინწიანი ჩურჩული მომესმა:

— ა, არ გაბედო, ქვასაც ქვე ისერი? გავიგონე, როგორ დაიკვნესა ფაშფაშა ქალმა, ალბათ ევას დეიდამ, დუქნის წინ და კაცები, თითქოსდა ამ ბაყბაყ-დევის იმათი მოშველება ჰირებოდეს, ჩვენკენ წამოვიდნენ.

— აბა, ჭამოს მსხალი? ჭამოს ჩემი მსხალი? — უფრო ახალი მწვავე ტკივილის გამო ავზლუქუნდი მე და ქვას ხელი ვუშვი, რადგან ხუთივე მომუჭული თითი ჩემდაუნებლიედ გამეშალა, — მსხალი შემიჭამა! ამ სატიალემ მსხალი შემიჭამა!

— ვინ არი, კაცო, დალოსტი, რა უნდა?

— რა ვიცი, ადამიანო, კატასავით დამპოტნა. ახლა ქვა უნდა გესროლოო.

— სადაური ხარ, ბიჭო? — მკითხა ნაბდისქედიანმა შეაწვეერა ჩალვადარმა, წილან რომ ქარავანს მოუძლოდა და

ტუხიას ღუქანთან სხვებზე ადრე შე-
ჩერდა.

— სადაური იქნება, ვერა ხედავ,
მსხალი წამოუღია გასაყიდად?

— შენია, ბიჭო, მსხალი? — ნაბდის-
ქუდიანი ჩაღვადარი უკვე ხუმრობის
გუნებაზე იყო. მოვიდა, ნიკაპზე საჩვე-
ნებელა თითი ამომდო და სახე ამიწია.
გულამომჯდარი ვტიროდი. წამდაუწუმ
სუნთქვა მეკეროდა. ახლა აღარც ნაზა-
რალევი მსხალი მახსოვდა, არც შავი
დღე, რაც შინ მისვლისას მელოდა,
არც ის, რომ უკვე მოსალამოვებული
იყო და, რადგან შემერიდან დაბრუნე-
ბული ბიჭები ჯერაც არ ჩანდნენ, შინ
მარტო მომიწევდა წასვლა. ო, ნეტავი
ახლა მომმატებოდა ხუთი-ექვსი წელი-
წადი, თუნდაც ათიოდე წუთით მეგრძნო
მკლავში ვაქაცის ღონე და ამ ქერისა
და ოფლიანი თომის სუნად აყროლე-
ბულ აყლაყულდასათვის აღიყული მეჭ-
მია, მაგრამ განა ამის მსგავსი სასწა-
ული ოდესმე მომხდარა?

— თქვი, ბიჭო, შენია მსხალი? —
ნაბდისქუდიანი ჩაღვადარი დაიღუნა
და სწორედ ის მსხალი აიღო, რომელ-
საც წიდან კვიცი ამოოდ აკოტრიალებ-
და, — საკალოე მსხალია? შენ გიღვას
თუ მეზობლის წამოიღე?

ტირილით უკვე აღარ ვტიროდი, მხო-
ლოდ ხანდახან წამოვასლოკინებდი ხო-
ლმე. ცრემლები თავისთავად, ჩემდა უნე-
ბურად ჩამომდიოდა და საყულოს მის-
ველებდა.

— ენა არა გაქვს, კაცო? — კიდევ
ჩამომძახა ჩაღვადარმა და მსხალი
გაპიჩა, — უპ, ეს მართლა გემრიელი
ყოფილა! თუ ტირი? აუპ, მოგვეჭრა,
მტრისას და ავისას, თავი და ეგ არის!
რა გაგვიხდა, კაცო, სატირელი?

— მოიცა... მოიცა... გავიზრდები მე...
სულ ასე პატარა კი არ ვიქნები. გავი-
ზრდები... დაკეპავთ ლუქმა-ლუქმა,
ნახეთ, თუ არ დაკეპავთ!

— უპ, შეკაცო! — ნაბდის ქუდიანმა
მსხალი ახლა მეორე მხრიდან ჩაკბიჩა,
თანამგზავრებს შეთქმულის მზერით გა-
დახედა და ხვიხვინი დაიწყო, — ეგ რამ
გაფიქრებია.

— აგერ ნახე, აგერ ნახე, თუ არ
ავასარულიო!..

— შენგან ჩვენ აშენებას მზრდობის
და ქვე დაკეპვას გვიპირობ? დასაკეპა-
ვად რავე გვიმეტებ, რო გვიმეტებ ამ-
დენ ხალხს! დალოსტი, გეყურება? არა,
ბიძია. დალოსტი დასაკეპავად გასამე-
ტებელი კაცია? ნურც ჩვენ გეგონებით,
თავი ნუ მოგიკედება, გლახა ხალხი.
დამიჯერე. ანდაზა ხომ გაგიგონია,
უფროს კაცს სიზმარიც დაეჯერებაო.
წიდან, ცხენს რო ურტყამდი და პატ-
რონს უგინებდი, ე, ის გაიგონა დალოს-
ტიმ და ეწყინა.

— როდის ვუგინებდი?!

— უგინებდი, აბა არ უგინებდი?

— თუ ვუგინებდი, მაგას გინება ეწ-
ყინა და მე ის არ მეწყინა, მსხალი რომ
შემიჭამა მაგისმა უსვინდისო ცხენმა?
რა ვუთხრა ახლა მამაჩემს, სად წავი-
ღე ამდენი მსხალი! რა იცის მაგან, რა
უნდა მეყიდა იმ მსხალში აღებული
ფულით მე?!

— ბევრი იყო?

— ორი გოდორი. ვერ ხედავ?

— სულ არ მოგიკლია?

— აქ რას მოვაკლებდი, შემერში მიმ-
ქონდა.

— მერე ორ სავესე გოდორს ასე პა-
ტარა ბიჭი რანაირად დაერიე?

— ვირი მყავს.

— ჰოო, ვირი თუკი გყავს, ეგ სხვა
საქმეა. ისე, ბიძია, მართალი თუ გინდა
გიუთხრა, ქე უნდა მოუარო შენს საქო-
ნელს. გზა-შარაზე რო მიატოვე, აბა რა
ვეგონა!

— მაგან არ უნდა მოუაროს თავის
სატიალე ცხენს? რო აყულებულა...
რატომ სხვისი ცხენები არ არის აშვე-
ბული. თუ კარგი კაცია, რაღა მარტო
მაგისმა ცხენმა აიშვა!

— ისე გამოდის, მე განზრახ ამიშვია
ცხენი, — დინჯად თქვა ახმანმა დალო-
სტიმ, აქამდე რომ გაჩუმებული იყო და
მხოლოდ ჩვენ ორის ლაპარაკს უგდებდა

რევან ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

ყურს, — ბიჭო, შენ ცოტა გრძელი ენა ხომ არ გაქვს?

იცოცხლე, მზად მქონდა პასუხი, გრძელი ენა ვისაც აქვს, ძალიან კარგად ვიცინ-მეთქი, მაგრამ, რაკი თავი დავად-წიე, აღარაფერი მიპასუხნია. გოდორი დავითრიც, ცალ მუხლზე ჩავიჩოქე და გზაზე გაბნეული მსხლეების მოგროვება დავიწყე.

— კაცებო, მოდით ახლა, რაღას უდგეხართ მანდ!

ეს ისევ ის ფაშფაშა ქალი იყო, ევას დეიდა, რომელიც კვლავ დუქნის წინ იდგა, მსხვილ-მსხვილი, გახუხული მკლავები გულზე დაქტვო და თვალს იქიდან გვადევნებდა.

— არ მოგპოვდათ?

— მობრძანდი, ქალბატონო ზინა, მსხალი აარჩიე, — უკვე სულ სხვა ხმაზე დაუძახა ქალს პასუხად ნაზდისქუდიანმა ჩაღვადარმა და თითქოს ათითხუთმეტი წლით გაახალგაზრდავდა, — საკალოე მსხალია, ძალიან გემრიელი. უჰ შენ კი... — ჩურჩულით დაუმატა მან ბოლოს, ამხანაგებს კვლავ შეთქმულის მზერით ვადაძხედა და თვალეზი ვადმოკარკლა, — ... შენ კი რა გითხრა დალოსტიმ!

— წელან ცხენი ჭამდა და ცხენის ნაპირალი რაღად გამოდგება, ბეჩა მათია! — უდარდელად აჭიკჭიკდა დუქნის წინ ევას დეიდა. ის უთუოდ მიხვდა, რომ აქ კაცებმა რაღაც ვადაკრული თქვეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, არა სწყენია.

— სულ კი არ შეუჭამია, შექალო, ცხენს, — ისევ მსუნავად გაეძრაბა წვერა, — ავარჩიოთ, გავრცხოთ და ისევე მსხალი იქნება. ხომ მოგვყვიდი, ბიჭო? — ახლა მე ჩამომძახა მან ზემოდან.

— გინდა იყიდეთ და გინდა... არ ვყიდი მე მსხალს!

— მოდი, მოდი, ზინა, ბავშვები წამოიყვანე, თავად აარჩიონ, გაეხარდებათ, — ჩემს უნდელ პასუხს ყურადღება არ მიაქცია და ისევ თავისი ვანაგრძო საღერდელაშლილმა შეაწვერა ჩაღვადარმა.

— ევა! ბონდო! — დაიძახა უაშფაშა ქალმა, — მსხალი არ გინდათ?

— სად არის მსხალი? — დუქნის წინ პირველი ისევ წითელი კაბა გამოიჭრა და დედაკაცის თანთალა მკლავს ყაყაჩოს ფურცელივით მიეწემა.

ვითომდა აქ არაფერი! ვითომდა სწორედ მის გამო არ დამტეხოდეს თავზე ეს გაუშაშაწია! მსხალი მოენატრა ქალბატონს! ნეტავი კიდეც რას ინებებს. უუ...

იმ მხარეს არ ვიხედებოდი, მაგრამ გუმანით თუ რაღაც სხვა ალღოთი ვგრძნობდი: გოგო ისევ ფეხშიშველი იყო და თავისი წელანდელი დაკარგვით გულგადმოტრიალებული დედ-მამის ხეწუნა-მუდარას ამჯერადაც ამაოდ ჩაეგლო.

— კალათი? — უთხრა დისწულს ქალმა.

— დედიკო, კალათი გვაქვს? — პასუხის მაგიერ დაიძახა იმ მატრაკვეცამ.

— წამო, წამო, ნულარ აწუხებ, კალთაში ჩავილაგოთ, — ფაშფაშა ქალს ალბათ გაახსენდა, რომ კალათი არ ჰქონდათ და, ვიდრე დუქნის სიღრმიდან პასუხს მიიღებდა, დისწულს ხელი მოჰხვია და ორივენი ჩვენკენ წამოვიდნენ, — ბონდო რატომ არ მოდის? — უკებ გაახსენდა დეიდას და უკან მიიხედა, — ბონდო!

— იყოს იქ, არ უნდა! — აკაპასდა ევა, — არ იცი მაგისი ზანტი თავის ამბავი?

— რას აკეთებს?

— წევს და ბუზებს ყლაპავს!

— სუ! არ გაგიგონო ეგ მეორედ! შეიძლება, ძმაზე მაგისთანა სიტყვები დახარჯო? შენ თუ აგრე იტყვი, სხვა რაღას იზამს?!

ევამ საჭიროდ არ ჩათვალა ამ უკანასკნელ შენიშვნაზე პასუხის გაცემა, დეიდას გამოუსწრო და თვალის დახამხამებაში ჩვენთან გაჩნდა.

— სად არის მსხალი?

— ა, შენი ჭირიმი, — მიეგება ნაზდისქუდიანი ჩაღვადარი და გოდორი, რომელიც ჩემს ფეხებთან იდგა, მოწიწე-

ბით გადმოუწია, — ამოარჩიე. თუკი გეამება...

— ეს რას აკეთებს? — აგდებულად ჰკითხა ევამ და თვალი მოვატანე, ფეხისწვერით ჩემზე ანიშნა.

— ცხენმა გოდორი წაუტყია... — მოუბოდიშა წვერამ, — გოუსინჯე, გოუსინჯე გემო. თავი ნუ მომიკვდება, ძალიან გემრიელი მსხალია.

— ფუჰ! — ევა დაიჰყანა, — საღ ნახეთ ასეთი საძაგელი მსხალი?

— ჯერ გემო გოუსინჯე, გოგუნა, — არ ეშვებოდა წვერა, — ხეჭემური არ არის, მართალია, მარა ისე, თავი ნუ მომიკვდება, ძალიან გემრიელი მსხალია, შენმა გაზრდამ, მკათათვეში საკალოე მსხალი დაიწუნება?

ამ დროს ფაშაშა ქალიც მოვიდა საშინაო ქოშების ტაკატკუცით, რომლებშიაც შიშველი ფეხები წაედგა და გოდრებში მუშტრის თვალით ჩაიხედა.

— რა ღირს?

— ევამ დაგვიწუნა, — ჩემს მაგიერ მიუგო ქალს ნაბდისქუდიანმა ჩაღვადარმა და ახლა იმას გადმოუწია გოდორი, — საკალოე მსხალია. სხვა ჯიში არც შემოდის ამ დროს.

— ვიყიდოთ ცოტა, ბავშვები შეიყოლიებენ თავს, — გადაწყვიტა ქალმა და გოდორი ფრთხილად შენჯღრია. ეტყობოდა, თვითონ უფრო მისდიოდა სული, მაგრამ ხელი მაინც ბავშვებს შეახოცა, — რა ვქნა, ცხენის ნაღეჭია, ეს თუ...

— რაღა გეკადრება, ქალბატონო ზინა, — უმაღლვე წაეშველა თავისივე მიეთმოეთით გათამამებული ნაბდისქუდიანი ჩაღვადარი. ერთი გაჩეჩქვილი მსხალი გოდრიდან ამოიღო და ქალის თვალწინ ხელში ოსტატურად შეატრიალ-შემოატრიალა, — ჩამონავარდნი მსხალია. თუ არ ჩამოვარდა, არ იჭმება ისე. აბა? ჩამოვარდნისას, ხომ იცი, ხან ქვას დაასკდება, ხან... ასე იჩეჩქვება. ვისაც არ უნახავს, მართლა იტყვის, მონაკებჩიაო. რა ღირს, ბიჭო, უთხარი ამ პატროსან ადამიანს! — ბოლოს ისევე მე ჩამომძახა შავ-შავმა.

— არ ვყიდი მსხალს მე, ჩემთვის დამაყენეთ!

— ვაი! — ცივად წამოიძახა ევა, — არ ვყიდიო! წამო, ჰქონდეს თავისი მსხალი! მე მივდივარ!

— მოიცა, გოგო, — მდგომარეობის გამოსწორება სცადა ფაშაშა ქალმა, — ენა ნუ გისწრებს წინ!

ის უცხო მამაკაცების ფარულ მზერას გრძნობდა და უნდოდა, ეს სიამოვნება თუნდ რამდენიმე წამით მაინც გაეხანგრძლივებინა.

დეიდის ნათქვამი ევამ ცალ ყურში შეუშვა და მეორე ყურში გაუშვა, მაშინვე წატუსტუსდა. ხუთი თუ ექვსი ნაბიჯი ამაყად თავაწეულმა გაიარა და იქ ზურგშექცევით გაჩერდა.

მართლა ნაცნობი ყოფილიყო, დავუძახებდი, მსხალს შევაძლევდი. მე ხომ ვიცოდი, მსხალი განზრახ დაიწუნა, უსულო ნივთადაც განზრახ მიმიღო, რათა ჩემთვის რითიმე ეწყენინებინა და ამით წედანდელი გაწბილების გამო სამაგიერო გადაეხადა...

— რა ვქნა, მართლა არ ყიდის? — ისევე ნაბდისქუდიან ჩაღვადარს მიმართა ფაშაშა ქალმა, მას უკვე აერჩია ათი თუ თხუთმეტი მსხალი და მოკრძალების გამოსახატავად მხოლოდ ოდნავ ილიმებოდა.

— ამოიღე, ამოიღე, ქალბატონო ზინა, მაგას ვინ კითხავს! — კიდევ უფრო გათამამდა ნაბდისქუდიანი და თვითონ შეუდგა მსხლების არჩევას. ზინა წინ გადმობრილიყო, მარჯვენა მკლავი მთისებრ ამობურცულ მკერდზე მიეყრდნო და ზედ ნაბდისქუდიანი ჩაღვადარის მიერ მიწოდებულ ახალ-ახალ მსხლებს ილაგებდა.

მე ჩემს საქმეს დავუტრიალდი. რაც ასაკრფი იყო, ავკრიფე და მუცლით მიწაზე ნათრევი გოდორი ზეზე წამოგაყენე. ესღა დამჩნა! საწყალმა ვირმა ძლივს ამოიარა ჯრუჭის აღმართი. სიმძიმისაგან წელში იღვერებოდა. მერე რანაირი ღონიერი და ერთგული ცხოველია! თუ მართლა გარდაუვალი იყო, ნეტა სადმე ქვევით, წისქვილიკარზე ან

რევან ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

ჯრუჭულის ბონდთან მაინც შემთხვევო-
და ეს ფათერაკი! აქამდე ამოხვიდე და
მერე ხელცარიელი დაბრუნდე უკან?
რად გინდა კაცს თავი ცოცხალი!

— გვეყოფა, გვეყოფა, მათია, მეტს
ვეღარ მოვერევი, დამებნევა! — ეუბ-
ნებოდა მეტისმეტად მონდომებულ ჩალ-
ვადარს ზინა და მკერდზე აკოკოლავე-
ბულ მსხლის გორას მეორე ხელით
ძლივს იკავებდა, — სად წავიდა ის
ბიჭი, ბიჭიკო?!

— აგერ ვარ, — გამოგჩნდი მე და
რეზინის წუღებზე დავიხიდე.

— წამოდი, ფულს მოგცემ.

— არ მინდა მე თქვენი ფული!

— აბა, უფულოდ მაძლევ? — ქალმა
ტკბილად ჩაიციხა, ნაბდისქუდიანს
ალერსიანი მზერა სტყორცნა და კინა-
ლამ მსხლები დაებნა, — ხედავთ, როგო-
რი ამაყი ყოფილა? თუ აგრე იყო, ბიჭო,
რატომ წამოიღე მსხალი გასაყიდად?

მე ხმას არ ვიღებდი, თავჩაქინდრუ-
ლი ვიდექი და ისევ რეზინის წუღებს
ჩაგვიკრიკტებდი.

— კარგი, რაკი არ მომყვები, ბავშ-
ვის ხელით გამოგიგზავნი ფულს. აგერ
იყავი, არსად წახვიდე. მათია! დალოს-
ტი! — ქალს უცებ გაახსენდა, რომ
უნდა ესადილათ თუ ესამხრათ და ისევ
კაცებს მიმართა, — წამობრძანდით ბა-
რემ, ჩემი სიძე თქვენ გელოდებათ. ტუ-
ხიამ უკვე გაშალა სუფრა. ამ დილას
კუტი ლობიო მოუხარშავს. კაკლით
შეგვკმაზეო. ძალიან აქებს...

ნაბდისქუდიანმა და კვიციანი ცხენის
პატრონმა ერთმანეთს გადახედეს, შე-
ტკობმანდნენ, თითქოსდა დიდი მსხვერ-
პლის გასაღებად მიდიანო და ოდნავ
დაწინაურებულ ფაშფაშა ქალს დარცხ-
ვენილი კაცის ღმილით აედევნენ.

კართან პატიჟი შეექნათ, არა შენ
შებრძანდი პირველი და არა შენაო.
ბოლოს ყველა დუქანში შეიკრიფა და
მე მარტო დავრჩი გარეთ. მაშინვე შვი-
ნდის ბუჩქზე თავმიკრული სახედარი
გამახსენდა. ამასობაში ისიც დაიმშეო-
და. რადანაირად გინდა ამაღამ ატარო,
ხომ შეიძლება გზაზე დაგვიარდეს.

განახევრებულ გოდრებს ვეცი და,

რომელიმე წუწკ ცხენს ხელახლა რომ
არ აეშვა და სულ არ დავედუშე, ^{ორი-}
ვე გზასზემთ შევალაგე ბუჩქზემთა
მიწაზე სუროსავით გაწოლილი შქერის
ტოტები საიმედოდ გადავხლართ-გად-
მოვხლართე.

მზე უკვე გადახრილი იყო, მალე ამ
მთასაც მოეფარებოდა და შემდეგ ბევ-
რი-ბევრი, ორი-სამი საათი თუღა დარ-
ჩებოდა დაღამებამდე...

საჩრდილობელი წიფლის ფესვს მოვე-
ტიდე და ზემოთ ავფოფხდი. წიფელი
სწორედ დუქნის წინ იდგა, გზის ზედა
მხარეს და ზემოთ აფოფხებისას დუქან-
ში ატეხილი ხორხოცი შემომესმა. კარი
ისევ ღრიჭოდ იყო მოხურული. შეგნი-
დან კვამლი თუ მშრალად მოხარშული
ახალი ხორცის მადისაღმძვრელი ოხში-
ვარი გამოდიოდა.

ახოს ბანცალ-ბანცალით გავეყვი. სახე-
დარს გული გადალეოდა ლოდინით.
მოწყენილი იდგა და უფრო თავის გა-
სართობად, ვიდრე ბუზების მოსაგერი-
ებლად, მოკლედ შეკრეჭილ კუდს აქი-
ცინებდა. ბუჩქის გარეშემო, რომლის
ძირზედაც გამოზმული იყო, ვინ იცის,
რამდენჯერ შემოველო. იქაურობა მოე-
ჯგ-მოესრისა და კალოსათვის დაემს-
გავსებინა. სახედარმა აშვებისთანავე
გაიწია და თავდაღმა შლიგინ-შლიგინით
დაეშვა. ეს კი ხუმრობას აღარ ჰგავდა.
თოკს ხელი ვუშვი, გაჭირვების დროს
ყოველთვის ასე ვშვრებოდი ხოლმე, გზა
მოვეჭერი და თვითონაც თავდაღმა და-
ვეშვი. ახლა როგორმე გზაზე უნდა ჩა-
მესწრო და გავულისებულ პირუტყვს
იქ ჯოხით შეიარაღებული დავხვედ-
როდი.

სახედარი არც გზაზე შეჩერებულა —
ერთი ნახტომით გადაიჭროლა, ჩაირბი-
ნა მწვანე კორდი და კორდის ძირში
თავბრუდასხმულივით დატრიალდა,
რადგან წვრილფეხი საქონლის ნავალი
ბილიკი აქ უხვევდა და ისევ ზემოთ
ამოდიოდა.

მიეხვდი, საწყალი წყურვილს გაევი-
ყებინა. მეტი ღონე არ იყო, ანწლისა
და გვიმრის შამში მიმალული ვიწრო
ბილიკი მოგძებნე და პირუტყვს მდინა-

რეზე ჩავფიქვნი. გზაზე შერიგებულები ამოვბრუნდით.

უცებ ჩემი ყურადღება დუქნის წინ ატენილმა აურზაურმა მიიქცია. იქ ორი თუ სამი ცხენისათვის უკვე აეკიდათ საპალნე, ახლა სხვებს ჰკიდებდნენ, ხოლო დასაპალნებულებზე უკვე ჯდებოდნენ მგზავრები. აურზაურმა და ფაცხა-ფუცხმა ძალიან გამაკვირვა. რა პქონდათ ამისთანა საჩქარო! ცხრაწყაროს უღელტეხილამდე, რომელიც მათ უნდა გადაეფლოთ, საათნახევრის გზაც აღარ იყო დარჩენილი...

სანამ დუქანთან მივიდოდე, უკანასკნელი ცხენის საპალნეც გაბორკეს თოკებით და ქარავანი ჩვეული ბლაცა-ბლუყით დაიძრა. სულ წინ ამჯერად კვიციანი ფაშატი მოხვდა. აყლაყულა დალოსტის ფარფლებიანი ოსური ქუდი ჩამოეფხატა და ცხენს წინ მიუძღოდა.

დუქნის კარი ყურთამდე გაღებული იყო. კარის წინ ჯავრით გასარეხილი თავშიშველი ტუხია იდგა, ფეშტიმალაფარებული, და აღარ იცოდა, უკანვე შებრუნებულიყო დუქანში, თუ საჩოთირო სიფიცხით წამოშლილ მგზავრებს გაპყოლოდა.

— წავიდნენ? — ვთქვი მე, თუმცა ისედაც მშვენივრად ვხედავდი, რომ აქ ტუხიას მეტი აღარავინ იყო და ქარავანს მოუთმენლად გაგხედე.

ბერიკაცმა ხმა არ გამცა. ახლალა შევნიშნე: მას ხელში მოკლეტარიანი შავი ყალიონი ეკავა. თვალები დაგაჭყიტე. ეს ხომ სწორედ ის ყალიონი იყო, რომელსაც დღეისწორს აქეთ ეძებდა. აკი მე მოვიპარე? ყალიონი რატომღაც ლობიოში იყო ამოვლებული და ათასჯერ ნანახი რომ არა მქონოდა, შეიძლება ვეღარც კი მეცნო.

— სად იყო? — ცოტა ხანს ვადროგე, ვიდრე აღმართ-აღმართ მიმავალი ცხენების ბლაცაბლუყი სავსებით მიწყდებოდა, და ფრთხილად ჩაეჭიე.

— ლობიოს კარდალში. სამგლე ღორუკამ რო გამაბოროტა, იმ დღეს თუ ჩამივარდა.

— მერე აქამდე ვერ მოისაზრე?
— იმას ვიფიქრებდი, ბოშო, რომ ეს

ობერი და პატრონსაკვლავი ჩამივარდა?



— კოვზს მაინც არ ამოყვანე...
— დღეს პირველად ამოვუსვი. მუშტარი არ იყო. მე ვთქვი, მომშეულები არიან... ფუ, ყისმათს რა ვუთხარი! ჩემი ბრალია თუ? ნადირივით ვარ აქანა დამწყვდეული. გარეცხვა ჩემ ბარობაზე არ არი და იჯრა. ნუ გაჩერდები, თუ ბიჭი ხარ. ოჯახს რით არჩენ! ხანდახან ისე გაწყვდება ქვეყნიერობა, ერთი მუშტარი წამლად არ გამოივლის. კაცი-შვილის ხმა მენატრება. რა ვქნა მე! მაშინ რო გამოვიწყო ხარშვა, მუშტარი მადროვებს?.. მოიცა, ბიჭო, სად მიდიხარ?

- უნდა შევკავშირო ვირი. ღამდება.
- ბიჭებმა არ ჩამოიარეს?
- ალბათ, აღარ მოდიან ამაღამ.
- შეარცხვინოთ-ყე ღმერთმა! შემოდი, შემოდი, დუქანში, კიდე მოასწრებ წასვლას.
- ვინ არიან ეგენი, ბაბუა?
- ვინ ეგენი, ბოშო?
- ახლა რომ აიარეს.
- რა ვიცი, ხალხია, ქალაქელი ხალხი. მაგათთანა ამ გზაზე რამდენი გაივლ-გამოივლის, ჩემთვის ყველა ერთია. მოდი, რაღაი ზარალიანი დღე გაგვითენდა მეცა და შენაც, ბარემ სულ ზარალიანი იყოს. იქნება წლიუხდელმა ზარალმა ამაზე გადაიაროს. მამის სული ნუ წამიწყვდება, მეც მშვიერი ვარ. მე ვთქვი, ეს ოჯახკეტიანები წავლენ, მივალაგ-მოვალაგებ აქაურობას და... არ გეშურება, ბიჭო?

— ეგ ამჟავებული ლობიო ახლა მე უნდა გამასაღებინო?

— მოდი, ფულს კი არ გამოგართმევ, შეკაცო!

მივხვდი, ტუხია ბოდიშს მიხდიდა და უთქმელად მთხოვდა, რაც დღეს მე და შენს შუა მოხდა, დავიწყებას მიცვეთო.

ლობიო გარეთ გამოიტანა. ხის ჯამებზე გადმოვიდეთ. ახლად გამომცხვარ

რევაზ ჯაფარიძე
ტყის ბიჭი

ცხელ მკადას, რომელიც აზიზ მკამე-
ლებს ხელდაუკარებელივ მიეტოვებინათ,
ყური წავატეხეთ და ხარბად შევექე-
ციით. ლობიო, მართალია, მთელი კვირის
ტაკებულ იყო, მაგრამ ამჟამებისა
ჯერ არაფერი ემჩნეოდა. ამჟამებულმა
ლობიომ წვრილი ბუშტულებს დაყრა
იცის. ტუხიას საიდუმლო ალბათ თუ-
თუნის ჭვარტლით გაწებილმა ყალიონმა
გასცა, თორემ მგზავრები ისე ვერაფერს
გაიგებდნენ...

გზის ზემო მხარეს, სადაც ათიოდე
წუთის წინ აშლილი ქარავანი მიედარა,
ჯერ ბურქი გაფაჩუნდა, მერე კი ნაწყ-
ვეტ-ნაწყვეტი შრიალი და მძიმე ფეხის-
ხმა მოისმა. ორივემ იქით გავიხედეთ.
შგონი ვიღაც მოდიოდა. მალე მართლაც
გამოჩნდა თავჩაქინდრული ნაცრისფერი
ჩხენი. იმას კოდში მოსდევდა მეორე,
მეორეს — მესამე...

ტუხიასი არ ვიცო, მაგრამ მე კი რა-
ტომღაც მომეჩვენა, რომ ისევ ისინი,
წელანდელი წუნია მგზავრები დაბრუნ-
დნენ, ანდა ერთ-ერთი ჩალვადარი გამო-
გზავნეს დუქანში დარჩენილი ნივთის
წასალეზად...

სიხარულმა გული ამიფრთხილა. ჯა-
ში მიწაზე ღაგღვი და ზიზი წამოიხაჩი.
მაგრამ ესენი სხვები იყვნენ, მხოლოდ
ცხენები და კაცები. ერთი ქალი და ბავ-
შვიც არ ერია.

— ა, წაყვი, ბიჭუნა, ამათ. წისქვილი-
კარამდი ერთად იმგზავრებთ, — მითხრა
ტუხიამ.

— მსხლის დატოვება რომ მინდოდა?

— შენ კარგად იყავი! მოხმარება ხომ
არ დაგჭირდება?

— იქნება ცალი გოდორი ამიწიო, წუ-
თის საქმეა.

ცხენოსნები გზას მოგვიანებით დას-
გომოდნენ და, შორიდანვე ემჩნეოდათ,
არ აპირებდნენ დუქანთან შეჩერებას.
ჯვალოს თავგადაკერილი ტომრებით
მგონი ნაზამთრი კარტოფილი მიჰქონ-
დათ. ამ დამეს ალბათ სარეკში გაათე-
დნენ და ხვალ დილას, რადგან მეორე
დღე კვირა თენდებოდა, საჩხერის ბაზა-
რში გავიდოდნენ.

მთელი დღის უქმად გდებით ნასე-
ნებ სახედარს გამსუბუქებული გოდრე-
ბი ავკიდე და წკებლა მოვიმარჯვე.

— გამარჯობით, ტუხია ბაბუა!

— რა თქვი?

— გამარჯობით-მეთქი.

— ჰო, გამარჯობით, გამარჯობით!
წყალში ფრთხილად გადი, ბიჭო, არაფე-
რი მოიწიო. ლეტუა მამიკითხე. ტუხიამ
მოკითხვა შემოგიტვალათქვა.

— გადავრეკ სიხარულით! — მწარედ
გავიღრჩეე მე და უდანაშაულო სახე-
დარს წვრილ კანჭებში წკებლა ვუსცხუ-
ნე, — მივალ თუ არა, წერილს გამო-
გიგზავნი.

— ნუ მასხარაობ ერთი...

— აბა, როგორ გგონია, აგრე ადვი-
ლად დაგივიწყებ?

— შენ იცი!.. კეთილად იმგზავრე, კე-
თილად!

ნამჭედურზე რომ ჩავედი, უკან მო-
ვიხედე. ტუხია ისევ დუქანის წინ იდგა,
ნახევრად დაბრუსციანებული შინაური
კატის მრგვალი თვალები მოეჩრდილა
და ქვემოთ იყურებოდა.

ნეტა როდის გამოჩნდებოდნენ კიდევ
ახალი მგზავრები?



აერგიზ გოგოლაძე
**ხასი
ჯასია**
რომანი

თავი მეთერთმეტე

ფელას ეცოდებოდა დაობლებული ფეფე. მარო ნელ-ნელა გამოდიოდა მწარე სიზმრიდან. მოგვიანებით დაინახა, რომ გოლა მის გომურში შინაურით დაფუსფუსებდა. მივიდოდა, კოკურითა და ჩაფებით წყალს მიუზიდავდა, ფეფესთან ერთად ძროხასა და თიკნიან თხას ნახირში მიუყვანდა ჭიჭია-ვანას, გომურს გამოასუფთავებდა, სადღაც ოფლით მონაარ ლუკმას დედა-შვილს გაუყოფდა. მერე ვინმესთან მუშაობდა ლუკმაპურისათვის, ოქრუაშვილთანაც შეივლიდა წიგნისთვის, საღამო ხანს კი თეძამს გასტობავდა, ნერგებს აუვლიდა და სოფლის განაპირას მდგარ ქოხს მიაშურებდა.

სოფელში ერთმა წამოაყრანტალა, გოლა ზესიძე გამხდარაო. ხუმრობამ ფეხი აიდგა და სოფლის ლაზღანდარებმა ერთხელ კიდევ დაუყვიინეს გოლას:

- პაუ, ზესიძე!
- ზესიძეს გაუმარჯოს!
- ჯვარს როდის იწერ?

უწინაც დაუყრიათ სიცილი. მაშინ ჭიჭია-ვანასთან ერთად ყოფილა. ვანა ვერ ითმენდა ლაზღანდარების ქილიკს, მათ დამცინავ და აბუჩაღამგდებ სიტ-

ყვებს, ქვას დასწვდებოდა და აი, მაშინ უნდა გენახათ, როგორ გარბოდნენ ის ჭიჩიები.

გოლა დინჯი იყო და დაქინვას ისე იტანდა, გეგონებოდათ, საალერსო სიტყვებს ეუბნებიანო. „თქვან, თავი კედელს ახალონ!“ — იტყოდა და წაუყრუებდა. მაგრამ ახლა, როცა კიდევ განახლდა ძველებური და იმ ძველებურს ახალი დაცინვა მოჰყვა, გულში იცხლი აენთო, წამოიჭოჩრა, მოაგონდა, როგორ იტყოდა ამ დროს ჭიჭია-ვანა, გზაზე ქვებსაც დახედა, მაგრამ შინაგანმა ძალამ შეაკა; მაშინვე დამშვიდდა და წყაროსთავზე შეჯგუფულ ბიჭებისაკენ დინჯი ნაბიჯით წავიდა. ვიდაცამ პირი დაალო, კიდევ რაღაც უნდა დაეყვრა, მაგრამ გოლას მშვიდი სახის დანახვამ ის სათქმელი ტუჩზე შეაცვია.

ბიჭები უყურებდნენ მათკენ მიმავალ გოლას და რაღაცას ელოდნენ, ხმას არ იღებდნენ. გოლა შეჩერდა.

— რა გაღრიალებთ? თქვენი ტოლი ვერ მონახეთ?

მაშინ კი უკან დაიხიეს ბიჭებმა. თა-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

დარიგი დაიჭირეს, ემანდ არ მოგვწოდესო.

— მოდი, პა! თუ გინდათ, მეც თქვენთან ერთად ვიყვირებ: ზესიძე! ზესიძე! მერე რა?!

ეს ისე ალაღად თქვა, ისეთი მოთმინებითა და მწარე ღიმილით, რომ ბიჭებს შერცხავთ.

მეორე დღეს, როცა იგი ჩვეულებისამებრ მივიდა მაროს გომურში და ფეფესთან ერთად საქონელი გარეკა, გაახსენდა „ზესიძე“ და გოგონას მუსტრის თვალით შეხედა. მაგრამ ერთმა უკუღმართმა ფიჭრის გავლებამაც კი გული მოუკლა, შერცხვა, მკერდზე ხელი მოისვა. ფეფე ხომ ჯერ სულ ბავშვი იყო. გულადრენილი და მოშლილი გოლა უცებ გაშორდა გოგონას, უკან აღარ მიუხედავს, ისე დაეშვა ქვემოთ, ხევისაკენ. გაოცებულ ფეფეს თვალი არ მოუშორებია, სანამ გოლამ ხევში არ ჩაირბინა და თვალს არ მიეფარა. აბა, რას მიუხვდებოდა გოგონა, რა ნაღველმა აავსო იგი, რამ შეარცხვინა.

ბერდომ ერთ ხანს ჩუმად უყურა თავის აღდგენილ წისქვილს, მერე გვერდში მდგომ გოლას, ნიკალასა და გაქას მიუბრუნდა და აღტაცებით შეჰყვირა:

— ის არის, ბიჭებო, ისა, ჩემი ბებერი წისქვილი!

რუხე ავიდა, წყალი ღარში გადაუშვა, ჩახრიალა ჩაჰკეტა. როცა დაბლა ჩავიდა და წისქვილის კარიდან დოლაბს შეხედა, თითქოს ძვირფას მებგობარს შეხვდაო, ისე წარმოთქვა:

— შენ გენაცვალე, შენა!

და ბიჭებმა იგრძნეს, რომ იმ ხმაში სიხარულის ცრემლიც ერია. მეწისქვილეს ცოტა რამ საფტვაგი ებადა და ის დააყარა. წისქვილის ქვა ბრუნავდა. ძველი, გამომშრალი ფიცრებით შეკრული ხვიმირი ზარივით ბუბუნებდა, ხოლო სარეკელას დოლაბზე რაკარუკი გაუდიოდა, მიხტოდა, მითამაშობდა და გაცოცხლებულ წისქვილს მხიარული ხმით ავსებდა.

ბერდომ ერთ ხანს ყურს უგდებდა წისქვილის ხმაურს, მერე ბიჭებს უთხრა: — იმას სულ სხვა ხმა აქონდა, რამ ესეც კარგა მღერის, პა? შევეჩვევი და ესეც კარგი იქნება.

— კარგა მღერის, ბერდო, — დაუმოწმა ნიკალამ.

— იმისი ხმა გახსოვს?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს!

— საფტვაგი ბლომად არ აყრია და იხმაურებს, მა რა! — ჩაერია გოლა.

— ამასაც კარგი ხმა დაუდგება, — თქვა გაქამ.

— ბიჭოს! — მხარზე ხელი დაადო ბერდომ, — შენც გამოიქექე, აი!

გაქას თვალეზი გაუბრწყინდა და ამაყად შეხედა ბერდოს. მეწისქვილის სიხარული მასაც გადასდებოდა, ისიც სიამოვნებით შეჰყურებოდა აღდგენილ წისქვილს, იმის გარეშე ცალთვალას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა.

დოლაბი გარბოდა, წყალი ჩხრიალებდა და მართლაცდა, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა ურაკუნებდა სარეკელა.

— იქნებ გეძახის, ბერდო? — ჰკითხა ნიკალამ.

— რას მეძახის, ბიჭო?

— საფტვაგი, საფტვაგიო! აი, დაუგდე ყური.

ყური ყველამ მიუგდო.

— მამის სული ნუ წამიწყდება, მართლა ეგრე იძახის, საფტვაგი—საფტვაგიო! — წამოიძახა გოლამ.

— მაშ, წადით, ბიჭებო და სოფელში ხმა მიიტანეთ, ბერდოს წისქვილი ცოცხალიათქო, — თქვა ბერდომ და ისევ ღარზე ავიდა, რომ წყალი ჩახრიალაზე გადაეშვა და წისქვილი გაეჩერებინა.

თბილ ვარსკვლავიან ღამეებს ახლა თავისი წისქვილის კართან ათენებდა. უშიშრად ეძინა სოფლიდან და კაცთაგან მოშორებულს. ორიოდეჯერ ამოისუნთქა მისმა წისქვილმა, ორიოდეჯერ თითო მუჭა სიმინდი და ხორბალი ჩამოფტვა. იმ ძველ წისქვილში ყველგან იდო ფქვილის თხელი ფენა, ჭერსაც კი ფქვილი ჰქონდა მიფრქვეული. კუთხეში გაბმული აბლაბუდებიც ფქვილით

იყო დაძმობიებული და წისქვილი წისქვილსა ჰგავდა. ახლა კი მინდიც არ აუღია.

შკათათვე დგებოდა. იქნებ მაშინ მაინც დაძრულიყო ახალი ხორბალი, იქნებ მაშინ აესილიყო წისქვილი ხორბლის სუნით. წისქვილი უქმად იდგა. ბერდო მუხლებზე გადაშლილ წიგნში ასოებს მარცვლავდა. კითხვა უჭირდა. გონების თვალს ვერ შველოდა მისი ცალი თვალის სხივი. ხანდახან თვლებმა წამოერეოდა. შკათათვის სიცხეს ვერ ერეოდა წისქვილის სიგრილე და ბერდო ითენთებოდა. მაშინ იგი წიგნს სათუთად დადებდა ხალამბარზე და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ისევ და ისევ წისქვილს დასტრიალებდა, ან ხის ჯამებსა და კოვებს თლიდა. როცა გოლა, ნიკალა და ვაჟა ესტუმრებოდნენ, წიგნზე მიუთითებდა:

— ნახეთ, რამდენი წაფიკითხე, ბიჭებო!

და წაკითხულ სტრიქონებს თითს ჩააყოლებდა. ხანდახან მთელი გვერდიც არ გამოდიოდა.

ნიკალას უკვირდა, ეს რამდენი წაუკითხავსო. გოლა არას ამბობდა, ხოლო ვაჟას გუნებაში ეცინებოდა, როგორ უკვირსო. ერთხელ კი უთხრა:

— ეგ რა არის, ძია ბერდო! ბევრია?

— მაშ, რა არის?! — იწყინა მეწისქვილემ.

— ბევრი მაშინ იქნებოდა, რამდენიმე ფურცელი მაინც რომ წაგეკითხა.

— ეგვეც იქნება! — გული არ გაიტეხა ბერდომ, — ნეტა შენოდენა ვიყო და მეორე თვალცა მქონდეს!

მერე იმას ცდილობდა, ცოტა მეტი წაეკითხა, რომ არ შერცხვენილიყო. მაგრამ იგი კოჭლ ცხენზე იჯდა, ცოდნის შარა კი გრძელი და უსასრულო იყო.

ხანდახან საგონებელში ჩაგარდებოდა, სწავლა-განათლება რა ჩემი საქმეაო. მაგრამ ამ აზრს უმაღვე უარყოფდა, ისევ წიგნს გადასწვდებოდა, ისევ გატაცებით მარცვლავდა. ბოლო დროს ბიჭებს ანგარიშს აღარ აბარებდა, რადგან წაკითხული ისევ ცოტა იყო.

ხანდახან ბატიფეხურით წერილებსაც სწერდა „საქართველოს კომუნისტური დამტკიცებაში“ თავის ნაციხარ პასუხი დაუყოვნებლივ მოდიოდა, ლამაზად ჩაწიკწიკებული, მოკითხვის სითბოთი და კაცობით სავსე. იმ წერილებს ხმამაღლა უკითხავდა ბიჭებს.

ვინ იცის, მერამდენედ იგონებდა ვარლამ თოფურძესთან ერთად ციხეში გატარებულ დღეებს. მაშინ ნიკალა გასუსული იყო, თავდახრილი უგდებდა ყურს და ვაჟაკის ნამუსი აწუხებდა, გულში რაღაც ჰკბენდა, თავისთავს თვითონვე ჰკიცხავდა და სირცხვილის აღმური სწვავდა.

ბერდო თხრობას დაამთავრებდა და აუცილებლად დასძენდა, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ეს ნიკალას მისამართით, მის გასაკონად. მხარზედაც ალერსით დაჰკრავდა ხელს, მაგრამ მისი ალერსი ნიკალას უფრო და უფრო უკლავდა გულს და ყოველი ხელის წაკვრაზე მუხლებში შიშის ქარები გაურბენდა.

სალამოს ცა ისევ ივსებოდა წვრილ-წვრილი მნათობებით. ბერდო ისევ ეძებდა თავის ბედის ვარსკვლავს. ერთხელ შიშიც იწვნია. რომელიღაც ვარსკვლავს დაადგა თვალი. ჩაითქვა, ჩემი ბედისააო, ერთ ხანს ტკბებოდა მისი ცქერით. ვარსკვლავის ციმციმა სხივები გულს სითბოთი უფსებდა. თითქოს მისი იდუმალი ხმაც გაიგონა. ის არ იყო შორეული, არ იყო სხვა ვარსკვლავებივით ცივი. სტანჯავდა ბერდოს ყოველ ღამეს ჯიუტად აკვიტებული ფიქრი.

— გამარჯობა, მამაო! აკი უწინ მნათეს მოჰქონდა საფქვაგი?

— ილდგერძელე! მნათეს დისწული მოუკვდა ხოვლეში.

— დიაკვანს რაღა მოუვიდა?

— შეუძლოდა.

— ბიჭს ვისმეს გამოატანდი.

— ნუ ჩამაცივდი. დამიფქვი ღვთის

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

მადლით! ახალქალაქის წისქვილი გაჩერებულია. სათქმელი კი სხვა რამ გვექნება.

— კეთილი და პატიოსანი. ახლავე, მამაო.

ბერდო წისქვილიდან გავიდა, ღარში წყალი გადმოავლო, ჩახრიალა გადაპკეტა და როცა ხვიმირში ახალქალაქელი მღვდლის გაბრიელის ორი ჩანახი ხორბალი გადაუშვა, წამოიძახა:

— გაიხარე, ჩემო ბებერო! — ეს სიტყვები წისქვილს ეკუთვნოდა. მღვდელი ახალგაზრდა, მალალი კაცი იყო. შავი თმა, წვერ-ულვაში და ღამაზი. დიდრონი, სხვიანი თვალები ჰქონდა. ანაფორა ჭფარავდა, მაგრამ ეტყობოდა, მკვრივი ვაჟკაცი იყო. დიდი ხანი არ არის, რაც ახალქალაქს მოევიდნა.

— დაბრძანდი, მამაო! — ბერდომ საშფეხა დაუდგა.

გაბრიელმა ანაფორის კალთები აიკეცა და ჩამოჯდა. ხვიმირს შეხედა, საიდანაც ზანტად იზნეოდა ხორბალი. წისქვილს წყალი არ ჰყოფნიდა და დოლაბს მძიმედ აბრუნებდა. ხანდახან გეგონებოდა, ეს-ეს არის უნდა გაჩერდესო, მაგრამ ღარში წყალი შემოუტევედა, ააბრუნებდა და სარეკელა კვლავ არაკრავდებოდა.

— თქვამი დაჯიშრა. მამაო.

— ღმერთი მოწყალეა!

მერე ერთ ხანს გაბუტულევივით ისხდნენ. გაბრიელი თითქოს ფიქრში ჩაიძირაო, ბერდოს არ უტყუროდა. გობს თვალს არ აცილებდა. ალბათ ერთი სული ჰქონდა, ხორბლის უკანასკნელი მარცვლები როდის ჩაირბენდა დოლაბში, როდის გამოუკრავდა თავს ტომარას. ბერდო კი მღვდელს უყურებდა. ხიბლავდა მისი სიღამაზე და ვაჟკაცური აღნაგობა, მისი ღამაზი წვერ-ულვაში, ფაქიზად დავარცხნილი თმა.

— თქვი რამე, მამაო.

გაბრიელმა ბერდოს შეხედა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— ღმერთი შენ არ გწამს და ხატი, რა უნდა გელაპარაკო?! ქვეყანა დადის ეკლესიაში, შენ ერთხელაც არ შემოგივლია.

— ღმერთი რომ ყოფილიყო, მამაო, მე ცალი თვალით არ დამტოვებდა.

— უფალს ნუ სკოდავ! შენ რა უნდა გწამს, ეგ ცოტას ნიშნავს! — მღვდელმა სწრაფად გადაიწერა პირჯვარი და კვლავ ბერდოს შეხედა.

— მამაო, გერმანელები ხომ ქრისტიანები არიან, რუსებიც, მერედა, ქრისტიანები ერთმანეთს რომ დაერივნენ და ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს, ის შენი ღმერთი სად იყო?

ბერდომ თანამოსაუბრის თვალეშში პირველად შენიშნა რისხვა და უკმაყოფილება. მღვდელი შეიშშუნა და ანაფორის კალთები შეისწორა.

— რად გაჩუმებულხარ, მამაო? — არ აცალა პასუხის თქმა ბერდომ, — იმ ქრისტე ღმერთმა რატომ ერთხელ არ გადმოიხედა და არ უთხრა თავის ცოდვის შვილებს: რას სჩადით, რადა ჟლეტთ ერთმანეთს? რატომ არ უთხრა, ბერდოს თვალი რად ამოუგდეთ და სამუდამოდ რად დაამახინჯეთო?

— ადამიანები ბევრ ცოდვას სჩადიან. საიქიოში მიეზღვით სამაგიერო. ჯოჯობეთი და სატანა გაასწორებს ცოდვის შვილებს! — წამოენტო მღვდელი.

— აქ უნდა გავსწორდეთ, მამაო. ასეთია ჩვენი კანონი. საიქიოში რა არის, არავინ იცის. ჯერ არავინ გვინახავს იქიდან ამზის მომტანი. საიქიოს ათ წისქვილს ეს ჩემი ერთი ბერარუხუნა მირჩვენია! — ბერდომ წისქვილს მიმოავლო თვალი და მერე გობში ფტვილი ცალ მხარეს მიჰხვეტა, ცოტაოდენი ხელით აიღო, დაყნოსა, — მამაო, საიქიოში ასეთი პური არ გვექნება. ნახე, რა სუნი აქვს!

— უბედურებაც ეს არის! — ამოიოხრა გაბრიელმა.

უბედურებაც ეს არისო, თქვა და ოხვრაც რომ მიაცოლა, ბერდო მიხვდა, ამ ორ სიტყვაში დიდ რამეს გულისხმობდა მღვდელი.

— რა უბედურება, მამაო? — მაშინვე ჰკითხა.

მღვდელი ერთ ხანს დუმდა. პასუხს არ აპირებდა, მაგრამ უხერხულ დუმილს ისევ სიტყვა არჩია. ხვიმირს მიაშ-

ტერდა. სარეკელა თითქოს განგებ ზან-
ტად უკაკუნებდა და დოლაში კოჭლი-
ვით გარბოდა, შეისვენებდა, სულს მო-
ითქვამდა და ერთ მუჭა ფქვილს გობში
ჩამოჰყრიდა.

— უბედურებაც ის არის, რომ ადა-
მიანების ერთი ნაწილი მოიწამლა.

— ეგ ახალი არ არის, მამაო. დასა-
ბამიდან ასეა, ერთნი მოწამლულნი და
დაჩაგრულნი არიან, მეორენი ხარობენ.

— მაგას არ ვამბობ.

— მაშ, რასა?

— იმას, რომ მართალია კომუნისტე-
ბის იდეა კაცთმოყვარეობაზეა აგებული,
მაგრამ მათი მიუტევებელი ცოდვია
ღმერთის უარყოფა. რა ფასი აქვს მათ
იდეას, თუკი სიცოცხლის ღერძს,
ღმერთს უარყოფენ!

— შენ საიდან იცი კომუნისტების
იდეა, მამაო?! — გაკვირვებით ჰკითხა
ბერდომ და მღვდლისაკენ ახლო გადი-
ნაცვლა, პირდაპირ თვალეში მიაჩერდა
და ვაიფიქრა: ამ ჯანდამწვარს, სულ
ბავშვის თვალეში აქვსო.

— მე კომუნისტების წიგნებსაც ვკით-
ხულობ. რუსეთში უარყვეს რელიგია,
დახურეს ეკლესიები, ქრისტიანობას სა-
შიშროება ემუქრება. მინდა ვიცოდე, რით
გვებრძვიან კომუნისტები.

წისქვილი ხმაურობდა. ბერდოს არ
მოსწონდა დოლაბის კოჭლობა. გადაწ-
ყვიტა, როგორც კი საფქვევი ჩამოთავ-
დებოდა, რუს სათავეში ასულიყო და
წყალი ბლომად გადმოედო, მაგრამ
მაშინვე გადაიფიქრა, რა თავში ვიხლი
წყალს, თუკი საფქვევი არ არისო.
ოღონდ ხორბალი მოეტანათ და შუაღა-
მითაც არ დაიზარებდა წასვლას. მთელ
თქამს აქეთ გადმოუშვებდა.

— აი, ჩვენ რაღაცას ვეძებთ ცხოვრე-
ბაში, მამაო, — განაგრძო ბერდომ, —

თქვენ რას ეძებთ? თუ უკვე ნაპოვნი
გაქვთ და მორჩა?

— შენ დიდი ეშმაკი კაცნი ხარ, მანანარა,
ბერდო.

— ეჰ, მამაო, რაც მეტს წაიკითხავ
კომუნისტების წიგნებს, მიხვდები, რომ
რუსები სწორედ მოიქცნენ და იქნებ შენ
თვითონ დახურო მონასტერი.

გაბრიელს კვლავ რისხვით აენტო
თვალეში, მაგრამ თავი შეიკავა, მეწის-
ქვილეს არაფერი უთხრა. მოთმინებით
ელოდა ხორბლის ჩამოთავებას.

— შენ ამბობ, მამაო, რომ საიქიო
არსებობს, — არ მოეშვა ბერდო, — მაშ,
რად იყო, გოსტაბაშვილს შუბლზე რე-
ვოლუციონერი რომ დავადე, შიშით ლამის
გათავდა. რათა, ჰა? დამშვიდებით წა-
სულიყო იმქვეყნად, რა იქნებოდა!

— ისიც უღმერთოა!

— მარტო იმას კი არა, სხვებსაც
ეშინიათ სიკვდილისა. სიკვდილისა ყვე-
ლას ეშინია, იმიტომ რომა, ამ ქვეყანას
შავი ფარდა ფარავს და იმ ფარდის
იქით არაფერია. სანამ ცოცხალი ხარ,
იცი „არაფერი“ რაც არის, მაგრამ,
როცა მოკვდები, იქ ის „არაფერიც“ არ
იქნება...

— ღმერთს ნუ სცოდავ! ნუ რისხავ
შენი ბედის ვარსკვლავს! — შეუწყრა
გაბრიელი. კვლავ მოთმინებით აიტანა
მეწისქვილის ენის ტარტარი.

— ბედის ვარსკვლავიო?! — თვალის
წამოვითო ბერდოს, — აი, ეგ კი მწამს!

— მაშ, მთლად ცოდვილი არა ყო-
ფილხარ.

— მწამს იმიტომ, რომ ვარსკვლავე-
ბი არსებობენ. გინდა ბედისა დაარქვი
და გინდა სხვა რამ, ხომ არსებობენ! და
რაც ამქვეყნად არსებობს, ყველაფერი
მწამს, მამაო!

თავი მეთორმეტი

იმ წელს თავად ქართველიშვილის
ოჯახი გვიან ესტუმრა სოფელს.

უკვე შეღამებული იყო, როცა ეტლე-
ბი ალაყაფს მიადგნენ და მოურავმა
დიდი ამბით გაულო კარი. სხვა დროს

რისიანად მოდიოდნენ. ახლა სტუმრები-
ვით ეწვივნენ მშობლიურ მხარეს. მას

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

შემდეგ, რაც თავდა-აზნაურობას ქალაქი გაუტკბა და ქალაქმა ფული მოსთხოვა, ისინი ნელ-ნელა ჰყიდდნენ ადგილ-მამულს.

უწინ ქართველიშვილებისა იყო ყველაფერი, რასაც კი ახალქალაქიდან თვალი გასწვდებოდა. სასახლე გარიყულაზე ედგათ, რადგან ეს ბატარა სოფელი უფრო მომადლოზეა და მამულის გადასახედად მოსახერხებელი იყო.

თავადის დედა, ქრისტინე, თავისას მაინც არ იშლიდა. ისევ ძველი დრო ეგონა. შვილი ძლივს აკავებდა შინ. მაინც გაიპარებოდა სოფელში. ერთი დიდი ხელკეტი ჰქონდა. იმ ხელკეტით ჩაივილიდა გზაზე და თვალს აქეთ-იქით ზვიადად გადაათამაშებდა, ქორივით დაერეოდა გლეხობას. სოფელი შემოდგომის მიწურულს ეძლეოდა მშვიდობას, როცა ქრისტინეს ეტლში ჩასვამდნენ და ქალაქის გზას გაუყენებდნენ. წასვლის ქამსაც შედგებოდა ეტლში, ჯოხს მალლა შემართავდა, გლეხებს დაუცაცხანებდა და წყველას მიაყოლებდა.

ხე გამწვანდებოდა თუ არა, ქალაქიდან მომავალი დამტყერილი ეტლი ჯერ დედაბერს მოიყვანდა სოფელში, მერე ქართველიშვილის ცოლ-შვილსაც მოაბარებდა. ზამთრის ამებემა, რაც ბერდოს თათნობით ახალქალაქში მოხდა, ძლიერ განარისხეს ქრისტინე. სოფლიდან განდევნილმა მოურავმა ჩაუტანა ამბავი. ქალი ერთ ხანს ჩუმად უგდებდა ყურს, მერე ჯოხი მაგრა დაჰკრა იატაკს, უნდოდა, ჩვეული მრისხანებით რაღაც დაეყვირა, მაგრამ უცებ იატაკზე გაიშხლართა და მერე სამი თვე გაუნძრევლად იწვა.

მოიკეთა თუ არა, სოფელში წასვლა მოიწადინა. მაგრამ თავადმა ერთ ხანს კიდევ ვერ მოახერხა დედის გამგზავრება. ხოლო მაშინ, როცა თბილისში აუტანელი სიცხეები დაიჭირა, ეტლები სოფლისაკენ დაიძრნენ. სტუმრებიც ახლდნენ, თავადის სიყრმის მეგობარი, მენშევიკური გაზეთის რედაქტორი ნიკოლოზ ცხადაძე და მისი მშვენიერი ქალიშვილი, ეთერი. ესეც თავის მხრივ თავადის ქალებთან მეგობრობდა.

სასახლე იმ ღამესვე გაჩირაღდნა მოურავმა ყველა დიდ-ბატარა ღამეა აანთო. ქალიშვილების მხიარულებას ბი შორს გასწვდა სოფელს. ქრისტინემ ვერ მოისვენა. რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა აივანზე და მერე მოურავი იხმო.

— ჩამიყვანე ბაღში, კაკლის ძირას ფარანი ამინთე.

— დედა, ახლა გვიანია, თანაც ნამგზავრი ბრძანდები, — უთხრა თავადმა.

— სწორედ იმიტომ მივდივარ. შენ კარგად იცი, რომ მე და მამაშენი ორმოცი წლის მანძილზე ყოველ საღამოს, ძილის წინ, მაგ კაკლის ძირში ვისხედით. მოურავო, რა პირი დავიღია! აანთე ფარანი და გამიძებ!

ჩვევც წამოვალთო, ასხმარტალდნენ ქალიშვილები. ქრისტინემ ხელი ასწია, თქვენს ქერქში დაეტიეთო, ანიშნა მათ. მერე ჯოხი მოიმარჯვა და მოურავს დაბლა ჩაჰყვა. ქვის კიბე ჩაიარა და ბილიკით კაკლის ხისაკენ გასწია. წინ მოურავი მიდიოდა და გზას უნათებდა.

კაკლის ხეს რომ მიუახლოვდნენ, დედაბერი საგანგებოდ მოწყობილ ქვის მავიდასთან ჩამოჯდა და ღრმად ამოიოხრა.

— ჩამოჰკიდე ფარანი და წადი!

მოურავმა ფარანი ჩამოჰკიდა და ბილიკით ისევ სასახლისაკენ გასწია.

დედაბერი კი ჩუმად იჯდა და ნეტარებით თვლემდა. ამ კაკლის ხის ძირში გატარებული საღამოები ტკბილი სიზმრებივით აგონდებოდა.

რიჭრაქზე მზეს აასწრო. ხელკეტი მოიმარჯვა. შეიღმა შეატყო, რომ დედაბერი ჩვეულებისამებრ სოფელში აპირებდა გასვლას.

— დედა, გთხოვ მომისმინო!

ქრისტინემ შვილს შეხედა.

— იქნებ მითხრა, სოფელში არ გახვიდეთ?!

— სწორედ ეს მინდოდა მეთქვა.

— სოფელს არ გაუგია ჩემი ჩამოსვლა. გაგაგებინებ! უწინ დილიდანვე ძღვენით მოდიოდნენ. ვაი, შენ ჩემო თავო, ამას რას მოესწარ! ის ბუნტის თავი ისევ სოფელში ყოფილა და ალბათ ახალ გადატრიალებას ამზადებს! —

თვალეები რისხვით წამოენთო ქრისტი-
ნეს.

— დედა, ნუ გავიწყდება, გული რომ
გტყვიან. თავს გაუფრთხილდი. შენთვის
ძარღვების აშლა მავნებელია!

— სხვა სანუგეშო სიტყვა არა გაქვს
რა?!

— ახლა იმის მტკიცებას ვერ დავიწყ-
ებ, რომ ცხოვრება და დრო... ყველა-
ფერს თავისი დრო აქვს. — აბნეულად
დაიწყო ზაქარია.

— უძლურო! — მიახალა დედამ, —
დაე, სოფლის ორღობეში დავეცე, გული
გამისკდეს, მაგრამ მოვკვდე, როგორც
ამ სოფლის ბატონ-პატრონი, თავადის
ქალი!..

თავადი მიუახლოვდა, ხელი მხარზე
მოსხვია და მიეაღერსა, მაგრამ ამან
უფრო გაახელა ქალი. ახლა კი ჯოხი
შემართა და იყვია.

ქალიშვილების საწოლის კარი უცებ
გაიღო და შეშინებული სამეული გამო-
ჩნდა. ქალიშვილებს ერთნაირი, გრძელი
ვარდისფერი ღამის პერანგები ეცვათ.

ქრისტინეს არც კი მიუხედავს მათ-
კენ, შვილს ზურგი შეაქცია და კარისა-
კენ გასწია.

— მამა! — დაიძახა უფროსმა ქალი-
შვილმა.

თავადმა გოგონებისაკენ მიიხედა და
დედასთან რომ ვერაფერს გახდა, უძ-
ლურების ნიშნად ხელები გაასავსავა.
არაფერი უთქვამს, პირი მეგობრის
ოთახისაკენ იბრუნა, ოთახის კარში
შეშფოთებული მაღალი კაცი იდგა, გაკ-
ვირვებული იყურებოდა ცხვირზე ჩამოს-
კუბებულ პენსეს ზემოდან.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— დედამ სოფელში გასეირნება ინე-
ბა, — ნაძალადევად გაიღიმა ზაქარია.

— აა! — მეტის თქმა ვერ მოახერხა
რედაქტორმა. ვერ გაიგო ყვრილის
მიზეზი, მაგრამ არ გამოიძია. ეზოში კი
დედაბერი თავისი ხელკეტი მხნედ
მიაბიჯებდა.

ქრისტინეს ნაბრძანები ჰქონდა, მის-
თვის ეტლი მოერთმიათ. მოურავმა
ეტლი ჭიმქართან დაახვედრა, მეეტლის
მაგიერ თავად იჯდა კოფოზე.

როცა დედაბერი მიუახლოვდა,
ვირვებით ახედა თავის მოურავს:

— „კურჩერი“ რა უყავი? გაქ
ქრისტიანული
გამოცემისათვის

— წუხელ დაუღევია, ქალბატონო,
და ამ დილას ვეღარ წამოვაგდე.

— სხვა დააყენე! ეგ გააგდე! — ბრძა-
ნა ქალბატონმა და გრძელი კაბის კალ-
თები წამოიკრიფა, რომ ეტლში თავის-
უფლად ასულიყო.

მოურავი მისაშველებლად გადმოხტა,
მაგრამ ქრისტინემ იუკადრისა. ეტლ-
ში მოხერხებულად ავიდა და რბილ სა-
ვარძელში გამოიჭიმა.

— საით მიბრძანებ, ქალბატონო? —
სადევეები მოიმარჯვა მოურავმა.

— სოფელში ჩამატარე! მერე ქალი-
საკენ გაუხვიე, გუგულას მზვარში.

— გუგულას მზვარში?! — იკითხა
მოურავმა. ქრისტინეს არ მოეწონა მისი
ემვიანი კილო და შეუტია:

— რაღას მიყურებ პირდადებული!
გასწი, მოურავო!

ცხენები ნელა დაიძრნენ. ეგრე ატა-
რეო, ბრძანა ქალბატონმა და ქართვე-
ლიშვილიანთ წყაროს რომ ჩაუარეს, იქ
თავმოყრილ გლეხებს გადასძახა:

— დილა მშვიდობისა. ეგრე დგომას,
ხელი გაანძირეთ!

— ქალბატონს სიცოცხლე! — აქა-იქ
მორიდებით დაიძახეს ხანშიშესულმა
გლეხებმა და ქულებიც კი მოიხადეს.
ჯეელები უტიფრად იდგნენ და ქედ-
მადლურად უყურებდნენ ეტლში გამო-
ჭიმულ დედაბერს. ამან განარისხა
ქრისტინე.

— ეი, თქვენა! — დაუცაცხანა თავი-
სებურად, — პო, თქვენა, თქვენა! დოყ-
ლაპიები იყავით და დოყლაპიებად დარ-
ჩით! — მერე ისევ ხანშიშესულებს მიუ-
ბრუნდა, — უწინ ძღვენი მოგქონდათ
ხოლმე! იქნებ დაგავიწყდათ მოვალეო-
ბა, ან იქნებ ახალმა დროებამ ტვინი
გადაგებრუნათ? — მერე უცებ მოუ-
რავს ხელკეტი წაჰკრა.

— გასწი!

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

როცა სოფელი ჩაიარეს და ქალბატონმა ქალებისაკენ წასვლა ინება, მოურავმა ცხენები შეაოკა და ქრისტიანს დამნაშავესავით გადმოხედა.

— გუგულას მზვარი ამ გაზაფხულზე ესტატეს მივყიდეთ, ქალბატონო. დაგავიწყდათ?

— ეგვც გავყიდეთ? როდისღა გავყიდეთ?!

— არ გახსენდებათ, ქალბატონო?

ქრისტიანემ კოპი შეჰკრა და პაწია, მრისხანე თვალეზი მოურავს ნემსებივით უჩხვლიტა.

— გუგულას მზვარი! ჩემი მამამთილის მზვარი! იმ საცოდავს ანდერძად არ დაუტოვებია, გაჰყიდეთო.

ქრისტიანეს ყბა აუთრთოლდა, ხელი აუკანკალდა, სიტყვა ვერ დასძრა. ერთ ხანს გარინდებული იჯდა. ფიქრობდა თუ არ ფიქრობდა, კაცი ვერაფერს გაიგებდა.

— მაშ, სად მიმევლება, მითხარი! — უცებ წამოიძახა და კეტი ისე მოუდერა მოურავს, თითქოს მთელი გაყიდული მამულეზი იმას დაენიავეზინოს, ყველაფერში ის ყოფილიყოს დამნაშავე.

— ფული როცა მოგართვით, დამლოცეთ, ერთგული ხარო, — შებედა მოურავმა.

— მე, მე ვითხარი ეგა?!

„გამოჩერჩეტებულა ეს უბედური!“ — გუნებაში გაივლო მოურავმა.

— გასწი! ზემო წისქვილთან ამიყვანე! — უცებ ბრძანა ქრისტიანემ.

ზემო წისქვილი ბერდოს წისქვილი იყო. ნეტა რა უნდა ბერდოს წისქვილში? იქნებ მამაბაპურ ძველ წისქვილთან რაიმე მოგონება აკავშირებს და სურს იქ მისვლით გაინსენოს? წისქვილი დიდმა თვადმა გუგულა ქართველიშვილმა ერთგული სამსახურისათვის ბერდოს პაპას, ნასყიდა ზაქარაშვილს აწუქა. მას შემდეგ მემკვიდრეობით გადავიდა ბერდოზე.

იქნებ არც კი იყოს ქალბატონმა, რომ ის წისქვილი ცეცხლს მისცა გოგიტა გოსტაბაშვილმა და ახლა ბერდომ ახალი ააგო? რა უნდა ქალბატონს წისქვილში?

ეტლი ორლობეში შევიდა. ორლობე დამშრალ ხევში ჩადიოდა, ხეებს გაღმა საურმე გზა ისევ ორლობეში მიჰქროდა. ბოდა და აქედან თემისხევისაკენ გადიოდა, ხოლო გზის ერთი ტოტი მარცხნივ უხვევდა და ზედ ბერდოს წისქვილის კართან თავდებოდა. ეტლი გზის ამ ტოტს გაჰყვა და წისქვილთან შედგა. ბერდო გარეთ გამოვიდა და ეტლის დანახვამ გააკვირვა. იქნებ ქალაქიდან მეწვია ვინმეო. გაახსენდა, მეტეხის კართან „საქართველოს კომუნისტის“ რედაქციის მუშაკებმა ეტლი რომ დაახვედრეს.

ცალი თვლით აღმაცერად გახედა და კოფოზე მოურავი რომ დანახა, პირველად თავის სიცოცხლეში თვალს არ ენლო, მაგრამ აგერ, ქართველიშვილების დედაბერსაც მოჰკრა მზერა, ეტლიდან რის ვაი-ვაგლახით რომ გადმოვიდა. მაშინ კი საბოლოოდ დამეჭვდა, თვალი ხომ არ მატყუებსო. ქრისტიანემ ჯერ მოურავს ახედა კოფოზე, ეტლის შემობრუნება უბრძანა, მერე სწრაფი ნაბიჯით წისქვილის კარში ჩამდგარ ბერდოსკენ წავიდა. ბერდომ შენიშნა რისხვით ანთებული მისი თვალეზი. განცვიფრებული მისჩერებოდა და უნებურად პირიც კი დაელო. ნეტა ამ დედაბერს ჩემგან რა უნდაო! უფრო გასაოცარი მისთვის ის იყო, რომ ქალმა მიახლოებისთანავე შემართა ხელკეტი, მთელი ძალით უცებ დაჰკრა თავში და ზიზღითა და სისინით მიაყოლა:

— ყველაფერი შენი ბრალია!

ერთ ხანს გონი დაკარგა ბერდომ. იმ ცალ თვალშიც წაერთვა სინათლე. წისქვილის კართან ეგდო. როცა თავი წამოსწია, აღარც ეტლი იყო, აღარც დედაბერი და არც მისი მოურავი. ბერდო წამოჯდა. თავის ტკივილმა ყველაფერი გაახსენა და ნაღვლიანად გაეცინა. მერე რუზე ჩავიდა, სახეზე წყალი შეისხა, სველი ხელი თავზედაც მიისგ-მოისვა. ცოტა ხნის მერე ნიკალა მოვიდა. ბერდომ კოპი აჩვენა და თავს რაც გადახდა, ყველაფერი უამბო.

— მერე შენ?! — აღელდა ნიკალა.

— მე რა! დედაბერს ჩხუბს ხომ არ

დავუწყებდი, — ჩაიბურღლუნა ბერდომ, — დამარტყა და დამაგლო. თვალიდან სულ ნაპერწკლები წამომცვივდა. ნეტა რას მერჩოდა ის ჩემი ცოდვით სახსვ? ნეტა ერთი რამე გამახსენდეს! ყველაფერი შენი ბრალიაო. აიღო და კეტი მოხლიშა. აბა, რა უნდა მექნა? გონი დავკარგე და ვეგდე უპატრონოდ. დახედე ერთი, დიდი კობია?

— დიდი მომთმენი კაცი ხარ, ბერდო!

— ვიცო, რომ ეგეთი ვარ. ისიც ვიცო, ასე არ ვარგა, მაგრამ რა ვქნა! რა ჩემი ბრალია. გოსტაბაშვილი უნდა მომეკლა. ხომ უნდა მომეკლა? ვერ მოვკალი! ეს ერთი. მეორეც ისა, რომ შენ ხომ უნდა მეცემნე? თქვი! ჰოდა, არა გცემე. ამ დედაბერს რაღა უნდა უყოს კაცმა?

ნიკალამ თავი დახარა. არაფერი უთხრა. კვლავ გულში მოხვდა ბერდოს საყვედური. არ ივიწყებს. ვერაფრით ვერ გამოისყიდა ნიკალამ თავისი დანაშაული. მაშ, რა ჰქნას? პატიებისათვის რით მიუზღოს სამაგიერო, რითღა აჩვენოს თავისი ერთგულება და კაცური კაცობა? რით დაუმტკიცოს, რომ სხვაზე ნაკლები ვაჟკაცი არ არის და მასაც შეუძლია დანაშაულის გამოსწორება?

ორღობეში გოლა მოიჩქაროდა. როცა წისქვილს მიუახლოვდა, მისი პირველი სიტყვა იყო:

— გაიგეთ?

— რა მოხდა, ბიჭო?

— კნენა ქრისტიანებ თქვენი ჭირი წაიღო!

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გვამს! — არ დაიჯერა ბერდომ, — ახლა აქ იყო, ბიჭო. თავში ჯოხი დამარტყა და გაიქცა. აი, თუ არა გჯერა, ამ კობს დახედე, ფავნისის გორაკივით რომ მზის.

გოლამ კობს დახედა.

— ერთი უყურე! — წამოიძახა და განაგრძო, — მართალს გეუბნებით, მამის სული ნუ წამიწყდება. მოურავს ეტლით შინ მიუყვანია, გადმოსულა და ხედავს, რომ კნენას მისძინებია. ისე დაიძინა თქვენმა მტერმა! მღვდლის დასაძახებლად გაიქცნენ, მაგრამ რაღა დროს! უზიარებლად მოკვდა. ვითომ რა დაემართება?

— მომკვდარა და მაგაზე მეტი რაღა უნდა მოუვიდეს! — თქვა ბერდომ.

— არა, კაცი უზიარებლად მოკვდა კვდება...

— გინდა აზიარე და გინდა არა, მაინც მიწა უნდა მიაყარონ და იქ ჭიამ უნდა გაიხაროს! კიდევ კარგი, აქ არა მოუვიდა რა! — ჩაიბურღლუნა ბერდომ, კობზე ერთხელ კიდევ მოისვა ხელი, — შემოდით წისქვილში, ბიჭებო, თითო არაყს დაგალევიანებო. ქრისტიანე ავი დედაკაცი იყო, მაგრამ სულის სახსენებელი მაინც წაფუჭციოთ.

სამივენი წისქვილში შევიდნენ.

ქრისტიანეს ეკლესიის ეზოში, საგავარეულო სასაფლაოზე, ქმრის გვერდით გაუთხარეს სამარე. როცა მისი კუბო სამარის პირას დაასვენეს, ქალები ემუდარნენ თავადის აცრემლებულ ქალიშვილებს, მიდით, გამოეთხოვეთ და მერე აღარ იტიროთო. მათვე ამშვიდებდა მეგობარი ქალიშვილი, მასაც არანაკლები ცრემლი დაეღვარა, მაგრამ ახლა აღარ ტიროდა. მღვდელი ეკლესიიდან გამოვიდა. დიაკვანი და მნათე გამოჰყენენ მიცვალებულის გასაპატიოსნებლად და საზიარებლად.

ხალხმა თვალი გააყოლა მღვდელს, დინჯად რომ მიიბიჯებდა მიცვალებულისაკენ. ან რა ეჩქარებოდა! ეს ამქვეყნად ეჩქარებათ მხოლოდ. ეჩქარებათ იმიტომ, რომ წუთისაა ეს სოფელი.

მღვდელი ნელა უახლოვდებოდა მიცვალებულს. თან საცეცხლურს ლამაზად, აურჩარებლად აქანავეებდა.

ცხადაძის ქალიშვილმა მღვდელს შეხედა და ეოცა მისი სიჯეილე. თვალი ვერ მოაშორა. გატაცებით და თავდავიწყებით უყურებდა მამნიც, როცა მღვდელი თავისი სასუფეველს ბარიტონით სამუდამო სასუფეველს უშკვიდრებდა მიცვალებულის სულსა და ხორცს, როცა პირჯვარს ისეთი მომხიბვლელობით, და ისეთი სიღინჯით იწერდა. გო-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ნება, გარემო მწუხარებას მოწყდა და მთლიანად გაბრიელის არსებას დაემორჩილა. კუბო სამარეში ჩაუშვეს და ხალხიც ქელებისაკენ დაიძრა.

ეთერი ახლა მამას მიჰყვებოდა ხელი-ხელგაყრილი. მათ შორიახლო თმასუ-ჭუჭა გიმნაზიელი ყმაწვილი მიდიოდა და ქალიშვილს თვალს არ აშორებდა.

ეთერმა იგრძნო მისი დაჟინებული მზერა, იმ მხარეს უცებ გაიხედა. ვაჟსაც ეს უნდოდა. ქალიშვილს მაშინვე ღიმილი შეაგება.

ეთერი ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა, ფეხი შეეშალა და მამის ყურადღება მიიქცია. ბრაზობდა, თანაც უხაროდა, რომ ვაჟის ყურადღება მიიქცია, უნდოდა, ერთხელ კიდევ გაეხედა, მაგრამ ვერ გაბედა. შეშინდა? შერცხვა? კიდევ მოედო სიბრაზის აღმური და კვლავ შეეშალა ფეხი.

— ეთერ, შეილო! — ჩურჩულით უსაყვედურა ნიკოლოზმა.

გიმნაზიელი თავხედი გამოდგა. ქრისტინეს დაკრძალვიდან ერთმა კვირამ რომ გაიარა, იგი თავადის სასახლის ბაღს მოველინა დღისით — მზისით, როცა თავადი და მისი სტუმარი რედაქტორი კაკლის ხის ძირში მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ.

— მაპატიეთ! — მორიდებით მიმართა გიმნაზიელმა მასპინძელს, — გამარჯობათ, ბატონებო, შეგაწუხებთ!

— მობრძანდით, ყმაწვილო! — მიიწვია თავადმა და ქვის გრძელ სკამზე აღვილი შესთავაზა. თითქოს პირველად ხედავდა ამ ყმაწვილს, მაგრამ უცებ გაახსენდა, იგი ამ ერთი კვირის წინ სამიძმრით ეახლა და ეკლესიის გაღვანში ქრისტინეს დაკრძალვაზედაც იყო. გიმნაზიელს რვეული მოეტანა.

— იმედი მაქვს, არ გამიწყრებით, — მიმართა მან ისევ თავადს, — თუკი თქვენს სტუმარს ცოტა დროს წავართმევ!

ნიკოლოზმა პენსე შეისწორა.

— თბილისში სწავლობთ?

— დიახ, თბილისში. გწერ ლექსებს და მინდა წაგიკითხოთ. მე თქვენ თბილისიდან გიცნობთ.

ყმაწვილის მოუსვენარმა თვალწამა მოასწრეს სასახლის ყველა თანჯრის შეთვალეირება, კიბეზე არბენდა ხეობის გაღვება, ეზოს მოთვალეირება. ამაოდ ეძებდა.

— მიყვარს ზრდილი და წესიერი ყმაწვილები, — თქვა ნიკოლოზმა, — მე მოხარული ვიქნები წავიკითხო თქვენი ლექსები და მოწონების შემთხვევაში დაგიბეჭდოთ კიდევ. სადმე თუ დაბეჭდილხართ?

— დიახ. მქონდა ბედნიერება, — უპასუხა გიმნაზიელმა და ერთხელ კიდევ ხარბად ააყოლა თვალი რიკულეზიან კიბეს.

— საინტერესოა.

გიმნაზიელმა სწრაფად გაუწოდა რვეული რედაქტორს.

— ვალიკო გიუნაშვილი, — წაიკითხა თავფურცელზე ნიკოლოზმა.

თავადმა ყმაწვილს შეხედა და ჰკითხა:

— გიუნაშვილი? მჭედელი გიგოსი რა იქნები?

— ძმისწული გახლავართ.

— მდა! — თავადმა თავი გააქნია, — ხელოსნის შვილები გიმნაზიაში სწავლობენ და მაინც უკმაყოფილონი არიან ამ დროებით.

— უკმაყოფილება ყოველთვის იყო და იქნება, თავადო, — თქვა ნიკოლოზმა და რვეულის ფურცელა დაიწყო, — პოლიტიკაა თუ ლირიკა? — ისე ჰკითხა ვალიკოს, მისთვის არ შეუხებდავს.

— ლირიკა გახლავთ. პოლიტიკას არ მივდევ.

— ასე სჯობია პოეზიისათვის. თქვენ სწორედ გაგიგიათ, ყმაწვილო. მე თვითონ პოლიტიკური მოღვაწე ვარ, მაგრამ პოლიტიკური ლექსებისა არა მწამს რა. თქვენ რას იტყვით, თავადო?

— ლირიკა, რასაკვირველია! პოლიტიკის უღელს სხვა ჟანრებიც გასწევენ! — გულგრილად მიუგო ზაქარიაშვილს, რადგან საერთოდ უგუნებოდ იყო ღედის სიკვდილის გამო.

ვალიკოს უნდოდა ერთ ხანს კიდევ დარჩენილიყო თავადთან და მის სტუმართან, მაგრამ თავი ზედმეტად ჩათ-

ვალა. ამდენ ხანს აქ ჯდომა შეიძლება, უზრდელობად ჩამომართვანო, წამოდვა, მოიზოდინა და გამოეთხოვა.

— მდა! — თქვა თავადმა, როცა გიმნაზიელი წავიდა, — ჩვენ წინათ მიგვაჩინდა, რომ მხოლოდ წარჩინებულთა წრიდან გამოვიდოდნენ ზრდილნი და განათლებულნი, ამ ყმაწვილს კი არაფერი აკლია, გარდა თავადის წოდებისა.

— სიარულიც კი დახვეწილი აქვს! — შენიშნა რედაქტორმა.

ვალეო მართლაც ისე მოხდენილად მიდიოდა. თითქოს საცეკვაო წრეში უნდა გავიდესო. თავს ძალას ატანდა და კეკლუტობდა. არ შეიძლებოდა, მისთვის ყურადღება არ მიექციათ. ჭიშკარში მარდად გავიდა და შინისაკენ გასწია.

ბედნიერი იყო, რომ მიზნისაკენ ნაბიჯი ასე წარმატებით გადადგა. უფრო მეტად შეესხა ფრთები, როცა რამდენიმე დღის შემდეგ, რედაქტორის წინაშე კაკლის ხის ძირში იჯდა და სამი ქალიშვილი ყურს უკადებდა, ნიკოლოზი მოწონებულ ლექსებს გატაცებით რომ კითხულობდა.

ვალეოს უნდოდა ეთერისათვის შეე-

ხედა, მაგრამ ამჯერად ვერ ბედავდა სამაგიეროდ ახლა ეთერი უყურებდა და მისი გული უჩვეულოდ ფრთხილდებოდა.

— რამ დაგაწერინათ ლექსები? — ჰკითხა თავადის უფროსმა ქალმა.

— „რა სულელია! თანაც რა უზნო!“ — ვალეოს საშინლად არ მოეწონა თავადის ასულის მამაკაცური სახე, მისი უსწორმასწორო კბილები.

იგი დაიბნა და თავადის ქალს პასუხი დაუგვიანა.

— განა ცოტაა მიზეზი ამღერებისა?

— მეც ხომ დამიწერთ ლექსს? — თავი მორცხვად დახარა თავადის ქალმა.

— აუცილებლად დაგიწერთ.

და შემდეგ ეს „მამაცია“ გიმნაზიელი ხშირად იჯდა განსვენებულ ქრისტიანს საცვარელი კაკლის ხის ძირში და ლექსებს უკითხავდა მისი პოეზიით გატაცებულ ქალიშვილებს. ეს ამბავი არ მოსწონდა გიგოს, მაგრამ თამამსა და დაუდევარ ძმისშვილს ვერაფერს ეუბნებოდა.

ხოლო ერთხელ, გვიან საღამოს, იმავი კაკლის ძირში ვალეო ეთერს სიყვარულს ეფიციებოდა თავდავიწყებითა და ნეტარებით.

თავი მცხამბა

ნიკო კაპრაშიძემ წისქვილი ისე შეათვალეირა, თითქოს მის საყილად მოსულიყოს.

ბერდომ უყურა და ვერ მიუხვდა, ასეთი თვალით რატომ ახედ-დახედა დოლაბსა და ხვიშირს, გოზსა და სარეკელას. ნიკო სკამზე ჩამოჯდა.

— არ მოგწონს ჩემი წისქვილი? — ჰკითხა ბერდომ.

— კარგია, რა უშავს! მაგრამ იცი, ყველაფერი ეს რას ნიშნავს, ჩემო ბერდო?

— წისქვილს, სხვას რასა?! — გულუბრყვილო ბავშვივით იკითხა ბერდომ, მერე გონებაში გაიფიქრა: „რას მეკითხება ეს კაცი?! ეს რა შორიდან უფლის! რაღაცის თქმა უნდა და ვერ გაუბედნია“.

— რისთვის ვიბრძვით, ჩემო ბერდო?

— სიმაართლისთვის!

— მართალია, მაგრამ ჩვენი საბოლოო მიზანი მაინც რა არის?

— ის არის, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ქმობა და წესიერება იყოს, კაცი კაცს არა სჭამდეს.

— და ყველაფერს ამას ხელს უშლის კერძო საკუთრება, მომხვეჭელობა, სიხარბე. ერთი მდიდრდება მეორის ხარჯზე.

— ეგენი ვიცი. პირველად ხომ არ მესმის, პირველად ხომ არა ვხედავ! მეც იმიტომ დამიღვია თავი ხალხის-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

თვის, რომ სწორედ ეგ მაწუხებს! —
მგზნებარედ ბუბუნებდა ბერდო.

— და ამ დროს შენ თვითონ გამოდიხარ კერძო მესაკუთრე, — უცებ ცივი წყალი გადაასხა ნიკომ.

— რათა, კაცო?!

— ეს წისქვილი ხომ შენი საკუთრებაა?

ბერდო შეერთა, გული შეეკუმშა.

— შე დალოცვილო, შენი ქოხიც ხომ შენი საკუთრებაა?!

— წისქვილი სხვა არის. აქ საფუტავი მოაქვთ, გასამრჯელოს მინდის სახით გაძლევენ, ის მინდი გროვდება და...

— ისე შენ დაგიგროვდეს! — ველარ მოითმინა და იყვირა ბერდომ.

— არა, მე იმიტომ კი არ გეუბნები, რომ ასე გაცხარდე! — დაუყვავა ნიკომ, მაგრამ ბერდო მაინც წრიალებდა.

— რას ამბობ! საკუთრება კი არა, წისქვილი ჩემი ღვიძლი ძმია!

— აბა, ჩვენს თავადებსა და ბობოლებს ჰკითხე, ისინიც ასევე გეტყვიან, თავის სახნავ-სათეს მიწებზე და ბაღვენახებზე.

— მაშ, რა გქნა?

— ეგ უნდა მოიფიქრო, ჩემო ბერდო. მე ძმურად გირჩევ. როცა ყველაფერი ხალხის იქნება, მაშინ შენს წისქვილს ადვილად შეეღვევი.

როცა ნიკო წავიდა, ბერდო საგონებელში ჩავარდა. წისქვილთან საუბარიც კი გამართა:

— ჩემი ხარ, მარტო ჩემი! მაგრამ იქნებ მართალია ნიკო? დაიცა, აბა, იმან თავის ქოხსა ჰკითხოს, ვისი ხარო? ქოხი ეტყვის, მარტო შენით. ეს რაღა? კერძო საკუთრება არ არის? მინდს იღებო. ცოტა საფუტავია და ცოტა შემოდის... ბევრი რომ იყოს, ხომ ბევრი დამიგროვდება? გავმდიდრდები და ბობოლას დამიძახებენ. მაგრამ მინდით გამდიდრებული ჯერ არავინ მინახავს და ეგ ციციხლი რაღა მე წამეკიდება?! ჰაი დედასა, რა დღეში ჩავცვივდით მე და შენ! კერძო საკუთრებაო. ნიკოს ჩემზე უკეთესი ხალათი აცვია, მაშ, გაიხადოს და მომცეს. მომცეს არა! რა ვიცი, შეიძლება მომცეს კიდეც. მერე

იმ ხალათს სხვა მომთხოვს, კერძო ხომ არ არი, ჩვენიც არიო... დაიცა, კაცო, აქ რაღაც ეგრე არ არის! — წისქვილი თავი თვითონ გაახვია აბლაბულაში ბერდომ, — წისქვილი ვის ხელში იქნება. მაშ, სად წავილო მინდი? მე ხომ არაფერს ვინახავ? თუკი რამ გამაჩნია, ქვეყანას ვაჭმევ, ძეხორციელისთვის არაფერი მენახება. ცამდე მართალი ვარ! მართალი რომ ვარ, ამასაც დაგიმტკიცებ, ჩემო ბებრო! სად არის ფანქარი? აი, ფანქარი! ესეც ქაღალდი და დავიწყით. ყური მიგდე, ჩემო წისქვილო, შენც გაიგონე, რასაცა ვწერ. „ძმად და ჩემთან ერთად ციხეში ტანჯულო ალიოშა — ვარლამ, ბოლშევიკური სალაში და კაი ჯანმრთელობა შენა...“ ბერდოს გულმოდგინედ გამოჰყავს ასოები და სანამ იმ ასოებს სიტყვად აქცევს, ხანი გადის.

„...ჰოდა, მოიწერე, მართალი ვარ თუ მტყუანი“, — როგორც იქნა დაამთავრა ბერდომ. მერე, კარგა ხანს ელოდა პასუხს. ბერდოს ეგონა, ნიკო კაპარაშძე კიდეც გაიხსენებდა წისქვილში ნათქვამს და წრის მეცადინეობაზე მსჯელობის საგნად გახდიდა, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დასცდენია.

და აი, ნანატრი პასუხიც:

„იდგეს ეგ შენი ბებრუხუნა წისქვილი და იმუშავე. როცა ყველაფერი ხალხს გადაეცემა, შენი წისქვილის შემოსავალი სოფელს მოხმარდება. მაშინ დიდი წისქვილის გამგე იქნები. ახლა თუ ერთ თვალს ამუშავებ, მაშინ სამი იქნება, სოფელი მოლონიერდება და საერთო ძალით მთებს გადააბრუნებთ“.

— მეც ასე არ ვამბობდი?! — წამოიძახა ბერდომ, მაგრამ წისქვილში არავინ იყო, რომ გაეგონა.

— ნეტა იმ დღეს, ბიჭებო, როცა ასე იქნება! სოფელი მოლონიერდებაო, — ამბობდა ცოტახნის შემდეგ თემისხვევისაკენ მიმავალი ბერდო, მარტო მიდიოდა, მაგრამ თავის თანამებრძოლთ იქიდანვე ესაუბრებოდა.

მდინარისაკენ რომ ჩაუხვია, გიგოს ძმისწულსა და ქართველიშვილების ლამაზ სტუმარს შეავლო თვალი. ხელი-

ხელჩაკიდებულნი, ბილიკს ნელა მიჰყვებოდნენ.

მათ დანახვაზე ბერდოს გაეხსნა თავისი დაძმარებული სიჭაბუკის განუკურნებელი ჭირილობა: დრო მიდიოდა, მართო ბერდებოდა. ხანდახან გაახსენდებოდა თავისი ადრეული, დღენაკლული სიყვარული, უიღბლო და მოკლე ნეტარება. მერე არავინ ჰყვარებია, სხვის ბედნიერებას დანატრებია და ღამღამობით თავის ბედის ვარსკვლავთან გულდამწვარს უსაუბრია, მაგრამ ვარსკვლავითი დუმდა და ბერდო ისევ ამქვეყნად ეძებდა პასუხს.

ერობის საბჭოს კანტორაში ესტატე აღელვებული ელაპარაკებოდა საბჭოს თავმჯდომარეს:

— რას უყურებ, რას! სანამ ბოლშევიკები ყელს არ გამოგვჭრიან, არაფერს იფიქრებ? ისინი თავიანთ ორგანიზაციას ზრდიან. ერთ მეწისქვილეს ებრძოდი და უფრო საშიში მტერი სხვა გაგვიჩნდა. კრების მოწვევას აპირებენ. სოფელში დაძრწიან და ხალხს აგულიანებენ. ძილი გამიფრთხა, გოგიტა! ხვალზეგ პანლურს კი არ ამოგვკრავენ, ხისტოტზე ჩამოგვკიდებენ. ყურს მიგდებ, თუ არა?

გოგიტა თავდახრილი იჯდა, ხელები მაგიდაზე დაეწყო და ზედ დაყრდნობოდა.

ბერბიჭა კუთხეში ატუზულიყო და თვალს არ აშორებდა ოფლად გაღვრილ ესტატეს, განწირულივით რომ ქაქანებდა, შეელას ითხოვდა და ბრაზობდა, რომ არ ეშველებოდა.

— ღმერთი არა მწამს, მაგრამ ერთი რამ კი მწამს, — დაიწყო გოგიტამ.

— რა გწამს? — შეუღრინა ესტატემ. გულმოსული იყო გოგიტაზე, ფიცხოზდა, წამონთებულს რომ ვერ ხედავდა. იქნებ მთავრობამ საბოლოოდ სცნო ბოლშევიკების პარტია უძლეველ პარტიად და დღეს თუ ხვალ საქართველოს ბედ-იღბალს კიდევ ჩააბარებს მას? მაშ, რას ნიშნავს გოსტაბაშვილის არაჩვეულებრივი სიმშვიდე?

— რა გწამს? თქვი, ჰო! — ესტატემ მაგიდაზე ხელი დაარტყა. უწინ მოსწონდა გოგიტას მარიფათიანობა, მოსვლა, მისი რიხიანი ხმა. იმედი ჰქონდა, ჩემს ქონებას საიმედო დარაჯი ჰყავსო. მაგრამ ახლა? დამნაშავესათვის წაუღუნავს თავი და უხალისოდ ამბობს:

— მოთმინებითა შენითაო, ხომ გაგიგონია?

ესტატემ გაკვირვებით შეხედა.

— რატომ არ ითმენდი, როცა ბერდოს ებრძოდი?

— მაშინ სხვა დრო იყო, — დინჯად მიუგო გოგიტამ და ესტატეს შეხედა. მოღლილი და უძინარი თვალები ჰქონდა. ზედგადაბმულ ქეიფსა და დროსტარებას მოექანცა იგი.

— მაშ, მე წავალ თბილისში და დაწვრილებით გავიგებ, როგორ არის საქმე.

— ნუ ცხარობ! ერობის თავმჯდომარე თუ ვარ, სოფელში წესრიგზე მე ვაგებ პასუხს. კრებო? — ჩაიციინა გოსტაბაშვილმა, — მოიწვიონ ის კრება. იმ კრებას ჩვენც დავეწვრებით და იქ ყველაზე კარგად გამოჩნდება მტერი და მოყვარე. აი, როგორც ეს ხელის გული! მიმიხვდი?

— ვერაფერსაც ვერ მივიხვდი!

— არ გინდა მიმიხვდე. ერთად წავალთ კრებაზე-მეთქი.

— ვნახთო.

— რა ნახვა უნდა. ახლა წადი და ძარღვები დაიმშვიდე... ხვალ კიდევ მოგელაპარაკები.

გოგიტა გოსტაბაშვილი უჩვეულო მოთმინებითა და მშვიდად ემზადებოდა ბოლშევიკების კრებაზე წასასვლელად. მართლა მშვიდად იყო? თუ ითმენდა და ბერბიჭას თავს ისე აჩვენებდა, თითქოს, მართლაც არ აღელვებდა რაიმე? სხვა დროს მოჩხუბარი მამალივით რომ წამოიქორებოდა, ახლა მაუზერისთვის ერთხელაც არ წაუღვლია ხელი. გული კი

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

აფორიაქებული ჰქონდა. გულს ვერაფერი მოუხერხა. ათასნაირ გეგმას სახავდა, გონებაში ათას ხრიკს აწყობდა, მაგრამ მაინც ცდილობდა კრებაზე დამშვიდებული მისულიყო. ესტატიც დაარიგა, არხენად იყავი და სიტყვაც არ წამოგცდესო.

არხენადო! ისე ესტატიც მტერი და ორგული იყოს არხენად! სულ ის ეჩვენება, როგორ ჩამოართვეს მამული, ცარიელ-ტარიელი დასტოვეს და არ გაახარეს.

როცა დანიშნულ დღეს გოგიტას კრებაზე წასასვლელად გაუარა, მღელვარება კიდევ ეტყობოდა.

— მე ვერ წამოვალ, — გამოუტყდა საბჭოს თავმჯდომარეს, — და თუ წამოვალ, ვიღაც შემომაკვდება.

— მაშ, შენ აქ იყავ. დათიკოს, იოსებასა და ლევანს წავიყვან.

— მე აქ რა მომასვენებს!

— მაშ, მოდი, ორიგინი აქ დაგხდეთ, ბოლშევიკებმა კი წიფლისწყაროსთან ჩვენი დასაკლავი დანა გალესონ.

ამ დროს კიბეზე ამოვიდნენ ერობის საბჭოს წევრები: დავით ოტიაშვილი, მიკიტანი იოსებ სონდულაშვილი და შეძლებული გლეხი ლევან ლაშქარაშვილი. სამივე ერთად შემოვიდა ოთახში.

— რა მოხდა, — თქვა გოგიტამ, როგორც კი მოსულთა აღმღებულ სახეებს შეხედა, — ბოლშევიკები უკვე მოგვერიგენენ?!

— ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ! — გაბრაზებით მიუგო მიკიტანმა, — ბევრჯერ მიუღიათ კაი-კაი პასუხი და ახლაც მიიღებენ!

გოგიტამ ყურადღება არ მიაქცია მიკიტანის ტრაბახს. იცოდა, განსაცდელის ჟამს იგი პირველი იმალეობოდა და საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა.

გოსტაბაშვილმა ხელი ჩაიქნია და გადაჭრით თქვა:

— კრებაზე ისევ მე წავალ. თქვენ არ გამოჩნდეთ! იქ ვერ მოითმენთ და რაღაც მოხდება. მაგისტის კი ყურს მე ამიწვიენ.

— მე მართლა ვერ მოვითმენ! — ჩაიხლიჩინა ლაშქარაშვილმა.

— იქიდანვე რომ დაიძრან და ავიკლონ? ბერდოს ჰქუა კიდევ არ უნდა წავილა. ისევ რაღაც წამოუღლის გეგმებსა პანდურს არ დასჯერდება...

როცა ამ სიტყვებს ამბობდა, დავით ოტიაშვილს ყბა ოდნავ უთრთოდა.

— ბერბიჭა გაგვზავნოთ. ამბავს მოგვიტანს, — თქვა ლაშქარაშვილმა.

— ოჰ, თქვენი იმედიო! — გაბრაზდა გოსტაბაშვილი, — კაცი არ წამომყვეს! არავინ მინდისხართ.

უცებ შემოისხნა თავისი განუყრელი მათუხერი, ბერბიჭას მიაბარა, კანტორიდან აღმღებული გავიდა, მაგრამ გზაში თავს სძლია და წიფლისწყაროზე უკვე გულდამშვიდებული ავიდა. ხალხს ბლომად მოეყარა თავი. ახალქალაქელებსა და გარიყულელებს ერთაწმინდელები და თექმისხეველებიც შეერთებოდნენ. გოსტაბაშვილი მელასავით მიიპარა. ერთაწმინდელების მხარეს ჩადგა. კრებას თვალი ქურდულად მოავლო და მის გაკვირებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შორიახლო, წყაროს თავზე, მღვდელი გაბრიელი დაინახა. ნიკო კაპრაშიძე ლაპარაკობდა. მასთან ახლოს იდგნენ შამშუ, ფირუზა, ბერდო და ბარნა. ნიკო ხალხს მოუწოდებდა, შეკრებილიყვნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო. მერე ბერდო აროხროხდა, თითქმის იგივე გაიმეორა, ხალხს თვალი მოავლო და თქვა:

— მე ბოლშევიკების პარტიის წევრი არა ვარ და ახლა ვეწერები. აბა, ვინ მომყვება?

წამს დუმილი ჩამოვარდა.

„კიდევ ვინ ჩაეწერება ბოლშევიკების რიგებში?“ — გული აუფორიაქდა გოგიტას.

ბერდოს შემდეგ პარტიაში ორი კაცი მიიღეს.

„დამაცადეთ, თქვენც მოგვილით!“ გოგიტამ კბილი კბილს ისე დააჭირა, ყბები ეტკინა.

ბერდომ დაინახა გოსტაბაშვილი, ერთაწმინდელების ზურგს რომ ეფარებოდა. ნიკოს რაღაც წასჩურჩულა და ერობის საბჭოს თავმჯდომარეს რიხიანად გადასძახა:

— შენს პარტიას ხომ არ გადაუდები, გოგითავ?

გოსტაბაშვილმა ხმა არ გასცა. თავს იმაგრებდა, გული ამოვარდნას ჰქონდა, მაგრამ სიტყვა მაინც არ დასძრა.

გლეხებმა მოიხედეს, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარეს ვერაფერი შეხედეს. ბერდოს არ აპყვენ და სოფლის „თავკაცს“ ავი თვალი არ უჩვენეს. მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ, გვარდიელებმა სოფლის გორაკებიდან ტყვიის ცეცხლი რომ დაანთეს. შიშის ქარი კიდევ უფლიდათ.

— დაესხენ, თავისთვის არის, — ხმადაბლა უთხრა ნიკომ მოუსვენარ ბერდოს, — ხომ ხედავ, იარაღიც აუყრია. ესლა შამშეს მივცემ სიტყვას, მიწებზე ილაპარაკებს.

შამშემ გოსტაბაშვილს გახედა და მოურიდებლად მიახალა:

— ეროზის თავკაცო, აქა ხარ! რად მოატყუეთ ხალხი, რატომ არ ართმევთ მემამულეებს მიწებს და რატომ არ გადასცემთ გლეხებს? როდემდე უნდა იყოს შიმშილი და სიღატაკე? — შამშეს მღელვარებისაგან ხმა ჩაეხლიჩა. მისი უკანასკნელი სიტყვები ხალხის ზრიალში უკვე აღარ ისმოდა. ყველას უნდოდა რაღაც ეთქვა, ყველას უნდოდა გადმოეწურა გულში ნადები ბოღმა.

გოსტაბაშვილი მღუმარედ გაჰყურებდა წყაროს თავს, სადაც მღვდელი ქანდაკებასავით უძრავად იდგა.

— სიტყვა ეძლევა ახალქალაქის ეროზის საბჭოს თავმჯდომარეს! — მოულოდნელად გაისმა ნიკო კაპრაშიძის ხმა.

გოგითა ამას არ მოელოდა. აღმური მოეკიდა და სიმწრის ოფლში გაიღვარა. სული შეეხუთა, სიბრაზემ ძარღვები მოუდუნა. გლეხები გზიდან ჩამოეცალნენ გოსტაბაშვილს, ჩამოეცალნენ რომ კრების მომწყობ თავკაცებთან მისუღიყო და იმ მომადლო ადგილიდან სიტყვა ეთქვა.

მაგრამ გოგითა ადგილიდან არ დაძრულა, სიმხნევე მოიკრიბა და ნიკოს გასძახა:

— მე თქვენთან საკამათოდ არ მოვ-

სულვარ! ეს კრება თქვენმა პარტიამ მოაწყო და ჩვენ თქვენთან არა გვესაქმება რა!

— მართალი ხარ! — კვერი დაუკრანოკომ, — თქვენს გამყიდველ და მატყუარა პარტიას, ხალხის მოღალატე პარტიას, ჩვენთან არა ესაქმება რა! მაგრამ აქ უნდა გამოხვიდე და ორიოდ სიტყვა მაინც თქვა. აპირებთ თუ არა რაიმეს ხალხის საკეთილდღეოდ? ჩვენ ვიცით, რომ არ აპირებთ, პოდა, ისიც გვითხარი, რატომ არ აპირებთ!

გოგითამ შეკრებილთ ერთხელ კიდევ მოაგელო თვალი, ბრაზი წაეკიდა და თავისდაუნებურად ხელი მკერდზე დაიკრა.

მაშინ კი ვეღარ მოითმინა ბერდომ, გადმოუხტა და დასქტვა:

— ვის ემუქრები? ხალხს?
— ხალხს, ხალხს ემუქრება, ძმებო! — დაიძახა ვიღაცამ.

— მიწა მოგვეციოთ! — თავისი სატკივარი აწუხებდა ერთს.

— ძირს მენშევიკები! — გაბედა მეორემ. იგი გლეხთა ჯგუფიდან გამოვიდა და ბერდოს მხარში ამოუდგა. თვალეზ ისე აბრიალებდა, მზად იყო ეროზის საბჭოს თავმჯდომარე ერთი დაკვრით გაეთავებინა.

— კიდევ დაუძახე ჯარს, ტყვია დაგვიშინონ! — თვალეზს აბრიალებდა ის ჭაბუკი, ბერდოს ლაპარაკს რომ არ აცლიდა. ბერდო კი იქვე წრიალებდა და რალაცას დუღუნებდა.

— უუუ! — გუგუნებდა ხალხი.

მღვდელმა რამდენჯერმე გადაიწერა პირჯვარი, მერე ანაფორის ფრიალით სოფლისკენ დაეშვა. მისი ბედი შეხარბდა გლეხებით გარშემორტყმულ გოსტაბაშვილს. ცალ-ცალკე ყველა კარგად ახსოვს თავმჯდომარეს: ვინ რაზე მოდიოდა მასთან, ვინ რაზე. ბეჩაგნი და მომთმენნი იყვნენ. ერთად კი დიდი გული მისცემიათ!

შეშინდა. მუხლები მოუდუნდა და უკვე ცხადლივ წარმოიდგინა, როგორ ჩაჰქოლეს. ერთი დაიძახებს, ჩავქოლო-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

თო და მორჩა! ვინ არის გამკითხველი!

— ძმებო, მეზობლებო! — ლულულუ-
ლებდა გოსტაბაშვილი, მაგრამ მისი არა-
ვის ეყურებოდა.

— უუუ! — გუგუნებდა გლეხობა და
ეს ხმა, მთელი ქვეყნის ოხვრასავით
რომ გაისმოდა, თავზარს სცემდა გოს-
ტაბაშვილს. უნდოდა, წამით ხელები
ყურებზე აეფარებინა, რომ სინჯუმეში
აზრი და გონება მოეკრიბა, მაგრამ ესეც
არ შეეძლო.

— თუ ჯარი გამოგიძახნია და სო-
ფელში უბედურება დატრიალებულა,
მაშინ კი ღორივით დაგკლავ! — ემუქ-
რებოდა ბერდო.

ნიკო კაპრაშიძე მოგვიანებით მიუ-
ახლოვდა გოსტაბაშვილს, ხალხი დაა-
შოშმინა და საბჭოს თავმჯდომარეს
მიმართა:

— წაბრძანდი, ერობის საბჭოს თავ-
მჯდომარეც და პირველ რიგში პურის
საქმე მოაგვარე! სოფელი დამშეულია,
ბოზოლებს კი სარდაფში ხორბალი ულ-
პებათ.

— რა დააღობს, სულ კროლა ხორ-
ბალია! — წამოიძახა ნიკალამ.

— ეგ ბრძანებაა, თუ თხოვნა? —
ჰკითხა გოსტაბაშვილმა კაპრაშიძეს.

— თხოვნაა, ხალხის თხოვნა. დღეს
თხოვნაა, ხვალ შეიძლება ბრძანებად
იქცეს. ზეგ კი ხალხი თვითონ გადაწყ-
ვეტს, როგორ მოიქცეს.

— კარგი. მოველაპარაკები საბჭოს.

— ასე! კარგად ბრძანდებოდე! —
ნიკოს უნდოდა თვალეზში შეეხედა გოს-
ტაბაშვილისათვის, მაგრამ მას თავი
დაეხარა და თვალს არავის უსწორებდა.

იმ დღეს გოსტაბაშვილს ერობის
საბჭოს არც ერთი წევრი არ უნახავს.
კრებიდან პირდაპირ შინ მივიდა. ამღვ-
რეულ გუნებაზე მარტოდმარტო მიეძა-
ლა ღვინოს და უგონოდ მთვრალი
მიეგდო. მეორე დღის საღამომდე ფეხი
არ გაუნძრევია. შინაურები შეშინებუ-
ლნი დასცქეროდნენ. როცა გამოიღვია,
იარალი მოიკითხა. დაავიწყდა, ბერბი-

ჭას რომ მიაბარა წინა დღეს. ელდასტ-
ციმი მივარდა კამოდს, მერე წელზედაც
რამდენჯერმე მოისვა ხელი. უცებ ყვე-
ლაფერი გაახსენდა და ცოლს უბრძანა,
ბერბიჭა მომიყვანეო. ბერბიჭას ესტატი
მოჰყვა.

გოსტაბაშვილი უგუნებოდ იყო. წინა
დღის ამბავი სიზმარივით ახსოვდა,
მაგრამ არას ამბობდა.

— ხომ გეუბნებოდი! — ნიშნის მო-
ვებით უთხრა ესტატემ, — ხომ ნახე,
რაც მოხდა?

— შენ საიდან იცი? — ჩაწითლე-
ბული თვალეზი დააბრიალა გოგიტამ.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი!

— იქნებ ისიც იცი, შუაკაცად რომ
გამომგზავნეს შენთან? სოფელი ხორ-
ბალსა გთხოვს!

— როგორ არა, მივართმევ! რამე
იღონე! ცდის დრო აღარ არის.

— დღესვე წავალ თბილისში. რო-
გორც მიბრძანებენ, ისე მოვიქცევი.

ორი დღის შემდეგ ესტატი კვლავ
ეწვია ქალაქიდან დაბრუნებულ გოგი-
ტას.

გოგიტამ რევოლვერის ტყვიები მაგი-
დაზე დაყარა და გადათვალა:

— ეს ნიკო კაპრაშიძეს, ეს ბერდო
ზაქარაშვილს, ეს ფირუზასა და იმის
ძმას შამშეს, ეს ბარნას, მიხვდი?

— მიხვდი! — შვებით ამოისუნთქა
ესტატემ.

დღე ისე როგორ გავიდოდა, ნიკალა,
გოლა და ვაჭა ბერდოს წისქვილში არ
სწვეოდნენ. მათ იზიდავდა ბერდოს
სჯა-ბაასი, ხუმრობა და ხანაც გულუბ-
რყვილო წამოძახილი. ჩახრიალაში ბა-
ნაობა ხომ მთელი ნეტარება იყო ზაფ-
ხულის პაპანაქება სიციხეში! რუში თევზს
იჭერდნენ, წისქვილის სიმღერას ყურს
უგდებდნენ, უყვარდათ წისქვილის კარ-
თან წამოგორება, წიგნის კითხვა, ძვე-
ლი ამბების გახსენება, მომავალზე
ფიქრი. ბერდოს წისქვილთან გრილო-
და. ეს სიგრილე უყვარდათ. ბერდოს
ხანდახან გემრიელი სასუსნავი მოე-
ძებნებოდა, ესეც იზიდავდა. ლამის

მასთან ჩასახლებულიყვნენ. ბერდო სულ გზას გაჰყურებდა, როცა ბიჭები შეაგვიანებდნენ.

იმ დღესაც ადრე მივიდნენ. გოლა იორდანეს ეხმარებოდა კალოზე, ამიტომ ნიკალასა და ვაჟას წისქვილში ვეღარ გაჰყვა. ბიჭები წისქვილს მიადგნენ, კარი ღია იყო. ბერდო არ ჩანდა. წისქვილი დუმდა. ჩახრიალა ჩახრიალებდა. სანამ კარს მიუახლოვდებოდნენ, ბიჭებს ღმუილი შემოესმათ, ელდა ეცათ და შედგნენ. ძაღლმა იცის ასეთი ავისმაუწყებელი ღმუილი.

— ძაღლი კი არა, კაცია, კაცი! — ისე წამოიძახა ნიკალამ, თითქოს ვინმე რამეში ედავებოდა. მერე გულმა რაღაც უგრძნო, ერთი ნახტომით წისქვილის კართან გაჩნდა და შეშინებული იქვე გაქვავდა. თვალი არ ატყუებდა:

წისქვილის შუა ბოძზე თოკით მიეზათ ბერდო. საბრალოს თავი ჩამოეგდო, გულისპირზე დადენილი სისხლი შეხმობოდა. ეტყობოდა, მრავალჯერ ეცადა დახსნოდა თოკს, მაგრამ ამ ჭიდილში ძალა გამოლეოდა.

ღმუოდა და ღმუილიც ყრუდ და უძლურად გაისმოდა.

— ვაიმე! — შესძახა ვაჟამ, ნიკალას გვერდით გაჩნდა და შემკრთალი აეკრა მეგობარს.

ამ ხმის გაგონებაზე, როგორც იყო თავი შემართა ბერდომ. საღდა იყო მისი ბრიალა საღი თვალი! მის ადგილზე სისხლიანი ჩაჩქვილი პატარა ორმოლა მოჩანდა.

— ბიჭებო! — დაიძახა ჯერ უძლურად. — ბიჭებო! — თანდათან უმატებდა ხმას, თავს თანდათან მაღლა სწევდა. ხმას უწევდა და თითქოს ძალაც ემატებოდა, თითქოს იმედი მიეცაო.

— ბიჭებო! — მთელი ხმით იყვირა, თავი კვლავ მოწყვეტით ჩამოაგდო და დაღუშდა.

ვაჟა ზღუქუნებდა. ნიკალა თოკს მივარდა, ხელები არ დაემორჩილა და კბილებით დააცხრა, ღრღნიდა და იღრინებოდა. როგორც იქნა, მოუშვა, ბერდოს სხეულზე მოჭე-

რილი რგოლები შეასუსტა, დასჭრა, დაძვლითა და იმოდენა ვაჟაკი უცებ ბოძივით გადმოწვა. ნიკალამ მხარზე შეიშეუდგა და ტახტზე მიაწვინა. ბერდო გაიშოტა და მოშვებული მკერდი აუფუჟდა. ფილტვებიდან ყრუ სისინი ისმოდა. ეტყობოდა, ბევრი ებრძოლა. ერთი არ იქნებოდა, რამდენიმე თუ დასჯაბნიდა. ნიკალა აწრიალდა, ვაჟას მიხედა. ბიჭი წისქვილის კარში ჩამჯდარიყო, თავი მუხლებში ჩაერგო და შიშისაგან გასუსულიყო. ნიკალამ ბერდოსთან ჩამოუხლა.

— ვინ იყო, ვინა?

ბერდოს გამშრალ ტუჩებს სიტყვა ვერ ეკიდებოდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ღონე არ ჰქონდა. ნიკალა აქეთ მოაწყდა, იქით მიაწყდა და ბოლოს ვაჟას წაადგა თავს.

— შენ აქ იყავ. ფერშაღთან ჩავიბენ, მალამოს რამეს მოვუტან, ვაიმე, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! კაცი დააბრმავეს, კაცო! ვინ იყო, იმის... ოჰმე!

ნიკალა გულზე მჯიღს იცემდა და თავქუდმოგლეჯილი ორღობეში გარბოდა. ჩოჩეთის პირას, ახალქალაქის ბოლოში უნდა ჩასულიყო. რომელი მალამო უშველიდა მზედაბნელებულ ბერდოს, ტანჯულსა და ჯვარცმულს! მაგრამ ნიკალა მიინც გარბოდა და თვალწინ ბერდოს სისხლიანი, ჩაჩქვილი უბე ედგა. ფერშაღი არ წამოჰყვა.

— რას ამბობ, ბიჭო! — ათრთოლებული ხელები გაასავსავა მოხუცმა, — გინდა მეც დამიჭირონ?

— კაცი კვდება, ადამიანი არა ხარ?!

— შვილო, დამესხენ! მალამოს გაგატან. დაადე და აი, ამ სახვევებით შეუკარ. მე ნუ გამრევ, შენი ჭირიმი.

— მაშ, რახან მე გავერიე, დამიჭერენ? დამიჭერენ და დამიჭირონ! დაჭერილები არა ვართ, მა რა ჯანდაბაა! რა მოხდა, მითხარი, რისთვის დააბრმა-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

გეს ის კაცი. გეცოდინება, რახან ეგრე გეშინია.

მოსუცი ადელეგებულ ჭაბუკს მიუახლოვდა და ყურში უჩურჩულა:

— წუხელ ღამით ისინი ბოლშევიკებს თავს დაესხნენ. ფირუზა მოკლეს. შამ-შე, ბარნა, ლეო და ბიძინა დაიჭირეს და კანტორასთან გომურში ჰყავთ.

— გოსტაბაშვილმა ჰქნა ეგ ყველაფერი?

— მარტო ის არ იყო. ფრთხილად იყავი, შვილო! რა მწარე დრო დაგვიდგა!

— ვაჰმე! — წამოიძახა ნიკალამ და ხმაში ცრემლი გამოერია. ფერშალს მალამო და სახვევები გამოართვა და წისქვილისაკენ გაენტო. ერთი ამოსუნთქვა დასჭირდა იმოდენა გზაზე. ქაქანით შევარდა წისქვილში.

ვაჟა ბერდოს მისჯდომოდა, მეწისქვილე კვლავ მძიმედ სუნთქავდა.

ნიკალამ თვალის უბეში მალამო ჩაულღო, სახვევები გადაჰკრა.

— გოსტაბაშვილი იყო?

ბერდო ხმას არ იღებდა. თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დააქნია. ღრმად რომ ჩაისუნთქა, მკერდი აებურცა, ამოსუნთქვას კვლავ ხიხინი მოჰყვა.

— წყალი! — თქვა როდის-როდის ბერდომ.

მისი ხმის გაგონებაზე ორივე ერთად წამოვარდა. წყალი ასვეს. ბერდოს უძლურად მივარდნილი ხელი გაცოცხლდა, ვაჟას ხელი უფრო მაგრა დაიჭირა, მიიზიდა. ბიჭი შეციებულვივით ძაგძაგებდა.

— ბიჭებო! — თქვა ბერდომ, — ნიკალა, შენ შემოგვევლოს ბერდო! შემხედე, ბიჭო, რა დღეში ვარ! — წამოწევა სცადა და წამოიწვია კიდეც, მაგრამ მალე ისევ მიესვენა. იყუჩა, ძალა მოიკრიბა და კვლავ იყვირა:

— დავბრმავდი, ბიჭებო! ნიკალა, შენ შემრჩი ვაჟაკი კაცი. შენ უნდა დაგიბარო. ჯავრით ნუ მომიკლავ გულსა. ხალხისათვის თავი დამიდვია, შენც დასდე თავი, მოდი და ერთ დღეს გამახარე: შური ვიძიე-თქო!

— ვისზე, ბერდო? — უცებ დაიბნა ნიკალა.

— ხომ არ შეშინდი? რა გეშინია? — კვლავ ძველებურმა ჯიქურმა ხასიათმა წამოუარა ბერდოს.

— არა, რას ამბობ! შენი გულისთვის...

— ჰოდა, ჩემი გულისთვის! მარტო ჩემი გულისთვის, ნიკალა! გულსაც მოიფხან, იმასაც დავივიწყებ, ერთხელ რომ გამყიდე.

„კიდევ არ ამოუღია გულიდან! კიდევ არ მორჩენია ის ჭრილობა. მიბრძანე, ბერდო, მიბრძანე და ყველაფერს გაგაკეთებ, თავს გადავდე, დღესვე, ეხლავე! ბერდო, შენს ვაჟაკობას ვენაცვალე!“ — გუნებაში გაივლო, მაგრამ ამისი თქმა ვერ მოახერხა.

— გოსტაბაშვილი იყო?

— ის იყო, ისა... ჩემი სიცოცხლის გამამწარებელი! ვაჟა, ბიჭო, სადა ხარ? — თითქოს შეშინდა ბერდო, როცა ვაჟამ წამით გამოაცალა ხელი მის ხელს.

— შენ ასე იჯექ! გული ცოტა დამიამდა. შენ ასე იჯექ და ნიკალა ამბავს მოგვიტანს, ჩვენი ბიჭები რა დღეში არიან. იმათაც თავს დაესხნენ? ვიცი, რომ თავს დაესხნენ და ისინიც გაამწარეს. — ბერდომ ამოიგმინა, წამოჯდა ხელები გაასავსავა. მერე ისევ ვაჟას ხელი მოსძებნა, გულში ჩაიკრა და ხარბად ეაღერსა.

— რა გინდა, დიაკვანო?

— თქვენი კარგად ყოფნა და დღეგრძელობა! ღმერთმა სიკეთე მოგკეთ და გამარჯვება! — დიაკვანამ სწრაფად გადაიწერა პირჯვარი და ერობის საბჭოს თავმჯდომარის წინ კიდეც უფრო მოიკუნტა.

გოსტაბაშვილს მაგიდაზე რევოლვერი დაედო და დიაკვანს დამნაშავესავით უყურებდა.

დამნაშავე კი არა, თავის ნებით მოვიდა. ეტყობოდა, რალაც გადაუდებელ საქმეს შეეწუხებინა ღვთის მსახური.

— თქვი, დიაკვანო, რა გინდა!
— ნუ მიჯავრდები, ღვთის მადლ-
სა! — დიაკვანმა კიდევ გადაიწერა
პირჯვარი და ლულულუღით გოსტაბა-
შვილისაკენ წაივია.

დიაკვანი თვალებს ქურდულად აცე-
ცებდა. საბჭოს თავმჯდომარეს არც ეს
მისი მალიმალ პირჯვრის წერა ეჭაშ-
ნიკა, არც მისი გაუგებარი, მზაკვრული
ლულულუღი.

— აქ ეკლესია არ არის! თქვი, რა
გინდა, დიაკვანო!

— ნუ მიჯავრდები-მეთქი, გითხა-
რი, — ცოტა არ იყოს გულმოსულად
შეუწყრა დიაკვანი, სკამი თავად დაიდ-
გა მაგიდასთან, დაჯდა, რევოლვერს
შეხედა და გოსტაბაშვილს სთხოვა,
იარაღი აეღო. გოსტაბაშვილმა უსიტყ-
ვოდ შეასრულა თხოვნა. იარაღი ხის
ბუდეში ჩააცურა და დიაკვანს მიაჩერ-
და. მარტონი იყვნენ.

— თქვენ ბოლშევიკებს სდევნით, —
ხმადაბლა დაიწყო დიაკვანმა, — ებენი
დიდი ხანია გასაწყვეტნი არიან. არ უნ-
და დაინდოთ!

— შორიდან უვლი, დიაკვანო.

— ღმერთო, შენ იყავ შემწე ყოველი
კეთილისა, — პირჯვარი კიდევ გადაი-
წერა, თვალები ჭერს მიაპყრო.

— აქ ეკლესია არ არის-მეთქი, დიაკ-
ვანო! — ახლა კი იყვირა გოსტაბა-
შვილმა.

დიაკვანი საბჭოს თავმჯდომარისაკენ
გადაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— მამა გაბრიელს ბოლშევიკების
წიგნები აქვს: მარქსი, ლენინი.

— ჰა? — პირი დაალო გოსტაბაშვილ-
მა და დიაკვანს ხელი მაჯაში წაავლო.

— მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ, წიგნებიც აქვს
და ლამაზობით გატაცებით კითხულ-
ობს. თავს კი ღვთის მსახურად გვაჩვენ-
ებს.

— მამ, ბოლშევიკებთან არის შეკრუ-
ლი? აკი იმ დღეს კრებაზედაც ბრძან-
დებოდა!

— ყველაფერი აინტერესებს. დიდი

ქვეშევნეშა კაცია! ღმერთო, ამას რას
მოგსწარი! კარგად ბრძანდებოდე!
დიაკვანი კიბეზე ფხაკაფხურობდა და
შვა, გზა გადაჭრა და ორღობეში გაუ-
ჩინარდა.

გოსტაბაშვილი აღრენილი იყო. ყვე-
ლა ახალქალაქელი კომუნისტი ხელში
ჩაიგდო, გარდა მჭედლისა. ფირუზა არ
დანებდა, მომხედურებს სროლა აუტეხა
და თავისი სახლის პარმალზე გულგანგ-
მირული დააგდეს. შამშე, ბარნა და
ორი კაცი გომურში ჰყავდათ დამწყვედ-
ული. ნიკო კაპრაშიძესაც მიუცვივდნენ,
მაგრამ მან თოფით ისეთი ცეცხლი და-
ანთო, სიახლოვეს ვერაგინ გაეკარა.
განთიადისას, როცა ქოხიდან სროლა
შეწყდა, გოსტაბაშვილი მილიციელებით
შეესია კაპრაშიძის კარმიდამოს და ყვე-
ლაფერი ცეცხლს მისცა. ბერდოს კი ის
ცალი თვალის დასთხარა და სამუდამო
საწამებელად სული შეუნარჩუნა.

მღვდელი არ ელოდა ერობის საბჭოს
თავმჯდომარეს.

გაბრიელი მარტო ცხოვრობდა ხატე-
ბით სავსე ოთახში. შინ საამო სისუფ-
თავე და ლაზათი ჰქონდა. ეს მოხდა
გვიან საღამოს, როცა ეკლესიაში ძი-
ლისპირული ლოცვა მოათავა და შინ
გადავიდა, სანთლები აანთო და იქაც
ილოცა. წიგნები მაგიდაზე ეწყო, ზოგი
გადაშლილი, ზოგი გადაუშლელი. სან-
თლები ციმციმებდნენ და მღვდლისა და
მისი სტუმრის ჩრდილებს ხატებზე ათა-
მაშებდნენ.

— დაბრძანდით, სტუმარო! — სკამი
შესთავაზა მღვდელმა.

გოსტაბაშვილი დაჯდა თუ არა, უმაღ-
წიგნს მისწვდა. — „მარქსი“. ალმურმა
აჰკრა. წიგნი ხელში აიღო და მღვდელს
თვალი თვალში გაუყარა. მღვდელს ნი-
რი არ შესცვლია. დამშვიდებული უყუ-
რებდა აღელვებულ სტუმარს და უკვირ-
და, ასე ჯიქურ წიგნებს რად ეცაო.

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

— მამაო, იცი ეს რას ნიშნავს?
— არა შესძის რა. რას უნდა ნიშნავდეს? ეგ წიგნია და სხვა არაფერი.
— ეს ბოლშევიკების ყუმბარაა და თუ შენ მართლა ღვთის მსახური ხარ, რად გინდა ეს წიგნები?
— შენ წაკითხული გაქვს?
— არა. მაგას რა წამაკითხებს!
— მაშ, საიდან იცი, რომ ეს ბოლშევიკების ყუმბარაა?

— აი, ლენინიც. მაშ, რა არის ეს? ამას წაკითხვაც არ უნდა. ვინც ამას კითხულობს, ის ბოლშევიკია და მე ერობის საბჭოს სახელით... — ხმას აუწია გოსტაბაშვილმა.

— ღმერთს ნუ სცოდავ და ნუ ჰყვირი! აქ ბოლშევიკი არავინაა! ნუ აჩქარდები!

— თავს ნუ იკატუნებ, მამაო. ხელისუფლების ნებით უნდა დაგაპატიმრო.

— ბოლშევიკად ძალად მნათლავ? — გაბრიელის ლამაზ თვალებში უცებ სიმკაცრე აისახა, — სცდები! ამ წიგნებს თუ ვკითხულობ, იმიტომ, რომ ჩემს მოწინააღმდეგეს კარგად ვიცნობდე. ბოლშევიკები ჩემი დაუძინებელი მტრები არიან.

— თავს ნუ იკატუნებ-მეთქი! იმათ კრებაზედაც იყავი. რას გამომაპარებ, ჩემი თვალთ დაგინახე. სხვა მეტი საბუთი არა მჭირდება. რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, ანაფორიანი ბოლშევიკი ბრძანდები. დღეს ჩუმადა ხარ, ხვალ რაღაცას იტყვი! — თქვა გოსტაბაშვილმა, — აბა, წამობრძანდი, მამაო, თავი იქ იმართლე!

ეს უკვე ხუმრობას არა ჰგავდა. გაბრიელს ზაფრანის ფერი დაედო.

— ჭკუაზე მოდი, ღმერთს ნუ სცოდავ! — შეუტია საბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ ის ავად ათამაშებდა რევოლვერს.

— გამიძებ, მამაო! შენს ძმაცკებთან მივიყვან, ვისთანაც ფარული კავშირი გქონდა. ახლა გაბედულად, პირისპირ შეხედები მათ.

— აქვე მომკალ და არ წამოვალ! —

ხმა შეუთრთოლდა მღვდელს, მაგრამ იარაღის ძალამ მაინც თავისი გაქცევის გეგმას ვერ დატოვა.

— ღმერთმა განსაჯოს! მან უკეთ უწყის! — თქვა, პირჯვარი გადაიწერა და სანთლები რიგრიგობით ჩააქრო. ჯერ ხატს შეხედავდა, პირჯვარს გადაიწერდა, მიაჩერდებოდა, მერე სანთლის პატრუქზე მოციმციმე ალს თითებს შეახებდა და ასე აქრობდა. ამას ნელა აკეთებდა. დრო გადიოდა, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი იყო. ხელისუფლების კაცი თავს ადგა და დაპატიმრებით ემუქრებოდა. როცა ოთახში უკანასკნელი სანთელი ჩაქრა, მთვარის შუქმა იმძლავრა.

შავი ქანდაკება ორღობეში ანაფორის ფრიალით მიდიოდა. უკან გოსტაბაშვილი მიჰყვებოდა. მღვდელი ერობის საბჭოს გვერდით ძველ გომურში მიიყვანა, რულმორეულ მილიციელს ანგელოზები დაუფრთხო და უბრძანა, მღვდელიც მანდ დაამწყვდიეო.

მილიციელმა ურდული გააჩხაკუნა.

— მამაო, შებრძანდი! — უთხრა მან მღვდელს.

გაბრიელი წამით შეყოვნდა. გომურიდან საზიზღარი სუნი სცემდა. მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და ხმადაბლა თქვა:

— წყეულიმც იყავ!
ფეხი წინ წარსდგა და როცა ურდულმა ხელახლა გაიჩხაკუნა, სრულ სიბნელეში მოხვდა. მხოლოდ შემდეგ გალანდა მთვარის მკრთალი შუქი, ხვრელიდან რომ სცემდა.

ვიღაც შეინძრა. რაღაცამ გაიფაჩუნა.

— შენ რაღაზე, მამაო? — გაისმა წყვდიადში ხმა.

— რომელი ხარ?

— მე ბარნა ვარ, დურგალი.

— მართო ხარ?

— მართო არა ვარ, შენ რაღა გინდა აქ, მამაო? განა ჯოჯოხეთში ერთად უნდა მოვსულიყავით?

მღვდელი დუმდა. დუმდა და აფორიაქებულ სულსა და გულს ვერ იწყ-

ნარებდა. გამალებით ლოცულობდა, ჯიუტად, მკაფიოდ რეკავდა გულში ბერდოს სიტყვები: „ღმერთი რომ ყოფილიყო!... ღმერთი რომ ყოფილიყო!...“

— ღმერთო, შენ დამიფარე განსაცდელისაგან!

— შენ რაღაზე დაგიჭირეს, მამაო? — არ ეშვებოდა იგივე ხმა, — არ გვეტყვი?

გომურის კართან ვილაც მძიმედ დადიოდა.

მღვდელი იმ ღამეს სანთელივით ჩამოდნა, გომურში ლოცვით, დარდით, უძილობით მიიღია. და მხოლოდ ახლა იგრძნო ბევრი რამ: ადამიანური ტკივილი, ვაჟაკური გულის შეურაცხყოფა. ხელის ფათურით მონახა ქვა და იმ ქვაზე მჯდომარემ მთელი ღამე თეთრად გაათენა. მხოლოდ გამთენიისას დაღანდა გომურის კუთხეში მიწოლილი შამშუ, ბარნა, ლეო და ბიძინა, იმ დღეს კრებაზე თავგამოდებით რომ ლაპარაკობდნენ. ოთხივენი ერთად იყვნენ. მღვდელი მოშორებით იჯდა.

— ახლა მაინც არ იტყვი, მამაო, რისთვის მოგიყვანეს აქა?

— მომეწვი, ღვთის გულისათვის!

— ამბობენ, მარქსსა და ლენინს კითხულობდაო. მართალია? — არ ეშვებოდა ბარნა.

— დამეხსენ-მეთქი!

— მოწმებდად დაგიდგებით, რომ შენ ჩვენი კაცი არა ხარ, მამაო.

მღვდელმა მკერდზე ხელი მოისვა, გულისპირზე დაკიდებული ჯვარი ტუჩებთან მიიტანა და თქვა:

— წყეულიმც იყვნენ კაცთა გრძნობის შემრყუნენი! — მერე პატიმრებს თვალი მოარიდა და გომურის კარს შეხედა.

ამ დროს ეკლესიაში ზარები აახმიანეს. ვილაც გამალებით რეკდა; ერთმანეთში ირეოდა დიდ-პატარა ზარების ხმა. სამრეკლო გუგუნებდა და ცხადი იყო, მლოცველებს უხმობდა. მღვდელი წელში გაიმართა და ზარების საზეიმო ხმაზე პირჯვარი ჩვეული სიდინჯით გადაიწერა.

როცა გომური უფრო განათდა, ზარების ხმა მიწყდა და სოფლის კუთხეებიდან მოხუცი ქალებისა და მამაკაცების ბღაილი მოისმა. ხალხი დარაზმული მოიწედა ერობის საბჭოს შენობისა და გომურისაკენ. რაღაცას გაუგებრად, სასოწარკვეთით გაჰყვიროდნენ.

მორწმუნე ხალხს მნათემ აუწყა მღვდლის დაჭერა. მანვე ასტეხა ზარების საგანგაშო რეკვა. დიაკვნმა თავი მოიავადმყოფა და მიიმალა.

ხალხმა ეკლესიაში მოიყარა თავი და იქიდან დაიძრა. მოხუცი ქალები და კაცები იყვნენ, შუახნისანი, აქა-იქ ჯეილებიც ერივნენ. იმათ რაღაც თავისი ანგარიში ჰქონდათ.

ხალხი ერობის საბჭოს შენობასა და გომურს მიაწყდა.

მილიციელი შემინდა. მარტო იყო. იარაღი ჰქონდა, მაგრამ ამდენ ხალხთან რას გააწყობდა. თოფი ჰაერში ისროლა. ხალხი წამით შეაჩერა, თუმცა მეორე წუთში ხელახლა დაიძრა. მილიციელმა თოფი დაუმიხნა და იყვირა:

— შეჩერდით, თორემ გესვრით!

ხალხი შეჩერდა. წინ ერთი მოხუცი გამოვიდა, მას მნათეც გვერდში ამოუდგა.

— მამა გაბრიელს რას ერჩით? გაანთავისუფლეთ!

— უკან დაიხიეთ-მეთქი, თორემ! — მილიციელი თვალებს აბრიალებდა და მომხედურებს ახლოს არ უშვებდა.

— ხედავ, რამდენი ვართ? — მოხუცმა უკან მოიქნია ხელი და ისევ მილიციელს მიუბრუნდა.

ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა. ხალხმა ვერც კი დაინახა გომურის სახურავზე აპარული ჭაბუკი. იგი კატის სიმარდით თავს დაახტა მილიციელს და გომურის კართან მიჰზუბნა. როცა წელში გაიმართა და კარის საკეტს ეცა, ხალხმა შვებით ამოიგვიმნა:

— ნიკალა!

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ნიკალას ხალხისკენ არც კი მიუხედ-
ნია, საკეტს სწრაფად აპკრა ხელი და
გომურში შევარდა.

— გამოდით, ხალხო! მღვდელიც და
ერიც, ყველანი თავისუფლები ხართ!

გომურიდან ჯერ მღვდელი გამოვიდა.
და სწორედ იმ დროს, როცა მღვდელმა

ხალხს პირჯვარი გადასახა, გომური-
დან ბოლშევიკებრივ გამოვიდნენ მად-
თან ერთად გამოჩნდა თოჭოშისკენ
ბული ნიკალაც.

ჯელებმა ქურანა ცხენები მორტკეს,
პატიმრები ზედ შესხეს და მათთან
ერთად ელვის უმაღლ თვალს მიეფარნენ.

თავი მეთოთხმეტი

ვაქას მუხლებზე წიგნი დაუდგია,
წიგნზე — ფურცელი და წერს. წის-
ქვილი დუმს.

ბერდო დახშული ხმით კარნახობს:

— ჩემთან ერთად ტანჯულო, ძმაო
ვარლამ. ბოლშევიკური სალამი და კაი
გამარჯვება შენა. დაიცა! ეგრე დაწე-
რე?

— დაგწერე, ძია ბერდო.

— ბოლშევიკურს ნუ დაწერ. მოვ-
ლენ და თვალთან ერთად სულსაც
ამომიღებენ. წაშალე! ხომ წაშალე?

— წაეშალე.

— სალამი და კაი გამარჯვება ხომ
დატოვე?

— დაეტოვე, მამ! მარტო ის სიტყვა
წაეშალე.

— ეხლა დაწერე: მე ამ ძაღლებმა
მეორე თვალის ამომთხარეს-თქო.

— ძია ბერდო, ეს ხუმრობასა ჰგავს.

— ეგრე დაწერე, როგორც გეუბნე-
ბი. ამომთხარეს-თქო. კი არ ვწუწუ-
ნებ! დედაკაცი კი არა ვარ! ალბათ
განგება და ჩემი მტრები ასე შეთანხმ-
დნენ, რომ მე ბრმა უნდა ვყოფილიყა-
ვი, — ბერდომ ნაღვლიანად ჩაიციინა. —
აბა, წამიკითხე, რა დაწერე.

— აბა, ჯერ რა დაგწერეთ, ძია ბერ-
დო: „ჩემთან ერთად ტანჯულო, ძმაო
ვარლამ. სალამი და კაი გამარჯვება
შენა! აქ ასეთი ამბავია — მე ამ ძაღ-
ლებმა მეორე თვალის ამომთხარეს.“
სხვა არაფერი დამიწერია.

— კარგი. ეხლა მისწერე: იმ ღამეს,
მე რომ თვალი ამომიგდეს, სხვებს
ტყვია დაუშინეს-თქო. ერთი მოჰკლეს,
ფირუზა. საწყალი ბიჭი! ეხლაც ჯიგარი
მეწვის, რომ მომაგონდება! კარგი ბიჭი

იყო-თქო. ჩვენი ხელმძღვანელი კი გაპ-
ტყვიათ, დანარჩენები ბოსელში შეუყ-
რიათ და დილას ერთმა ბიჭმა ისინიც
გაანთავისუფლა-თქო. იმ ბიჭს ნიკალა
ჰქვია, იმას ენაცვალოს ბერდო. იმედი
მაქვს, რომ ჩემი გულის ჯავრსაც ამომ-
ყრის-თქო. ნიკალასაგან ამეებს არ ვე-
ლოდი, მაგრამ ნამუსმა გამოაღვიძა-
თქო. მე ისევ ჩემი ძველი წისქვილი და
იმედები მაცოცხლებს-თქო. ამქვეყნად
კაცი კაცითაა და მეც არ მაკლია მად-
ლიანი კაცის ხელი, კერძი რა არის,
კერძიც კი ცხელ-ცხელი მოაქვთ-თქო.
აბა, ეხლა წამიკითხე.

ვაქამ წაუკითხა.

— კარგია, — მოეწონა წერილი ბერ-
დოს, — ეხლა ისიც მისწერე: შენ რო-
გორა ხარ, ჩვენი გაზეთი რასა იქს-თქო.
ისე, ქალაქიდან რა ამბები მოდის, ბი-
ჭო ვაქა? ხომ არა გაგიგია რა?

— არაფერი გამიგია. აბა საიდან!

— იმათაც რამე არ დაუშავონ ამ
ძაღლებმა. მისწერე: თქვენს გაზეთში
დაბეჭდეთ ჩვენი სოფლის ბოლშევიკე-
ბის ამბები, მენშევიკებს თავს ლაფი
დასხით-თქო. დაწერე? მაგრა დაწერე!
სიტყვები არ მყოფნის და შენც მიუმა-
ტი. მიუმატი რაც გინდა, ოღონდ მაგრა
გამოვიდეს.

— მერე, ეს წერილი მენშევიკებმა
რომ ნახონ?

— საიმედო კაცს გავატან ქალაქში.
ვერაფერსაც ვერა ნახავენ. სულელი კი
არა ვარ, ფოსტით გავაგზავნო!

— მამ, „ბოლშევიკური“ რად წამაშ-
ლევი?

— წაგაშლევი და მივქარე! ჩაწე-
რე! ისევ ჩაწერე! ბოლშევიკური სალამი

და კაი გამარჯვება-თქო! — ბერდო შეჩერდა, თავი წისქვილის კარისაკენ შეაბრუნა და იკითხა, — შენა ხარ, გოგო ფეფე?

წისქვილის კარში ფეფე იდგა. ხელში კალათი ეჭირა.

— როგორა მცნობ, ძია ბერდო?

— ჩემს ყურებს ახლა მეორე საქმეც გაუჩნდათ. ყურებითა გხედავ, — გაიცინა ბერდომ და ამ სიცილმა ქალ-ვაჟს გულის კოვზი დაუწვავა. ისინი დაღვრემილნი მიაჩერდნენ ბერდოს ამ რამდენიმე ხნის წინ რიხიანს, ხუმარას, მძღავრსა და უშიშარს, ახლა კი თვალბედაშრეტილს, გულმოკლულს, მაგრამ ვითომ მაინც არხეინს.

— კერძს არ მიირთმევ, ძია ბერდო?

კერძი ხან შინიდან მოჰქონდა ფეფეს, ხან მეზობლები ატანდნენ. გოგონას ყოველდღიური საზრუნავი გაუჩნდა. ბრმა მეწისქვილესათვის არაფერს არაფერს იშურებდა. ბერდოს სამოწყალოდ ხელი არ გაუწვდია, მაგრამ სოფელმა მას მადლიანი ხელი მაინც მიაშველა.

— რა გაქვს, კუდრაჭავ?

— კიტრი, პამიდორი, მაწვნის შეჭამანდი, ნივრის მწნილი და დედასპური.

— თქვენ აგაშენებთ ღმერთი!

— კიტრი ბაბო კეკეს ბალისაა.

— ააშენოს!

— პამიდორი ქიტესამ დაგიკრიაფა.

— ააშენოს, კარგი კაცია!

— მაწვნის შეჭამანდი დეიდა ელენემ გამოგიზაჩანა, დედასპური — მაშომ.

— ააშენოთ! ემანდ დაჯექი. წერილს დავამთვრებ და სამივემა ვჭამოთ. ყველას ერთად გადავიხდი, — მაშინვე დაუშმატა.

— რას ამბობ, ძია ბერდო! — შეიცხადა ფეფემ.

— ეგრეა, შვილო. სიკეთეს სიკეთით უნდა მიზღვა. კაცი კაცით მაშინ ხარობს, როცა მათ შორის სიკეთისა და სიყვარულის ხიდი. უსინათლო კაციც გამოადგება სოფელს. ჩემი ბებერი აქ იყოს და! თვალით ვერა ვხედავ, მაგრამ გული, გულის თვალი ხომ ცოცხალია! — ისე ხმამაღლა დაიძახა, თვითონვე ეამა ეს იმედიანი სიტყვები. ხელები მუხ-

ლებზე გაისვა, მხრები შეარხია და წაშით გარინდდა.

საქართველო
კინოფილმების
საქართველო

— ალბათ უკვე დაღამდა, რაკი მიღიხარო.

— დაღამდა, ბერდო, დაღამდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭეტა. ძილი ნებისა! — გოლა ვაჟის მხარზე ხელს ხევეს და ბერდოს ემშვიდობება.

— ვარსკვლავებით მოიჭეტა, ჰა? — გულის სიღრმიდან ამბობს ბერდო, — რამდენი ხანია წვიმა არ მოსულა და ცა სულ ვარსკვლავებით არის მოჭედილი. თქვენა გგონიათ, ვერა ვხედავ? ვხედავ! აქ, მიწაზე, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, ჩვენ მოგვედეთ, სხვანი მოვიდნენ, ეს სოფელი გავერანდეს, სხვა სოფელი აშენდეს. იქ კი, რაც იყო, არის და იქნება! ალბათ ჩემი ბედის ვარსკვლავიც დაბრმავდა და ჩემსავით ცოდვილობს ცაში. დამე მშვიდობისა, ბიჭებო! ხვალ ადრიახად მოდით, საფუძვავი იქნება.

— დამე მშვიდობისა, ძია ბერდო!

როცა ბიჭებმა წისქვილის კარი გაიხურეს და ორღობეში შევიდნენ, ბერდო ტახტზე ჩამოჯდა და თავი მადლა ასწია.

„ვხედავ, ყველაფერს ვხედავ, როგორც მაშინ. იმ ჩემი ბედის ვარსკვლავსაც ვხედავ. კარგია, რომ ვარსკვლავებს მაინც ვხედავ და ეს ამოდენა ქვეყანა არ დამიზნელდა!“

ბიჭებსაც ხედავდა ბერდო. ყველას ხედავდა, ვინც წისქვილში მოვიდოდა და ვინც თავის ხმას გაავრთებდა. მაგრამ როდემდე გაპყვებოდა ვაჟის სახის ბავშვური სურათი, გოლას მიაშიტი სახე, ან ფეფეს ლამაზი თვალების სხივი? დრო მიდის, იზრდებიან, ბერდებიან, სხვები მოდიან და ბერდოს გული დაწვავს, შეაჭრავს. ისე შეიცვლებიან, რომ იგი ვერც დაინახავს რანაირი იქნებიან ვაჟა, გოლა, ნიკალა, ფეფე...

ბერდო ასეთ დროს თვითონვე აძლევ-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

და თავის თავს ნუგეშს. ამჯერადაც თვითონვე მონახა გულის წამალი, ის დრო ჯერ შორს არისო. თავი ბალიშზე მისდო. სადღაც ვასაკა კრულოზდა, წყლის ჩხრიალი ისმოდა. ბერდოს გარშემო სიცოცხლის ფაჩიფუჩი იდგა.

დიდხანს არ ეძინებოდა ხოლმე. მაგრამ ის დიდი ხანი რა იყო, ბერდომ უკვე არ იცოდა. რიჟრაჟის მოახლოვებას მამლებს შორეული ყვირლის ხმაზე იგებდა. დღისით კი ხან ვინ მოდიოდა, ხან ვინ. ზოგს საფეკავი მოჰქონდა და მაშინ ბერდოს გული წყნარდებოდა, აფორიაქებულ სულს იმშვიდებდა. ხელის ფათურითა და გუმანით ეძაღებოდა საქმეს. წისქვილის ყოველ კუთხე-კუნჭულს შეჩვეულს, არცთუ ისე უჭირდა რაიმეს მიგნება. ფიქრით მოიღლებოდა და უნებურად ჩაეძინებოდა ხოლმე. საოცარსა და მოუსვენარ სიზმრებს ხედავდა. სიზმარში ბერდო თვალხილული იყო. ასე მიდიოდა მისი მოუსვენარი ცხოვრება. ერთი რამ ძლიერ აწუხებდა: შური უნდა ეძია. ნიკალას ვაჟაკობამ გაახარა. გადარჩენილმა ოთხმა კაცმა საიმედოდ შეაფარა თავი. მათთან ერთად ნიკალაც გაჰქრა სოფლიდან. თუმცა ჩადენილი გმირობა ძვირად დაუჯდა. მამა დაუჭირეს და ციხეში ჩაუსვეს. ობოლი და-ძმა სოფლის ანაბარა დარჩა.

ბერდო ყოველ წუთს ელოდა მაცნეს მეგობრებისაგან, მაგრამ მაცნეები დუმდნენ.

იმ ღამეს, როცა გოლა და ვაჟა შინ მიდიოდნენ, ცხენის ფლოქვების თქარათქური მოესმათ და მალე შავმა მხედარმა შავი ცხენი გამალებით შემოაგდო ორღობეში. გოლა განზე გახტა და ვაჟაც გაიყოლა. ღობეს აეკრნენ, რომ გადარეულ მხედარს არა ევნო რა მათთვის. ისე ჩაიქროლა, თვალი ვერ შეასწრეს, ვინ იყო. მხედარი პირდაპირ წისქვილისაკენ მიაჭენებდა ცხენს.

— ვინ იყო, ეს გადარეული! — წამოიძახა გოლამ.

ვაჟა ხმას არ იღებდა.

— წავიდეთ, ბიჭო. ბერდოს მრგებდოთ.

— წავიდეთ — თქვეს და წისქვილისაკენ გაიქცნენ. როცა მიუახლოვდნენ, წისქვილის კართან უცხო კაცს მოჰკერეს თვალი. მას საცვლების ამარა გამოსული ბერდო ეხვეოდა და ცრემლნარევი ხმით რაღაცას ელუღლუღებოდა.

როცა ბიჭები მიცვივდნენ, მხედარმა მოიხედა.

— ნიკალა, შე ჯანდამწვარო! — შეძახა გოლამ და დაეძგერა, ღამის ნექნები შეუღეწა, მოეხვია და ჩაპტუნა.

— შური ვიძიე, ბიჭებო! ბერდოსთვის, მამაჩემისთვის, ყველაფრისთვის, — თქვა ნიკალამ.

— მოჰკალ?

— ჩავაძაღლე! ხევში გღია. იქ, სადაც ოღემ თედო მოჰკლა.

— ყოჩად, ბიჭო!

ბერდო ბანჯგვლიან მკერდზე შევბით ისვამდა ხელს.

— ბიჭებისა რა იცი? შამშე, ბარნა, ნიკო და სხვები როგორ არიან? — ეკითხება ბერდო.

— საიმედოდ და კარგად არიან.

— მეც წამიყვა თქვენთან! — დაედრიჯა გოლა.

— შენ აქა მჭირდები! — არ დაეთანხმა ბერდო.

— აბა, კარგად იყავით, უნდა ვიჩქარო! — ნიკალა ერთხელ კიდევ გადაეხვია მეგობრებს, მერე ცხენს მოახტა.

— მშვიდობის გზა გქონდეს!

— შემოგივლით ხოლმე. გოლა, ჩემს და-ძმებს მიხედე. მერე ყველას ერთად გადაგიხდით. ეჰ!

მის ხმას ვეღარ სცნობს ბერდო. ყვინჩილას ყვირლში მამლის ხრინწიანი ბოხი გამორეულა. დავარდნილ ნიკალას ცეცხლი შენთებია. ნეტავ დაანახვა ბერდოს, ნეტავ კი ვაჟაკის ახლანდელი სახე ჩაჰმჭედოდა გონებაში. ალბათ თვალებიც დაჰკვესებია და მზად არის ახალი საგმირო საქმე ჩაიდინოს. ეჰ, ნეტავ კი ანახა ბერდოს მისი სახე და თვალები!

— მშვიდობით!

— კარგად იყავ! ყოჩაღ, რომ ჯავრი ამომყარე!— ყვირის ბერდო. ყვირის და თითქოს მთელ ქვეყანას ეფინება მისი ხმა.

ცხენოსანი მიჰქრის. თანდათან ყრუვდება, იჩქმალება ფლოქვების თქარათქური და ისევ მყუდროება მეფდება.

— აქა ხართ, ბიჭებო?

— აქა ვართ!

— ცოტა ხანს ნუ წახვალთ. ეხლა რალა დამაძინებს. მოდიოთ, დილამდე ვისხდეთ! რა ღამეა! კარგი ღამეა, არა, ბიჭებო? ცაც როგორ მოჰქედოდა ვარსკვლავებით! აგერ, ირმის ნახტომი როგორ გადასდევს ცასა... — ბერდო ხელებს შლის, ქვეყანას გულში ჩახუტებას უპირებს, — ხომ აქეთ გასდევს ირმის ნახტომი? — ცა ხელით გადახანა.

— სწორედ ეგრეა, ბერდო! — უდასტურებენ ბიჭები.

— ხომ გითხარით, ვხედავ-მეთქი! — ხმა უთრთის, ხელებს კიდევ შლის, მაგრამ უცებ ფრთებსა ჰყრის და ჩურჩულებს:

— მაინც კაცი იყო! მაინც მეცოდება ის შავ დღეზე გაჩენილი!

შაოსანი მხედარი, სანამ ბერდოს წისქვილისაკენ დაიძვრებოდა, ერთ ჩაზნელებულ ქოხს მიადგა. ქოხთან ჩამოხტა და ფანჯარაზე დააკაკუნა. ქოხიდან დამფრთხალი კაცის შეშინებული ხმა მოესმა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ნიკალა ვარ, ბერბიჭავ!

— მერე რა გინდა? ჩემგან რა გინდა, მითხარი!

— შენგან რა უნდა მინდოდეს! თუ გინდა, ნუ დამენახვები, ეგრე გეტყვი. გოგიტა მე მოგკალი და სხვას ნურავის დააბრალებოთ. მამაჩემის დაჭერა შეგრიჩეთ. ჩემ და-ძმებს თუ რამეს დაუშავებენ, პირველად შენ მოგკლავ და მერე სხვასა. გესმის რას გეუბნები?

ქოხიდან ხმა არ ისმოდა.

— ბერბიჭავ, გესმის?

მხედარი ჩქარობს, ცხენს ევლებს და ერთხელ კიდევ უყვირის ჩაზნელებულ ფანჯრებს:

— გესმოდეს და გაიგე: გოსტაბაშვილი მე მოგკალი და სხვას არ დააბრალონი!

ცხენს სადავე მიუშვა, ქუსლები ფერდებში მიჰკრა და წისქვილისაკენ დასძრა. სანამ გოსტაბაშვილს მოჰკლავდა, და-ძმებთან იყო. ღელავდა ისე ღელავდა, რომ სიტყვაც ვერ დაეძრა.

გოგიტამ ესტატესთან იცოდა ღამლამობით სიარული. იქიდან გვიან ბრუნდებოდა შეზარბოშებული. ხევისპირა ბილიკით მოკლედ გადმოსჭირდა ხოლმე გზას. ეს კარგად იცოდა ნიკალამ და დასახვედრადაც ეს ადგილი არჩია.

რა იცოდა გოგიტამ, რომ იმ ღამეს ხევის პირას სიკვდილი უცდიდა! იარალი თან ჰქონდა და ღამის არ ეშინოდა. თოფმომარჯვენული ნიკალა თითქოს მიწიდან ამოძვრა.

— რა გინდა, ბიჭო?! — შეერთა გოგიტა და რევოლვერზე ხელი წაივლო, მაგრამ ამ დროს თოფმა იჭექა და გოგიტა ხევში ჩავარდა.

ნიკალა ცხენით ჩავიდა მოკლულთან. იარალი აართვა. ასე ეგონა, მისი თოფის გრიალზე მთელი ქვეყანა გაიღვიძებდა. სოფლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

მკვდარი გოგიტა მეორე დღით იპოვნეს. შინაურებმა თავში ხელი წაიშინეს. სოფელში კი ბევრმა ჩაიღრინა: „ძალი იყო და ძალღური სიკვდილით მოკვდაო“.

უზიარებლად დამარხეს. გოგიტას დედა თავს იკლავდა, მღვდელს ითხოვდა, მაგრამ გაბრიელმა შუაკაცი ცივი უარით გაისტუმრა.

ბოზოლები დაფრთხნენ. ერობის საბჭომ მილიცია სამი კაცით გააძლიერა. სახალხო გვარდიელების მოყვანას ვერავინ ბედავდა. შეშინდნენ, სოფელს

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

გადავიკიდებთ და ერთი ბნელი ღამე ჩვენთვისაც საბედისწერო გახდებაო. ეხეც რომ არ ყოფილიყო, ახლა, როცა იატაკქვეშეთში გადასული ბოლშევიკები ხელს იარაღს ჰკიდებდნენ, მენშევიკები ჯარის ნაწილებს როგორ დაქსაქსავდნენ, ისედაც მოშლილსა და მოღუწებულ სამხედრო ძლიერებას როგორ შეასუსტებდნენ! მენშევიკური მთავრობა სოფლის ახალგაზრდობას გამალებით იწვევდა ჯარში.

გოგიტა დამარხეს. საბჭოს თავმჯდომარედ სხვა დაჯდა. მანაც ჩამოიკიდა რევოლუციური და სოფელში რიხიანად გაიარ-გამოიარა. ეგონა, ეს უშველიდა საქმეს. გავლა-გამოვლა კი შერჩა, მაგრამ ღამე მასაც არ სძინებია მშვიდად. ორი-სამი დღის მერე ერობის ხალხი შეჰყარა, რევოლუციური და საბჭოს ბეჭედი ჩააბარა. ახლა სხვა აირჩიეს.

გოსტაბაშვილისთანა სუსხიანი არაგინ გამოჩნდა. ისევ ესტატეს უნდა აეღო სოფლის თავკაცობის სადავე. აიღო კიდეც.

გიგოს ბერი რამ აწუხებდა. მისი ვაჟიშვილი გიორგი იუნკრად ჩაეწერა, გიმნაზიის დამთავრება არც კი ისურვა. ძმისწული პოეზიას გაჰყვა. თავადის სტუმრები სოფლიდან წავიდნენ. თუ არა, ვალიკომაც აიკრა გულა-ნაბადი და თბილისს დაუბრუნდა.

ნინოს მოსწონდა ვალიკოს არჩევანი. იგი თავადის ქალებთან რამდენჯერმე შეხვდა ეთერს. ვალიკო დას არაფერს არ უმალავდა. ეთერისადმი მიძღვნილი ლექსი პირველად მას წაუკითხა.

გიუნაშვილის ქალებს სოფელში ერთი დღეც არ უჩერდებოდათ გული. ახალი

სასწავლო წელი რომ დაიწყო, ისინი გორში წავიდნენ.

წავიდა ნინოც. მას ქალთა სწავლა ლებელში უნდა განეგრძო სწავლა. გამომშვიდობებისას ოქრუაშვილს პირობა მისცა, რომ ისევ დაუბრუნდებოდა სოფელს, მთელ თავის ცოდნასა და ენერჯიას ხალხის განათლების საქმეს მოახმარდა.

ზაფხული ისე გავიდა, ვოეხაკაცის ბედელში ორი-სამი კოდი ხორბალი არ დაგროვილა. კალოები გაიღეწა, ბობოლენების ხალამზარები კიდეც უფრო დაიტენა. მოურავმა თავადის ბელელიც შეავსო. სხვა დოვლათითაც კარვად გაიგსნენ. ასე თუ ისე, ბერდოს წისქვილს საქმე გაუჩნდა. გიგომ ურჩია ვაჟას, ბერდოსთან ხშირად ნუ დადიხარო. ბრმა მეწისქვილეს არას ერჩოდნენ, მაგრამ დაუდგრომელი კაცი მაინც არ ისვენებდა, გოლას და ვაჟას ხან რას აკითხებდა, ხან რას. ოქრუაშვილმა სწავლა რომ განაახლა, გიგოს გულს ცოტა მოეშვა. ვაჟა ახლა იქ ივლიდა, მერე სამქედლოში წააშველებდა ხელს და ბერდოსთან წასასვლელი დრო აღარ დარჩებოდა. თავად არ ერიდებოდა ბრმა მეწისქვილეს. ხშირად აკითხავდა, თუკი წისქვილს რამე მოეშლებოდა, იმასაც გაუმართავდა, ულუფას გაჰყოფდა და ნაწილს ფეფეს ხელით ბერდოს უგზავნიდა.

სოფელში ხმა მოდიოდა, აქედან გაქცეული ბოლშევიკები გორის მაზრის ბოლშევიკებს შეერთებიან და ერთიანი ძალით აჯანყებას ამზადებენო. ცაზე ღრუბელი გროვდებოდა და ერთ დღეს დაიჭიქებდა კიდეც. გიგო გრძნობდა ამ დღის მოახლოებას. რკინას სჭედდა, რადგან ცხოვრება თავისას მოითხოვდა, ვის სახნავ-საკვეთი უნდოდა, ვის ბარი, და წალდი.

გაგრძელება იქნება



მედიკალიზაცია

ნარკოზი

მატარებელი დაიძრა, სადგურის ბაქანი დაცარიელდა. მიხაროდა, რომ კუბეში მარტო ვიყავი და ფოთში მივემგზავრებოდი. მალე სინათლე ჩავექრე და დაძინება ვცადე, მაგრამ ვერ დავიძინე, ჩემს მეხსიერებაში ნელ-ნელა ამოტივტივდა ფოთთან დაკავშირებული მოგონებები...

ერთხელ ზაფხულის არდადეგებზე დეიდას ვესტუმრე სოფელში. პირველად ზღვა იქ ვნახე და ძალიან შემეყვარა. თითქმის ყოველ დღით ზღვისკენ მივიჩქაროდი. საათობით შევეყურებდი თეთრ შენობას, რომელიც ძალიან შორს, თითქმის ცისკიდურზე მოჩანდა. ბიძიამ მითხრა, ეს სახლი ელევატორიაო. მე არ ვიცოდი, რა იყო ელევატორი. დეიდამ კი ჩემს განმეორებით კითხვას მოკლედ უპასუხა: ეს ფოთიაო. გავიდა ხანი, ის ნაცნობი თეთრი შენობა კვლავ დავინახე, მაგრამ ამჯერად არა სოფლის ქვიშიანი სანაპიროდან, არამედ ხომალდ „ვოლნოვა-

ხას“ მესაჰის ჯიხურიდან. ამ ხომალდზე მე მეზღვაურად ვმუშაობდი...

გათენებული იყო, როცა გამცილებელმა გამაღვიძა. მატარებელი ფოთის სადგურში იდგა. პირი საჩქაროდ დავიბანე და ვაგონიდან გადმოვედი. წვიმდა.

სასტუმრო „კოლხიდაში“ დავბინავდი. ჩემი ოთახიდან კარგად ჩანდა ქალაქის ხედი. საღამოს წვიმამ გადაიღო. ნელი ნაბიჯით გავუყევი ნავსადგურისკენ მიმავალ გზას. რატომღაც მომინდა, ზღვის ნაპირზე ჩამომჯდარს გემებისთვის მეცქირა.

ნავსადგურში ბევრი გემი იდგა. ერთერთ მათგანს ქართული მარგანეციო ტვირთავდნენ, მასზე გარკვევით ჩანდა დიდი ბრიტანეთის ალაბი.

ნავსადგომისკენ მუშები მიდიოდნენ. ერთი მათგანი მაშინვე ვიცანი, დიმა ჭკოდუა იყო, ჩემი ძველი მეგობარი, მტკირთავი.

დიდი ხნის უნახავებმა ერთმანეთი გულითადად მოვიკითხეთ.

— შენ რაო, „ვოლნოვახზე“ აღარ მუშაობ? — მკითხა მან.

— ჰო, ასე ვთქვათ, ზღვაოსნობას გამოვეთხოვე.

— მე კი შეგონა, ძსევ თოკებზე ცოცავდი... აბა, კარგად იყავი, არ დამივიწყო, სტუმრად მეწვიე, — მითხრა დიამამ და ამხანაგებს სირბილით დაედევნა.

თებერვალი იყო, მზე სხივებს უხვად აფრქვევდა, ევკალიბტები მწვანედ ხასხასებდნენ.

კადრების განყოფილების გამგის მისალმებოთაში რამდენიმე კაცი იცდიდა.

— სამსახურს ეძებთ? — ვკითხე ჩემს გვერდით მჯდომ ახალგაზრდას. იგი 24-25 წლისა თუ იქნებოდა, მოხდენილად ეცვა.

— დიახ, — ცალყბად მიბასუხა მან და ფეხი ფეხზე შემოიღო.

მოსაცდელში კადრების განყოფილების გამგე შემოვიდა. მაპატიეთ, — მიმართა მან იქ მყოფთ, — საღისეპეტჩეროში გამომიძახეს და ამიტომ დამავიანდა. თქვენ რა საქმეზე ხართ? — მიუბრუნდა იგი რომელიღაც ქალიშვილს. პირად საქმეზე, — უბასუხა მან. — მაშინ მოითმინეთ. თქვენ? — ახლა ჩემს გვერდით მჯდომ ახალგაზრდას მიმართა. ახალგაზრდამ გამგეს რაღაც ქალაღი გაუწოდა.

— ჰო, დიახ, — ჩაილაპარაკა გამგემ და კაბინეტში შევიდა. ის ახალგაზრდაც თან მიჰყვა.

— უკაცრავად, თქვენთან საქმე მაქვს, — მივმართე ახალგაზრდას, როცა ის კაბინეტიდან გამოვიდა.

— ჩემთან? — ახალგაზრდამ წარბი შეიკრა და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — მაინც რა საქმე გაქვთ? ჩვენ შენობიდან გამოვედით და ნავსადგურის გასასვლელისკენ გავემართეთ.

— რა სამუშაოზე მიგიღეს? — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვკითხე მას.

— მტვირთავად ვიმუშავებ.

— ალბათ დროებით.

— აბა, მთელი სიცოცხლე მტვირთავი ხომ არ ვიქნები? ამწვევს მთელი ვიმუშაო.

— ფოთელი ხართ?

— არა, აბაშის რაიონიდან.

— იცი რა, — ვუთხარი მე ბოლოს, — მოდი ერთმანეთი გავიცნოთ.

— გენო ჩოჩია, — ახალგაზრდამ ხელი გამომიწოდა. მეც ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი.

გენო ნავსადგურის სამმართველოს შენობაში შევიდა. მეც შევეყევი. იქ მას წიგნაკი და სპეცტანსაცემელი მისცეს. ჩვენ გზას გავუყევით. ნავსადგურის თავზე საბუქსირო კაპარჭის ხმამ გადაიხუზუნა.

— მაშ, ასე... ნახვამდის, სამუშაოზე უნდა გამოვცხადდე, — თქვა გენომ.

— ნახვამდის, საღამოს ისევე შეგხვდებით. ცვლის დაწყებამდე მოვალ და დილაღე დავრჩები.

— თქვენც გემს ტვირთავთ?

— არა, მე ნარკვევი უნდა დავწერო.

— რაზე უნდა დაწეროთ?

— შენზე, — უცებ შენობით ლაპარაკზე გადავედი და გენოს გაოცება რომ შევატყვე, დავუმატე: — შენ გგონია, არაფერია დასაწერი?

გენომ მხრები აიჩეჩა. „ნეტავ რა უნდა დაწეროს, განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. მშობლები მოწინავე კოლმეურნეები არიან, მე სამხედრო სამსახურში სამ წელს დავყავი, მაგრამ რა არის აქ გასაკვირი? ასეთები ხომ ბევრნი არიან,“ — ფიქრობდა ალბათ შემცბარი გენო.

დღე მიიღია, პატარა ქალაქის ქუჩები დაცარიელდა, ფოთის შუქურა აკაშკაშდა და შორეულ ვარსკვლავებს ღიმილი შეაფრქვია. ღამის თერთმეტ საათზე მტვირთავთა დასასვენებელ ოთახში ვიყავი. მუშაობის დაწყებამდე თითქმის ერთი საათი იყო დარჩენილი და მუშები ისვენებდნენ. გენო ფანჯრის რაფაზე იჯდა ვიღაც ახალგაზრდა კაცთან ერთად.

— რომელ ბრიგადაში ჩავრიცხეს? — ვკითხე გენოს.

— მესუთეში.

— ბრიგადირი სად არის?

გენომ თავის გვერდით მჯდომ კაცზე მანიშნა. ჩვენ ერთმანეთი ვავიცანით.

— დღეს რა სამუშაო გაქვთ? — ვკითხე მტვირთავთა ბრიგადირს ვოა ჯოჯუას.

— ისეთი არაფერი. „ნიკიტოვკა“ უნდა გადმოტვირთოთ, — თქვა ვოამ და გენოს მხარზე ხელი გადახვია. — ქერიჩიდან მაღანი მივიღეთ. პირველად ამწეები იმუშავებენ, მერე ჩვენ გავწმენდთ ტრიუმებს ნიჩბებით. საქმე ყოველთვის გვაქვს. ზოგჯერ მისადგომებსაც ვასუფთავებთ...

ამ დროს ოთახში მაღალი, ხნიერი კაცი შემოვიდა. „სამუშაოთა მწარმოებელია, იაროსლავ მირცხულავა“, — მითხრა ვოამ.

— აბა, ყმაწვილებო, მოემზადეთ, ამწეები გემის გადმოტვირთვას ოც წუთში დაამთავრებენ, მერე თქვენი ჯერი დადგება, ტრიუმებს ნიჩბებით გაწმენდთ. ერთი ბრიგადა „ნიკიტოვკაზე“ წავა, მეორე — ელევატორზე. შეკითხვები ზომ არა გაქვთ? — მიმართა იაროსლავმა მტვირთავებს.

— არა, — ერთხმად შესძახეს მუშებმა.

ნავსადგურის ამწეები „ნიკიტოვკას“ მძიმედ სცვლიდნენ. მათი ხმაურისაგან ღამე ზანზარებდა. ტვირთშემსუბუქებელი ხომალდი ზღვის ზედაპირზე ნელი-ნელ ტორტმანებდა. მტვირთავები ჩქარი ნაბიჯებით მიეშურებოდნენ სამუშაო ადგილისკენ.

როცა „ნიკიტოვკას“ ქიმზე ავიდი, მუშები უკვე ტრიუმებში იყვნენ და გამალბებით მუშაობდნენ. ის, რაც ამწეებს დარჩათ მოუხვეტავი, მუშები ერთ კუთხეში ნიჩბებით აგროვებდნენ. მერე კვლავ ამწეების ჯერი დგებოდა, დაგროვილ მაღანს ხვეტდა და ნაპირზე გადაჰქონდა. ვიდექი ხახადაღებულ ტრიუმის თავზე და მის გაჩირაღდებულ ფსკერს ჩავცქეროდი. მტვირთავები შეთანხმებულად მუშაობდნენ, მა-

თი ხელების მოძრაობა ისე დახვეწილი და მეტყველი იყო, რომ კაცს ვერც შეეძლო ბოდა, ცეკვავენო...

დილისთვის „ნიკიტოვკას“ ტრიუმები გაწმენდილ-გასუფთავებული იყო. ტვირთდაცლილი ხომალდი მთასავით ამომართულიყო წყლის ზედაპირზე. დამის ცვლაში მომუშავე მუშები სახლებისკენ მიიჩქაროდნენ. ირგვლივ მტვრის ბული იდგა და გენოს ვერ ვხედავდი.

გენო გასასვლელთან დამეწია.

— დაილაღე? — მკითხა მან.

— არა, მეძინება. შენ? შენ არ დაილაღე?

— ძალიან, — მითხრა გენომ და სახლში მიმიპატიყა.

გენოს პატარა, მყუდრო ოთახში თებერვლის მზე უხვად იფრქვეოდა. ჩვენ აივანზე ვავედით და ერთმანეთს ხელპირი დავაბანინეთ. მერე გენო საუშმის მზადებას შეუდგა, მე კი კედელზე გაკრულ სიგელებს დავუწყე თვალიერება.

„რიგით ჯარისკაცს გენო ამბაკოს ძე ჩოჩიას — სამაგალითო დისციპლინისა და სამსახურგობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის — პოლპოლკოვნიკი კუხნეცოვი“.

„რიგით ჯარისკაცს გენო ამბაკოს ძე ჩოჩიას — სამაგალითო ყოფაქცევითის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებისთვის — პოლკოვნიკი შაპირინი.“

სანამ მე სიგელების თვალიერებით ვიყავი გართული, გენომ მაღალ ტაბურეტზე სუფრა გააწყო, თევზები და ჭიქები დააღაგა, წყლით სავსე სურა შემოღდა, პური დაჭრა, შემწვარი ძეხვი ორად გაჰყო და სუფრასთან მიმიპატიყა. თაროზე ერთმა წიგნმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. წიგნი ავიღე და გადავფურცლე. „პატარა დოროთი“ — რიგით ჯარისკაცს გ. ა. ჩოჩიას სამხედრო სამსახურის დამთავრებასთან დაკავშირებით. კაპიტანი კოვალიოვი“, — წავიკითხე მე და გამეცინა:

გივი კვერენჩილაძე
მტვირთავი

— როგორც ჩანს, თქვენმა კაპიტანმა არ იცოდა, რომ „პატარა დოროთი“ დიკენსის ოცდაათტომეულში შედის. სჯობდა, სხვა წიგნი ეჩუქებინა.

— შენ რომ გგონია, არც ისეა საქმე, — მითხრა გენომ, — სამი წლის განმავლობაში ოცდაათი ჯარისკაცი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, ერთად ვმსახურობდით. ჩვენს კაპიტანს ყველაზე მეტად ვაფასებდით. იგი გულისხმიერი მეთაური იყო. სამხედრო სამსახურის

დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ყველანი შეგვკრიბა და დიკენსის ოცდაათტომეული გაგვინაწილა. ^{მეც მთავარი} ულს თითო ტომი შეგვხვდა. კაპიტანმა გვთხოვა, დემობილიზაციის შემდეგ ერთმანეთს ეს წიგნები გაუგზავნეთ და დიდხანს თუ არა, შვიდ წელს მაინც გექნებათ ერთმანეთთან კავშირიო. აი, რას ნიშნავს „პატარა დოროთი“! შენ კი იცინი... თუმცა რა დროს ეს არის, დროა, ვისაუზმოთ!..



მკლავარი გუაიაკის ზოიღაზ

ოცი წლის წინ ახალგაზრდა ფრანგმა ეთნოგრაფმა ვილარმა პარაგვაის ჯუნგლებში ექსპედიცია მოაწყო. ვილარის მიზანს შეადგენდა პარაგვაის ჯუნგლებში მობინადრე გუაიაკის ტომის შესწავლა. ექსპედიცია უშედეგოთ დამთავრდა: გუაიაკის ტომი ვილარს მტრულად შეხვდა. ეს მოსალოდნელიც იყო: ინდიელებს ახსოვდათ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ამბავს იმ საშინელებათა შესახებ, რასაც თეთრკანიანები მათ მიწაზე ჩადიოდნენ. გაუვალი ჯუნგლების სიღრმეში მიმალული გუაიაკის ტომი გარეშე სამყაროსგან მოწყვეტილი იყო.

გუაიაკის შემორბემა ვილარის ექსპედიციას ისრები დაუშინეს, დაუყოვნებლივ დატოვეს სოფელი და ხშირ შემხარბო გაუჩინარდნენ. ექსპედიციის წევრებმა ერთ-ერთ მიტოვებულ ქოხში წლინახევრის გოგონა იპოვეს. დოქტორმა ვილარმა გოგონა იშვილა და თავის დედას


მიმგვარა პარაგვაის დედაქალაქში — ასუნიონში. გოგონას მარი-იგონი დაარქვეს. ახალგაზრდა მეცნიერი დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაშვილები, მიუხედავად „ველური“ ტომების „არასრულყოფილების“ შესახებ შეთხზული ყოველგვარი რასისტული თეორიებისა, შესძლებდა აეთვისებინა თანამედროვე ცივილიზაციის ყველა მიღწევა.

დოქტორ ვილარის დედა, რომელიც ასე მოულოდნელად ბებია გახდა, მზრუნველობას არ აკლებდა ბავშვს, მაგრამ გოგონა ფრთხილად და კარგა ხანს ყველას უნდობლად ეცილებოდა. ბავშვს ფრანგულს ასწავლიდნენ; ფრანგული სიტყვების გამეორებაზე იგი ჯეჟტად ამბობდა უარს. მოულოდნელი და უსასღვრო იყო ვილარის დედის სიხარული, როცა ბოლოს და ბოლოს მარი მივიდა მასთან და წმინდა ფრანგულით უთხრა: „ბებია!“

ექვსი წლის მარი თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და ესპანურად. შეისწავლა პორტუგალიური ენაც. ეთნოგრაფ მეცნიერს ხშირად უხვდებოდა ქალაქიდან ქალაქში, ლათინური ამერიკის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მოგზაურობა. ბევრი სკოლა გამოიცვალა მისმა შვილობილმაც. მარი ყველგან წარჩინებულ მოსწავლეთა რიგებში იყო.

14 წლის მარიმ პირველად მიიღო მონაწილეობა მამის ერთ-ერთ ექსპედიციაში ტიტიკაის ტბის ნაპირებზე — თოვლიან ანდებში.

აიშარას ტომის ინდიელები, რომელთა ყოფის შესწავლასაც ვილარი აპირებდა, გუაიაკის ტომის მსგავსად, მეცნიერს უნდობლად შეხვდნენ. მაშინ მარი-იგონმა ინდიელებს მოუთხრო თავისი თავგადასავალი (აიშარას ენა მან ექსპედიციაში წასვლის წინ შეისწავლა). გოგონამ ინდიელებს აუხსნა, რომ მისი მამობილი მეცნიერია და რომ იგი მათ არაფერს ავნებს. მარის დაუ-



არა,

იმ ომის დავიწყება არ შეიძლება!

დრო უღმობელი

წელიწადებს ყრის ბელტებივით,

რათა დამარხოს, რასაც კიდევ სიცოცხლე უნდა,

ზღვა,

მიხაკები,

ცა კვამლიანი —

ის ესპანეთი მიხაკისფერი,

რომლის კარბზეც მუშტებს ვცემდი

და არ მიღებდნენ...

ეს მაშინ, როცა იმ საშინელ პაპანებაში

თვითონ ხემაც კი რტო ხელივით გამომიწოდა.

მაჩუქა ჩრდილი და სინორჩე ხასხასა სხივის,

ოქროს ქვიშად რომ გაბნეულა ძველ სიმღერებში,

რომელიც ახალ ბაგეებს ითხოვს.

მე იქ ჩავედი და ვიმღერე ჩემი სიმღერა,

სტრიქონში თრთოდა ესპანეთის დაჭრილი გული.

მოგუდულიყო სტრიქონებში ხმა მოტირალთა,

როგორც ქვითინი მღვიმეებში ჩამწყვდეულ ქარის.

არა,

იმ ომის დავიწყება არ შეიძლება!

რწმენა, სიმართლე ბევრი იყო, დაუღეველი

და თავდადებაც ბევრზე ბევრი,

პური კი — ცოტა!

იყო ხელები,

იყო გული,

შუბლი,

თვალეები,

რომ ჩადინათ სიმამაცე ჯერ არნახული
და ეცემოდნენ მოცელილი თავთავებზე,
ისე რომ, განცდა დამარცხების

ვერც კი მოესწროთ!

იყო სიუხვე და სიმდიდრე მოხალისეთა
და იარაღის სიღარიბე და სიბერჩავე...

ახლა, ამდენი წლების შემდეგ თქვენ გეკითხებით,
თქვენ, ციხეებში ჩახავსულებს და დახვრეტილებს —
რა უნდა გვექნა,

რა უნდა გვექნა,

რა უნდა გვექნა, იმ სასტიკ დროში?

ო, სასტიკად მეოცნებენო,

ხმა ამოიღე, სიჩუმეში ჩამხრჩვეალო ხალხო!

რა უნდა გვექნა

გააფთრების, რისხვის ამარა!

მხოლოდ მუშტებით,

პოეზიით,

მხოლოდ ჩიტებით,

მხოლოდ ტკივილით,

სინდისით და

ხელში მტრედებით,

რა უნდა გვექნა?

როცა ჩექმებმა მტევანივით მოფშენეს სამყარო,

როცა სიკვდილი გაღეშილი ჩვენივე სისხლით

დაუპატიჟებელ სტუმარივით იღვა კარებთან,

უჯდა მაგიდას, ნებივრობდა ჩვენს საწოლებში,

ლოთიფოთობდა მოედნებზე, მეზობლის სახლში

და მოდიოდა აღჭურვილი და შეჯავშნული

ალბასტიდან,

სორიდან

ყოველი გზებით,

მდინარეებით,

რკინიგზებით,

ყოველი ქუჩით.

და აი, უკვე მის წინაშე რჩებოდი მარტო

შიშველ ხელებით,

დროშებით და მხნე სიმღერებით.

სიკვდილს კბილებით ჩაფრენილნი იხევდით უკან

უკანასკნელი ტყვიებით და დაჭრილ იმედით.

სისხლით შეღებილ სიამაყით უკან იხევდით.

ო, განწირულო ვაჟაკებო, თქვენმა სიკვდილმა

ბევრი ტკივილი მომიტანა, ბევრი წამება.

ასე მგონია დავიმარხე მეც თქვენთან ერთად.

სად დაიკარგე, ფედერიკო! სადა ხარ, მიგელ!

თქვენთვის წამოდგა ესპანეთი სამარის ჯვრებად.

თქვენ ჯვარზე გაცვეს, აგიყვანეს სახრჩობელაზე.

კოცონზე დაგწვეს და ცოცხლები მოგგუდეს ქებში!

ო, ჩემო ძმებო, თქვენი ხსოვნაც ჯვარზე გააკრეს...

ტბორებად იღვა ესპანეთის წითელი სისხლი.

ხარაბუხეები ეხვეოდნენ მღვდლის ანაფორებს.
ფურთხი, გინება და ხორბოცი შეურაცხყოფის
იჩიებოდა ფრანკოელთა ურიცხვ ხიშტებზე,
და ორი ჩონჩხი გაშიშვლებულ ძვალთა გროვაში,
ორი პატარა ბულბულის ჩონჩხი,
ჰგავდა ჩექმებით გასრესილ ფიჭას...

☆
სასტიკი ცეცხლი
☆
პაბლო ნერუდა

მე ვარ მოწამე!
მე იქ ვიყავი
და რაც წამებით შევიცანი — არ მავიწყდება.
რომ აღარავინ აღარ დარჩეს იმ ამბის მომსწრე,
მე შევინახავ ყველა იმათ მეხსიერებას!
რომ აღარ დარჩეს ერთი თვალიც მისი მნახველი,
ყველაფერს, გწამდეთ, შეინახავს ჩემი თვალები!
ეს სტრიქონები შელებილა იმ წმიდა სისხლით
და ანთებულა იმ სიყვარულით,
მათ, ბატონებო, დავიწყება არ უწერიათ!
და ჩემი, სიმწრით დაკბენილი ცხელი ტუჩებით
იმათი ცივი ბაგეები ამღერდებიან!..

თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ



ჯერეს. ვილარმა და მისმა
შვილობილმა კარგა ხანს დაუ-
ვეს აიმარას ინდიელებთან და
მდიდარი სამეცნიერო მასალა
შეაგროვეს.

ამ შემთხვევამ განსაზღვრა
მარის მომავალი. მან გადაწ-
ვიტა ეთნოგრაფი გამხდარი-
ყო. ქ. ლიმარის ინსტიტუტში
სწავლის დასრულების შემ-
დეგ იგი მზად იყო დამოუკი-
დებელი მუშაობისათვის.

მარი ბურჟუაზიული უურ-
ნალისტების სენსაციური

სტატიების ობიექტი გახდა.
„ისე მიყურებდნენ, როგორც
გაწვრთნილ ცხოველს, — ამ-
ბობს მარი ვილარი, — ათას-
გვარ სისულელეებს თხზავ-
დნენ ჩემს შესახებ...“

უკანასკნელ წლებში მარი
ვილარი არა მარტო მამის
ექსპედიციებში დებულობდა
მონაწილეობას, არამედ მდი-
ნარე ამაჰონის სათავეებში.
დამოუკიდებელ კვლევით მუ-
შაობასაც ეწეოდა.

მარი ვილარი მრავალი საყუ-

რადღებო ეთნოგრაფიული
სტატიის ავტორია. მისი ლექ-
ციები მუდამ იწვევენ მეც-
ნიერებისა და სპეციალისტთა
ინტერესს.

ამჟამად მარი-ივონ ვილარი
ისევ ექსპედიციაშია — ცენ-
ტრალური ამერიკის ჯუნ-
გლებში. გოგონას, რომელმაც
ქვის ხანიდან ატომის ხანაში
„ისკუპა“, გადაწვეტილი
აქვს, თავისი სიცოცხლე თა-
ნამემამულეთა ცხოვრების
შესწავლასა და გაუმჯობესე-
ბას შესწიროს.



შეძახე შენი ინტელიგენცია

მოთხრობა

ჩვენს პატარა წყნარ ოთახს ბეიკერ-სტრიტზე ბევრი დრამატული სცენა ახსოვს, მაგრამ ტორნიკროფტ ჰაკსტიგბლის გამოჩენაზე უფრო მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ვერაფერი გამისხენებია. ეს იყო ხელოვნების მაგისტრი, ფილოსოფიის დოქტორი და ა. შ. და ა. შ. სადარბაზო ბარათმა, რაც მეტისმეტად პატარა ჩანდა სამეცნიერო ხარისხების ისეთი მძიმე ტვირთისათვის, მხოლოდ რამდენიმე წამით შემოუსწრო მის პატრონს. ბარათს თვითონაც კვალდაკვალ შემოჰყვა ტანადი, წარმოსადეგი, დიდებული კაცი—თავდაჭერილობისა და სულიერი სიძლიერის განსახიერება. ჯერ შემოსულიც არ იყო, რომ ხელებით მაგიდას დაეყრდნო, იატაკზე წელა დაეშვა, გრძნობა დაკარგა და ჩვენს წინ ბუხართან გაშლილ დათვის ტყავზე გაიშხლართა.

ადგილებიდან წამოგვარდით და გოცებულნი, ერთ წუთს უსიტყვოდ შეეცქეროდით დაღუპული გემის ამ შთამაგონებელ ნამუსრევს, სადღაც შორს, ცხოვრების უკიდევანო ზღვაში ავარდნილმა ქარიშხალმა ჩვენთან რომ შემოაგდო. პოლმსმა სწრაფად დაუდო თავქვეშ ბალიში, მე კი პირთან სასმისით კონიაკი მივუტანე. უცნობის სახე ღრმანაოჭებს დაეღარა. დასიებულ თვალებში მოლურჯო ჩრდილები ჩასდგომოდა.

ოდნავ ღია პირის კიდეები ნაღვლიანად დაეშვა დაბლა. დაბაბიან ნიკაპზე ჯაგარი წამოზრდოდა. ჩანდა, შორიდან იყო მოსული, რადგან გაჭუჭყიანებული საყელო და პერანგი მოუჩანდა, დაუვარცხნელი თმა კი ღამაზ შუბლზე ბლუჯა-ბლუჯა ეყარა. ჩვენს წინ იწვა ადამიანი, რომელსაც თავზე რაღაც დიდი უბედურება დასტეხოდა.

— რა სჭირს, უოტსონ? — მკითხა პოლმსმა.

— ალბათ შიმშილისა და დაღლილობისაგან ქანცი აქვს გაწყვეტილი, — ვუპასუხე და ხელი არ მომიცილებია სტუმრის მაჯისათვის, რომელიც ოდნავ უცემდა.

— უკან დასაბრუნებელი ბილეთი მეკლტონამდე. ეს ჩრდილოეთ ინგლისშია, — თქვა პოლმსმა და მოსულის საათის ჯიბიდან რკინიგზის ბილეთი ამოიღო, — ახლა თორმეტიც არაა. ჩანს, აღრე მოუხდა გამოსვლა!

ჩვენს სტუმარს წამოსივებული ქუთუთოები შეუთრთოლდა, და ნაცრისფერი თვალები უაზროდ მოგვაშტერა. წუთიც და სირცხვილისაგან ერთიანად გაწითლებული ფეხზე დიდი გაჭირვებით წამოდგა.

— მომიტევეთ, მისტერ პოლმს. ეს გულწასვლა, ნერვიული ძრწოლის შედეგია. არა, გამაღლობთ... ჭიქა რძე, ორც-

ხოზილა და ყველაფერი გაივლის. მისტერ ჰოლმს, აქ იმისათვის ჩამოვედი, რომ თან წაგიყვანოთ. ჩემი ჩამოსვლის გარდა, ალბათ ვერავითარი დეპეშა ვერ დაგარწმუნებდათ რომ ის, რისი გული-სთვისაც მე გეახელით, გადაუდებელი საქმე გახლავთ.

— როცა საბოლოოდ მომჯობინდებით...

— თავს ჩინებულად ვგრძნობ. პირდაპირ არ ვიცი, ეს რა შემემთხვა. მისტერ ჰოლმს, დაბეჯითებით გთხოვთ, პირველივე მატარებლით წამოზრძანდეთ მეკლტონში.

ჰოლმსმა თავი გადააქნია:

— ჩემი კოლეგა, ექიმი უოტსონი დაგიდასტურებთ, რომ ჩვენ ახლა თავის მოსაფხანადაც არ გვცალია. ფერერის დოკუმენტების დაკარგვის გამო დაწყებული ძიებისათვის ავანსი უკვე მივიღე; ამას გარდა, ამ დღეებში დანიშნულია აბერპავენში მომხდარი მკვლელობის საქმის გარჩევა. ლონდონიდან გასვლა მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებამ შეიძლება მაიძულოს.

— განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებამ! — ჩვენმა სტუმარმა ხელები ალაპყრო, — ნუთუ ჰერცოგ ჰოლდერნესის ერთადერთი შვილის გატაცების ამბავი არ გსმენიათ?

— ჰერცოგ ჰოლდერნესის? ყოფილი მინისტრის?

— დიახ, დიახ! ყველაფერი ვიღონეთ, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო და გაზეთებში არ გამოქვეყნებინათ, მაგრამ გუშინდელ „გლობუსში“ უკვე გაივლეს რაღაც ხმებმა. მეგონა, ეს ხმები თქვენამდეც მოაღწევდა.

ჰოლმსმა თავისი გრძელი, გამხდარი ხელი ასწია და თაროდან გადმოიღო ენციკლოპედიური ცნობარი ასო „ჰაე“-ზე.

— „ჰოლდერნესი, მეთქვამს ჰერცოგი, ლეკვერთხის ორდენის კავალერი, საიდუმლო მრჩეველი და საბჭოს წევრი... „ბარონი ბოვერლი, ჰერცოგი კარლსტონი... „ღმერთო ჩემო, რამდენი ტიტულია“. ჰელემშირის საგრაფოს სასა-

მართლოს თავმჯდომარე (1900 წლიდან). დაქორწინებულია ედიტზე, სერ ჩარლზ ებლდორის ქალიშვილზე (1888). ლორდ სოლტაირის ერთადერთი შვილი და მემკვიდრე. ორას ორმოცდაათი ათასი აკრი მიწის მფლობელი. ლანკაშირისა და უელსის მადაროების მებატრონი. მისამართი: კარლტონ-ჰაუს-ტერასი.

ჰოლდერნეს-ჰოლი, ჰელემშირი; ციხე-დარბაზი კარლსტონი, ბანგორი, უელსი. საადმირალოს ლორდი (1872), სახელმწიფო მდივანი... „მოკლედ, ინგლისის ერთ-ერთი მესვეურთაგანი და გგონებ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უფრო სახელგანთქმული კაცი ეგ ყოფილა“.

— ყველაზე უფრო ცნობილი და, შესაძლოა, ყველაზე უფრო მდიდარიც. რამდენადაც ვიცი, მისტერ ჰოლმს, თქვენ ძიების საქმეს ანგარების მიზნით არ ემსახურებით, მაგრამ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ მისი ბრწყინვალეობა ხუთი ათას გირვანქის ჩეკს ჰპირდება მას, ვინც შვილის ადგილსამყოფელს უჩვენებს და დამატებით ათას გირვანქას, თუ გამტაცებელს ან გამტაცებლებს დაუსახელებენ.

— მართლაც, უხვი, თავადური გასამრჯელოა, — თქვა ჰოლმსმა, — უოტსონ, მგონი ჩრდილოეთ ინგლისში გავემგზავრებით დოქტორ ჰაკსტივლთან ერთად. თქვენ კი, დოქტორო, ჯერ რძე და ნამცხვარი მიირთვით, შემდეგ კი დალაგებით მოგვიყვით, რა მოხდა, როდის მოხდა, სად მოხდა, და ბოლოს, რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენ, მეკლტონთან არსებული ინტერნატის დირექტორს, ამ ამბავთან და რატომ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გვატყობინებთ ამ საიდუმლოებით მოცული საქმის ისტორიას. სამი დღის მერე-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამას თქვენი მოუპარსავი წვერი მაფიქრებინებს.

ჩვენმა სტუმარმა ჭიქა რძე დალია თუ არა, ბავშვის გატაცების ამბავს აღელვებით მოჰყვა, მაგრამ არც ერთი წვრილმანი არ გამოუტოვებია. თვალებ-

კონან დოილი

შემთხვევა ინტერნატში

ბი მაშინვე გამოუყოცხლდა. ლოყები გაუღაქლაქდა.

— უნდა გაუწყოთ, ჯენტლმენებო, რომ მე გახლავართ მეკლტონის სკოლა-ინტერნატის დამაარსებელი და დირექტორი. პაკსტიბლის „ჰორაციუსის კომენტარები“ ალბათ მოგაგონებენ, ვისთანა გაქვთ საქმე. ჩემი საბავშვო ინტერნატი უეჭველად საუკეთესო და ყველაზე უფრო პრივილეგიური სასწავლო დაწესებულებაა მთელს ინგლისში. ლორდი ლევერსტოუკი, გრაფი ბლეკუოტერი, სერ კეტკარტ სოუმსი—აი, ვინ მანდობს ყმაწვილებს. მაგრამ დიდების მწვერვალს ჩემმა სკოლამ მიაღწია სამი კვირის წინ, როცა ლორდმა პოლდერნესმა თავისი მდივნის, მისტერ ჯეიმს უაილდერის პირით შემომითვალა, რომ ათი წლის ლორდი სოლტაირი, მისი ერთადერთი შვილი და მემკვიდრე, ჩემს ინტერნატში ისწავლიდა. განა შემეძლო მეფიქრა მაშინ: აი პრელუდია, რომელსაც ჩემი სიცოცხლის ყველაზე დიდი უბედურება მოჰყვება-მეთქი?

ლორდი სოლტაირი პირველ მაისს, ზაფხულის სემესტრის დასაწყისში ჩამოვიდა. ეს მომჯადოებელი ყმაწვილი ძალიან მოკლე ხანში შეეთვისა ჩვენს წესებს. უნდა შევნიშნო, და იმედი მაქვს, ვერავინ დამწამებს, თავმდაბალი არააო, თუმცა ამაზე დადუმება სისულელე იქნებოდა — ბავშვს ჩამწარებული ჰქონია შინ ყოფნა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჰერცოგის ოჯახური ცხოვრება სიამტკბილობით აღსავსე არ გახლდათ. ცოლ-ქმარი თავიანთი სურვილის თანახმად დაშორდა ერთმანეთს და სოლტაირის მეუღლე სამხრეთ საფრანგეთში დასახლდა. ყოველივე ეს ამ ცოტა ხნის წინ მოხდა. ბავშვის თანაგრძნობა, როგორც გავიგეთ, მთლიანად დედის მხარეზე ყოფილა. პოლდერნეს-პოლიდან მშობელი დედის წასვლის შემდეგ, პატარა ლორდმა თურმე ¹ლოიერ მოიწყინა და მაშინ ჰერცოგს გადაუწ-

ყვეტია შვილი აღსაზრდელად ჩემს ინტერნატში მოეყვანა. ორ კვირაში ლორდი სოლტაირი სრულიად მოგვეჩვევია და ყველაფრით ჩანდა, რომ თავს ჩინებულად გრძნობდა.

უკანასკნელად ყმაწვილი ცამეტ მაისს, საღამოს, ესე იგი, ორშაბათს ნახეს. მისთვის მიჩენილი ოთახი მეორე სართულზე გახლდათ, ხოლო დიდი მეზობელ ოთახში ორი სხვა ბავშვი იწვა. იმ ორ ბიჭს, იმ დამეს არც არაფერი უნახავს და არც გაუგონია. მაშასადამე, ლორდი სოლტაირი გარეთ თავისი ოთახის კარიდან არ გასულა. ფანჯარა ღია დაგვხვდა. კედელს კი სწორედ სარკმელთან მეტად მსხვილტოტებიანი სურათი ფარავს. ვერავითარი კვალი მიწაზე ვერ ვნახეთ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ბავშვი ფანჯრიდან გადაძვრა.

პატარა სოლტაირის გაქცევის ამბავი, სამშაბათს, დილის შვიდ საათზე შეიტყვეს. ლოგინი დაგებულ იყო. წასვლის წინ სასკოლო ფორმის—შავი იტონური¹ ქურთუკისა და რუხი შარვლის ჩაცმა მოესწრო. ღამით მასთან ოთახში არავინ შესულა, ხოლო იქიდან რომ ყვირილი ან ჭიდილის ხმა გამოსულიყო, კონტერი, მეზობელ ოთახში მყოფი უფროსი ბიჭი, აუცილებლად გაიგონებდა, რადგანაც ფხიზელი ძილი იცის.

როგორც კი ლორდ სოლტაირის დაკარგვა გამოაშკარავდა, მთელი ინტერნატი — ბავშვები, მასწავლებლები, მსახურები ფეხზე დაეყენე. მაშინვე დავრწმუნდით, რომ ლორდი სოლტაირი მარტო არ გაქცეულა. არც ჰაიდგერი ჩანდა — გერმანულის მასწავლებელი. ჰაიდგერის ოთახი მეორე სართულის მოპირდაპირე მხარეს იყო, მაგრამ მისი ოთახის ფანჯრებიც კორდისაკენ გადიოდა. არც იმისი ლოგინი იყო ალაგებულნი, მაგრამ წესიერად ჩაცმა მასწავლებელს, ეტყობა, ვერ მოუხერხდა, რადგანაც მისი პერანგი და წინდები იატაკზე ეყარა. ჩანდა, ფანჯარაში გადაძვრალიყო და სუროს ჩაპყლოდა ძირს, რაზედაც დაბლა დარჩენილი კვალი მეტყველებდა. მისი ველოსიპედი, რომელსაც ჩვეულებრივ კორდის ბოლოს

¹ იტონი (Eaton) — პატარა ქალაქია ბუკინჰამის საგრაფოში, განთქმული იტონ — კოლეჯით, ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებლით.

პატარა ფარდულში ინახავდა, ადგილზე არ აღმოჩნდა.

ჰაიდგერი, ჩემთან, სკოლაში მასწავლებლად ორი წლის წინათ დადგა. საუკეთესო რეკომენდაციებით აღჭურვილი მეახლა, მაგრამ მდღეობს, პირქუში კაცი იყო და განსაკუთრებული სიყვარული ვერც მოსწავლეთა, ვერც მასწავლებელთა შორის ვერ მოიპოვა.

დღეს ხუთშაბათია და ლტოლვილზე სამშაბათის შემდეგ ახალი არაფერი გაგვივია. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი იყო ჰოლდერნეს-ჰოლთან დაკავშირება. ჰერცოგის მამული სულ რამდენსამე მიღზეა სკოლიდან, და იმედი გვქონდა, რომ ლორდ სოლტაირს ალბათ სახლი მოენატრებოდა და იქ წავიდოდა, მაგრამ იგი ჰერცოგის სასახლეში არ აღმოჩნდა. მამა ძლიერ ადევნებულა, ხოლო, რაც შემეხება მე, თვითონვე შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, სადამდე მიჰყავს ადამიანი წუხილსა და თავისი აღსაზრდელისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას. მისტერ ჰოლმს, გვედრებით, ნუ დაიშურებთ თქვენს ძალ-ღონეს! ეს საქმე იმსახურებს იმას, რომ სულით და გულით მოეკიდოთ.

შერლოკ ჰოლმსმა ყურადღებით მოისმინა უბედური დირექტორის მოთხრობა. მოღუშული წარბები და შუბლის ღრმა ნაოჭი მოწმობდა, რომ ჰოლმსი არ საჭიროებდა დაყოლიებას და ყოველ ღონეს იხმარდა იმ საქმის საძიებლად, რომელიც თავისი სერიოზულობის გარდა, უჩვეულო და დახლართული საქმეებისადმი თანდაყოლილ სიყვარულს უღვიძებდა. ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და თავისთვის რაღაც ჩაიწერა.

— თქვენ დიდი შეცდომა ჩაიდინეთ, რომ მაშინვე არ მომმართეთ, — მკაცრად თქვა ჩემმა მეგობარმა. — ეს ძალიან გაართულებს ძიებას. დარწმუნებული ვარ, რომ კორდი და კედელზე დახვეული სურო ბევრ რამეს ეტყოდნენ გამოცდილ თვალს.

— მე არაფერ შუაში ვარ, მისტერ ჰოლმს. მისი ბრწყინვალეობა ყოველი ღონისძიებით ერიდებოდა გახმაურებას.

ემინოდა, რომ მისი ოჯახური არეულობა ჰორებისა და მიტქმა-მოტქმის ნადავლად იქცეოდა. ეს ყოველთვის უმღვრევედა.

— ადგილობრივ ხელისუფალთ ხომ არ უძებნიათ ლორდი სოლტაირი?

— დიახ, სერ, მაგრამ — ვაგლახ! — არაფერი გამოვიდა. პირველად თითქოს მივაგენით გაქცეულთა კვალს, შეგვატყობინეს, რომ იმ დღით ჩვენი სადგურიდან მატარებლით ახალგაზრდა კაცი ბიჭთან ერთად გაემგზავრაო. მაგრამ გუშინ საღამოს ისინი ლივერპულში დააკავეს და შეცდომა მაშინვე გამოაშკარავდა. აი, მაშინ კი სრულიად დაგეკარგე იმედი და უძილო ღამის შემდეგ პირველივე მატარებლით თქვენკენ გამოვეშურე.

— როგორც კი პოლიცია მცდარ გზას დაადგა, ადგილზე ძიება უკვე ალბათ არც ისე გულმოდგინედ წარიმართა?

— უბრალოდ, შეწყდა.

— მაშასადამე, სამი დღე დაიკარგა. ეს აღმაშფოთებელია!

— დიახ, ვნანობ. მართალი ბრძანდებით.

— მერე გამოცანის ამოხსნა როგორ იოლად შეიძლებოდა. სიამოვნებით მოგიკიდებ ხელს ამ საქმეს. მითხარით, ხომ არ დაამყარეთ რაიმე კავშირი დაკარგულ მასწავლებელსა და ყმაწვილს შორის?

— მათ შორის არავითარი კავშირი არ ყოფილა.

— ჰაიდგერი მის კლასშიც ასწავლიდა გერმანულ ენას?

— არა, და რამდენადაც ვიცი, ერთხელაც არ დალაპარაკებია.

— უცნაურია, ძალზე უცნაური! ბავშვს ჰქონდა ველოსიპედი?

— არა.

— ყველა სხვა ველოსიპედი ადგილზეა?

— ადგილზეა.

— ამაში დარწმუნებული ხართ?

— დარწმუნებული ვახლავართ.

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

— არა მგონია იმას ფიქრობდეთ, რომ მასწავლებელმა წყვილად ღამეში ყმაწვილი ხელში აიყვანა, ველოსიპედზე დაისვა და ისე გაემგზავრა.

— რა თქმა უნდა, არა.

— მაშ, რანაირად ხსნით ყოველივე ამას?

— შესაძლოა, ველოსიპედი აიღეს თვალის ასახვევად, სადმე მიმალეს და თვითონ ფეხით წავიდნენ.

— შესაძლებელია, მაგრამ იმედია დამეთანხმებით, რომ ეს თვალის ასახვევად უცნაური ხერხი იქნებოდა. ფარულში ხომ სხვა ველოსიპედებიც იყო?

— დიახ.

— განა უკეთესი არ იქნებოდა ორი ველოსიპედი გადაემაღათ, თუ ისტრუვებდნენ ისეთი წარმოდგენის შექმნას, რომ ფეხით წავიდნენ და არა ველოსიპედით?

— დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით.

— საქმეც ეს არის. არა, ეს ვერსია არაფრად არ ვარგა. მაგრამ თავისთავად ველოსიპედის დაკარგვა შეიძლება შემდგომი ძიების ამოსავალ წერტილად გამოგვადგეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ისეთი ნივთი არაა, რომ მისი დამალვა ან მოსპობა იოლად შეიძლოს. კიდევ ერთი კითხვა: ვინმემ ხომ არ ინახულა ბავშვი გაქცევის წინ?

— არავინ.

— იქნებ წერილები მოვიდა მის სახელზე?

— დიახ, იყო ერთი წერილი.

— ვისგან?

— მამამისისაგან.

— თქვენი მოწაფეების ფოსტას ხომ არ ხსნით?

— არა.

— მაშ, რატომ ფიქრობთ, რომ წერილი მამამ გამოუგზავნა?

— კონვერტი ღერბიანი გახლდათ, მისამართი კი — ჰერცოგის მოუხეშავი ხელით იყო დაწერილი. გარდა ამისა, ჰერცოგმა თვითონაც გაიხსენა, წერილი მივწერო შეილს.

— მანამდე როდის მიიღო ბავშვმა წერილები?

— უკანასკნელ დღეებში მის სახელზე არაფერი მოსულა.

— საფრანგეთიდან თუ სწორდნენ?

— არა.

— თქვენ, ცხადია, ხვდებით, რასაც ვფიქრობ. ლორდი სოლტაირი ან ძალით წაიყვანეს, ან საკუთარი სურვილით გაიქცა. უკანასკნელი ჰიპოთეზა გეკარნახობს, რომ ყმაწვილი ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა, თუ გარედან არ მოახდენდნენ ზეგავლენას. რაკი მასთან არავინ მოსულა, მაშასადამე, ეს ზეგავლენა წერილების საშუალებით მომხდარა. აი, რატომ მიმაჩნია მნიშვნელოვნად იმის ცოდნა, თუ ვინ იყო მისი ფოსტალიონი.

— მექმევა, რომ ამ საქმეში რაიმე დახმარება შეეძლო. რამდენადაც ცნობილია, ბავშვს მხოლოდ მამა სწერდა.

— და მამის წერილი მიიღო გაქცევის დღეს. როგორი დამოკიდებულება იყო მამა-შვილს შორის: კარგი, მეგობრული?

— მისი ბრწყინვალეობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებითაა გადატვირთული და თავისი მეგობრობის ღირსადაც არავინ მიაჩნია. მის გულს ჩვეულებრივი ადამიანური გრძობა აგრე იოლად ვერ შეატოკებს. მაგრამ თავისებურად ყმაწვილს ცუდად არ ექცეოდა.

— მაინც როგორ შეატყვევთ, ყმაწვილი მთლიანად დედის მხარეზე იყო?

— დიახ.

— თვითონ ამბობდა ასე?

— არა.

— მაშ, ვინ? ჰერცოგი?

— არა, რასა ბრძანებთ! რა თქმა უნდა, არა!

— მაშ, ეს საიდან იცით?

— ხშირად მიხდებოდა მისი ბრწყინვალეობის მდივანთან, მისტერ ჯეიმს უაილდერთან საუბარი. მანვე გამანდო საიდუმლოდ ლორდ სოლტაირის განწყობილება.

— გასაგებია. ჰო, მართლა, ჰერცოგის უკანასკნელი წერილი ბავშვის გაქცევის შემდეგ იპოვნეთ ოთახში?

— არა, თან წაელო... მისტერ პოლმს, ხომ არ ვაგვიანებთ ვაგზალზე წასვლას?

— ახლავე ვუბრძანებ კები მოგვეგვარონ. თხუთმეტი წუთის შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნებით. თუ შინ დეპეშის გაგზავნა გნებავთ, მისტერ პაკსტივლ, ეცადეთ იქ, თქვენსას, ისე იფიქრონ, რომ ძიება ჯერ კიდევ ლივერპულში მიმდინარეობს. თქვენი მადებრების ხროვა ხომ იქით გაფრინდა? მე კი ამასობაში დამშვიდებული, დაუბრკოლებლად ვიმუშავებ ზედ თქვენი სკოლის კართან და იქნებ ალღოშ არ უმტყუნოს ორ ისეთ ნაცად მეძებარს, როგორც არიან თქვენი მორჩილი მსახური და უოტსონი. იქნებ ყნოსვამ არ გვიღალატოს და ადვილზე კვალის მიგნება მოვახერხოთ.

სალამოს დერბის საგრაფოს ცივმა პაერმა გაგვაგრილა. ჩვენს წინ დოქტორ პაკსტივლის სახელგანთქმული ინტერნატი აღმართულიყო. როცა პაკსტივლის სკოლის კარიბჭეს მივადწიეთ, უკვე ბნელოდა. წინკარში მაგიდაზე დაგვხვდა სადარბაზო ბარათი. ლაქიამ რაღაც ჩაუჩურჩულა დირექტორს და ისიც ადევლებული მოგვიბრუნდა.

— ჰერცოგი აქ არის, — თქვა პაკსტივლმა, — ჰერცოგი და მისტერ უაილდერი კაბინეტში მიცდიან. წამობრძანდით, ჯენტლმენებო, თქვენს თავს წარვუდგენ.

მე, რა თქმა უნდა, ფოტოსურათებიდან ვიცნობდი ამ უაღრესად ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, მაგრამ იგი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც სურათებზე იყო. ბუხრის წინ ხალიჩაზე იდგა მოხდენილად ჩაცმული, დიდებული გარეგნობის კაცი. მოგრძო, გამხდარი სახე ჰქონდა და რაღაც უაზროდ წამოშვერილი გრძელი, მოკაუჭებული ცხვირი. სახეზე მკვდრის ფერი ედო და ამ სიფერმკრთალეს კიდევ უფრო აძლიერებდა გრძელი, ღიაწითელი წვერი, რომლის მიღმაც თეთრ ჟილეტზე საათის ოქროს ძეწკვი ციმციმებდა. ყოფილი მინისტრი დაჟინებით შემოგვცქეროდა. გვერდით ჯერაც სრულიად ახალგაზრდა, ტანმომცრო, მოძრავი,

ნერვიული შესახედაობისა და ჰკერძანი გამომეტყველების ცისფერთვალემა ცხერ იდგა. როგორც მივხვდი, ის მისი მორჩილი მდივანი, უაილდერი იყო. ლაპარაკი მან წამოიწყო. დაიწყო დაუყოვნებლივ უაღრესად გადამწყვეტი და მკვეთრი ხმითაც კი:

— დოქტორ პაკსტივლ, მე ვიყავი დღეს დილით თქვენსას, მაგრამ, სამწუხაროდ, დავაგვიანე და ვერ შევძელე ხელი შემეშალა თქვენთვის ლონდონს გამგზავრებაში. როგორც მითხრეს, მისტერ შერლოკ პოლმსის ჩამოსაყვანად და მისთვის ამ საქმის გამოკვლევის დასავალებლად გამგზავრებულხართ, დოქტორო პაკსტივლ. მისი ბრწყინვალეობა გაცეხულია, რომ წინასწარ მასთან მოუთათბირებლად გაბედეთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

— როცა ვაგიგე, რომ პოლიციის ძიებაშ შედეგი არ გამოიღო...

— მისი ბრწყინვალეობა სულაც არ არის ამაში დარწმუნებული.

— მაგრამ მისტერ უაილდერი!..

— როგორც თქვენთვის ცნობილია, დოქტორო პაკსტივლ, მის ბრწყინვალეობას არ სურს, რომ ეს საქმე გახმაურდეს. უმჯობესად მიიჩნევდა, არ გაგენდოთ უცხო ხალხისათვის.

— ამისი გამოსწორება ადვილია, — წაილულულა შეშინებულმა დოქტორმა, — მისტერ შერლოკ პოლმსს შეუძლია დილის მატარებლით დაბრუნდეს ლონდონში.

— არ ვაპირებ, დოქტორო, არ ვაპირებ! — თავაზიანი ღიმილით თქვა პოლმსმა. — ჩრდილოეთის პაერი ისე სასიამოვნოა და ისე კეთილისმყოფელი ჯანმრთელობისათვის, რომ გადავწყვიტე აქ, დაბლობში გავატარო რამდენიმე დღე. გავერთობი ისე, როგორც მოვახერხებ. რაც შეეხება თავშესაფარს, თქვენს ჰერჯემ ვიქნები, თუ სოფლის სასტუმროში, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული.

უბედური დოქტორი სრულიად დაიბნა, მაგრამ სწორედ მაშინ წამოეშვე-

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

ლა ქერათმიანი ჰერცოგის ბოხი ხმა, სადილზე მიმხობი გონგის ხმასავით რომ გაისმა.

— დოქტორი უაილდერი მართალია, დოქტორო პაკსტიბლ, ჩემთან მოთათბირება გმართებდათ, მაგრამ რაკი მისტერ შერლოკ ჰოლმსს ეს საქმე გაანდეთ, ჩვენის მხრით უგუნურება იქნებოდა მის სამსახურზე უარის თქმა. სოფლის სასტუმროში რა გაქვთ წასასვლელი, მისტერ ჰოლმს? მოხარული ვიქნები თქვენი სტუმრობისა პოლდერნეს-პოლში.

— უაღრესად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგრამ თქვენი საქმის ინტერესებისათვის, აქ, შემთხვევის ადგილზე თუ დავრჩები, აჯობებს.

— არ შემიძლია ძალა დაგატანოთ, მისტერ ჰოლმს, მაგრამ თუ რაიმე ცნობები დაგჭირდებათ ჩემგან ან მისტერ უაილდერისაგან, ორივენი მზად ვართ გემსახუროთ.

— ალბათ მომიხდება პოლდერნეს-პოლში ჩამოსვლა, — თქვა ჰოლმსმა, — ახლა კი, სერ, მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, როგორ ხსნით თქვენი შვილის ეგზომ იდუმალ გაუჩინარებას.

— მიმძიმს პასუხის გაცემა, სერ.

— მაპატიეთ, თუ თქვენთვის არასასიამოვნო თემას შევხებები, მაგრამ უამისოდ არ შეიძლება. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქმეში ჩარეულია ჰერცოგის მეუღლე?

მინისტრი პასუხს აგვიანებდა.

— არა, არ მგონია, — თქვა ბოლოს.

— მაშინ თავისთავად იჩენს თავს მეორე ახსნა: იქნებ ყმაწვილი გაიტაცეს იმ მიზნით, რომ გამოსასყიდი მიიღონ? ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა?

— არა, სერ.

— კიდევ ერთი კითხვა, თქვენო ბრწყინვალეზავ: გავიგე, შვილისათვის წერილი მისი გაუჩინარების დღეს მიგიწერიათ.

— არა, წინა დღეს.

— სავსებით სწორია. მაგრამ წერილი იმავე დღეს მიიღო?

— დიახ.

— ხომ არაფერი იყო იმ წერილში

ისეთი, რომ აელეღებიანა ბავშვი და ჩაენერგა მისთვის გაქცევის აზრი?

— რა თქმა უნდა, არა, სერ, ^{განსაკუთრებით} წერილი თვითონ გავზავნეთ?

ჰერცოგის ნაცვლად გაჯავრებულმა მდივანმა მიუგო:

— მის ბრწყინვალეზავს ჩვეულებად არა აქვს პირადად გზავნოს თავისი კორესპონდენციები. ეს წერილი სხვებთან ერთად იქნა დატოვებული მაგიდაზე დამე ჩავდე საფოსტო ჩანთაში.

— დარწმუნებული ხართ, რომ სხვა წერილებთან ისიც იყო?

— დიახ, დავინახე.

— რამდენი წერილი დაწერეთ იმ დღეს, თქვენო ბრწყინვალეზავ?

— ოცი თუ ოცდაათი. დიდი მიმოწერა მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ საქმის არსიდან გადავუხვიეთ.

— არა, რატომ! — თქვა ჰოლმსმა.

— თვითონვე ვურჩიე პოლიციას ძიება სამხრეთ საფრანგეთში წარემართა, — განაგრძო ჰერცოგმა, — ვიმეორებ: არა მგონია, ჰერცოგის ქალს უნარი შესწევდეს შვილი ასეთი საშინელი ნაბიჯის გადასადგმელად წააქეზოს, მაგრამ თვითონ ბავშვი ისეთი ჯიუტია, შეიძლება დედასთან გაქცეულიყო, მით უფრო თუ ამას იმ გერმანელის მხრივ შეგულიანება და თანამოქმედება დაემატა. ახლა კი, დოქტორო პაკსტიბლ, ნება მომეცით, გამოგემშვიდობოთ.

გვრძნობდი, ჰოლმსს კიდევ რამდენიმე კითხვა ჰქონდა, მაგრამ ჰერცოგმა უცებ შეწყვიტა საუბარი. ჰერცოგს დახვეწილი არისტოკრატიზმი არ აძლევდა ნებას დაწვრილებით გაენდო ოჯახური საკითხები უცხო კაცისათვის და, ეტყობოდა, ეშინოდა, რომ ყოველი ახალი კითხვა უწყალო შუქს მოჰფენდა მისი ცხოვრების ასე გულმოდგინედ ჩაბნელებულ კუნჭულებს.

ჰერცოგისა და მისტერ უაილდერის წასვლის შემდეგ ჰოლმსი მაშინვე მისთვის ჩვეული თავგამოდებით შეუდგა საქმეს.

ბავშვის ოთახის გულდასმით დათვალიერებამ ახალი არაფერი მოგვცა გარდა იმისა, რომ საბოლოოდ დავრწმუნ-

დით: გაქცევა პატარა სოლტაირს მხოლოდ ფანჯრიდან შეეძლო. გერმანელი მასწავლებლის ოთახშიც შევიხედეთ. არავითარი სამხილი არ აღმოჩნდა. ფანჯრის ქვემოთ სუროს მისი სიმძიმისათვის ვერ გაეძლო და ფარნით განათებულ კორდზე ვნახეთ ქუსლების ღრმა კვალი — აი, ერთადერთი რამ, რაც იმ ღამის ამოუხსნელ გაქცევას მოწმობდა.

შერლოკ ჰოლმსი წავიდა, მარტო დამტოვა და მხოლოდ ღამის თორმეტ საათზე დაბრუნდა. სადღაც აქაური მიდამოების რუკა ეშოვნა, ჩემს ლოგინზე გაშალა ოთახში და შუა ადგილას ღამ-პა დადგა. შემდეგ მოსწია და გულდასმით დაუწყო ცქერა თავის გამოგონებას. დროგამოშვებით კი მისთვის საინტერესო ადგილებს ჩიბუხის ქარვის ტარით მიჩვენებდა.

— ეს საქმე სულ უფრო და უფრო მიზიდავს, უოტსონ, — ამბობდა ჩემი მეგობარი, — საინტერესო საქმეა, ძალიან საინტერესო... მაგრამ ახლა, როცა მხოლოდ ვიწყებ ძიებას, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ზოგიერთ გეოგრაფიულ დეტალს, რომელთაც შეიძლება არცთუ მცირე მნიშვნელობა ექნეთ ძიების მსვლელობაში. შეხედეთ ამ რუკას. აი, ეს შტრიხიანი კვადრანტი — სკოლაა. აქ ქინძისთავი დაგარჯობთ. ესეც გზატკეცილი. იგი სკოლას ჩაუფლის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და განშტოება მთელი მილის მანძილზე ორთავე მხარეს არსად არა აქვს. გაქცეულები შარავას უნდა მიჰყოლოდნენ, სხვა გზა არც ჰქონდათ.

— მართალია.

— გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის წყალობით, შეგვიძლია შევამოწმოთ, რა ხდებოდა იმ ღამეს ამ გზატკეცილზე. აი, ამ ადგილას, სადაც ახლა ჩემი ჩიბუხია, თორმეტიდან დილა-მდე პოლისმენი მორიგეობდა. როგორც ხედავთ, ესაა პირველი ჯვარედინი გზატკეცილის აღმოსავლეთ მხარეზე. პოლისმენი წამითაც არ მოსცილებია თავის პოსტს და ამტკიცებს, რომ აუცილებლად შენიშნავდა მოზრდილ მამაკაცს, რომელსაც ყმაწვილი ახლდა, იქ


რომ გაეგლოთ. დღეს საღამოს ველსა-რაკე და ვგონებ შეიძლება მის სიტყვებს ვენდოთ. მაშასადამე, ^{ზაქარაფი} ^{გენა-შეიქვე} ლის ეს ნაწილი გამორიცხულია. ახლა ვნახოთ, როგორ არის საქმე მის დასავლეთ ნაწილში. იქ არის სასტუმრო „წითელი ხარი“, რომლის დიასახლისი ავადაა და წევს. მეკლტონში ექიმის დასაძახებლად კაცი უფერენიათ, მაგრამ ექიმი სხვაგან ყოფილა და ავადმყოფთან მხოლოდ ადრე დილით მისულა. ექიმის მოლოდინში სასტუმროში მთელი ღამე არავის სძინებია. თურმე წამდაუწყებლად იხედებოდნენ გზატკეცილისაკენ, ხომ არ მოდისო. იმ ხალხის თქმით, სასტუმროსთან არავის ჩაუფლია. თუ იმით დაფუჯერებთ, არც გზატკეცილის დასავლეთი ნაწილი ტოვებს რაიმე ეჭვს. მაშასადამე, ლტოლვილებს რაღაც სხვა გზა აურჩევიათ.

— მერე, ველოსიპედი? — ვკითხვ პოლმსს.

— დიახ, ველოსიპედი. ახლა იმაზე გადავალთ. ამრიგად, განვაგრძობ ჩვენი მსჯელობა. თუ გაქცეულები გზატკეცილზე არ გასულან, მაშასადამე, ან ჩრდილოეთისაკენ წავიდოდნენ, ან სამხრეთისაკენ, ეს უდავოა. მოდი, ავწონდავწონოთ ორივე ეს ვარაუდი. სკოლის სამხრეთით ძვეს პატარა ნაკვეთებად დანაწევრებული დიდი მინდორი. ყოველი ნაკვეთი მეორისაგან ქვის ზღუდით არის გამოყოფილი. ველოსიპედით იქ გავლა შეუძლებელია. მაშასადამე, ეს ვარაუდიც უნდა უარყუოთ. ახლა ჩრდილოეთის დავაკვირდეთ. იქ ჭალაა, სახელად „მრუდე სოლი“. მის იქით კი, ათ მილზე, გადაჭიმულია ჭაობიანი ველი, რომლის ჩრდილოეთ მხარეს ბორცვები და გორაკები გვხვდება. მის მარცხნივ პოლდერნეს-პოლია საღამდეც, თუ გზატკეცილით ვივლით, ათი მილი იქნება, ხოლო პირდაპირი გზით ექვსი მილიც არ უნდა იყოს. ეს ველი პირქუში და უკაცურია. ზედ მესაქონლეობის რამდენიმე პატარა ფერმა გაფანტულა,

კონან დოილი

შემთხვევა ინტერნატში



ცხვრები, ძროხები და ჭაობის ფრინველი — აი, ამ მიდამოების ბინადარნი. შემდგომ, როგორც თვითონვე ხედავთ, გადის ჩესტერფილდის გზატკეცილი. მის გასწვრივ დგანან კოტეჯი, ეკლესია და სასტუმრო. უკან — ბორცვებია, მაღალი და დახრამული. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ძიება ჩრდილოეთისაკენ უნდა ვაწარმოოთ.

— მაგრამ ველოსიპედი! — გავიმეორე ჩემი მოსაზრება.

— რა შუაშია აქ ველოსიპედი! — მოუთმენლად მიბასუხა ჰოლმსმა. — კარგი ველოსიპედისტები მარტო გზატკეცილებზე როდი დადიან. ველი ბილიკებითაა დასერილი, გარდა ამისა, იმ დამეს მთვარე კარგად ანათებდა... მოიცათ! ეს რა არის?

კარზე შეშფოთების მაუწყებელი კაკუნი გაისმა და ამ ხმას ოთახში მაშინვე შემოჰყვა დოქტორი ჰაკსტიბლი.

ხელში ეჭირა ცისფერი ქული, რომელსაც საჩიხზე თეთრი დანაკერები ჰქონდა.

— ნაპონია! — შესძახა მან. — მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, ჩვენი ყმაწვილის კვალს წავაწყდით! ეს ლორდის კეპია!

— სად იპოვნეთ?

— ბოშათა საზიდარში. მათი ბანაკი ველზე იდგა. სამშაბათს აიშალნენ და გზას გაუდგნენ. დღეს პოლიცია დაესხა თავს და მათი საზიდარების ჩხრეკის შემდეგ, აი, რა იპოვნეს.

— როგორ მოხვდაო ქული ჩვენთანო, რა უთქვამთ?

— თავის დაძვრენა უცდიათ, უცრუენიათ, თითქოს კეპი სამშაბათ დილით ველზე ეპოვოთ. არა, იმ არამზადებმა იციან, სადაა ბავშვი. საბედნიეროდ, ყველანი ჩასვეს. კანონის შიში ენას გაუხსნით ან, იქნება, კანონის შიშმა კი არა, პერცოვის ქისამ აალაპარაკოს ისინი.

— ჰო, რა გაეწყობა, კარგია, — თქვა ჰოლმსმა, როცა დოქტორი ოთახიდან გავიდა. — ყოველ შემთხვევაში, ეს ადასტურებს ჩემს ვარაუდს, რომ მხოლოდ ველზე ძიება მოგვცემს რაიმე შედეგს. პოლიციას არაფერი გაუკეთებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოშების დაბატიმრებას. შეხედეთ რუკას, უოტსონ. ველზე ნაკადული მიედინება. სკოლასა და ჰოლდერნეს-ჰოლს შორის ის ერთ-ორ ადგილას დაჭაობებულია. ამინდი ახლა ისე გვალვინანია, რომ კვალის ძებნა სადმე სხვაგან უსარგებლო საქმეა, ჭაობებში კი შეიძლება აქა-იქ დარჩა ნაკვალევი. ხვალ ადრე შემოვივლით და შევეცადოთ შუქი მოვიღინოთ ამ საიდუმლოებით მოცულ საქმეს.

მეორე დღეს, განთიადის ბინდ-ბუნდში გამეღვიძა და ჩემს ლოგინთან ჰოლმსის მაღალი, გამხდარი ფიგურა შევნიშნე.

— კორდი და ველოსიპედის ფარდული გამოვიკვლიე, — მითხრა მეგობარმა. — შემდეგ მრუდე სოლოში გავისიერნე. ადვილთ, უოტსონ, მეზობელ ოთახში კაკაო გელოდებათ, თანაც გთხოვთ, იჩქაროთ, რადგან დღეს ბევრი დავიდარაბა გველის.

ჩემს მეგობარს სახე ისე წამოგზნებოდა და თვალეზიც იმ ადამიანით უელავდა, რომელსაც გული არ უთმენს, რომ თავის საყვარელ სამუშაოს შეუდგეს. ჩემს წინ უკვე სულ სხვა ადამიანი იდგა — გამოცოცხლებული, ენერგიული, რომელიც სრულიად არ ჰგავდა თავის თავში ჩაკეტილსა და ფერმკრთალ ბეიკერ-სტრიტიელ მეოცნებეს. შევცქეროდი მის ზამბარასავით დაჭიმულ ჯან-ლონით აღსავსე სხეულს და გვრძნობდი, რომ ეს დღე ბევრ დავიდარაბას გვიქადდა.

მაგრამ ჩვენი საქმიანობა მწარე იმედგაცრუებით დაიწყო. სრულიად დაიმედებულნი გავემართეთ მუქ ტორფიან დაბლობისაკენ, რასაც ცხვრების მიერ გაკვალული ბილიკები სერავდა. მალე გავედით ღია მწვანე ფერის დაჭაობიანებულ საძოვარზე, რაც ჩვენსა და ჰოლდერნეს-ჰოლს შორის მდებარეობდა. თუ ბავშვს გეზი შინისაკენ ჰქონდა აღებულნი, მაშინ ამ ადგილს ვერ ასცდებოდა და ჭინჭყობში უთუოდ უნდა დარჩენილიყო მისი, ან გერმანელი მასწავლებლის ფეხის კვალი. მაგრამ ასეთი ვერაფერი ვიპოვეთ. ჩემი მეგობარი ამ მწვანე ველის კიდეს მიჰყვებოდა წარბშეკრული და ყურადღებით აკვირდებოდა ყოველ ბნელ ლაქას ხავსიან ზედაპირზე. უთვალავი ცხვრის კვალი იყო, ხოლო რამდენიმე მილის იქით ძროხის კვალიც ვნახეთ. ეს იყო და ეს.

— აშკარად გვიმტყუნა ბედმა, — თქვა ჰოლმსმა და წინ გადაჭიმულ ველს გაჰხედა, — აი, იქაც არის ჭაობები და მათ შორის ვიწრო გასასვლელია. შეხედეთ! შეხედეთ! ეს რა არის?

შავ, დაკლაკნილ ბილიკზე შევდექით. ბილიკის შიგ შუაგულში, სველ მიწაზე, აშკარად ჩანდა ველოსიპედის ბორბლების კვალი.

— ვაშა! — შევძახე მე. — აი, ველოსიპედის ბორბლების ნაკვალევიც.

მაგრამ ჰოლმსმა თავი გადააქნია და მისი სახის გამომეტყველება იმდენად

კონან დოილი

შემთხვევა ინტერნატში

სიხარულს არ გამოხატავდა, რამდენადაც გაოცებასა და გამახვილებულ ყურადღებას.

— ველოსიპედის ნაკვალევი კია, მაგრამ სხვა ველოსიპედისაა, — მიპასუხა მან. — ჩემთვის ცნობილია ველოსიპედის ორმოცი სხვადასხვანაირი საბურავის ანაბეჭდი. ეს, როგორც ხედავთ, „დანლოპის“ ფირმისაა, ისიც საკერებლიანი. ჰაიდგერის პალმერისა ჰქონდა, გასწვრივი ზოლებიანი. ასე მითხრა მათემატიკის მასწავლებელმა ეველინგმა. მაშასადამე, აქ გაუვლია არა ჰაიდგერის, არამედ ვიღაც სხვას.

— მაშასადამე, ბავშვს?

— რომ შეგვეძლოს იმის დამტკიცება, რომ ბავშვს ველოსიპედი ჰქონდა! მაგრამ გვარწმუნებენ, ველოსიპედი არ ჰქონიაო. ეს კვალი, როგორც თვითონვე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, სკოლასთან იწყება.

— ან სკოლისაკენ მიდის.

— არა, ჩემო ძვირფასო უოტსონ, უკანა ბორბლის კვალი მუდამ უფრო ღრმაა, რადგან მას მეტი სიმძიმე აწევა. აი, ხედავთ? რამდენიმე ადგილას დაემთხვა წინა ბორბლის უფრო მკრთალ კვალს და მოშალა. არა, ველოსიპედისტი უთუოდ სკოლის მხრიდან მოდიოდა. შეიძლება არაფერი საერთო არ ჰქონდეს ჩვენს ძიებასთან, მაგრამ სულერთია, ვიდრე ძიებას განვაგრძობთ, ამ კვალს უნდა გავყვეთ.

ასეც მოვიქციეთ და ორას-სამასი იარდის შემდეგ, იქ, სადაც ბილიკი დაჭაობებული ნაკვეთიდან გვერდზე უხვევდა, ველოსიპედის ბორბლების ნაკვალევი გაქრა. მაგრამ შემდეგ ბილიკს ნაკადული კვეთდა და კვალი ისევ გამოჩნდა, თუმცა ძროხებს მოესწროთ იმ ადგილზე გავლა და გაეთელათ. შემდეგ ბილიკი „მრუდე სოლში“ შეიმალა ჭალაში, რაც თითქმის ზედ სკოლას ეკვროდა. ველოსიპედზე მჯდომი, როგორც ეტყობა, ამ ჭალიდან გამოვიდა. ჰოლმსი კაჭარზე დაჯდა და ნიკაპით ხელზე დაეყრდნო. ვიდრე ასე სრულიად გაუნძრევლად იჯდა, ორი სიგარის მოწევა მოვასწარი.

— შესაძლოა, — თქვა ბოლოს ჩემმა მეგობარმა. — წინდახედულმა ადამიანმა თავის ველოსიპედს საბურავები გამოუცვალოს, რომ მდევარი დააბნოს. საქმის დაჭერა დამნაშავესთან, რომელსაც აქვს ასეთი წინასწარხედვის ნიჭი, ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა. დავტოვოთ ეს საკითხი გადაუჭრელად და დავუბრუნდეთ ჭაობს, რადგან იქ ჯერ კიდევ ყველაფერი გარკვეული არაა.

გულდასმით განვაგრძეთ დაბლობის დაჭაობებული უბნის გასინჯვა და მალე ჩვენი გარჯისათვის ღირსეულად დაჯილდოებულნი აღმოჩნდით. ჰოლმსმა ნახა კიდევ ერთი სველი ბილიკი, მივიდა და სიხარულით შეჰყვირა. პირდაპირ შუაგულში ტელეგრაფის მავთულეზით წვრილი ზოლები მიჰყვებოდა. ეს იყო პალმერის ველოსიპედის საბურავების კვალი.

— აი, რა გზით გამგზავრებულა ჰერ ჰაიდგერი! — აღელვებით ჩაილაპარაკა ჰოლმსმა, — ჩემი დასკვნა არც ისე ურიგო გამოდგა, უოტსონ!

— გილოცავთ წარმატებას.

— მაგრამ ჯერ სადა ვართ. გთხოვთ ბილიკზე არ შედგეთ და დინჯად გავყვეთ ამ ნაკვალევს. ალბათ მალე დაიკარგება.

ველის იმ ნაწილში ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა საფლობი ადგილები და, თუმცა ველოსიპედის კვალი წარამარა გვეკარგებოდა, მუდამ ხელახლა ვპოულობდით ხოლმე.

— ამჩნევთ თუ არა, — თქვა ჰოლმსმა, — რომ აქ ველოსიპედზე მჯდომს პედალზე ფეხი დაუჭერია? ეს სრულიად აშკარაა. შეხედეთ აქ, სადაც დარჩენილია წინა და უკანა ბორბლების კვალი. ორივე ერთნაირად მკაფიოდ ჩანს. ეს კი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ველოსიპედზე მჯდომს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა საჭეზე, როგორც შეჯიბრების დროს იქცევიან ხოლმე. ღმერთო ჩემო, დაცემულა!

ტალახიან ბილიკზე ფართო გრძელი ზოლი გადიოდა. შემდეგ ჩანდა ფეხსაცმელების ანაბეჭდი, რასაც ისევ ველოსიპედის ნაკვალევი ცვლიდა.

— ბორბლები გასრიალებულა? —
კვითხე მეგობარს.

ჰოლმსმა მიწიდან შავთავას მოწყვეტილი ბუჩქი აიღო. ჩემდა შემადრწუნებლად, ყვითელი ყვავილები წითლად იყვნენ დაწინწყლული. ბილიკზე და შავთავას შამბნარში გამხმარი სისხლის მუქი ლაქები შევამჩნიეთ.

— ცუდად არის საქმე! — თქვა ჰოლმსმა. — მთლად ცუდად! აქ ფეხი არ დადგათ, უოტსონ, გაიწიეთ. ამრიგად, რისი წაკითხვა შეიძლება აქ? დაჭრილი დაეცა... წამოდგა... ისევ დაჯდა ველოსიპედზე... გზა განაგრძო. ბილიკზე ჯოგმა გაიარა. ხარმა ხომ არ ურქინა! მაშ, სხვა კვალი აქ არ არის. წინ, უოტსონ! სისხლის ლაქები, ველოსიპედის ბორბლების ანაბეჭდი — აი, ამ კვალის მიხედვით ალბათ ვიპოვნით გაქცეულებს!

ჩვენი ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. ველოსიპედის კვალი ნესტისაგან მზინანვ ბილიკზე მოცახცახე კლაკნული გზით წავიდა. წინ გავიხედე და ანაზღად ჩემს თვალწინ რაღაც ლითონმა გაიღვია. თავშავას შამბიდან პალმერის საბურავებიანი ველოსიპედი გამოვართვი. ერთი პედალი გაღუნული ჰქონდა, საჭე და წინა ბორბალი კი ერთიანად სისხლით მოსვრილი. ცოტა იქით ბალახიდან ფეხსაცმელი იყო ამოჩრილი. იქით გავვარდით და ვნახეთ მიწაზე გაშხლართული, მაღალი, წვეროსანი კაცი, რომლის სათვალეს მარჯვენა მინა გატეხილი ჰქონდა. მისი სიკვდილის მიზეზი გამხდარიყო გამანადგურებელი დარტყმა, რასაც თავის ქალა ორად გაუბო. ასეთი ჭრილობის შემდეგ რომ რამდენიმე მეტრის გავლა კიდევ შესძლო, ეს მის განსაცვიფრებელ სიცოცხლისუნარიანობას და სულიერ ძალას მოწმობდა. ფეხსაცმელი შიშველ ფეხზე ჩაეცვია, ხოლო ფიჯაკის ქვეშ ღამის პერანგი მოუჩანდა. საეჭვო აღარაფერი იყო — ჩვენს წინ ეგდო გერმანელი მასწავლებელი.

ჰოლმსმა ფრთხილად გადააბრუნა გვამი და გასინჯა. შემდეგ დაჯდა და ჩაფიქრდა. ჩემი მეგობრის შეშფოთებული სახეს შევიცქეროდი და ვხვდებო-

დი, რომ ამ საშინელმა ნაპოვნმა მაინცადამაინც წინ ვერაფრით წასწია ძიების საქმე.

— პირდაპირ არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, უოტსონ, — თქვა ბოლოს ჰოლმსმა. — მინდა წინ წავიდეთ. ძიება ისე გაგვიგრძელდა, წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლება. მეორე მხრივ, პოლიციას უნდა შევატყობინოთ. განა შეიძლება აქ ამ საცოდავის გვამის დატოვება?

— ბარათი გამატანეთ.

— ჰო, მაგრამ თქვენი დახმარების გარეშე მუშაობა გამძინდებდა! მოიცათ, აგერ იქ ვიღაც ტორფსა ჭრის. დაუძახეთ იმ კაცს, პოლიცია მოიყვანოს.

მეგობრის თხოვნა სასწრაფოდ შევასრულე. შიშით გონდაკარგულ ფერმერს ჰოლმსმა წერილი გაატანა დოქტორ პასკტივლთან.

— ამრიგად, უოტსონ, — ისევ ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა, — დღეს დილით ორ კვალს მივაგენით. პირველი პალმერის საბურავებიანი ველოსიპედისაა და თქვენ ნახეთ, სად მოგვიყვანა ამ კვალმა. მეორე ნაპოვნი — დანლოპის, ნაკერიანი საბურავების კვალია. ვიდრე ამ მეორე კვალს გავეყვებოდეთ, მოდი, გავარკვიოთ, რა არის ჩვენთვის ცნობილი და გავარჩიოთ არსებითი არა არსებითისაგან... უწინარეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ყმაწვილი თავისი ნებით გაიქცა. ფანჯრიდან გადაძვრა და დაიშალა მარტო ან თანამზრახველთან ერთად. ეს უშუაველია.

დასტურის ნიშნად თავი დაგხარე.

— ასე. ახლა მივხედოთ უბედურ გერმანელს. ბავშვმა მოასწრო ჩაცმა, მაშასადამე, ის ემზადებოდა გასაქცევად. გერმანელი კი, ეტყობა, აჩქარებით იცვამდა და ამიტომ მოუხდა უწინდებოდ გაქცევა.

— უშუაველია.

— რამ აიძულა ფანჯრიდან გადასულიყო? იმან, რომ გაქცეული ყმაწვილი დაინახა. უნდოდა დასწეოდა და დაებ-

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

რუნებინა. იღებს თავის ველოსიპედს, მისდევს ბავშვს და ჭაობებში იღუპება.

— დიახ, თითქოს ასეა.

— ახლა ვეხები ჩემი მსჯელობის ყველაზე უფრო სადავო ნაწილს. პატარა ბავშვს რომ დასწოდა, მოზრდილი მამაკაცი უბრალოდ უნდა დასდევნებოდა. ყმაწვილის დაწევას ხომ დიდი არაფერი უნდა! მაგრამ გერმანელი, რომელიც, დოქტორ პაკსტიგელის თქმით, საუკეთესო ველოსიპედისტი იყო, სხვანაირად მოიქცა — ესე იგი, ფარდულში გაიქცა თავისი ველოსიპედის ასაღებად. აქედან დასკვნა: ნახა, რომ ბავშვმა მოძრაობის უფრო სრულყოფილ საშუალებას მიმართა, ვიდრე საკუთარი ფეხები.

— სხვა სიტყვით, ვილაცის ველოსიპედი აიღო?

— აღვადგინოთ გაქცევის სურათი ბოლომდე. გერმანელი იღუპება სკოლიდან ხუთი მილის დაშორებით — და იღუპება, მიაქციეთ ამას ყურადღება, არა ტყვიით, რაც ბავშვსაც შეეძლო მისთვის დაეხალა, არამედ თავში უწყალო დარტყმისაგან, რაც უთუოდ ღონიერმა მამაკაცმა მიაყენა. მაშასადამე, ყმაწვილს ჰყავდა თანამგზავრი და ორივენი ისე სწრაფად მიჰქროდნენ, რომ კარგი ველოსიპედისტი მხოლოდ მეხუთე მილზე დაეწია. იმ ადგილზე, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა, ჩვენ აღმოვაჩინეთ ძროხის კვალი, მეტი არაფერი. უფრო ფართო წრე შემოვიარე, ორმოცდაათიოდე ნაბიჯის დიამეტრით და გარშემო ვერავითარი ბილიკი ვერ შევნიშნე. მეორე ველოსიპედისტს არაფერი საერთო არ ჰქონია მკვლელობასთან, ადამიანის კვალი კი იქ არ ყოფილა.

— ჰოლმს! — შეეძახე მე, — ეს დაუჯერებელია!

— ყოჩაღ! — მიპასუხა ჰოლმსმა. — დასკვნა ამომწურავია. მოვლენათა მკვლელობის ჩემულ გადმოცემაში არის რაღაც დაუჯერებელი — მაშასადამე, მე შეცდომა დავუშვი. მაგრამ თქვენც თან მახლდით და ყველაფერი თვითონვე ნახეთ. სად ვცდები?

— იქნებ დაცემის დროს გაიხეთქა თავი?

— ჭაობებში, უოტსონ?

— ველარაფერი მომიხატებია, ჰოლმს.

— კმარა, კმარა, უფრო ძნელი ამოცანებიც გადაგვიწყვეტია. ფიქრის მასალა საკმაოდ გვაქვს, საჭიროა მხოლოდ ჭკუითა და გონებით მიდგომა და გამოყენება... მაშ, განვარძოთ გზა, უოტსონ. პალმერის საბურავებმა ყველაფერი გვითხრეს, რისი თქმაც შეეძლოთ. ახლა ვნახოთ, სად მიგვიყვანს დანლოპის დაკრებული საბურავები.

ამ კვალს მივყევით, მაგრამ მალე ჩვენს წინ გადაიშალა მანანებით დაფარული დაქანებული გორაკები. ნაკადული უკან დარჩა. შემდგომ წინსვლას აზრი აღარა ჰქონდა, რადგან დანლოპის საბურავების ნაკვალევს შეეძლო მივეყვანეთ მხოლოდ ჰოლდერნეს-ჰოლში, მარცხნივ რომ აღმართულიყო თავისი დიდებული კოშკებით, ან კიდევ პატარა, დაბალ რუხ სახლებთან, რომელთა მიღმაც რუკის მიხედვით ჩესტერფილდის გზატკეცილი გადიოდა.

როცა სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებდა დახავსებულსა და ფრიად შეუხედავ სასტუმროს, რომლის აბრაზეც გამოხატული იყო მამალი, ჰოლმსმა უეცრად ამოიხორა და ხელი ჩამჭიდა, რომ არ წაქცეულიყო. ფეხი ეღრძო და, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ადამიანი სრულიად უმწყო ხდება. რის ვაივავლახითა და კოჭლობით მილასლასდა სასტუმროს კარამდე, სადაც კბილებში ჩიბუხგაჩრილი, ჯშუხი, შავგვრემანი შუახნის კაცი იჯდა.

— გამარჯობათ, მისტერ რუბენ ჰეიზ. — უთხრა ჰოლმსმა.

— ვინა ბრძანდებით და საიდან იცით ჩემი სახელი? — ჰკითხა ამ კაცმა და ჰოლმსი იჭვნეული, ავი მზერით შეათვალიერა.

— თქვენი სახელი აბრაზე წერია, თქვენს თავს ზემოთ. სახლის უფროსი კი ყოველთვის იცნობა. მითხარით, ხომ არ გექნებათ რაიმე ორთავალა ეტლი?

— არა.

— მარჯვენა ფეხს ვერ ვაბიჯებ.

— ნუ დააბიჯებთ.



— მერე, როგორ წავიდე?

— როგორმე, ცალი ფეხით, ხტუნვა-ხტუნვით.

მისტერ რუბენ ჰეიზის პასუხები მეტისმეტი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჰოლმსი მის უხეშობას საოცარი გულგრილობით ხვდებოდა.

— მომისმინეთ, უძვირფასესო, — უთხრა ჰოლმსმა, — ხომ ხედავ, რა უბედურება შემემთხვა. ოღონდ ადგილზე ჩავიდე, რით და რანაირად, ჩემთვის სულ ერთია.

— ჩემთვის მით უფრო სულ ერთია, — მიუგო იმ პირქუშმა კაცმა.

— აქ ერთი მნიშვნელოვანი საქმისათვის ვარ მოსული. მომეცით თქვენი ველოსიპედი და მიიღეთ სამსახურისათვის ერთი სოვერენი¹.

მასპინძელმა ყურები დაცქვიტა.

— საით უნდა წახვიდეთ?

— ჰოლდერნეს-ჰოლში.

— თვითონ ჰერცოგის სტუმარი ხომ არა ხართ? — უთხრა სასტუმროს პატრონმა და ჩვენს დასვრილ ტანისამოსს დაცინვით შეაფლო თვალი.

ჰოლმსმა უდარდელად გაიცინა:

— ჰერცოგი ხელეგაშლილი მიგვიღებს.

— რისთვის, რა დამსახურებისათვის?

— იმიტომ, რომ კარგი ამბები მიგვაქვს მის დაკარგულ შვილზე.

მისტერ ჰეიზი შეერთა.

— ნუთუ მიაგენით?

— ლივერპულიდან გვაცნობეს, იქ არისო. სადაცაა იპოვნინან.

მისტერ ჰეიზს რაღაც ჩრდილმა გადაუქროლა უხეშ, ჯაგრით დაფარულ სახეზე და უეცრად გულკეთილი გახდა.

— ჰერცოგზე მწყრალად ვარ, — თქვა, — რადგანაც მეიტლედ გყავდი და ძალიან მკაცრად მომექცა. მთიბავმა მთელი გუდა ტყუილები გადმოუღაცა ჩემზე, გამაგდო და რეკომენდაციაც კი არ მომცა, მაგრამ მაინც მოხარული ვარ თუ ახლავაზრდა ლორდი ლივერპულში მოიძებნა. რა გაეწყობა, დაგეხმარებით,

რომ კარგი ამბავი ჩაიტანოთ ჰოლმსს ნეს-ჰოლში.

— მადლობელი ვარ, — თქვა ჰოლმსმა. — მაგრამ ჯერ ვივარაუდებო, შემდეგ კი თქვენს ველოსიპედს მომცემთ.

ჰოლმსმა სოვერენი უჩვენა.

— გეუბნებით, არა მაქვს ველოსიპედი! ცხენებით წახვალთ.

— კეთილი, — უპასუხა ჰოლმსმა. — ჯერ გვაჭამეთ და მერე ამაზე მოვილაპარაკოთ.

როცა ფილაქნით მოგებულ სამზარეულოში მარტონი დავრჩით, ჰოლმსს უცაბედად ფეხი მოუჩრჩა. დღე იწურებოდა. მოშივებული ვიყავით და სუფრიდან ადგომას არ ვჩქარობდით. თავის ფიქრებში ჩანთქმული ჰოლმსი არაერთხელ მივიდა ფანჯარასთან ისე რომ დუმილი არ დაურღვევია. ნაკვით საცხეოს ერთ კუთხეში იდგა სამჭედლო, სადაც ჭუჭყით მოსვრილი, ტყაბუჭიანი ყმაწვილი მუშაობდა და მეორეში — საჯინიბო. ეზოს ერთ-ერთი ასეთი შეთვალეირების შემდეგ ჰოლმსი ისევ მიუჯდა სუფრას, უეცრად ადგილიდან წამოვარდა და შესძახა:

— უოტსონ! ახლა ყველაფერი ნათელია. უოტსონ! ნახეთ ძროხის ჩლიქების კვალი ამ დილით?

— ვნახე.

— სად?

— ყველგან. ჭაობზეც, ბილიკებზეც და იმ ადგილთანაც, სადაც საბრალო ჰაიდეგერი სიცოცხლეს გამოსაღმებია.

— მართალია. ახლა კი, უოტსონ, მითხარით, ბევრი ძროხა მოგხვდათ თვალში?

— ძროხები არც მინახავს.

— უცნაურია, უოტსონ! ყველგან ძროხის კვალია, ძროხა კი არსად ჩანს. უცნაურია, ხომ მართალია?

— დიახ, მართლაც უცნაური ამბავია.

— ახლა, უოტსონ, დაძაბეთ ყურადღება და სცადეთ წარმოიდგინოთ, რანაირად გამოიყურებოდა კვალი ბილიკზე.

კონან დოილი

შემთხვევა ინტერნატში

¹ სოვერენი — ინგლისური ოქროს ფული, ერთი გირვანქა სტერლინგი.

— ჰო, წარმოვიდგინე.

— გახსოვთ? ზოგჯერ ასეთები იყო...

— ჰოლმსმა მაგიდაზე პურის ნამცეცე-
ბი დაალაგა: — :::: — ზოგჯერ კი ასე-
თებიც: — ::::: — ხოლო ალაგ-ალაგ
ასეთები: — ::::: — გახსოვთ?

— არა.

— მე კი მახსოვს და მზად ვარ ფიცით
დავამტკიცო. თუმცა ჩვენ კიდევ დავბ-
რუნდებით იქ და ადგილზე შევამოწ-
მებთ ყველაფერს. გონება დამიზნელდა
თუ რა, რომ მაშინვე არ გავაკეთე აქე-
დან საჭირო დასკვნები!

— რა დასკვნები?

— აი, რა: საკვირველი ძროხებია,
როგორც ვნებათ, ისე ატარებთ — თო-
ხარიკით, ნაგარდით, ჭენებით თუ ნაბი-
ჯით! დამიხსოვრეთ, უოტსონ, ჩემი
სიტყვა, ასეთი ეშმაკური ხერხი სოფ-
ლელი მედუქნის ჭკუის ნაყოფი არ არის!
ეზოში არავინ ჩანს, იმ ყმაწვილის გარ-
და, სამჭედლოში რომ ტრიალებს. მო-
დი, გავიდეთ, დავხვევროთ, როგორ მი-
დის იქ საქმეები.

ნახევრად დანგრეულ საჯინბოში ორი
ბალანაბურძენილი, მოუფლელი ცხენი
იდგა. ჰოლმსმა ერთი მათგანის უკანა
ფეხი ასწია და გაიციანა:

— ძველი ნალებია, სულ ახლახან კი
დაუჭედავთ. ნალები ძველი, ლურსმნე-
ბი კი — სულ ახალია. ეს დიდი ეშმა-
კური გამოგონებაა. ახლა სამჭედლოში
შევიხედოთ.

თავისი საქმით გართულმა ყმაწვილმა
არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია.
შეგნიშნე, რა სწრაფად შეათვალიერა
ჰოლმსმა მთელი სამჭედლო, რკინის
ჯართით და ნაფოტით რომ იყო სავსე.
უცებ უკანიდან ნაბიჯის ხმა მოგვესმა
და მაშინვე დავინახეთ მასპინძელი.
ბოროტად მოელვარე თვალების ზემოთ
ხშირი წარბები ერთ რიგად შეეკრა,
შავკვრემანი სახე ნერვიულად ეკრუნჩხე-
ბოდა. ხელში ეჭირა მოკლე, რკინით
შეჭედილი კომბალი და ისეთი მუქარის
გამომხატველი სახით გვიახლოვდებო-
და, რომ ვიდრე ჯიბეში რევოლვერი არ
მოვსინჯე, ვეღარ დავწყნარდი.

— პოლიციის მაძებრებო! — შესძახა
მან. — აქ რას აკეთებთ?

— მისტერ რუბენ ჰეიზ, შეგვიწყა-
ლეთ! — სრულიად დამზვიდებით მიუგო
ჰოლმსმა. — კაცი იფიქრებს, თითქოს
მართლა გეშინოდეთ, რომ აქ რაიმეს
ვიპოვნით.

ნებისყოფის უზარმაზარი ძალდატანე-
ბით ჰეიზი გონს მოეგო, ტურჩებზე ყალ-
ბი ღიმილი შეუთამაშდა, რაც კიდევ
უფრო საშინელი მეჩვენა მის სასტიკ
სახეზე.

— ინებეთ, ეძიეთ. რასაც იპოვნით,
ყველაფერი თქვენი იყოს, — თქვა, —
მაგრამ არ მიყვარს, როცა უცხო ხალხი
დაუკითხავად დაძრწის ჩემს ეზოში და
იქექება. ამიტომაც, მისტერ, რაც უფ-
რო მალე მორჩებით ამ საქმეს და აქე-
დან წახვალთ, მით უკეთესი იქნება.

— ნუ გვიჯავრდებით, მისტერ ჰეიზ, —
უთხრა ჰოლმსმა. — უბრალოდ, თქვენი
ცხენების ნახვა გვინდოდა, მაგრამ, ვატ-
ყობ, ფეხითაც მივალ, ჰოლდერნეს-ჰოლი
აქედან ხომ ახლოსაა?

— აქედან ჰოლდერნეს-ჰოლის კა-
რიბჭემდე ორი მილია. აი, იმ გზით,
მარცხნივ გაუყვებით.

ეზოდან კუსტი მზერით გავგაცვიდა.

არც ისე შორს მოგვიხდა წასვლა,
რადგან ჰოლმსმა პირველსავე მოსახვევ-
ში შეჩერება ინება, დარწმუნებულმა,
რომ აღარავინ გვითვალთვალებდა.

— იმ სამყაწვილო თამაშობაში ძალი-
ან „ცხელი“ დღე კი დაგვადგა, — მითხ-
რა მეგობარმა. — და რაც უფრო ვშორ-
დებით სასტუმროს, უფრო და უფრო
ცივა. არა, აქედან წასვლა ადრეა!

— დარწმუნებული ვარ, ამ რუბენ
ჰეიზმა ყველაფერი იცის. უფრო ბორო-
ტი სახე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!

— ხომ მართალია? ნამდვილი ბო-
როტმოქმედია, არა? ახლა ცხენები, სამ-
ჭედლო? ჰმ! მართლაც, საინტერესო
ადგილია ეს „მებრძოლი მამალი!“ მო-
დით, თვალყური ვადევნოთ, რა ხდება
იქ, ოღონდ ძალიან ფრთხილად უნდა
მოვიქცეთ.

ჩვენს უკან რუხი კაჭრებით მოფენი-
ლი დამრეცი გორაკი იყო აღმართული.

როცა მის ფერდობზე ასვლას შევედუქით, ჰოლდერნეს-ჰოლის მხარეს გავიხედე და უეცრად გზაზე სწრაფად მსრბოლი ველოსიპედისტი დავინახე.

— დაიკუხეთ, უოტსონ! — შესძახა ჰოლმსმა და თავისი მძიმე ხელი ჩემს მხარზე დაუშვა.

ძლივს მოვასწარით კაჭრების უკან მიმალვა, რომ ველოსიპედისტმა გვერდით ჩაგვიქროლა. ველოსიპედის ბორბლებისაგან ავარდნილ მტვერში დავინახე, როგორ გაიელვა ჩემს წინ ფერმკრთალმა, აღელვებულმა სახემ, რომლის ყოველი ნაკეთიდან გამოსჭვიოდა ელდა: ეს იყო ჩვენი გუშინდელი ნაცნობი ჯეიმს უაილდერი, რომელსაც პირი დედო, ველურად გადმოკარკლულ თვალთა მზერა გაშეშებოდა და რაღაც კოპწია, სულელურ კარიკატურას მიაგავდა.

— ჰერცოგის მდივანი! — შესძახა ჰოლმსმა. — ჩქარა, უოტსონ! ვნახოთ, რა ესაქმებოდა იქ.

ფერდობზე ქვიდან ქვაზე ხტუნვით ავედით და იქიდან დავინახეთ სასტუმროს კარი. უაილდერის ველოსიპედი კედელზე მიყუდებული მოჩანდა. სახლში არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებოდა, ფანჯარაშიც არავინ იხედებოდა.

მზე ჰოლდერნეს-ჰოლის მაღალი კოშკების იქით ჩადიოდა და ველზე ნელ-ნელა წვებოდა ბინდი. მალე ჩამოხნელებულ ეზოში სასტუმროს საჯინბო-დან გამოვორდა აქეთ-იქიდან ფარნებით განათებული ორთავალა, რომელსაც ერთი-ორი წუთის შემდეგ დაოთხილი ცხენი ჩესტერფილდისაკენ მიაქროლებდა. ეტლმა ჩვენ გვერდით ჩაიგრილა.

— ეს როგორ ავხსნათ, უოტსონ? — ჩურჩულით მკითხა ჰოლმსმა.

— გაქცევას ჰვავს.

— ორთავალაში რამდენადაც გავარჩიე, მხოლოდ ერთი მხედარი იჯდა. მაგრამ ეს არ იყო მისტერ ჯეიმს უაილდერი, რადგანაც კარის კარგად განათებულ კვადრატში მდივნის ფიგურა შავად, თუმცა გარკვევით მოჩანდა. მას კისერი წინ წაეგრძელებინა, ბნელში

იხედებოდა და აშკარა იყო ვიღაცას ელოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გზიდან ნაბიჯის ხმა მოგვესმა. ვარჯიხიდან გამომავალ შუქზე ვიდაცის ჩრდილმა გაიელვა, კარი დახურეს და სასტუმრო სიბნელეში ჩაინთქა. შემდეგ ზემო სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში ლამპა აანთეს.

— უცნაური მნახველები მიდიან „მებრძოლ მამალში“, — თქვა ჰოლმსმა.

— საიკიტნოში შესასვლელი სხვა მხრიდანაა.

— მართალია. ეს ორნი, უბრალო მნახველები კი არა, ალბათ მასპინძლის სტუმრები არიან. მაგრამ რა დასჭირდა მისტერ ჯეიმს უაილდერს ამ ბუნავში, ისიც ასე გვიან? ვის დაუნიშნა იქ პაემანი? უოტსონ, რისკი გავწიოთ და უფრო ახლო მივიდეთ.

გზაზე ჩავედით და სასტუმროს კარებთან უჩუმრად მივედით. უაილდერის ველოსიპედი უწინდებურად კედელზე ეყუდა. ჰოლმსმა ანთებული ასანთი ველოსიპედის უკანა ბორბალთან მიიტანა და მე გავიგონე როგორ აღმოჩნდა გაოცების წამოძახილი, როცა დანლოპის საბურავზე საკერებელი შენიშნა. ფანჯარა, რომლიდანაც ლამპის შუქი გამოდიოდა, პირდაპირ ჩვენს ზემოთ იყო.

— როგორმე სარკმელში უნდა შევიჭყიტოთ, უოტსონ. თუ კედელს მიეყრდნობით და ზურგზე შემოიყენებთ, რამენაირად მოვახერხებ ოთახში მყოფთა შეთვალაიერებას.

იმავე წამს ფეხებით დამადგა ზურგზე და მაშინვე ძირს გადმოხტა.

— წავიდეთ, ჩემო მეგობარო, — მითხრა, — დღეისათვის გვეყოფა. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. დროს ნულარ დაეკარგავთ, სკოლა ხომ არც ისე ახლოსაა.

ვიდრე ორივენი, დაღლილ-დაქანცულნი, ნელა მივაბიჯებდით ველზე, ჰოლმსს თითქმის სიტყვაც არ დასცდენია და დეპეშების გასაგზავნად პირდაპირ სად-

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

გურზე წავიდა ისე რომ სკოლისკენ არ შეუხვევია. შემდეგ გავიგონე, როგორ ანუგეშებდა მასწავლებლის ტრაგიკული სიკვდილით შეძრწუნებულ დოქტორ ჰაკსტიბლს და უკვე გვიან, დამეს-ღა ვნახე ჩემს ოთახში — ისეთივე მხნე და ძალ-ღონით საგსე, როგორც დიღას იყო.

— ყველაფერი ჩინებულად მიდის, ჩემო მეგობარო, — მითხრა, — გაირდებოთ, ხვალ საღამოს ამოგხსნით ამ საიდუმლოს.

მეორე დღეს დიღის თერთმეტ საათზე მე და ჰოლმსი ჰოლდერნეს-ჰოლის სახელგანთქმული ურთხელის ხეივანს მივყვებოდით. ლაქია დიდებულ კარიბ-ქეზე შეგვხვდა და მისი ბრწყინვალეების კაბინეტში შეგვიძღვა. იქ ჩვენს წინაშე წარმოდგა მისტერ ჯეიმს უაილდერი. თავი უბრალოდ, თავაზიანად ეჭირა, მაგრამ მის დაღმევილ სახეზე და თვალეებში, რომელთაც აქეთ-იქით აცეცებდა, ჯერ კიდევ გამოსჭვიოდა ელდა.

— ჰერცოგის ნახვა გინდოდათ? აფსუს! მისი ბრწყინვალეობა თავს შეუძლოდ გრძნობს. პირდაპირ გაათავა იმ ტრაგედიაში, რაც გუშინ დოქტორმა ჰაკსტიბლმა დეპეშით შეგვატყობინა.

— მე აუცილებლად უნდა ვნახო ჰერცოგი, მისტერ უაილდერ.

— მაგრამ ის თავისი ოთახიდან არ გამოდის.

— მაშინ იქ შევალ.

— წევს.

— მიუხედავად ამისა, შეხვედრის ნებას მოვითხოვ.

ჰოლმსის ყინულივით ცივმა კილომ და შეუვალობამ მდივანი დაარწმუნა, რომ ამ კაცთან კამათი უსარგებლოა.

— კარგით, მისტერ ჰოლმს, მოვახსენებ.

თითქმის საათი გავიდა, ვიდრე ჰერცოგი კაბინეტში ვიხილეთ. თვალეები კიდევ უფრო ღრმად ჩავარდნოდა, მხრები უმწეოდ დაეშვა დაბლა — გუშინდელი დღის შემდეგ თითქოს დაბერებულიყო. ნატიფი თავაზიანობით დაგვიკრა თავი და სავარძელში ჩაჯდა.

— გისმენთ, მისტერ ჰოლმს. მაგრამ ჩემი მეგობარი შეუპოვრად შესცქეროდა მდივანს, რომელიც მბრძანებლის გვერდით იდგა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, მისტერ უაილდერის აქ ყოფნა, ცოტა არ იყოს, მბოჭავს.

მდივანი გაფითრდა და ჰოლმსს ბოროტი მხერა ესროლა.

— თუ თქვენი ბრწყინვალეობა ინებებს...

— დიახ, დიახ, დაგეტოვებთ... ამრიგად, მისტერ ჰოლმს, რა გაქვთ ჩემთვის სათქმელი?

ჩემმა მეგობარმა დაიცადა, ვიდრე მდივანმა კარი გაიხურა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, — დაიწყო ჰოლმსმა, — მე და ჩემმა კოლეგამ, ექიმმა უოტსონმა დოქტორ ჰაკსტიბლის სიტყვიდან ვიცით, რომ ფულად გასამრჯელოს დაპირებით მას, ვინც თქვენთვის საინტერესო საქმეს გამოიძიებს. მე ამის გაგონებას თქვენი პირითაც ვისურვებდი.

— სიამოვნებით, მისტერ ჰოლმს.

— თუ სწორედ მითხრეს, ხუთი ათას გირვანქას დაპირებით მას, ვინც თქვენ შვილის ადგილსამყოფელს გიჩვენებდათ.

— სავსებით სწორია.

— და ათასსაც იმას, ვინც დაგისახელებთ იმ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც თქვენი ვაჟი ჰყავთ დამწყვედიული.

— სავსებით სწორია.

— აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა მარტო გამტაცებლები, არამედ ისინიც, რომელთაც გატაცება განიზრახეს.

— დიახ, დიახ! — მოუთმენლად შესძახა ჰერცოგმა. — თუ ამ გამოცანას ამოხსნით, მისტერ შერლოკ ჰოლმს, თქვენ ჩემს სიძუნწეზე ჩივილი არ მოგიხდებათ.

ჩემმა მეგობარმა ხარბად მოიფშენიტა ხელი, რამაც გამაოცა, რადგან აქამდე, როგორც უაღრესად მცირე მოთხოვნილების ადამიანს, ისე ვიცნობდი.

— ეს ჩეკების წიგნი გაქვთ მაგიდა-

ზე? — ჰკითხა ჰერცოგს. — თქვენს ბრწყინვალეობას ვთხოვ გამომიწეროს ექვსი ათასი გირვანქის ჩეკი! გადასარიცხი ჩეკი ოქსფორდ-სტრიტის ბანკის იმ განყოფილებაში, სადაც პირადი ანგარიში მაქვს გახსნილი.

ჰერცოგი სავარძელში გასწორდა და ჩემი მეგობარი ყინულოვანი მზერით გაზომა.

— თქვენ ხუმრობთ, მისტერ ჰოლმს? განა ეს შესაფერისი თემაა ხუმრობისათვის?

— რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეობა! ასეთი სერიოზული ჩემს სიცოცხლეში სხვა დროს არც ვყოფილვარ.

— ეს რას ნიშნავს?

— ეს ნიშნავს, რომ გასამრჯელოს მივიღებ დამსახურებისამებრ. ჩემთვის ცნობილია, სად იმყოფება თქვენი შვილი და ვიცი ადამიანები — უკეთ, ადამიანი, რომელსაც ის შეპყრობილი ჰყავს.

ჰერცოგის წითელი წვერი თითქოს ცეცხლად აენთო მის მიცვალებულივით ფერწასულ სახეზე.

— სადაა ჩემი შვილი? — ძლივს ჩაილაპარაკა მან.

— სასტუმრო „მებრძოლ მამალში“, ორ მილზე თქვენი პარკიდან. ყოველ შემთხვევაში, იქ იყო გუშინ.

ჰერცოგი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— ვის სდებთ ბრალს?

შერლოკ ჰოლმსის პასუხმა გამოოცა. ელვის სისწრაფით წადგა წინ ნაზიჯი და ჰერცოგის მხარს შეეხო:

— მე ბრალს გდებთ თქვენ. ახლა კი, თქვენო ბრწყინვალეობა, კეთილი ინებეთ და მომეცით ექვსი ათასი გირვანქის ჩეკი.

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, როგორ წამოვარდა სავარძლიდან ჰერცოგი და ხელები კრუნჩხვით გაასავსავა ჰაერში, თითქოს უფსკრულის პირას თავის შეკავებას ცდილობს. შემდეგ არაადამიანური ნებისყოფის დაძაბვით მოიხმო თავისი არისტოკრატიული თავშეკავება, ისევ მიუჯდა მაგიდას და სახე ხელებში ჩარგო. გავიდა წუთი, მეორე...

რა იცით სახელდობრ? — იკითხა უბედურმა ისე, რომ თავი არ აუწვევია.

— მე გნახეთ მასთან გუშინ საღამოს.

— ვინ იცის ეს კიდევ, თქვენი მეგობრის გარდა?

— მე არავისთვის არაფერი მითქვამს.

ჰერცოგმა აცახცახებული ხელით აიღო კალამი და ჩეკების წიგნი გაშალა.

— არ დავარღვევ ჩემს სიტყვას, მისტერ ჰოლმს. თქვენ მიიღებთ დაპირებულ ჩეკს, თუმცა ეს ფული იმ ცნობის გასამრჯელო იქნება, რამაც უბედურების მეტი არაფერი მომიტანა. მაგრამ განა შემძლო მეფიქრა გასამრჯელოს გამოცხადების დროს, რომ მოვლენები ასე წარიმართებოდნენ! ისე კი ვფიქრობ, მისტერ ჰოლმს, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი კეთილგონიერი ადამიანები ხართ!

— არ მესმის, რისი თქმა გნებავთ ამით, თქვენო ბრწყინვალეობა.

— კეთილი, ვილაპარაკოთ გულახდილად, მისტერ ჰოლმს. თუ ამ ამბის წვრილმანები თქვენ ორის გარდა არავინ იცის, მაშინ საქმეს შემდგომი მსვლელობა არ უნდა მიეცეს. მე თქვენი თორმეტი ათასი გირვანქა მმართვეს. ხომ მართალია?

მაგრამ ჰოლმსმა გაიღიმა და თავი გააქნია:

— სამწუხაროა, თქვენო ბრწყინვალეობა! მაგრამ ამ საქმის მოგვარება არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება პირველი შეხედვით გვეჩვენოს. ვინმემ პასუხი ხომ უნდა აგოს მასწავლებლის მკვლევლობისათვის.

— მაგრამ ჯეიმსი აქ არაფერ შუაშია! არ შეიძლება დანაშაულის მისთვის გადაბრალება: მკვლევობა — იმ მხეცის საქმეა, იმ არამზადისა, რომლის დახმარებით სარგებლობაც ჯეიმსს თავისდა საუბედუროდ მოუხდა.

— მე კი იმ შეხედულებიას ვარ,

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ თუ ადამიანი ერთხელვე დაადგება დანაშაულის გზას, მან მორალური პასუხი უნდა აგოს თავისი ქცევის ყველა შედეგისათვის.

— მორალური — კი. მაგრამ ნუ აძულვობთ პასუხი აგოს კანონის წინაშე! არ შეიძლება ადამიანის დასჯა მკვლელობისათვის, რომლის ჩადენის დროს ის მკვლელობის ადგილზე არც კი ყოფილა, დანაშაულისათვის, რამაც თქვენზე არანაკლებ ალაშფოთა. როგორც კი შეიტყო, სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლო და ყველაფერში გამომიტყდა. მისტერ ჰოლმს, იხსენით იგი, იხსენით! გვედრებით, დაიხსენით!

რა ქვესკნელმა შთანთქა ჰერცოგის არისტოკრატიული თავშეკავება. იგი აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახში და სახე-დაღრეჯილი, კრუნჩხვით აქნევდა ხელებს. ბოლოს ისევ სძლია თავს, მაგიდას მიუჯდა და თქვა:

— ვაფასებ, რომ პირველად მოხვედით ჩემთან. ყოველ შემთხვევაში, მოვითათბიროთ მაინც, რა ზომები მივიღოთ, რომ სირცხვილს თავი დავადწიო.

— მოვითათბიროთ, — მიუგო ჰოლმსმა, — მაგრამ მაშინ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ერთმანეთთან ბოლომდე გულახდილი უნდა ვიყოთ. მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს ხელთ არის, თუ ამ ამბის ყველა გარემოებას გამანდობთ. რამდენადაც საქმის არსს ჩაეწვდი, თქვენი სიტყვები ეხებოდა მისტერ ჯეიმს უაილდერს — მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, რომ მკვლეელი ის არ არის?

— დიახ, მკვლელმა მოასწრო მიმალვა.

ჰოლმსმა თავშეკავებით გაიღიმა.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩანს, როგორც ძიების საქმის მცოდნეს, არ მიცნობთ, თორემ არ იფიქრებდით, რომ ჩემგან დამალვა ასე ადვილია. გუშინ ჩემი მითითებით ჩესტერფილდში, სადამოს თერთმეტ საათზე დააპატიმრეს მისტერ რუბენ ჰეიზი. იქაური პოლიციის უფროსმა ეს უკვე მაცნობა ამ დილით. მისი დებეშა სკოლიდან წამოსვლის წინ მივიღე.

ჰერცოგი სავარძლის საზურგეს ბრენდო და ჩემს მეგობარს გაოცებით მიაშტერდა.

— აქვს თუ არა საზღვარი თქვენს შესაძლებლობას, მისტერ ჰოლმს? — შესძახა მან ბოლოს. — მაშ, რუბენ ჰეიზი დაპატიმრებულია? მე მგონია, ეს მხოლოდ სასიხარულო ამბავია, მაგრამ მისი დაპატიმრება ჯეიმსის ბედზეც ხომ არ მოახდენს ზეგავლენას?

— თქვენი მდივნის ბედზე?

— არა, სერ, ჩემი შვილის ბედზე.

ამჯერად ჰოლმსი გაოცდა.

— უნდა მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ეს არ გამითვალისწინებია. იქნებ უფრო დაწვრილებით ამიხსნათ.

— არაფერს არ დაფვარავ. თქვენ მართალი თქვით: თუმცა ეს ჩემთვის დამტანჯველი ამბავია, მაგრამ მხოლოდ სრულ გულახდილობას შეუძლია შეამსუბუქოს საშინელი მდგომარეობა, რომელშიც შურით გაგიჟებულმა ჯეიმსმა თავისი თავი ჩააგდო და მეც ზედ მიმაცოლა. ახალგაზრდობის წლებში, მისტერ ჰოლმს, მეც მიყვარდა ისე, როგორც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ უყვართ ხოლმე. როცა საყვარელ ქალზე ქორწინება განვიზრახე, მან უარჰყო ჩემი წინადადება, რადგან ეშინოდა, რომ ასეთი ქორწინება კარიერას გამიფუჭებდა. ის რომ ცოცხალი დარჩენილიყო, სხვას აღარავის შევიერთავდი. მაგრამ გარდაიცვალა და ვაჟი დამიტოვა. შეგხაროდი მას, როგორც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალის ხსოვნის სიმბოლოს და შეგბას მასზე ზრუნვაში ვხედავდი. საქვეყნოდ ვერ განვაცხადე ჩემი სისხლი და ხორცია-მეტქი, მაგრამ ჩემმა შვილმა საუკეთესო განათლება მიიღო და როცა გაიზარდა, მუდმივად ჩემთან ცხოვრობდა. ჩემმა ვაჟმა შემთხვევით გაიგო ჩემი საიდუმლო და იმ დროიდან ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა თავისი, როგორც ძისა და მემკვიდრის, უფლებები. მას მუდამ მხილვების შიშში ვყავდი. ჰოლდერნეს-ჰოლში მისი ყოფნა გახდა ცოლთან ჩემი განშორების ნაწილობრივი მიზეზი. და რაც

ყველაზე უფრო მძიმე იყო, — პირველი დღიდანვე მძვინვარე სიძულვილით შეიჯავრა თავისი ნახევარი ძმა, ჩემი კანონიერი მემკვიდრე.

მკითხავთ, ყოველივე ამის შემდეგ, რატომ თავიდან არ მოვიშორე ჯეიმსი. ჩემი პასუხი ასეთი იქნება: იმიტომ, რომ მისი სახით ვხედავდი დედამისს და ვითმენდი მისი გულისათვის. მარტო სახის ნაკვთებით კი არა, მოძრაობითა და მანერებით. ყოველ წამს დედამისის საყვარელ სახეს მაგონებდა. რაკი ვერ შეველიე, შევშინდი არტურს-ლორდ სოლტიარს არაფერი აუტეხოს-მეთქი და ბავშვი დოქტორ ჰაკსტივბლთან ინტერნატში გავაგზავნე.

ჯეიმსი ჩემი მამულის საქმეებს განაგებდა და ასე გაიცნო ჰეიზი, რომელიც ჩემი ერთ-ერთი მოიჯარადრე იყო. რა ჰქონდა საერთო იმ პირზე არამზადასთან, არ ვიცი, მაგრამ დამეგობრდნენ კი. თუმცა ჯეიმსს ყოველთვის ვამჩნევდი ცუდი საზოგადოებისაკენ მიდრეკილებას. ლორდ სოლტიარის გატაცება რომ მოინდომა, თანამზრახველად ჰეიზი გაიხადა.

გახსოვთ, ბავშვის გაუჩინარების წინ ჩემი მინაწერი წერილი არტურთან? ჯეიმსს კონვერტი გაუხსნია და შეცვლილ ბარათში არტურისათვის მიუწერია, რომ იგი მრუდე სოლის ჭალაში, სკოლის მახლობლად შეხვედროდა. ბავშვი დანიშნულ ადგილზე გამოცხადებულა, რადგან წერილი თითქოს ჰერცოგის მეუღლის თხოვნით ყოფილა გავზავნილი. ჯეიმსი ჭალაში მივიდა ველოსიპედით — რაშიც შემდეგ თვითონვე გამომიტყდა — დაარწმუნა არტური, რომ დედა იქვე ახლოს იმყოფებოდა და თუ არტური შუალამისას ჭალაში მოვიდოდა, ცხენოსანი გამყოლი დახვდებოდა და მონატრებულ დედას შეახვედრებდა. უბედური ბავშვი მახეში გაება. დანიშნულ დროს დათქმულ ადგილზე მივიდა და იქ ჰეიზი დახვდა. ის არამზადა პონიზე მჯდარა და სადავე ხელთ სჭერია. არტური უნაგირზე შემოსჯდომია და გზასაც გასდგომიან. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჯეიმსმა ეს მხოლოდ

გუშინ გაიგო — მათ მდევარი დასწავი-ათ. ჰეიზს მდევრისათვის რამდენჯერმე დაუკარავს თავში კომპალი დანახსოვნილილო ჭრილობა მიუყენებია. ჰეიზს არტური სასტუმროში მიუყვანია, ზემო სართულში ჩაუშუყვდევია და ტყვექმნილზე თვალყურის დევნება ცოლისათვის მიუხდვია. მისის ჰეიზსაც კეთილ, მაგრამ სასტიკი ქმრის სავსებით მორჩილ ქალს, მისი ბრძანება პირნათლად შეუსრულებია.

აი, მისტერ ჰოლმს, როგორი იყო საქმის ვითარება ამ ორი დღის წინ, როცა მე და თქვენ ერთმანეთს შევხვდით. ამ ამბისა მაშინ თქვენზე მეტი არც მე ვიცოდი. თუ მკითხავთ, რამ აიძულა ჯეიმსი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, გიპასუხებთ: მის სიძულვილში ლორდ სოლტიარისადმი იყო რაღაც ბრმა და ფანატიკური. ჯეიმსი ფიქრობდა, რომ ყველა ჩემი მამული არტურის ხელში გადავიდოდა და არ შეეძლო დამშვიდებით ლაპარაკი მემკვიდრეობის ჩვენში არსებულ კანონებზე. ისიც სწორია, რომ მას არა მარტო სიძულვილი, არამედ ზუსტი ანგარიშიც ამოძრავებდა. იგი მოითხოვდა ანდერძით დამეტოვებინა მისთვის სამემკვიდრეო მამულები მაიორატის საწინააღმდეგოდ და სამაგიეროდ შვილის დაბრუნებას მპირდებოდა. იცოდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ პოლიციას არ მივმართავდი. ასეთი იყო ჯეიმსის განზრახვა, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა, რადგან მოვლენები ისეთი სისწრაფით განვითარდნენ, რომ მას თავისი გეგმის განსახორციელებლად დრო არ დარჩა.

თქვენ იბოვეთ მოკლულ ჰაიდგერის გვამი და ამით უკვე ბოლო მოუღეთ ამ ვერაგულ განზრახვას. ჯეიმსს თავზარი დასცა მასწავლებლის მოკვლის ამბავმა. ეს ჩვენ გუშინ გავიგეთ. კაბინეტში ვისხედით, როცა დოქტორ ჰაკსტივბლის დებეშა მოგვითანეს. ამან ისე დააზნია ჯეიმსი, ისე შეაწუხა იგი, რომ ბუნდოვანი ვარაუდი, მუდამ თან რომ მდევდა,

კონან დოილი
შემთხვევა ინტერნატში

მაწუხებდა, მტკიცე რწმენად მექცა და ბრალდება პირდაპირ წაგუყენე. ყველაფერი გულწრფელად აღიარა, მოინანია, მაგრამ იქვე დამიწყო ვედრება, რათა კიდევ სამი დღე მედროვებინა, რომ მის საზიზღარ თანამზრახველს თავის დაძვრენა მოესწრო. დავთომე, როგორც ვთმობდი ყოველთვის ყველაფერში და მაშინ ჯეიმსი სასტუმროში გაიქცა, რათა ჰეიზისათვის შეეტყობინებინა და გაქცევაში დახმარებოდა. ჩემი იქ წასვლა დღის სინათლეზე არ შეიძლებოდა, რადგან ეს ჭორების საბაზად გადაიქცეოდა. დაღამებას დავუცადე და ჩემს საყვარელ პატარა არტურთან გავეშურე. იგი მრთელი და უვნებელი დამიხვდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი შთაბეჭდილება მოეხდინა ბავშვზე მკვლელობას, რაც მის თვალწინ მოხდა! მიცემული სიტყვა მახსოვდა, გული გავიმაგრე, არტური სამი დღით კიდევ დავტოვე სასტუმროში ჰეიზის მზრუნველობის ამარა. ყოველივე ამის შეტყობინება პოლიციისათვის ისე რომ მკვლელი არ გაგვეცა, არ შეიძლებოდა, რადგან ჰეიზის შეპყრობა ჩემს უბედურ ჯეიმსს დაღუპავდა.

ერთმანეთის მიმართ გულახდილები ვიყოთ-მეთქი, მისტერ ჰოლმს, და ნება მომეცით მეც იგივე მოგთხოვოთ. უკვე გაიამბეთ ყველაფერი, არა დამიმაღავს რა, არა შემირბილებია რა. თქვენც ბოლომდე გულახდილი იყავით ჩემთან.

— კარგით, თქვენო ბრწყინვალე ბავ, — მიუთო ჰოლმსმა. — უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ კანონის წინაშე თქვენი მდგომარეობა უადრესად სერიოზულია. თქვენ დაფარეთ სისხლის სამართლის დანაშაული, დაეხმარეთ მკვლელს გაქცევაში, რადგან მისი გაქცევისათვის საჭირო ფული ჯეიმსმა უთუოდ თქვენი ჯიბიდან ამოიღო.

ჰერცოგმა უსიტყვოდ დახარა თავი.

— დიახ, საქმე ფრიად სერიოზულია. მაგრამ, ჩემი შეხედულებით, უმცროსი შვილის წინაშე თქვენი საქციელი კიდევ მეტ კიცხვას იმსახურებს, თქვენო ბრწყინვალე ბავ. სამი დღით მისი მითვება იმ ბუნავში!

— ფიცით დამარწმუნეს...

— განა შეიძლება ამ ხალხის ფიცზე დანდობა?! დარწმუნებული ხართ, რომ სადმე უფრო შორს არ გადამაღავენ? დამნაშავე უფროსი შვილის საამებლად საფრთხეში აგდებთ სრულიად უდანაშაულო ბავშვს! არა, თქვენი საქციელის გამართლება არ შეიძლება!

ამაყი კარისკაცი არ იყო ჩვეული ასეთი საყვედურების მოსმენას და მერე სად? საკუთარ სასახლეში! სახეზე სისხლი მოაწვა, მაგრამ სინდისმა აიძულა გაჩუმებულიყო.

— დაგეხმარებით, ოლონდ ერთი პირობით: გამოუძახეთ მსახურს და ჩემი განკარგულება დაუყოვნებლივ აღასრულოს.

ჰერცოგმა უსიტყვოდ დააქირა თითო ელექტროზარს. კაბინეტში ლაქია შემოვიდა.

— ალბათ გესიამოვნებათ, — უთხრა ჰოლმსმა. — რომ ლორდი სოლტაირი მოიძებნა. ჰერცოგი გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გაგზავნოთ მის მოსაყვანად ეტლი სასტუმრო „მებრძოლ მამალში“... ახლა კი, — დასძინა ჰოლმსმა, როცა სიხარულით სახეგაბრწყინებული ლაქია კაბინეტიდან სირბილით გავიდა, როცა, უზრუნველყავით უახლოესი მომავალი, შეგვიძლია უფრო ღმობიერად მოვექცეთ ახლო წარსულს. რამდენადაც სამართლიანობა აღდგება, მე, როგორც არაოფიციალურ პირს, არ მიმაჩნია აუცილებლად შეგატყობინო ხელისუფლებას ყველაფერი, რაც ვიცი. ჰეიზი — სხვა საქმეა. მას სახრჩობელა ელის და მე თითადაც არ გავანძრევ იმისათვის, რომ მისი სიცოცხლე ვიხსნა. გაამყვანებთ თუ არა თქვენს საიდუმლოს — არ ვიცი, წინასწარმეტყველებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ თქვენ უმეტველად შეგიძლიათ შეგონოთ, რომ ზედმეტი ლაპარაკი სარგებლობას არ მოუტანს. პოლიციაში ჰეიზს ბრალად წაუყენებენ გამოსასყიდის მიღების მიზნით ბავშვის გატაცებას. თუ იქ ამ საქმეს ღრმად არ გაქეძენ, მე გავყურდები და მათ გეზს არ მივცემ. მაგრამ თქვენს ბრწყინვალეობას კი უნდა ვუთხრა, რომ მისტერ ჯეიმს

უაილდერის შემდგომი ყოფნა თქვენს სახლში სიკეთეს არ მოიტანს.

— ეს თვითონაც ვიცი, მისტერ ჰოლმს, და მისი ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილია. სამუდამოდ დატოვებს ჰოლდერნეს-ჰოლს და ბედნიერების საძებნელად აგსტრალიაში გაემგზავრება.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენ ამბობდით, რომ მისტერ უაილდერი იყო განხეთქილების მიზეზი თქვენსა და მეუღლეს შორის. ხომ არ შეურიგდებით ახლა ჰერცოგის ქალს და ხელახლა ხომ არ მოაწესრიგებთ თქვენს ოჯახურ ცხოვრებას?

— ამაზე მეც ვიფიქრე, მისტერ ჰოლმს და დღეს დილით უკვე წერილი მივწერე ჩემს ცოლყოფილს.

— ამ შემთხვევაში, — თქვა ჰოლმსმა და ადგა, — მე და ჩემს მეგობარს შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ, რომ ჩვენმა ხანმოკლე ყოფნამ თქვენს მხარეში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. ვამოსარკვევი დამრჩა მხოლოდ ერთი საკითხი. ჰეიზის ცხენები ისე იყო დაჭედნილი, რომ ძროხის ჩლიქების კვალს ტოვებდნენ. ვინ ასწავლა ეს ჰეიზს, მისტერ უაილდერმა ხომ არა?

ერთი წუთით ჰერცოგი დუმდა, წარბშეკრული და ერთ წერტილზე მიჩერებული. შემდეგ მეზობელი ოთახის კარი შეაღო. ჩვენ თვალწინ ნამდვილი მუზე-

უმი გადაიშალა. მან შორეული კუთხის ვიტრინასთან მიგვიყვანა და მისი შიგნით ამოდებული წარწერა გვიჩვენა:

„ეს ნალები, — გვაუწყებდა წარწერა, — ნააოვნია გათხრების დროს ჰოლდერნეს-ჰოლის სიმაგრის თხრილში. ვანკუთვნილი იყო ცხენებისათვის, მაგრამ ჭედდნენ ძროხის გაორებული ჩლიქის ფორმისას. ეტყობა, ჰოლდერნეს-ჰოლელი ფეოდალები, რომლებიც შუა საუკუნეებში ძარცვას ეწეოდნენ, ამას კვალის ასაბნეველ ჩადიოდნენ“.

ჰოლმსმა ასწია მინის სახურავი, თითი ნერწყვით დაისველა და ერთ-ერთ ნალს გააყოლა. თითზე მუქი ლაქა დარჩა — ჭაობის შლამი ჯერ კიდევ წესიერად არ იყო შემშრალი.

— მაღლობელი ვარ, — უთხრა ჩემმა მეგობარმა. — აი, მეორე საგანი, რამაც თქვენს მხარეში მეტისმეტად დამაინტერესა.

— პირველი?

ჰოლმსმა ფრთხილად დაკეცა ჩეკი და უბის წიგნაკში ჩადო.

— მდიდარი კაცი არა ვარ, — თქვა და უბის წიგნაკი პიჯაკის გულის ჯიბეში საიმედოდ შეინახა.

კონან დოილი

შემთხვევა ინტერნატში



„ირიბი მეტყველების“ დასაცავად

ენაში არსებობს სხვისი ნათქვამის გადმოცემის ორნაირი საშუალება. თუ ვისიმე ნათქვამს ან განაზრახს სიტყვა-სიტყვით, უცვლელად გადმოვცემთ (ე. ი. ისე, როგორც ის იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო თქმული), ამას **პირდაპირი ნათქვამი** (პირდაპირი მეტყველება) ეწოდება; თუ ვისიმე ნათქვამი არ არის სიტყვასიტყვით, უცვლელად გამეორებული, არამედ მოლაპარაკის მიერ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისი თვალსაზრისით, **ირიბი ნათქვამი** (მეტყველება) იქნება. პირველის მაგალითია: „მწერალმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, (რომ) შენიშვნებს რომანის მეორე ნაწილში გავითვალისწინებო“, მეორისა: „მწერალმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, რომ შენიშვნებს რომანის მეორე ნაწილში გავითვალისწინებს“. სხვა მაგალითი: „ლიახვმა თქვა: ავდილდები, არაგვს არ

დავეღარები“ — „ლიახვმა თქვა, რომ ავდილდება, არაგვს არ დავეღარება“.

ასეთი განსხვავებული კონსტრუქციები ყველა ენას ახასიათებს. ქართულისათვის ნიშანდობლივია პარალელურად საგანგებო ნაწილაკების გამოყენებაც პირდაპირი ნათქვამის (ანდა: პირდაპირი მეტყველების) კონსტრუქციაში (მეთქი, თქო, ო).

ასეთია ნორმა ენისა.

საუკუნეობით შემუშავებულ ამ ენობრივ ნორმას გამოუჩნდა კრიტიკოსი, რომელიც მოითხოვს ენის „გადაკეთებას“ და ქართული ენის „ძვალსა და რბილში“ გამჯდარი ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციის აღმოფხვრას, უკუგდებას¹. თურმე არ შეიძლება ითქვას — „მწერალმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, რომ შენიშვნებს გავითვალისწინებს რომანის მეორე ნაწილში“, მაინცა და მაინც უნდა ვთქვათ ასე: „მწერალმა მადლობა გადაუხადა მკითხველებს და აღუთქვა, (რომ) შენიშვნებს რომანის მეორე ნაწილში გავითვალისწინებო“. ასე, მაგალითად, ავტორი იწუნებს ჟურნ. „ცისკრის“ 1958 წ. № 3-ში დაბეჭდილ ფრა-

¹ იხ. გრ. შანიძე, მოყვანილი სიტყვების გამორკვევისათვის („ცისკარი“, № 3, 1965. დაბეჭდილია კამათის წესით).

ზას: „წიგნის მალაზიაში ბაქარას უთხრეს, რომ მისი წიგნი აღარ აქვთ“. უნდა იყოს, დასძენს იგი: „წიგნის მალაზიაში ბაქარას უთხრეს, (რომ) შენი (ან თქვენი) წიგნი აღარ გვაქვს“ (გვ. 123).

ამრიგად, გრამატიკის ერთ რომ ვთქვათ, ეგრეთ წოდებული ირიბი ნათქვამი (ან: მიმართვა, მეტყველება, მოტანილი სიტყვები) ჩვენს ენაში თურმე უკუსაგდება და უნდა გავაბატონოთ მხოლოდ და მხოლოდ მისი პარალელური ფორმა (პირდაპირი ნათქვამი).

მოვუსმინოთ გრიგოლ შანიძეს: „ირიბი ნათქვამი, როგორც საეკლესიო და ძველი საერო მწერლობისა და ხალხური შემოქმედების შესწავლიდან (!) ჩანს, ქართული ენის ბუნებისათვის უცხოა... პირდაპირი ნათქვამი, ნაწილაკებით ნახმარი, ქართულში ერთადერთი ფორმაა მოყვანილი სიტყვების გამოსახტავად“. დასკვნაც კატეგორიულია: „ირიბი ნათქვამი ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო ფორმაა და მისი განდევნისათვის უნდა ვიბრძოლოთ“ (გვ. 128).

ჯერ — საკითხის ისტორიისათვის.

1. ირიბი მეტყველების კონსტრუქცია პირველად გრამატიკულ ლიტერატურაში ცნობილმა გრამატიკოსმა სილოვან ხუნდაძემ დაიწუნა. ამის თაობაზე მას გაკვრით საუბარი აქვს 1901 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — „სალიტერატურო ქართული“ (გვ. 128). ეს ადგილი მთლიანად გამეორებულია იმავე ავტორის 1927 წელს გამოსულ ნაშრომში: „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ (გვ. 59). მართალია, სილ. ხუნდაძეს განმავლობადგებელი დებულება შემორჩენილებულ წიგნებში არ წამოუყენებია, მაგრამ მაგალითების შებირისპირების კვალობაზე ნათლად ჩანს, რომ ავტორი უპირატესობას ანიჭებს პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციას ირიბი მეტყველების კონსტრუქციასთან შედარებით. სამაგიეროდ, დებულება კატეგორიული სახით გამოთქმულია მის

„ქართულ გრამატიკაში“. აქ ნათქვამი: „რუსული ენის გავლენით ხშირად უკანონო კონსტრუქციას ხმარობენ...“
გალითად: ა. სანდრომ სთქვა, რომ ის თფილისის მიდის; ბ. შენ მეუბნები, რომ მე მდიდარი ვარ, და სხ. — დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი ქართულად იმ პირში დაისმის, რომელიც პირდაპირ მიმართვაში უნდა იყოს ხოლმე, — მაშასადამე, ზემოხსენებული წინადადებანი ასე უნდა გამოვსთქვათ:

ა. სანდრომ სთქვა — თბილისის მივიღვარო.

ბ. შენ მეუბნები — მდიდარი ხარო“ (ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1917, გვ. 177).

ამრიგად, სილოვან ხუნდაძის აზრით: 1. სავალდებულოა შემასმენელი დაისვას იმ პირში, რომელიც პირდაპირ მიმართვაში გვაქვს, 2. ირიბი კონსტრუქცია, ენაში საკმაოდ გავრცელებული, ქართული ენისათვის შეუფერებელი კონსტრუქციაა, 3. მისი გაჩენა ქართულში რუსული ენის გავლენას მიეწერება.

გრ. შანიძის წერილში ეგვევ აზრია გამოთქმული, ოღონდ არ არის მითითებული, რომ ეს დებულება პირველად სილოვან ხუნდაძის მიერ არის წამოყენებული რამდენიმე ათეული წლის წინათ. გრ. შანიძე, მართალია, სილოვან ხუნდაძეს იმეორებს, მაგრამ მეორე საკითხთან დაკავშირებით, სახელდობრ, **მეთქი-თქო-ო** ნაწილაკების გამო. სილოვან ხუნდაძესა და გრ. შანიძეს შორის განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: გრ. შანიძე მოითხოვს, რომ „უკანონო ფორმა“ — ირიბი მეტყველების კონსტრუქცია ერთთავად აილაგოს ენაში და აღმოფხვრას მისი ნიშან-წყალი, სილ. ხუნდაძე კი არავითარ „რეცეპტებს“ არ გთავაზობს, აღნიშნავს მხოლოდ, რომ ქართულში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირდაპირ ნათქვამს — ირიბ ნათქვამთან შედარებით, — ირიბ კონსტრუქციასთან, რომელიც ჩვენს ენაში

შოთა ძიძიგური

„ირიბი მეტყველების“ დასაცავად

სხვა ენის გავლენითაა დამკვიდრებული.

სილოვან ხუნდაძე, როგორც გამოცდილი გრამატიკოსი, სხვანაირად ვერ იმსჯელებდა: მან კარგად იცოდა, რომ ენაში დამკვიდრებული კონსტრუქციის ხელაღებით დამგობა შეუძლებელია, — გრამატიკა ვალდებულია აღნუსხოს ის, რაც არის ენაში; სხვა საკითხია, თუ რომელ ფორმას მივანიჭებთ უპირატესობას.

მიუხედავად იმისა, რომ სილოვან ხუნდაძის მსჯელობა არ არის მოკლებული სიფრთხილესა და ზომიერებას, მაინც იგი მცდარია და ისტორიული თვალსაზრისით სრულიად შეუწყნარებელი. შესაბამისად ამისა: ხუნდაძის აღმბრუნების — გრიგოლ შანიძის უკიდურესი თვალსაზრისი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სრულ გაუგებრობაზე და მეცნიერული კვლევა-ძიების ელემენტარული წესების დარღვევაზე არის აგებული.

2. გარდა იმისა, რომ გრ. შანიძე, სადაც საჭიროა, არ ასახელებს სილოვან ხუნდაძეს, იგი არ იცნობს საგნის უახლეს ლიტერატურასაც. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირ-ირიბი მეტყველების, კერძოდ — „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების შესახებ გარკვეული დებულებებია გამოთქმული საკითხის მონოგრაფიული წესით შესწავლის საფუძველზე. ავტორს რომ ეს ნაშრომები გაეთვალისწინებინა, მისი „ისტორიული ექსკურსები“ კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის სინამდვილეში სხვა სახეს მიიღებდა (ამაზე ქვემოთ).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ირიბი მეტყველების კონსტრუქციის აღმოცენება, საერთოდ, ენებში შინაგანი განვითარების შედეგია და არა გარეშე გავლენების გზით მიღებული. თუ ენის ევოლუციის უძველეს საფეხურებზე პირდაპირი მეტყველების კონსტრუქცია შესაფერისი და ბუნებრივი იყო, შემდეგ და შემდეგ, ენობრივი აბსტრაგირების პროცესებთან დაკავშირებით გაჩნდა აუცილებლობა,

აღამიანს სხვისი ნათქვამი მოტანა არა სიტყვასიტყვით, არამედ განყენებულად, ფაქტის ზოგად ფორმებში მოცემის გზით. მართლაც, კონკრეტულია სინტაქსური კონსტრუქცია: „ლიახვმა თქვა: ავდიდდები, არაგვს არ დავედარები“, ხოლო აბსტრაქტული და განზოგადებული: „ლიახვმა თქვა, რომ ავდიდდება და არაგვს არ დაედარება“. თუ პირველ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ექცევა იმას, თუ, სახელდობრ, როგორ, რა სიტყვებით გამოთქვა ლიახვმა თავისი აზრი, მეორე შემთხვევაში ისაა საყურადღებო, თუ რა თქვა ლიახვმა!

ირიბი მეტყველება სუბიექტური ელფერის მატარებელია, რამდენადაც მოლაპარაკე სხვის აზრს ერთგვარად ემიჯნება და მას საკუთარ ასპექტში წარმოგვიდგენს. სხვისი ნათქვამი აღამიანს სურს გადმოსცეს თავისი თვალსაზრისითაც სიტყვების გამოტოვებით ან ჩამატებით; ყოველთვის არაა აუცილებელი სიტყვასიტყვით გადმოცემა სხვისი ნათქვამი. აი ამიტომ ენაში ორივე კონსტრუქცია უნდა არსებობდეს, მათ თავ-თავისი ადგილი აქვთ და არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად განვითარებული ენა, რომ ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციები არ გამოემუშავებინოს. ირიბი კონსტრუქცია ენის პროგრესის შედეგია და მის „წინააღმდეგ ბრძოლა“ არათუ შეუძლებელია, ამასთანავე, ენის სინტაქსურ შესაძლებლობათა დაქვეითების მომასწავებელიცაა.

აქ საჭიროა ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას.

როგორც ცნობილია, ენაში არსებობს შინაგანი სტილური დიფერენცია. პირდაპირი ნათქვამის კონსტრუქცია უფრო შესაფერისია მხატვრული ლიტერატურის სტილისათვის და სასაუბრო მეტყველებისათვის (ამიტომაც იგი ხშირი დიალექტებშიც). ირიბი ნათქვამი კი უფრო ნიშანდობლივია აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნების ენობრივი გამოხატულების სტილური სახეობისათვის. პირდაპირი ნათქვამი

„აზრის გამოხატველი საშუალებებით მდიდარია, ირიბ ნათქვამთან შედარებით ცოცხალი და ემოციური“ (დოც. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 152).

გრ. შანიძე წერილის დასაწყისში იმოწმებს ვახტანგ ჭელიძეს, რომელსაც თავის წერილში „საშვილიშვილო საქმე“ ამგვარ წინადადებას — „შვილმა უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება“ გაუმართავად მიიჩნევს და გვთავაზობს ასეთ ვარიანტს: „შვილმა უთხრა დედას, სადაც ამხანაგები მეგულება, იქ მივდივარო“. ეს შენიშვნა-შესწორება სავსებით სამართლიანია, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ვ. ჭელიძეს თავისი აზრი არ განუზოგადებია და არ უთქვამს — ამ უხეირო მაგალითების კვალობაზე ირიბი მეტყველება ენაში აღმოფხვრათო. ამდენად, გრ. შანიძეს თავისი მცდარი შეხედულების დასამტკიცებლად ვ. ჭელიძის პოზიტიურად გამოთქმული აზრი არ გამოადგება.

გრ. შანიძე ხუნდაძისებურად ფიქრობს, რომ ირიბი მეტყველების კონსტრუქცია რუსული ენის მეშვეობითაა დანერგილი ჩვენს ენაში; ძველ ქართულში (ავტორის ტერმინოლოგიით — „საეკლესიო მწერლობაში“) და საშუალო ქართულში (ავტორის ტერმინოლოგიით „საერო მწერლობაში“) თურმე ამგვარი ფორმები არ გვხვდება (თუ აქ რუსულის გავლენაა, ამგვარი ნიმუშები არ უნდა გვხვდებოდეს ძველი საუკუნეების ქართულ მწერლობაში).

ეს მოსაზრება ჰაერში გამოკიდებულია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, რომ „ძველ ქართულშივე ჩამოყალიბებულია ირიბი მეტყველების (oratio obliqua) კონსტრუქცია“ და ნაჩვენებია ამ სინტაქსური ფორმის სტრუქტურული ნიშნები სათანადო მასალის მიხედვით (იხ. ჩვენი წიგნი: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. კავშირები და საკავშირებელი სიტყვები“, 1959 წ., გვ. 51

და შემდეგი. აგრეთვე: ფ. ერთგული-ლი: „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“. I. 1963 წ.

დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი, საიდანაც ჩანს, რომ ირიბი ნათქვამის კონსტრუქცია გვაქვს ქართულ ენაში უძველესი ძეგლებიდან მოყოლებული და რუსული ენის გავლენის ვარაუდი ქრონოლოგიურად შეუძლებელია და საფუძველსმოკლებული (ერთგან გრ. შანიძე ინდოევროპულ ენებს ასახელებს, აგრეთვე, ყოველგვარი მტკიცების გარეშე).

ძველი ქართულიდან: „და ზრახვა-ყვეს, რაათა იესუ ზაკუვით შეიპყრან“ (ოთხთავი. ა. შანიძის გამოცემა: მათე 26,4); ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილობდეს გზასა ზედა (ოთხთავი. ა. შანიძის გამოცემა: მარკოზ, 9,33); და უთხრა რუთ დედამთილსა თვისსა, სადა-იგი კრიბა (წიგნი ძუელისა აღთქუმისანი. ა. შანიძის გამოცემა: 2,19); ...ევედრებოდეს მას, რაათა უბრძანოს მათ (10 საუკუნე: ცხოვრება საბა ასურისაჲ. ს. ჯანაშიას გამოცემა: 5,8); და უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს (მე-10 საუკუნე: ხანძელის ცხოვრება. ნ. მარის გამოცემა: 68,70); და ეტყოდეს ძმანი იგი რაათა ავედროს ღმერთსა (მე-10 საუკუნე: ი. არიმათიელი. ნ. მარის გამოცემა: 46,5); და ევედრა ტიმოთეს, რათა იტვირთოს სიბერე მისი და წარჰყვეს მას (მე-10 საუკუნე; ტიმოთე ანტიოქიელი, კ. კელიძის გამოცემა: 60,33).

ასევე უხვადაა ზემოხსენებული ტიპის ნიმუშები საშუალო ქართულში.

ახალ ქართულში ხომ ჩვეულებრივია ამგვარი მაგალითები ირიბი მეტყველების კონსტრუქციისა: „ბრძანა, რომ ზელმეკრული გაეყვანათ წყალგალმა“ (აკაკი); „ყველა თავისთვის ევედრებოდა ღმერთს, რომ ლეში არ მოეკლო მისთვის“ (ვაჟა); „გამოუცხადა, რომ მაგისტვის მუშაკი გაეგზავნა“ (ყაზბეგი); „მაგრამ ჯერ ჰკითხა უცნობსა,

შოთა ძიძიგური

„ირიბი მეტყველების“ დასაცავად

რაზედ თავხედობს იგია, ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადაუქილია“ (რ. ერისთავი).

ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ გრ. შანიძე უსაბუთოდ მსჯელობს და ჩვენს ენაში ახალი მოვლენა რომ ჰგონია, თურმე უძველესი ყოფილა.

რა ფასი აქვს ამის შემდეგ ავტორის ასეთ კატეგორიულ განცხადებას: „საეკლესიო და ძველს კლასიკურ მწერლობაში... — ყველგან მოყვანილ სიტყვებში მხოლოდ პირდაპირი მიმართვა იხმარებოდა, ირიბი მიმართვა მათთვის უცხოა“ (ხაზი ავტორისაა. გვ. 130).

უცნაურია შემდეგი რამეც.

გრ. შანიძეს არ მოსწონს, რომ ირიბი ნათქვამი შესულია ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებში. ამ თვალსაზრისით იგი აკრიტიკებს პროფ. ა. შანიძეს, პროფ. გ. ახვლედიანს, დოც. ლ. კვაჭაძეს; „ქართული ენისათვის ამ შეუფერებელმა გამოთქმამ, მოყვანილი სიტყვების მხრივ, ქართული სკოლებისათვის შედგენილს უცხოური ენების გრამატიკა-სახელმძღვანელოშიც კი შეაღწია. ...ამრიგად, დაკანონდა ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო კონცეფცია მოყვანილი სიტყვების მიმართ“ (გვ. 126) და ამავე თვალსაზრისით ამტყუნებს უცხოურ ენათა სახელმძღვანელოების ავტორებსაც.

გრ. შანიძე აქ ანგარიშს არ უწევს გრამატიკული მეთოდოლოგიის ერთ ელემენტარულ მოთხოვნილებას: გრამატიკა არ არის ენის **კანონმდებელი**, იგი **ამსახველი და აღმწესხველია** ენაში (resp სალიტერატურო ენაში) არსებული ფორმებისა. ირიბი ნათქვამი **არსებობს** ქართულ ენაში (მიუხედავად იმისა, გრ. შანიძეს ეს ფორმა მოსწონს თუ არა) და გრამატიკაც **ვალდებულია** ასახოს იგი. სახელოვანმა სილ. ხუნდაძემ ეს წესი კარგად იცოდა და ამიტომ ის შეიტანა კიდევაც თავის გრამატიკის სახელმძღვანელოში.

დამახასიათებელია, რომ გრ. შანიძემ სილოვან ხუნდაძეს აპატია, რომ მან გრამატიკის სახელმძღვანელოში მოა-

თავსა ცალკე თავის სახით ირიბი მეტყველების საკითხი, ხოლო ეს არაა ახალი ქართული ენის გრამატიკული და სასკოლო გრამატიკების შემქმნელს, ქართული საენათმეცნიერო სკოლის მეთაურს აკაკი შანიძეს! სადაც სამართალია, ჩვენს ავტორს იმ თანამედროვე გრამატიკოსებთან ერთად, რომლებსაც სახელმძღვანელოებში დაუკანონებიათ (sic) „ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო კონცეფცია მოყვანილი სიტყვების მიმართ“, სილ. ხუნდაძეც უნდა მოეხსენებინა, რამდენადაც ამ უკანასკნელმა ნახევარი საუკუნით დაასწრო დღევანდელ სპეციალისტებს...

კიდევ მეტიც: ჩვენს ავტორს ირიბი მეტყველების კონსტრუქცია მოუნათლავს პროფესორ ა. შანიძის „კონცეფციად“, თითქოს ირიბი მეტყველება ენაში ა. შანიძის მოგონილი იყოს! გრ. შანიძის მსჯელობიდან ასე გამოდის. ერთგან ასეცაა ნათქვამი: „...პროფ. აკ. შანიძის კონცეფციას, რომელიც ქართულ ენაში სხვა ენის გავლენითაა შემოჭრილი და გავრცელებული, ვერავითარი მოსაზრება ვერ გაამართლებს და იგი უნდა უარყუთ“ (გვ. 129). რა გამოდის აქედან? „პროფ. აკ. შანიძის კონცეფცია“ გაიგივებულია ირიბი მეტყველების კონსტრუქციასთან, მაშასადამე, ეს კონსტრუქცია პროფ. ა. შანიძეს შეუქმნია უცხო ენის გავლენით და გაუვრცელებია ქართულ ენაში! აქამდის ვიცოდით, რომ „კონცეფცია“ მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგებაა, შეხედულებათა სისტემაა, ხოლო ენაში არსებულ რომელიმე კატეგორიას ანდა ფორმას თუ გრამატიკის ავტორის კუთვნილებად მივიჩნევდით, ეს ახალი ამბავია...

წერილის ავტორი იმასაც აღიარებს, რომ პროფ. ა. შანიძის სინტაქსის სახელმძღვანელოში პირდაპირი და ირიბი ნათქვამები გაიგივებულია ინდოევროპული ენების, რუსულის, ფრანგულის თუ სხვა ენების პირდაპირ და ირიბ ნათქვამებთან და ამით „ქართული ენის ბუნება, ხასიათი უგულებელყოფი-

ლიათ“ (გვ. 126). რის საფუძველზე გამოაქვს ავტორს ასეთი მკაცრი დასკვნა? აი ამ მაგალითების საფუძველზე: „ლიახვმა თქვა, რომ აღიღდება (ის), არაგვს არ დაედარება“ (ა. შანიძის მიერ გამოყენებული ნიმუშია. შ. დ.) — განა აქ იგივე აზრია, რაც პირდაპირ ნათქვამში: „ლიახვმა თქვა: ავდიდდები (მე), არაგვს არ დავედარები“? სულაც არა, — განავრძობს ავტორი, — აქ აზრობრივად „პირდაპირი და ირიბი ნათქვამი“ ერთმანეთს შორდება: პირველ შემთხვევაში (პირდაპირ ნათქვამში) აღიდება მთქმელს — ლიახვს მიეკუთვნება, მეორე შემთხვევაში კი (ირიბ ნათქვამში) — სხვას, არა ლიახვს, არამედ, ვთქვათ, ძირულას“ (გვ. 126).

ეს ნაძალადევი მსჯელობა მშვენიერი ნიმუშია ენობრივი ფაქტების ნებისმიერი ინტერპრეტაციისა. ნუთუ „ლიახვმა თქვა, რომ აღიღდება, ლიახვს არ დაედარება“ შინაარსობრივად იგივე არ არის, რაც „ლიახვმა თქვა, ავდიდდები, ლიახვს არ დავედარები“?!

წერილის დიდი ნაწილი ეთმობა ქართულში არსებული „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების (მეთქი, თქო, ო) ხმარებას. ეს საკითხი სადავო არ არის და მწერლობაში არც მიღებული ნორმების დარღვევებია დადასტურებული. ენამ ბუნებრივად შეიმუშავა ხსენებული ნაწილაკები და ქართულ მეტყველებაში მათი ხმარება ნორმალურ კალაპოტშია მოქცეული. ავტორის ძირითადი დასკვნა ესაა: „მოყვანილი სიტყვების გადმოსაცემად უპირატესობა ნაწილაკიანი მიმართვას უნდა მიეკუთვნოს“, ე. ი. მეთქი-თქო-ო უნდა გამოვიყენოთ! ვინ უარყოფს ამას? თუ თანამედროვე მწერლობაში ეს წესი ერთთავად დარღვეულია, მაშინ ავტორი ვალდებული იყო, კონკრეტული მაგალითები დამოწმებინა და ეჩვენებინა, რომ არსებობს საფრთხე ნაწილაკიანი ფორმების მივიწყებისა თუ უკუგდებისა. გრ. შანიძის მსჯელობა ამ საგანზე სრულიად ზედმეტად უნდა იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი საგან-

გებოდ შესწავლილია და ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში პრაქტიკული წესებიც ჩამოყალიბებული. კვიციანი

მაგრამ სტატიის ამ ნაწილში არის შეცდომები და ისინი თავიდან იქნებოდა აცდენილი, ავტორი რომ იცნობდეს და იყენებდეს სამეცნიერო მწერლობაში მიღებულ დასკვნებს.

ვნახოთ, რა მეთოდით არკვევს ჩვენი ავტორი ვითომდა საცილობელ საკითხს — მეთქი, თქო, ო ნაწილაკების გამოყენებას ქართულ ენაში.

ჯერ მოჰყავს ვრცელი ციტატი სილოვან ხუნდაძის 1901 წელს გამოცემული ნაშრომიდან. შემდეგ დასძენს: „მოყვანილი სიტყვების შესახებ, სილ. ხუნდაძის შეხედულებისა და მოსაზრებების გასამტკიცებლად ჩვენ შემდეგს დავამატებთ (ხაზი ჩემია. შ. დ.): ქართულს საეკლესიო მწერლობაში მოყვანილი სიტყვებში პირდაპირი მიმართვა ყველგან ნახმარია უნაწილაკოდ“ (ხაზი ავტორისაა. გვ. 127). ეს ნიშნავს: ძველ სალიტერატურო ენაში (ე. ი. მე-11 საუკუნის ადრინდელ ხანაში) მეთქი-თქო-ო ნაწილაკები არ გვხვდება, — არ გვხვდება არც ერთ ძეგლში, თანახმად ავტორის კატეგორიული ფორმულირებისა: „პირდაპირი მიმართვა ყველგან ნახმარია უნაწილაკოდ“. ამ დებულების გასამაგრებლად დასახელებულია ორიოდ მაგალითი (უნაწილაკო ფორმების ნიმუშები) და ისიც არა პირველწყაროებიდან, არამედ ქრესტომათიიდან, თანაც არ ვიცით, რა ტექსტებიდანაა მაგალითები შერჩეული (ძეგლები მითითებული არაა).

სილ. ხუნდაძის მოსაზრებებს რაც დაუმატა გრ. შანიძემ, გაუგებრობისა და საქმის ვითარების უცოდინარობის შედეგია. ასე იცის მართოდენ სილ. ხუნდაძის ძველ ნაშრომზე დაყრდნობამ და ჩვენი დოკუმენტული გამოკვლევების უგულებელყოფამ.

საქმე ისაა, რომ ძველი მწერლობის ძეგლებში ნაწილაკიანი ფორმები (მეთ-

შოთა ძიძიგური

„ირიბი მეტყველების“ დასაცავად

ქი, თქო, ო) სწორედ რომ გვხვდება (პირველი ორი — შედარებით იშვიათად, მესამე — უფრო ხშირად). ამის ცოდნა დიხაბც ევალეობდა გრ. შანიძეს, რაკი ის საგანგებოდ „იკვლევს“ ამ საკითხს და გაბედულ დასკვნებსაც გვთავაზობს.

აი ზოგიერთი მაგალითიც: „გარქუმეთქი, მიუტევე, და მე მოგიტევენ“ (მარხვათა საკითხავები, ილ. აბულაძის გამოცემა: 43,12); „...არქუ მას, ესე ყოველი მიზეზი არს-თქუა“ (იქვე: 103, 24); „...თქუა, ...ვითარმედ შემდგომად სამისა დლისა აღვდგეო (ოთხთავი. ა. შანიძის გამოცემა: მათე, 27,63); „ვითარცა იტყვის მოციქული: მოუკლებელად ილოცევდიო“ (ხანძთელი. ნ. მარის გამოცემა: თ, ვ, 87); „აწ ამისთვის იტყვის სული იგი: გვიპყრენით მელნი მცირენიო“ (იპოლიტე. ნ. მარის გამოცემა: მე, 58).

მაშასადამე, „საეკლესიო მწერლობაში“, ე. ი. ძველ სალიტერატურო ქართულში ეს ნაწილაკები არსებულა, გრ. შანიძე კი ზეპირად ლაპარაკობს და მკითხველი შეცდომაში შეჰყავს უპასუხისმგებლო განცხადებებით.

მთელი უბედურება ისაა, რომ გრ. შანიძე როგორც ამ წერილში, ისე სხვა წერილებშიც ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ სილოვან ხუნდაძის ნაშრომებს და გვერდს უვლის იმ შედეგებს, რომლებიც მოაოვებულია ქართული ენის მეცნიერული შესწავლის დღევანდელ დონეზე. სილოვან ხუნდაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული გრამატიკის დარგში. თავისი დროისათვის მან კოლოსალური შრომა გასწია ჩვენი ენის სიწმინდის დასაცავად და საგრძნობი წვლილი შეიტანა გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. მაგრამ სილოვანის შემდეგ ქართველოლოგიამ არნახული წარმატებები მოიპოვა; დღეს ჩვენ გვაქვს ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა, შუქი მოეფინა ჩვენი ენის გრამატიკულ კატეგორიებს და სხვა და სხვა. ცხადია, დღევანდელი მკვლევარი უნდა გასცდეს იმ დონეს, რომელიც არსებობდა

ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში — ნახევარი საუკუნის წინათ.

გრ. შანიძე უკრიტიკოდ უკიდვბს სილ. ხუნდაძის ამჟამად მოძველებულ ზოგიერთ დასკვნას, ბრმად მისდევს და არ ამოწმებს ციტატებს. ერთი მაგალითი: ჩვენს ავტორს დამოწმებული აქვს სილ. ხუნდაძის შემდეგი ციტატი: „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის სულ პირდაპირი მიმართვაა; მეორე პირის სათქმელში — თქო მხოლოდ ერთ ადგილას აქვს რუსთველს ნახმარი: „მიკითხოს, ჰკადრე, იყოთქო, აქა ერთისა წამითა“ (გვ. 127). აქ შეცდომაა: „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ერთგან არ გვხვდება ეს ნაწილაკი (შეადარე: „მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა, აცნობე ჩემი სიკვდილი, — იყავ მართვითა მთრვალთა, — მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალთა“, სტროფი 158).

რაკი სიტყვა ციტატებზე მიდგა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ გრ. შანიძეს სხვისი აზრები თვითნებურად აქვს გადმოცემული. აი რა არის ნათქვამი 130-ე გვერდზე: „უდავოდ მართალია დიდი მეცნიერი ნ. მარი, როცა ქართული ენის შესახებ ამბობს: „ქართული ენით ყველაფერი გამოიხატება... რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ვერცერთ ენაში ვერ იპოვნით ისეთ აზრს, რომლის გამოთქმაც ქართულ ენას სრულყოფილად არ შეეძლოს“. ნ. მარის ნაშრომში კი ვკითხულობთ: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება... აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა საესებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას“ (ნ. მარის ქართულად დაწერილი ტექსტია. იხ. ლენინგრადში 1926 წელს გამოსული წიგნი: *Пособие для изучения живого грузинского языка*, стр. 57).

ასევე ნებისმიერად შეცვლილია ნ. მარის მეორე ციტატი: „ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებით მსოფლიო მნიშვნელობის ენას წარმოადგენს“ (გვ. 130).

ნ. მართან კი ვკითხულობთ: „...ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია“ (ნ. მარი, იქვე).

ამრიგად, უნდა დავასკვნათ: გრ. შანიძის დაპირება, გამოთქმული თავისი წერილის დასაწყისში — „შევეცდებით, მეცნიერულ დებულებებზე დაყრდნობით, შეძლებისამებრ, დავასაბუთოთ ასეთი გამოთქმის (იგულისხმება ირიბი ნათქვამი, შ. დ.) ანტიქართული ბუნება

და ხასიათი“ (გვ. 124), დაპირებად რჩება; ენაში უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული და განმტკიცებული ტაქსური კონსტრუქციების ურყოფა ამოა და სრულიად გაუმართლებელი ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით.

შოთა ძიძიგური

„ირიბი მეტყველების“ დასაცავად

გზაგაღმა ჯუნგლებში

ისინი სამი დღის განმავლობაში მიდიოდნენ ჯუნგლებში. ადამიანის კვალიც კი არსად შეუმჩნევიათ. ტომის ბელადმა მდინარე არიპუანანის მახლობლად დასასახლებელი ადგილი შეარჩია. ეს ადგილი უახლოესი სოფლიდან ასი კილომეტრით იყო დაშორებული. აქედან ციტა ლარგას ტომის ინდიელები „ხელს არ შეუშლიდნენ“ თერთკანიანებს, თერთკანიანებიც აღარ შეაწუხებდნენ მათ. ასე ფიქრობდა ტომის ბელადი. მას არ შეუმჩნევია პატარა თვითმფრინავი, რომელიც თავს დასტრიალებდათ.

თვითმფრინავი ინდიელთა მიერ ამორჩეული ადგილის მახლობლად დაეშვა. კაბინიდან კბილებამდე შეიარაღებული ხუთი კაცი გადმოვიდა.

განთიადისას ინდიელები უჩვეულო გრიალმა გააღვიძა. ეს ხელუშუბარების აფეთქების ხმა იყო. ქალებმა და ბავშვებმა მდინარეს მიაშურეს. უიარაღო, მოულოდნელი თავდასხმით დაბნეული მეომრები მტერს ვერ ხედავდნენ. ლტოლვილები მდინარის პირას ავტომატების ცეცხლს წააწყდნენ. ინდიელები ჯუნგლებში გაიბნენ.

შეიარაღებულმა თერთკანიანებმა ხეებიდან დაუწყეს

სროლა გაქცეულ ინდიელებს... საღამოსთვის ოპერაცია დამთავრებული იყო.

მეორე დილას თვითმფრინავი კვლავ დასტრიალებდა წყნარი მდინარის არიპუანანის ნაპირებს, გადარჩენილ ინდიელებს ეძებდა. მაგრამ ჯუნგლებში არც ერთი ცოცხალი ინდიელი აღარ იყო. უველანი დაეხოცათ, ამ ამბის მოწმე არ დარჩენილა.

მდინარე არიპუანანის ნაპირას ჩადენილი დანაშაულის ამბავმა დედაქალაქს მაინც მიაღწია. ინდიელთა დამცველი ორგანიზაციის ჩინოვნიკებმა (არსებობს ასეთი საჭველმოქმედო ორგანიზაცია) დაიწყეს კვლევა-ძიება, მაგრამ უშედეგოდ. უველა ინსტანციაში მათ უკვე არაერთხელ მოსმენილს პასუხი ეწოდათ: „როგორც ჩანს, პირველად ინდიელთა დაესხნენ თავს“. ინდიელთა დამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოელ ნუნტელმა კარგად იცოდა, სად უნდა ეძებნა ბოროტმოქმედი. ისიც იცოდა, რომ მათ ვერაფერს დააკლებდა. მართლმსაჯულება, ასეთ შემთხვევაში, ძალიან იშვიათად სჯდა დამნაშავეებს.

ბრაზილიის შტატის მატუ გროსუს ჩრდილოეთი რაიონ-

ნები, სადაც ძველთაგანვე სახლობდნენ ციტა ლარგას ტომები, ველური კაუჩუკოვანი მცენარეების უზარმაზარ ბუნებრივ პლანტაციას წარმოადგენს. კაუჩუკოვანი მცენარეების ხელშეუხებ ტყეებში ინდიელები მომთაბარეობენ. ისინი გულუბრველოდ ფიქრობენ, რომ ჯუნგლები უველას ეკუთვნის. ინდიელები „ხელს უშლიან“ კაუჩუკის დამამზადებლებს. ასეთ შემთხვევაში კაუჩუკის ფაბრიკების მენაბატონები კბრაობენ ხუთ, ავტომატებით შეიარაღებულ, არამზადას. ქირა დადგენილია — რვაასი დოლარი. დავალებაც ჩვეულებრივია — „ჯუნგლების გაწმენდა“.

ბრაზილიაში არის კომპანია „ფაისტოლუნ დუ ბრაზილი“. ამ კომპანიის დირექტორები ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ. შემოსავალიც იქ მიდის. კომპანიის ქაზნები ნატურალური კაუჩუკიდან ამზადებენ ავტომატის საბურავებს. ასობით უურნალო შეხვედებით ფერად რეკლამებს: „ფაისტოლუნის საბურავები მსოფლიოში საუკეთესოა“. ხშირად რეკლამაზე გამოხატულია ღია წითელი ფერის, თითქოსდა ინდიელთა სისხლით შეღებილი სპორტული ავტომანქანა.



ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან

ქართული ესთეტიკური აზროვნების შესწავლა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში იმდენად განვითარდა, რომ მან საესეებით ჩამოყალიბებული დისციპლინის სახე მიიღო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენს ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. ცხადია, ეს არ ნიშნავს თითქოს ამ დარგში გამოქვეყნებული ყველა შრომა ერთნაირი მეცნიერული ღირებულების მქონე იყოს. პირიქით, ამ შრომების ერთი ნაწილი თვით ესთეტიკური აზროვნების ისტორიის საგნისა და საზღვრების არასწორი გაგებითაც კი ხასიათდება. და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ცნობილია, ამ საკითხის (საგნის, პრობლემატიკის) გაშუქება ესთეტიკის ისტორიის განვითარების უპირველეს პირობას, საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

ესთეტიკის ისტორიის საგნისა და საზღვრების სწორი ანალიზი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს იმის გათვალისწინებას, რომ არსებობს ამ მეცნიერების ორი სახეობა: საერთო (ზოგადი) და ეროვნული, ე. ი. ესთეტიკური აზროვნების საერთო ისტორია და ეროვნული ისტორია. ზოგი მკვლევარი უარყოფს ამ შეხედულებას, ესთეტიკის მხოლოდ ერთი, სახელდობრ, საერთო (ზოგადი) ისტორიის უფლებამოსილებას აღიარებს. ამ გაგებით

ესთეტიკის განვითარება ერთადერთ გზას მოიცავს. ეს არის თვალსაზრისთა და სისტემათა საერთო (მსოფლიო მნიშვნელობის) თანმიმდევრული ისტორიული პროცესი. ამიტომ ესთეტიკის ისტორია მხოლოდ ამ პროცესს შეისწავლის (თავისთავად ცხადია, აქ ნაგულისხმევია ის თვალსაზრისი, სისტემა ან ცალკეული პრინციპი, რომელიც ახალია, ან ამა თუ იმ ხასიათის თავისებურებით ხასიათდება).

რასაკვირველია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ისტორია არსებობს, იგი არსებითად ესთეტიკის ძირითად, ანდა, შეიძლება ასეც ვუწოდოთ — დიდ ისტორიას წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია მისი შექმნის არაერთი ცდა. ცდა იმითომ, რომ ჯერ არ დაწერილა ესთეტიკის ისეთი საერთო ისტორია, რომელშიც ობიექტურად იყოს ასახული ყველა ხალხის ნამოღვაწარი აზროვნების ამ დარგში. ისეთ გამოცემაშიც კი, როგორიცაა „მსოფლიო ესთეტიკური აზროვნების ძეგლები“ (სსრ სამხატვრო აკადემიის გამომცემლობა, ტ. I, 1962), საესეებით უგულვებელყოფილია არა მარტო ცალკეული მოაზროვნეები, არამედ ქვეყნებიც კი (მათ შორის, ქართული ესთეტიკური აზროვნებაც), რაც საესეებით სამართლიანად აღნიშნა აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ თავის ოცენზიაში (იხ. „დროშა“,

1962, № 12). თუმცა ეს საკითხის მეორე მხარეა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო არსებითი ისაა, რომ ეს საერთო, მსოფლიო ისტორია არ არის ერთადერთი ისტორია ესთეტიკური აზროვნებისა. ესთეტიკური აზროვნების განვითარებას აქვს მეორე მხარეც — ეროვნული მხარე, რომელიც პირველადია, დიდი ისტორიის საფუძველსა და წყაროს შეადგენს და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურია თვით ერების განვითარების თავისებურებათა შესაბამისად.

ცნობილია, რომ ესთეტიკური აზრის განვითარება გაპირობებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებით. ბუნებრივია, ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს თვით მოაზროვნის ტალანტი, მისი ინტელექტუალური ინდივიდუალობა. ასე რომ არ იყოს, მაშინ ერთიდაიგივე ეპოქისა და მიმართულების ყველა ესთეტიკოსი აზროვნების ერთნაირ დონეზე უნდა იდგეს. მაგრამ სუბიექტური ფაქტორი ესთეტიკის განვითარებაშიც არ ვლინდება თავისთავადი მნიშვნელობით. როგორც ცნობილია, ყოველი მოაზროვნე, უპირველეს ყოვლისა, თვით არის ეპოქის პროდუქტი და გამოხატულება. მისი ტალანტის, ინტელექტუალური ინდივიდუალობის სიძლიერეზე დამოკიდებულია მხოლოდ ის, თუ რა სიღრმით და როგორი მეცნიერული სრულყოფილობით გამოვლინდება, აისახება მის ნააზრევში ესა თუ ის ახალი პრინციპები, თვალსაზრისი და იდეები, რომლებიც თავიანთ მხრივ, საბოლოო ახსნას საზოგადოებრივ ვითარებაში, „სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციების პირობებში“ პოულობენ. ერთი სიტყვით, ყოველი მოაზროვნის ინდივიდუალური დამსახურება მხოლოდ იმაშია, თუ რა დიაპაზონით გამოიყენებს იგი ეპოქის ტრამპლინს, ეპოქისეულ ასპარეზს, შესაძლებლობას, ანდა რამდენად უფრო მეტს დაინახავს, ამოიცნობს, განვითარებს თავის თანამედროვეებთან შედარებით; შეიძლება ასეც ითქვას — რამ-

დენად უფრო შეეჭიდება იგი თავისი დროის შეზღუდულობას. და რადგან ყველაფერი ეს (ობიექტური განვითარებრივი ვითარება, ეპოქისეული შესაძლებლობანი და ასპარეზი) ისტორიულად ყოველთვის ამა თუ იმ ერის ცხოვრების, საზოგადოებრივი განვითარების სახით გვაქვს მოცემული, ამიტომ ესთეტიკური აზროვნების განვითარებაც, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული კონკრეტული ეროვნული საზოგადოებრივი ვითარების მრავალფეროვანებას ეფუძვნება და გამოხატავს. მხოლოდ ამ ასპექტში განხილვის შედეგად ხდება ჩვენთვის გასაგები ანტიკური ესთეტიკა, გერმანული კლასიკური იდეალისტური ესთეტიკური სისტემები, დიდ რუს სამოციანელთა მატერიალისტური ესთეტიკური კონცეფცია და ა. შ. თვითიული მათგანი მხოლოდ შესატყვის ეპოქასა და ხალხს შეეძლო წარმოეშვა, შეექმნა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ყოველ ესთეტიკურ სისტემაში მოცემულია არა მარტო ისეთი პრინციპები, რომლებიც ზოგად თეორიულ ხასიათს ატარებს, არამედ ეპოქისეული, ეროვნულიც. ამავე დროს, ზოგჯერ ესთეტიკური აზროვნების პროცესი მხოლოდ ამ უკანასკნელითაც კი ისაზღვრება, ე. ი. არსებითად მისი მნიშვნელობა, ამა თუ იმ სახით, ეროვნულ საზღვრებს არ სცილდება, ეროვნული ხასიათის მატარებელია. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ესთეტიკური აზროვნების განვითარების საერთო გზა (ზოგადი ისტორია), რომელიც, როგორც ავლენონეთ, ახალი პრინციპების, თეორიების, სისტემების წარმოშობის, განვითარებისა და მოხსნის თანმიმდევრულ პროცესს გულისხმობს, ცალკეული ერების ესთეტიკური აზროვნების მონაპოვარს ემყარება და გამოხატავს. ეს მონაპოვარია მისი არსებობის ერთადერთი წყარო და საფუძველი. ამრიგად, ესთეტი-

მამია დუღუჩავა

ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან

კის ეროვნული ისტორია თვით ესთეტიკური აზროვნების განვითარების ობიექტური პროცესის არსით არის გაპირობებული. იგი არ გამორიცხავს საერთო (მსოფლიო) ისტორიას და არც ეს უკანასკნელი უპირისპირდება მას. პირიქით, ისინი ყოველთვის გულისხმობენ ურთიერთის არსებობას.

მაგრამ თუ ესთეტიკის საერთო (მსოფლიო) ისტორია სავსებით ასახავს ესთეტიკური აზროვნების განვითარების იმ პროცესის ყველა დიდ მონაპოვარს, რომლებიც ცალკეული ხალხების აზროვნების ისტორიისათვის არის ნიშანდობლივი, მაშინ რაღა საჭიროა ესთეტიკის ეროვნული ისტორიების ცალკე არსებობა? რა დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ მათ?

როგორც ვხედავთ, ეს კითხვა იმ არგუმენტზეა აგებული, რომელსაც ემყარებიან ესთეტიკური აზროვნების „ერთი ისტორიის“ თეორიის აპოლოგეტები.

ეს არგუმენტი კი ძალზე ხელმოკლეა და უსუსური არა მარტო იმის გამო, რაც უკვე აღვნიშნეთ, არამედ იმის გამოც, რომ იგი ნაწილობრივად არ ითვალისწინებს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც ამა თუ იმ ერის ესთეტიკური ნააზრვეის განვითარების შესწავლას აქვს თვით ამ ერის სულიერი და გონებრივი განვითარების შესწავლისათვის. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ესთეტიკის განვითარების არსებითი კავშირი შესატყვისი ეროვნული მხატვრული კულტურისა და კრიტიკის ისტორიულ პროცესთან. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ იმის მეცნიერულ შესწავლას, თუ რა ესთეტიკური თვალსაზრისი იყო ნიშანდობლივი მოცემული ეპოქისათვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმავე ეპოქის მთელი მხატვრული კულტურისა და კრიტიკული აზროვნების მიმართულების გაგებისათვის. ამავე დროს ესთეტიკური აზროვნებაც ზომ თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ორგანული ნაწილია ეროვნული ინტელექტუალური ცხოვ-

რების განვითარებისა. იგი ამ მხრივ სავსებით ეთანაზიარება ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებას. ეროვნული ისტორიები უკვე დაკანონებულ ფაქტს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ყველა ასპექტი ცხადყოფს ესთეტიკის საერთო ისტორიის პარალელურად ეროვნული ისტორიების არსებობის უფლებამოსილებასა და აუცილებლობას.

აქამდე აღნიშნული — ესთეტიკის ისტორიის სავსენი ზოგად დახასიათებასაც მოიცავს. უპირატესად ეს ითქმის საერთო (მსოფლიო) ისტორიის შესახებ. რაც შეეხება ესთეტიკური აზროვნების ეროვნულ ისტორიას, მის შესახებ უკვე თქმულს უნდა დავმატოვოთ ისიც, რომ მისი სავსანი ვაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე საერთო ისტორიისა. ეს იმიტომ, რომ იგი გულისხმობს ესთეტიკურ თვალსაზრისთა ისტორიული მონაცვლეობის ამომწურავ თანმიმდევრულ შესწავლას, დამოუკიდებლად იმისა, ახალია ეს თვალსაზრისი, თუ ვაგლენის შედეგს ან ცნობილ პრინციპთა პირდაპირ გამეორებას წარმოადგენს. ამდენად აქ, თავისთავად ცხადია, სავანგებოდ და ყველა თავისი მონაცემებით შესწავლება ესთეტიკური აზრის განვითარების ეპოქისეულ-ეროვნული საფუძვლები და ხასიათიც.

მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც ვთქვით, არის ესთეტიკური აზროვნების ორივე ისტორიის სავსენი ზოგადი დახასიათება. ამ საკითხის სრული ანალიზი კი მოითხოვს, დადგინდეს თვით ესთეტიკური პრინციპების, კონცეფციების, სისტემის კონკრეტული შინაარსი, საზღვრები, მიმართება. მაშასადამე, გაირკვეს ის, თუ როდის, რა შემთხვევაში ვაკვს მოცემული ესთეტიკური აზროვნება. ბუნებრივია, ყველაფერი ეს თვით ესთეტიკის სავსენი პრობლემის სფეროში იღებს სათავეს, ამ პრობლემის გაშუქებას ეფუძნება. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელის სპეციალური განხილვა აქ არ არის სა-

კირო. ჩვენი საკითხისათვის ამ მხრივ სავესებით საკმარისია შემდეგი ზოგადი მითითება: ესთეტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს ხელოვნების, სინამდვილის მშვენიერების, ესთეტიკური იდეალისა და ესთეტიკური გემოვნების ობიექტური კანონზომიერებანი. როგორც ცნობილია, პრობლემატიკის ორი ნაკადი გამოიყოფა კანონზომიერებათა შესწავლისას, რომელთა შორის ძირითადია იმის გაშუქება, თუ რა არის ხელოვნება, ემპირიული (სინამდვილის) მშვენიერება, ესთეტიკური იდეალი და ესთეტიკური გემოვნება? როგორ დამოკიდებულებაშია ისინი ურთიერთთან და როგორ არსებობს, ე. ი. განვითარების რა პროცესით ხასიათდება თვითეული მათგანი? საკუთრივ ხელოვნებას თუ ავიღებთ, ეს პრობლემატიკა გულისხმობს იმ ზოგადი თვისებების შესწავლას, რომლებიც ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი და რომელთა გამო ეს ნაწარმოებები ხელოვნების ქმნილებებს წარმოადგენს. ყველაფერი ეს გვევლინება როგორც ესთეტიკური აზროვნების სპეციფიკური პრობლემატიკა.

ესთეტიკის საგნის მეორე მხარე თუმცა ყოველთვის საგანგებო ანალიზის სახით არა გვაქვს მოცემული, მაგრამ ობიექტურად ასეთ შემთხვევაშიც კი გარკვევით ვლინდება იგი ამა თუ იმ სახით. აქ იგულისხმება იმის კვლევა, თუ როგორი ხელოვნება, ესთეტიკური იდეალი და გემოვნება არის უფრო ნამდვილი და სრულყოფილი. ეს პრობლემატიკა ესთეტიკურ აზროვნებას უშუალოდ აკავშირებს ეპოქის ესთეტიკურ იდეალსა და შემოქმედებით პრინციპებთან, და ამდენად, კრიტიკისა და მხატვრული კულტურის განვითარების მთელს პროცესთან. არსებითად ეს არის „ესთეტიკა მოქმედებაში“, ე. ი. ესთეტიკის ის ორგანული შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ესთეტიკური თვალსაზრისის კონკრეტირებას მოაზროვნის თანამედროვე ხელოვნების განვითარე-

ბის პრობლემატიკის სფეროში და გვევლინება, როგორც ეპოქისეული ესთეტიკური იდეალების, შემოქმედებითი პრინციპებისა და გემოვნების გაშუქება, მეცნიერული დასაბუთება, თეორია. ისტორიულად, რაც უფრო ღრმად პროგრესული და მეცნიერული იყო ესთეტიკური აზრის განვითარება, მით უფრო მეტად მოიცავდა იგი აქ აღნიშნულ მომქმედ მხარეს. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელს მაინც ვერ მივიჩნევთ ესთეტიკის სპეციფიკურ პრობლემატიკად, რადგან იგი მხატვრული კრიტიკის სფეროშიც შედის, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი და ძირითადი მომენტი. ამასთან, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ნორმატიული მხარე (ანდა უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, — შემოქმედებითი პრობლემატიკა) ესთეტიკური აზროვნების შემადგენელ ნაწილად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძირითადი პრობლემატიკაც გვაქვს მოცემული. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ იმის კვლევა და დასაბუთება, თუ რომელი ხელოვნება ან ესთეტიკური იდეალია უფრო სრულყოფილი, ვერ განაპირობებს ესთეტიკური აზროვნების არსებობას.

ამრიგად, ესთეტიკური აზროვნების განვითარების შესწავლის დროს აუცილებელია ურთიერთისაგან განვასხვავოთ ორი მომენტი, ორი მიდგომა: ერთი მხრივ, იმის ანალიზი, თუ რა არის და როგორ ვითარდება ხელოვნება, სინამდვილის მშვენიერება, ესთეტიკური იდეალი და გემოვნება საერთოდ, ხოლო მეორე მხრივ, იმის დასაბუთება, თუ რომელი ხელოვნება, იდეალი და გემოვნება არის უფრო მაღალი, ნამდვილი, სრულყოფილი. როგორც ვნახეთ, პირველი გულისხმობს ზოგადი კანონზომიერების დადგენას, მაშასადამე, ყოველი ცალკეული მოვლენის, ისტორიული ფაქტის ზოგად ნიშანდობ-

მამია დუდუჩავა

ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან

ლივ თვისებათა განზოგადებას. მეორე კი, ამ ზოგად კანონზომიერებათა შუქზე უკეთესი (ყველაზე სრულყოფილი) ესთეტიკური იდეალის, შემოქმედებითი პრინციპებისა (ე. ი. ხელოვნებისა) და ესთეტიკური გემოვნების ძიებას, თეორიულ გაშუქებას და მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლას.

იმ შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ქართული ესთეტიკური აზროვნების ამა თუ იმ მონაკვეთის თუ ცალკე საკითხის შესწავლას ისახავს მიზნად, აგრეთვე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ზოგი მონოგრაფიაც დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კლასიკოსთა ესთეტიკური მსოფლმხედველობის შესახებ, სწორედ ამ არსებითი და აუცილებელი გარემოების უკულმეზღვრებით ხასიათდება. ამის შედეგად აქ ვხვდებით ძალზე ცალმხრივ, მცდარ, ხოლო ზოგჯერ უკიდურესად პრიმიტიულ ანალიზსა და დასკვნებს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ისეთი მწერლების შეტანის ცდა, რომლებსაც არასოდეს არავითარი თეორიული შეხედულება არ აქვთ გამოთქმული ესთეტიკის ზემოთ მითითებულ პრობლემათა შესახებ. ერთადერთი წყარო ამ მწერალთა ესთეტიკური თვალსაზრისის განხილვისათვის, ეს არის მათი შემოქმედების მხატვრული კრედი, მათ ნაწარმოებებში ასახული შემოქმედებითი პრინციპები. ეს კი უკეთეს შემთხვევაშიც ავლენს მწერლის მხოლოდ ესთეტიკურ იდეალს, შემოქმედების მეთოდს, მაშასადამე, წარმოადგენს თვით მწერლის „შემოქმედების ესთეტიკას“, მხატვრულ სტილს და არა ესთეტიკას საერთოდ. ამიტომ ასეთი „ესთეტიკაც“ და მისი კვლევაც მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის სფეროს განეკუთვნება. სხვა დიაპაზონი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გააჩნდეს, მაგალითად,

ლ. არდაზიანის, გ. ერისთავის, ან დ. ჭონჭიძის „ესთეტიკური თვალსაზრისის“ შესწავლას.

ესთეტიკური აზროვნების განვითარების შესწავლის არასწორ მეთოდთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც მწერალს თუმცა მოცემული აქვს თავისი შეხედულებები ესთეტიკის პრინციპულ საკითხებზე, მაგრამ მკვლევარი ამ შეხედულებებს არა მარტო ვერ ანსხვავებს შემოქმედის მხატვრულ კრედოსა და ესთეტიკური იდეალისაგან, არამედ პირიქით — ამ უკანასკნელთა ანალიზით ცდილობს დაგვიხატოს ამ მწერლის ესთეტიკური ნააზრევი. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ესთეტიკური ნააზრევის ცხადსაყოფად იყენებენ მხატვრული შემოქმედების იმ მხარეს, რომელიც მთლიანად მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალობას განეკუთვნება. ერთი სიტყვით, რომელიმე კერძო მოვლენის ან ემოციის კონკრეტულ მხატვრულ წარმოსახვას განიხილავენ, როგორც ზოგად ესთეტიკურ პრინციპს, ესთეტიკურის რომელიმე არსებითი მომენტის გაგებას, განსაზღვრას. ზოგჯერ ლიტერატურის ნაწარმოების პერსონაჟთა ინდივიდუალური თავისებურებაც კი პოულობს ასეთ განზოგადებას. ასეთ მცდარ მიდგომას, უპირატესად, ვხვდებით შ. რუსთაველის ესთეტიკური მსოფლმხედველობის შესახებ დაწერილ შრომებში, კერძოდ. ისეთ საერთოდ საყურადღებო ნაშრომშიც, როგორიცაა გ. ნადირაძის „რუსთაველის ესთეტიკა“. მართალია, აქ სავსებით სწორადაა მიჩნეული რუსთაველის მსოფლმხედველობის შესწავლის ერთ-ერთ დამახასიათებელ მეთოდოლოგიურ შეცდომად „ესთეტიკური სახეების გადაქცევა ცნებებად“,¹ მაგრამ გენიალური მგონისის საკუთრივ ესთეტიკური მსოფლმხედველობის კვლევისას რატომღაც თვით გ. ნადირაძე გვევლინება ამ შენიშვნის აღრესატად: „მშვენიერების საზღვრების“ რუსთაველისეული გაგება მას გაანალიზებული აქვს არა მარტო მხატვრული სახეების, არამედ პოემის პერსონაჟთა

¹ გ. ნადირაძე, „რუსთაველის ესთეტიკა“, 1958, გვ. 7.

სილამაზისა და ტანჩაცმულობის პოეტისეული დახასიათების პირდაპირი გამოყენების საფუძველზე. ასეთსავე მასალას ემყარება გ. ნადირაძის თავისთავადაც მეტად ხელოვნური მსჯელობა რუსთაველის ესთეტიკური თვალსაზრისის ნათესაობაზე მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩთან, აგრეთვე „ადამიანის ესთეტიკურ უპირატესობაზე ბუნების წიაღში“² და სხვა. თუმცა უკვე აღნიშნულიც სავსებით ცხადყოფს ამგვარი კვლევის უსაფუძვლობას, მაგრამ ერთ რეპლიკას მაინც დავძენთ: ნუთუ ლამაზ პერსონაჟთა წარმოსახვა და შექება, ან ლამაზი ტანსაცმლის აღწერა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ „ადამიანის ესთეტიკური უპირატესობის“ თეორია მივაწეროთ რომელიმე ხელოვანს, ან დავასკვნათ, რომ თითქოს, რუსთაველის გაგებით, მშვენიერების საზღვრები „ემთხვეოდეს არსებული სინამდვილის საზღვრებს“?³ ასეთი „არგუმენტები“ ხომ ყოველი მწერლის, ან მხატვრის შემოქმედებაში შეიძლება მოიხაზოს? ლამაზი ადამიანები ისეთ უკიდურეს სუბიექტივისტსაც კი ჰყავს დახატული, როგორც ოსკარ უაილდი იყო.

ანალოგიური ანალიზი გვხვდება ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის შესახებ გამოქვეყნებულ შრომებშიც. მოვიტანთ ერთ ნიმუშს: ერთ-ერთი ავტორის მტკიცებით, ის გარემოება, რომ „განდეგილში“ განსახიერებული ქალიშვილი „უნაკლო სილამაზით“ არის შემკული, სავსებით ცხადყოფს, რომ ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ბუნების მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებაზე უფრო მაღალია და სრულყოფილი, ხოლო რადგან იგივე ქალიშვილი გლეხობის წრიდანაა. ამიტომ ბუნებაში ყველაზე მაღალ მშვენიერებას გლეხების ცხოვრება წარმოადგენს. ცხადია, ასეთი „არგუმენტებით“ ყველაფრის დამტკიცება შეიძლება და,

რაც მთავარია, ამ მთელი თავისი პრინციპით გულუბრყვილო „ანალიზს“ ვთავაზობს მკვლევარი მამია, რომელსაც ი. ჭავჭავაძეს ამ პრობლემის პრინციპულად საწინააღმდეგო გაშუქება სავსებით ნათლად აქვს მოცემული მთელ თავის წერილებში, უმთავრესად ერთ-ერთ თეატრალურ რეცენზიასა და აგრეთვე „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“.

პრინციპული ხასიათის შეცდომად გვევლინება ესთეტიკური აზროვნების განვითარების კვლევისას კონკრეტული კრიტიკული შეხედულების პირდაპირი გამოყენებაც. ცნობილია, რომ რომელიმე მხატვრული ნაწარმოების ან მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, რეჟისორის, მსახიობის თუ მთელი მიმდინარეობის კრიტიკულ განხილვაში ამა თუ იმ სახით, ყოველთვის ასახულია ზოგადი პრინციპები. მაგრამ ეს პრინციპები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გამოიყოს იმისაგან, რასაც წარმოადგენს რომელიმე ნაწარმოების, ან მიმდინარეობის კონკრეტულ-კრიტიკული განხილვა — დახასიათება, შეფასება. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ კონკრეტულ-კრიტიკული შეხედულებანი ისევე განსხვავდება ზოგადი პრინციპებისაგან, როგორც საერთოდ კერძო — ზოგადისაგან. მაგალითად, ის რაც ი. ჭავჭავაძეს აღნიშნული აქვს როგორც „ცისკრელი“ პოეტების შემოქმედების, ან საერთოდ სენტიმენტალური ლირიკის დამახასიათებელი თვისება, არსებითად განსხვავდება ლირიკული პოეზიის ზოგადი არსის, კანონზომიერების ილიასეული განსაზღვრისაგან. თავისთავად ცხადია, იგი განსხვავდება იმ პრინციპებისაგანაც, რომელთა სახით ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა თავისი დროის ქართული ლირიკის განვითარების გზას.

სხვათა შორის, ამ სავსებით ცხადი და ცნობილი გარემოების უგულვებელ-

მამია დუღულჩავა

ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან

² იქვე, გვ. 108.

³ იქვე, გვ. 172—173.

ყოფა განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება დასავლეთ ევროპის ესთეტიკური აზროვნების განვითარების შესახებ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ზოგ ნაშრომში, კერძოდ, საგანგებო ყურადღებას იქცევს ამ მხრივ პროფ. გ. ხავთასის „პ. ჰაინეს ხელოვნების თეორია“. ეს საკმაოდ ბუნდოვანი სახელწოდების მქონე ნარკვევი მოიცავს ჰაინეს ესთეტიკური მსოფლმხედველობის ანალიზის ცდას. თავისთავად ცხადია, ამ თემის დაძლევა არაა ძნელი, რადგან ჰაინე იმ დიდ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც, ი. ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც მზად არის, თქვენ მხოლოდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწყოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, იმასაც ჰკუა უნდა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვით-მოქმედება უფრო ხელისაა, თუ ეს ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალდონისა, რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სწლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად აწყვიტა ევროპის ლიტერატურის სალაროში მზა-მზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვოთ და, რაკი ეს გექნებათ, ხელის გაწვდენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და რაცა გასუროთ, ის გამოიღოთ“¹.

არ იქნებოდა სწორი, რომ გვეთქვა, თითქოს პროფ. გ. ხავთასი ზოგჯერ

სათანადოდ ვერ სარგებლობდა იმ უჯრებით. მაგრამ იმისათვის, რომ დაადგინო ჰაინეს თეორიულ საზრისი ხელოვნებაზე, აუცილებელია იყო არა მარტო ლიტერატორი, არამედ ესთეტიკური აზროვნების ისტორიის სპეციალისტიც. ამასთან, ჰაინეს კრიტიკული შეხედულებების ნათელსაყოფად და მათში ზოგადი პრინციპების ამოსაყოთხავად არ არის საკმარისი მხოლოდ ამ შეხედულებათა დაწვრილებით გადმოცემა. საჭიროა, სათანადოდ იცოდეს ფერწერის, მუსიკის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგთა ის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებიც, რომელთა განხილვასა და შეფასებას ეს შეხედულებები მოიცავს. მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად ელემენტარულია, რომ მის შესახებ საგანგებო მსჯელობა იმ მრავალ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, რომელსაც ხავთასის წიგნში ვხვდებით, უხერხულიც ჭი არის. გარდა ამისა, ხავთასის „პ. ჰაინეს ხელოვნების თეორია“ აქ მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიხსენიეთ, თუ როგორ არ უხდა იყენებდეს მკვლევარი კონკრეტულ კრიტიკულ შეხედულებებს, ამ შეხედულებათა ავტორის ესთეტიკური მსოფლმხედველობის ანალიზისას. ამ მხრივ გ. ხავთასი იმდენად შორს მიდის, რომ მას არსებითად ჰაინეს ნააზრევში მოცემული ხელოვნების კანონზომიერების გაშუქება სავსებით გაივიწყებული აქვს მწერლის შეხედულებებთან ამა თუ იმ მიმდინარეობის ან ნაწარმოების შესახებ, აგრეთვე იმ პრინციპებთანაც, რომლებიც განეკუთვნება (გამოხატავს) ჰაინეს ესთეტიკური იდეალისა და შემოქმედებითი კრედოს სფეროს. განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ეს შრომის იმ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს პასუხს ამ ავტორისათვის, საერთოდ დამახასიათებელი თავისებური ქართულით გადმოცემულ შემდეგ კითხვაზე: „თუკი ჰაინეს პოეზიაში დაცულია შინაგანი მთლიანობა, მაშინ რა საფუძველი უნდა გააჩნდეს მწერლის დაფლე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1958, გვ. 155.

თილობის აღიარებას? ¹ თუმცა აქ მოცემული მრავალი დამახასიათებელი მსჯელობისა და დასკვნის დამოწმება (ციტირება) ზედმეტი იქნებოდა, რადგან ხავთასის შრომაში ისეთ საოცარ უკიდურესობასაც ვხვდებით, რომლის გვერდით როგორც ეს, ისე ყველა სხვა ხავთასისეული შეუსაბამობანი ერთბაშად ფერმკრთალდება. სახელდობრ, ხავთასი იმის დასაბუთებას, რომ ჰაინეს თვალსაზრისით სილამაზე ობიექტურად არსებობს და „ორი მთავარი ტიპისაა“, მწერლის „მემუარებიდან“ აღებული ისეთი ჩვეულებრივი გამოთქმებით ახდენს, რომლებიც საერთოდ გავრცელებულია და არავითარ თეორიულ ხასიათს არ ატარებს. ეს არის ყველასათვის ცნობილი და უკიდურესად კერძო მნიშვნელობის გამოთქმები: **მამაკაცური და ქალური სილამაზე**. აი თვით ეს „ანალიზიც“: „სილამაზის მიჩნევას რეალობის კატეგორიად ვნახულობთ „მემუარებში“. აქ ჰაინე არჩევს სამ ტიპს: ბერძნულს, რენესანსულსა და როკოკოს... სილამაზის რენესანსული სტილის დამახასიათებელ ნიშნად ჰაინე აღიარებს სპირიტუალისტურ-მეოცნებური და წარმართული მხარეების მოცემულობას. სილამაზის როკოკოს სტილს ჰაინე აკავშირებს იმ დროსთან, როცა ეპოქას უკვე „ხასიათი აღარა აქვს“. ამ სტილის სილამაზეს ნახულობს ჰაინე თავის მამაში, განსხვავებით თავის ბიძისაგან, რომელიც „მამაკაცური სილამაზის“ განსახიერებად მიაჩნია. **არსებითად ჰაინე სილამაზის ორ მთავარ ტიპს უნდა აღიარებდეს: მამრობითსა და მდედრობითს**“.

(ხაზგასმა ჩემია. მ. დ.) ² ამის შემდეგ კი ხავთასი ვრცლად ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რით ხასიათდება მდედრობითი და მამრობითი სილამაზე, ან რატომ იყო ჰაინეს მამა მდედრობითი სქესის სილამაზის გამომხატველი და

სხვ. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი სქესის „სილამაზეს“ მიაკუთვნებდა თვით ჰაინე ჩვენი პროფესორის ³ „აღმოჩენებს“, მაგრამ ის კი სავესებით ცხადია, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვს არც ჰაინეს თეორიულ ნააზრევთან და არც ესთეტიკური აზროვნების განვითარების მეცნიერულ კვლევასთან საერთოდ (აქ არაფერს ვამბობთ ციტირებული სტრიქონების სტილისა და ხელოვნების ისტორიის ცნობილი ცნებების სავესებით შეუსაბამო გამოყენების შესახებ).

დავგრჩა კიდევ ერთი საკითხი.

ესთეტიკური აზროვნების ისტორია იცნობს არაერთ ისეთ ხელოვანს, რომელსაც სავესებით ნათლად აქვს ჩამოყალიბებული თავისი ესთეტიკური თვალსაზრისი, მსოფლმხედველობა თავის ტრაქტატებსა და წერილებში. ზოგი მკვლევარის აზრით, ხელოვანის ესთეტიკური კონცეფცია ასეთ შემთხვევაშიც მხატვრულ შემოქმედებაში უნდა ამოვიკითხოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არ გვექნება საქმე ნამდვილ მეცნიერულ კვლევასთან. უკვე აღნიშნული საგანგებო კომენტარების გარეშეც ცხადს ხდის ამ აზრის მცდარობას. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის ზემოთ არაერთხელ დამოწმებული ფაქტი, რომ მხატვრულ შემოქმედებაში შეუძლებელია ასახული იყოს ესთეტიკის ძირითადი (სპეციფიკური) პრობლემემატიკის გაშუქება. მასში უკუფენილი და განსახოვნებულია ხელოვანის მხოლოდ ესთეტიკური იდეალი და შემოქმედებითი პრინციპები. ამის გამო, როდესაც ეს უკანასკნელი მოვლენები (იდეალი, შემოქმედებითი პრინციპები) ხელოვანის თეორიულად გამოხატულ ნააზრევში არა გვაქვს მოცემული, თავისთავად ცხადია, მხატვრულ შემოქმედებას უნდა მიემართოთ. მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათად გვხვდება. ეს

¹ გ. ხავთასი „ჰაინრის ჰაინეს ხელოვნების თეორია“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956, გვ. 21.

² იქვე, გვ. 300—301.

მამია დუდუჩავა

ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან

იმიტომ, რომ ყოველ ხელოვანს ყველაზე მეტად აინტერესებს შემოქმედებითი იდეალისა და პრინციპების გარკვევა, ე. ი. იმის დადგენა, თუ რომელი ხელოვნებაა უკეთესი. ამის გამო ყოველი მათგანის თეორიულ ან კრიტიკულ წერილებში, უპირველეს ყოვლისა, სწოროდ ეს საკითხებია განხილული, ამასთან, ისეთი სიზუსტით, რომ მხატვრულ შემოქმედებას ამ მხრივ რაიმე არსებითის დამატება არ შეუძლია. ამის ცხადყოფას წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის წერილები. ამ წერილებში იმდენად ნათლად არის ასახული მწერლის ესთეტიკური ნაზრების ეს მხარე — ეროვნული კრიტიკული რეალიზმის პრინციპთა ჩამოყალიბებისა და დასაბუთების სახით, რომ მას ისეთი ლექსებიც კი ვერ ამდიდრებს რაიმე ახალი დეტალით, როგორცაა: „ბოეტი“, „ჩემო კალამო“ და სხვა. ცხადია, ყველაფერი ეს არ ნიშნავს თითქოს გზადაგზა საჭირო არ იყოს ი. ჭავჭავაძის შემოქმედებასაც მიემართოთ რომელიმე პრინციპის ყოველმხრივ დასახსიათებლად ან იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ავლენს (ანხორციელებს) მხატვარი მის მიერ თეორიულად გამოსატულ ესთეტიკურ იდეალსა და შემოქმედებით პრინციპებს თავის შემოქმედებაში. მაგრამ ეს საჭიროა არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ გზადაგზა და მხოლოდ გარკვეული მასშტაბით. იმიტომ არ არის სწორი არც ის შეხედულება, რომელიც მოითხოვს თითქოს ნარკვევში ხელოვანის ესთეტიკური ნაზრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს მოცემული შემოქმედის თეორიული კონცეფციისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობის ამომწურავი და თავისთავადი

მნიშვნელობის მქონე ანალიზი. როგორც ჩანს, ამ შეხედულების დეტალები არ ითვალისწინებენ არა მარტომთელ რიგ ზემოთ აღნიშნულ ელემენტარულ გარემოებას, არამედ იმასაც, რომ იმის სპეციალური კვლევა, თუ როგორ ანხორციელებს ესა თუ ის მოაზროვნე ხელოვანი თავის ესთეტიკურ კონცეფციას თავისივე შემოქმედებაში, არავითარ შემთხვევაში არ შედის ესთეტიკური აზროვნების ისტორიის კომპენტენციაში. ეს იმიტომ, რომ, თუ ჩვენ გოეთეს ან ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური ნაზრების შესწავლისას ასეთ დიდ ამოცანასაც დავსახავთ, მაშინ საჭირო იქნება მწერლის მთელი შემოქმედების დეტალური განხილვა, რაც ლიტერატურის ისტორიის საგანს შეადგენს.

ესთეტიკური აზროვნების ისტორია დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელსაც, მსგავსად მეცნიერების ყოველი დარგისა, აქვს თავისი საკუთარი საგანი და ამოცანა. ბუნებრივია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი თავისებურად ვლინდება. მაგალითად, არ შეიძლება ზუსტად ერთნაირი იყოს, ერთი მხრივ, კანტის ან ჰეგელის, ხოლო მეორე მხრივ, შ. რუსთაველის, ლეონარდო და ვინჩის, გოეთეს ან ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური კონცეფციების ანალიზი. მაგრამ, მიუხედავად ამ სხვაობისა, ძირითადად ეს ანალიზი მაინც ყოველთვის აქ აღნიშნულ სპეციფიკურ საგანს და ამოცანას უნდა გულისხმობდეს. ბუნებრივია, ეს შეეხება ესთეტიკური აზროვნების როგორც საერთო, ისე ეროვნულ ისტორიას, შესაბამისად, თვითეული მათგანის თავისებურებისა.

გუგა მუხრანელი

მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ

შარშან, სერიით — „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკა“ გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტ გიორგი კაჭახიძის რჩეული ლექსების კრებული სათაურით — „მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ“. აქ წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა უკანასკნელი წლების შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

კრებული ხუთი თავისაგან შედგება: „მამულ-დედული“, „ის უბანი, ის კარმიდამო“, „მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ“, „სიცოცხლის შეძახილი“ და „სიჭაბუკის ხეივანში“.

პირველ თავში შინაარსისა და სიუჟეტის ორიგინალური გადაწყვეტით ყურადღებას იქცევს ლექსები: „ვალი მაქვს შენი“, „სამშობლოს გარდა“, „თქვენ იღვგრძელეთ!“ და „ჩემი თბილისი“.

...პოეტი სოფლიდან ბრუნდება, მიატოვა ნადიმი, სახლიკაცები და გულმა მშობლიური ქალაქისაკენ გამოუწია. აი, თბილისი, ქუჩაში მხრებგაშლილი მიაბიჯებს, მხიარულად ესალმებიან ნაცნობები, უცნობები და... „თავმდაბალი მისი წიგნები“.

...მახსოვს, ქუჩიდან შუქი მოფრინდა,
ჩემთვის ქალაქის კარის გამღები.
კრძალვით მოვედი, მომყვა სოფლიდან
პრელი ხურჯინი, გლეხის წაღები;

მანდა ხალათზე გიშრის დილივით
შავი, უბრალო ძაფის გვირისტი.
მაშინ არ ჰქონდა მტკვარს ეს ღიმილი,
არ იცინოდა ასე თბილისიც.

ჩემი თბილისი

წინაპართა მძლეთა-მძლე პეროიკა და გმირული სულია ჩაქსოვილი ლექსში „თქვენ იღვგრძელეთ“, რომელიც დაწერილია ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეორე წელს და ამან განაპირობა ლექსის დინამიურობა და ძლიერი რიტმი:

ამ დიდ მთა-ბარში ეს მერნები საით
გავრეკოთ!
კაფე-თესეო, — საღ იძახის ნეტავ გუგული
ველათის ხილვამ მომაგონა ოშკის
სამრეკლო
და ვარძიასთან ჯარის ფიცი, მთების
გუგუნი.

ნუ გამახსენებთ, თუ ოდესმე დამპრეს,
მეძინა,
თუ გულის ცემა მდუმარებით მქონდა
შეცელიო, —

თქვენ იღლებრძელეთ, რა დიდებულ დროს
გამეღვიძა,
ველავ ვაქცავი ვარ და საომრად
ქულნაკეცილი!

ახლა, როდესაც მთელი მსოფლიოს
პროგრესულმა კაცობრიობამ ზემით
აღნიშნა დიდი სამამულო ომის ოცი
წლისთავი, ეს ლექსი როგორც მოწოდება
ისე გაისმის ცივი ომის გამჩაღე-
ბელთა წინააღმდეგ...

გიორგი კაჭახიძის პოეზიაში დიდი
ადგილი აქვს დათმობილი სოფლის
ცხოვრების ამსახველ სურათებს. მისი
ყოველი მეორე ლექსი გლეხკაცის
მადლიანი გულით ფეთქავს. უფრო
მეტ, პოეტის ყოველი ლექსის ტაეპი
ბარაქიანი მიწის სურნელით სუნთქავს.
იგი თავისი ლექსების კარ-მიდამოში
ტრიალებს და თვალწინ დედულ-მამულ-
ლი ეხატება; ხან სერს ამწვანებს, ხან
სიტყვას რანდავს, ხან ოცნებით ცხრა
მთას მოივლის, მაგრამ ყველა საოც-
რებაზე მეტად სამშობლოს სიყვარული
სწვავს და აწვალებს: „ფესვი აქ მიდ-
გას და ვყვავილობ, ვით ეს ხეხილი,
რომ არ მიყვარდე, არ შემიძლია“...
„თქვენი სისხლის ვარ, რამ გამოთქმოს
თქვენი საქმიდან, კალმის ციმციმზეც
ამ ქუჩების სინათლით ვიწვი“ („ის
უბანი და ის კარ-მიდამო“).

კარგია ლექსი, როცა მას დაბადე-
ბისთანავე თან დაჰყვება მადლი და
სიკეთე, სინდისი და ალაღმართლობა.

პოეტის თქმისა არ იყოს, სიცოცხ-
ლისუნარიანია ლექსი, როცა მას პატ-
რონის უკან დადევნება არ დასჭირდებ-
ა; ან აქ არ წაიქცეს, ან იქაო...

მშობლის სიყვარული და გახსენება
ისევე ლამაზი და მიმზიდველია, რო-
გორც ახალ გაზაფხულზე ატმის ყვა-
ვილობა. ამ თემისადმი მიძღვნილი
ლექსები: „აქა ვარ, დედა!“, „მამის
გახსენება“ და სხვ.

გვექონდა ერთი სიხარული, ერთი დარდი,
გავვიშლია, დაგვიკეცავს ერთად ფრთები...
ჰოლა, ხშირად რომ ბინდდება, მზე რომ
ჩადის,
უნებლიეთ ჰიშკრისაკენ ვიხედები.
ვამბობ, საწოლს მამა სხვაგან როგორ
ვაშლის!

არა, გულს ვერ ვაჩაგვრინებ მწველ
მეგობრებთან ბაას შერჩა ალბათ გზაში
ან წისქვილში შეიარა.
ვარკუნულნი
გინდობითყმა

ბევრჯერ თქმულა და შეგვიძლია
ახლაც გავიმეოროთ იგივე: პოეზია ეს
არის ცხოვრება და ცხოვრება თვითონ
პოეზიაა...

ლექსში „მეც ჩემებური გუთნისდე-
და ვარ“ პოეტი წერს:

ჩემი დღეების სიტყვის ქაპანი
არ გამიშართავს გაუხედავად.
გუთანს მართავდნენ მამა-პაპანი,
მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ.

მართლაც, პოეტიც ხომ თავისებური
გუთნის დედაა, რომელსაც სურს სიტ-
ყვის ყამირი გატეხოს, დროზე მოხნას
მოსახველი, გზა გაუხსნას ხალხის
გულისაკენ მიმავალ მართალ სიმღე-
რებს, თორემ სიბერე მოუსწრებს და
წლები თავისას გაიტანენ:

მსურს, მოსახველი მოვხნა, ვიჩქარი,
სანამ მომისწრებს სადმე სიბერე, —
დროზე გავუღო ყველა ჰიშკარი
ხალხში მიმავალ მართალ სიმღერებს.

პოეტი ხალისით იგონებს ახალგაზრ-
დობას, მან კარგად იცის, რომ ვეღარ
დაიბრუნებს მას, მაგრამ ახალი თაო-
ბის შეხედვა ტკივილებს უყუჩებს,
თვლებში სინათლეს მატებს. „ახალ-
გაზრდობავ, ოღონდ მყავდე სულის
იმედად, ყოველ ამინდში აპრილივით
გავზაფხულდები“.


შესანიშნავი ლირიკული ლექსია „აკა-
ცია“. პოეტი საკუთარი ფანჯარიდან
ხშირად ხედავს ნაზ ქალიშვილს. მთელ
ზამთარს პოეტის გული უცეცხლოდ
თბება, ზამთარმა თითქოს იანვარში გა-
მოიზაფხულაო. და აი, მთებში თოვლი
გაღნა, მდინარეები აღიღდა, ხეებზე
კვირტებმა იფეთქეს, სახლის წინ მდგა-
რი აკაცია შეიფოთლა. პოეტი მოწყენი-
ლია, იგი ვეღარ ხედავს სასურველ არ-
სებას. აკაცია რომ იცოდეს პოეტის
გულისწადილი, ალბათ როგორმე ად-
გილს საკუთარი ჩრდილივით მოინაც-
ვლებდა:

არ ვიცი, ბნა სანაფხულოდ თუ როგორ
მორთე,
ტოტების ჩრდილით სარკმელს შუქი ზომ
არ აკლია?
შემოვაცლიდი აკაციას უთუოდ ფოთლებს,
მაგრამ რა ვუყო, ისიც მხიბლავს, ისიც
კარგია.

გ. კაჭახიძე ყოველთვის იმედის
თვალთ უცქერის მომავალს. მოზღვა-
ვებულ სიხარულით დამტკბარი ფიქ-
რობს, კვლავ გათალოს ლერწამის ღე-
რო და უმღეროს მომავლის დღეებს

ისეთივე გატაცებით და მღელვარებით,
როგორც სიჭაბუკის პირველ სიყვარულს.
მისი დაუოკებელი სურვილია
სულ წინ მიჭროდეს ბედის მარხილი და
ირგვლივ ესმოდეს ვაჟკაცური სიცოც-
ხლის ომახიანი შეძახილი: „რა კარგი
ხარ, სიჭაბუკევე, რა ხმიანი, როგორ
მინდა არ ჰქნებოდე აროდეს“...

გურამ მეტრეველი
მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ



გომი. რომელიც აღარ არსებობს

სამხრეთ ამერიკის ერთ-
ერთი ცნობილი და ძლიერი
ტომის, პაიაგუას დამორჩილე-
ბა ესპანელებმა XVI საუკუ-
ნეში დაიწყეს, მაგრამ ამოღ-
ოთხასი წლის განმავლობაში
ცდილობდნენ მისიონერები ამ
ტომის ქრისტიანულ წარწმუ-
ნობებზე მოქცევას, მაგრამ ვერ
მოაქციეს.

საბოლოოდ პაიაგუამაც გაი-
ზიარა იმ ტომების ბედი, რომ-
ლებიც მთლიანად განადგურე-
ბულ იქნენ. პაიაგუას ტო-
მის უკანასკნელმა წარმომად-
გენელმა მარია დომინიკა მი-
რანდამ (მისი ნამღვილი სახე-
ლი არავინ იცის) პარაგვაის
დედაქალაქის ასუნისონის და-
რბიულ გარეუბანში დალია
სული 1942 წელს.

პაიაგუას ტომის მამაკაცები
სახის სწორი ნაკეთებითა და
სხეულის ლამაზი, მაგარი აგე-
ბულებით გამოირჩეოდნენ. სი-
ცოცხლის მეტ ნაწილს ისინი
მდინარის პირას ატარებდნენ.
ნაოსნობაში მათ ტოლი არ
ჰყავდათ. ნაგებს — არგანა-
კებს ისინი დიდი სისწრაფით
მართავდნენ და თვითონაც
თევზებოვით ცურავდნენ.

პაიაგუას ტომს ჰქონდა ღირ-
სების კოლექსი, რომელსაც

ისინი წმინდად იცავდნენ. ამ
მამაც, გულღია ხალხს ეგონა,
რომ ასეთ პრინციპებს ატა-
რებდნენ მტრებიც.

ერთხელ ესპანელთა ციხე-
სიმაგრეში პაიაგუას მშვიდო-
ბიანი დღეღვაცია მივიდა. თა-
ვიდან ყველაფერი კარგად
მიდიოდა. მოსულეებს შეეგებ-
ნენ, ციხე-სიმაგრეში შეიპა-
ტიურეს და... დაამწყვდიეს. დე-
დგატები ჩამოახრჩვეს. გუ-
ბერნატორს ალვარ დე ვასას
ტერორის საშუალებით სურდა
ინდიელების დაშინება და
დათრგუნვა.

ტყვეობაში მყოფმა ერთ-
ერთმა პაიაგუელმა ხანჯალი
ჩაიკა გულში და მოკვდა შემ-
დეგი სიტყვებით: დაე, ეს
კედლები ჩვენი სისხლით შეი-
ღებოს, რათა ყველამ გაიგოს,
რომ ქრისტიანები ხოცავენ
იმათაც, ვინც მათთან მშვი-
დობიანად მიდისო.

ესპანელები თავიდანვე მიხე-
დნენ, რომ ადვილი არ იქნე-
ბოდა პაიაგუას დამორჩილება
და ხერხს მიმართეს. ისინი და-
უკავშირდნენ პაიაგუასადმი
ნტრულად განწყობილ გუარა-
ნის ტომს. იმისათვის, რათა
უფრო მეტად განემტკიცებო-

ნათ ეს კავშირი, ესპანელები
ცოლად ირთავდნენ გუარანის
ტომის ქალიშვილებს.

მდგომარეობა თითქმის უიმე-
ლო იყო. ეს იცოდა პაიაგუას
ტომმა, მაგრამ მანაც თავგან-
წირვით იბრძოდა. დამპყრო-
ბელთა მდგომარეობა იმდენად
გართულდა, რომ ესპანეთის
მეფემ თეოლოგთა საბჭო შეე-
რიბა და გამოცდა სპეციალუ-
რი ბრძანება პაიაგუელთა წი-
ნააღმდეგ.

პაიაგუელებმა მოახერხეს
მეზობელი ტომების შეკავში-
რება და ხელში ჩაიგდეს ბუე-
ნოს-აირესის გზა. ესპანელი
გენერალ-გუბერნატორი ბრძო-
ლის ველიდან გაიქცა. ინდი-
ელთა თავგანწირულმა ბრძო-
ლამ მუჟარის ქვეშ დააყენა
ესპანეთის კოლონიების არსე-
ბობა და დიდი ხნით შეაჩერა
ქრისტიანობის გავრცელება.

გენერალ-გუბერნატორმა ისევ
ვერაგობას მიმართა. მან მოე-
ნებების დახმარებით გაიგო,
რომ ინდიელთა ვადამწყვეტი
იერიში 1678 წლის 20 იან-
ვრისთვის იყო დანიშნული.
მან რამდენიმე დღით ადრე

გაგრძელება იხ. გვ. 116.

მეტი სმეტი

სულიერად ფაქიზი და გონებანათელი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის მხატვრული ნაწარმოების ცხოველყოფილი ძალა ყველასათვის ცნობილია. მაგრამ... აუცილებელია ზომიერების დაცვა, თორემ ეს ბასრი მახვილი დაჩლუნგდება და ახალგაზრდობის გრძნობა-გონებას ღირსეულად ვერ გამოაწრთობს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც ზრდის კადრებს საბავშვო ბაღებისათვის. აქ ისწავლება ქართული საბავშვო ლიტერატურა. გადაფურცლოთ მისი პროგრამა. განმარტებით ბარათში ნათქვამია:

„საბავშვო ლიტერატურის კურსის შესწავლის შედეგად პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საბავშვო ნაწარმოებთა სწორად შერჩევა, მათი მეცნიერულად გარჩევა და გამოყენება“.

ეს მართებული მოთხოვნაა, მაგრამ თუ თვალს გადავაგლებთ პროგრამას, დავრწმუნდებით, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ნათქვამის დასადასტურებლად ავამეტყველოთ ფაქტები:

პროგრამაშია ი. გოგებაშვილის 19 მოთხრობა. მათ შორის არის საკმაოდ მოზრდილი ნაწარმოებები „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „იანანამ რა ჰქმნა“ და სხვ. მათ შესასწავლად 4 საათია მოცემული. ნ. ნაკაშიძის 18 მოთხრობა 3 საათში უნდა იქნას გავლილი. აქაც არის მოზრდილი მოთხრობები: „სუნჯა“, „მახოხელა“, „რატომ არის მერცხალი კუდმაკრატელა, როჭო უენო და რატომ ემტერება გველი კაცს“. თედო რაზიკაშვილის 13 ნაწარმოები კი მომავალ პედაგოგებს ერთ საათში უნდა შევასწავლოთ. სანიმუშოდ ესეც კმარა.

ჩვენთვის გასაუგებია, რომ დიდტანიანი ნაწარმოებები წინასწარ უნდა მიეცეთ მოსწავლეებს შინ წასაკითხავად, მაგრამ საქმე ხომ ამით არ თავდება და გაკვეთილზე საჭიროა დრო მისი ანალიზისათვის. ერთ საათში რამდენიმე ნაწარმოების აწონ-დაწონვა ხეირიანად ვერ მოესწრება, თანაც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში მოსწავლეთა დატვირთვის სხვა საგნებში.

პოეზიის სფეროსაც გადავაგლოთ გონების თვალს. აკაკი წერეთლის 26 ლექსი და კრებული „გადია“ 3 საათში უნდა იქნას შესწავლილი, შ. მღვიმელის 33

ლექსის, 8 პოემისა და ზღაპრის, ე. ი. 41 ნაწარმოების შესასწავლად 4 საათია მოცემული, ი. სიხარულიძის 32 ლექსი თუ პოემა — 3 საათშია გასავლელი.

ცხადია, ზოგიერთი ლექსი და პოემა დიდია, ზოგიერთი — მცირე, მაგრამ მასწავლებელმა გაკვეთილზე ყოველ ნაწარმოებში უნდა მოაქებინოს მოსწავლეებს, რაც დადებითია, რაც უარყოფითია, დელაზირიკ უნდა გამოაცნობინოს, აღმზრდელობითი მიზნით რა მხრივაა ეს ნაწარმოები გამოსაყენებელი, ისიც უნდა ითქვას. ნაწარმოების ფორმასაც ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ. ხოლო ასეთი მუშაობის გაშლა შეუძლებელია, როდესაც ერთ გაკვეთილზე 10 ნაწარმოებია გასაანალიზებელი.

პროგრამაში მრავალი მწერალია დასახელებული, მაგრამ მისი რომელი ნაწარმოები იქნას შესწავლილი, ეს არ არის მითითებული. მაგ. 25-ე გვერდზე აღნიშნულია:

„ა! ხახუტაშვილის, ლ. მეგრელიძის, რ. ქორჭიას შემოქმედების დახასიათება.

ირ. აბაშიძე, გ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, მ. მრევლიშვილი, გ. შატბერაშვილი, — როგორც საბავშვო მწერლები.

ნ. ჩაჩავას, დ. გაჩეჩილაძის, ა. ონელის, ა. თევზაძის, მ. ბარათაშვილის, ა. შენგელიას, რ. მარგიანის, მ. ლებანიძის საბავშვო ლექსები და მათი როლი ქართული საბავშვო პოეზიის გამდიდრება-გამრავალფეროვნების საქმეში. ამრიგად, 21 მწერლის შემოქმედებაა ზოგადი მიმოხილვისათვის განკუთვნილი, ნაწარმოებების დაუსახელებლად.

გარდა ამისა, პროგრამაშია ნათარგმნი საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვაც: „პუშკინი, ჟუკოვსკი, ტოლსტოი, გორკი, მაიაკოვსკი, მარშაკი, მიხალკოვი, ძმები გრიმები, პერო, ანდერსენი — მათი ნაწარმოებები პატარებისათვის“.

ცხადია, ამ მწერლებს მრავალი საბავშვო ნაწარმოები გააჩნიათ და, რადგანაც პროგრამაში არაა მითითებული, სახელდობრ, რომელი ნაწარმოები უნდა გახდეს ზოგადი მიმოხილვის საგნად, მასწავლებელი იძულებულია თავისი შეხედულებისა და გემოვნების მიხედვით შეარჩიოს ნაწარმოებები.

კიდევ ერთი ნაკლი: ირ. ჟედიშვილის ერთ-ერთი დასახელებული ლექსის სათაურია „გაზაფხული“. ამ სათაურით ი. ევდოშვილს 9 ლექსი აქვს დაწერილი. ანალოგიური მდგომარეობაა შ. მღვიმელთანაც. მის რამდენიმე ლექსს სათაურად აქვს „გაზაფხული“ და ამ მრავალი „გაზაფხულიდან“ რომელს აირჩევს მასწავლებელი? ცხადია, რომელიც მას მოეწონება. ამ შემთხვევაშიც საქმე მინდობილია მასწავლებლის გემოვნებაზე. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, მითითებულ იქნას სათაურთან ლექსის პირველი სტრიქონიც.

განმარტებითი ბარათის ბოლო აბზაცში ნათქვამია: „ცალკეული მწერლებისა და მათი ნაწერების შესწავლისას აუცილებელია ტექსტზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა. მოსწავლეები უნდა მიეჩიონ ნაწარმოების გამართულად კითხვას, მის იდეურ და მხატვრულ დახასიათებას, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით“. ეს მოთხოვნა კარგია. მაგრამ არაა აღნიშნული, რომელი ნაწარმოები გახადოს მასწავლებელმა პრაქტიკული მუშაობის საგნად, არც დროა გამოკვეთილი პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, შევადართო მოსკოვის ამავე ტიპის პედაგოგიური სასწავლებლის რუსული საბავშვო ლიტერატურის პროგრამა ჩვენსას.

რუსულ პროგრამაში სულ 18 მწერალია დასახელებული (XIX საუკუნის კლასიკოსები და თანამედროვენი), შესასწავლია 127 ნაწარმოები (ლექსი თუ პროზაული).

ჩვენს პროგრამაში 60 მწერალია დასახელებული, შესასწავლია 281 ნაწარმოები (ლექსი თუ პროზაული).

საათების რაოდენობა კი ორივე პროგრამაში თანაბარია (83 საათი).

მერი ადამია
მეტისმეტო

გასაოცარი სხვაობაა...

დასკვნა:

1. ქართული საბავშვო ლიტერატურის პროგრამა, გამოცემული 1956 წელს, მეტისმეტად გადატვირთულია.

2. განკუთვნილ საათებში შეუძლებელია პროგრამით მოცემული მასალის გავლა.

3. ქარბი მასალა იწვევს ნაწარმოებების ზერელე შესწავლას, რადგანაც მასწავლებელი ვალდებულია გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ნაწარმოები.

4. მწერლის შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა, როდესაც ნაწარმოებები

არაა დასახელებული, მასწავლებელს უქმნის მძიმე მდგომარეობას და ართულებს საგნის შესწავლას. აუცილებელია პროგრამაში მითითებულ იქნას ზოგადი მსჯელობის საგნად განკუთვნილი ნაწარმოებები.

5. უნდა გამოიყოს საათები პრაქტიკული მეცადინეობისათვის, აქაც საჭიროა ნაწარმოებების დასახელება.

6. საგრძნობლად უნდა შემცირდეს შესასწავლ ნაწარმოებთა რიცხვი.

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული ნაკლი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ახალი პროგრამის შედგენისას.



ინდიელებს ზავი შესთავაზა და აღუთქვა, რომ ესპანელები დატოვებდნენ ქვეყანას. დაზავების აღსანიშნავად გუბერნატორმა პაიაგუელები ზეიმზე მიიწვია. ნდობამ და კეთილშობილებამ დაღუპა პაიაგუას ტომი. სამასმა ბელადმა და საუკეთესო მეომარმა მოიყარა თავი ზეიმზე. შუა ნადიმზე უიარაღო პაიაგუელებს ალყა შემოარტყეს და ამოწყვიტეს.

რამდენიმე წელი გავიდა, სანამ დახოცილთა შვილები დაიწრდებოდნენ და შესძლებდნენ შურისგებას. ერთხელ ქ. ასუნიონთან ინდიელთა გრძელი არგანაკები მიცურდნენ. პირველი კანოედან ბელადი გადმოვიდა, კარიბქესთან დინჯად მივიდა და ოფიცირის ნახვა ისურვა. „ლანგუას ტომის ინდიელები ესპანელების წინააღმდეგ სალაშქროდ მოდიან. ყველასათვის ცნობილია, რომ ლანგუა ჩვენი მტერიც არის. სანამ ისინი აქ მოვიდოდნენ, ერთიანი ძალით დავესხათ თავს.“—აცნობა მან ესპანელებს, რომლებსაც ურჩ ლანგუას ტომთან ანგარიშის გასწორების იშვიათი შემთხვევა ეძლეოდათ, ბრძოლის შემდეგ კი პაიაგუელებსაც

ადვილად გაუსწორდებოდნენ. ექსპედიცია მდინარეს აუყვა. ასუნიონის კედლები თვალს მიეფარა. ბელადის ნიშანზე პაიაგუელები წამით დაიხარნენ და ნავეების ფსკერს ხის საცობები მოხსნეს. ინდიელები მდინარეში გადახტნენ.

ერთი წუთის შემდეგ ესპანელთა რაზმი წყალში აღმოჩნდა. როცა ესპანელთა რაზმი გაანადგურეს, ინდიელებმა გადმოაბრუნეს არგანაკები, დაუცვეს საცობები და გასცურეს. ეს იყო ინდიელთა უკანასკნელი დიდი გამარჯვება.

ესპანელებმა პაიაგუას მთავარ დასაყრდენს — მდინარეს შეუტრიაეს. მდინარის ნაპირებზე ააგეს სიმაგრეები, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ ინდიელთა ნავეებს. ახალმა გუბერნატორმა ბუენოს-აირისიდან ჯიარი გამოიწვია და პაიაგუას მთავარ ბანაკს მოულოდნელად დაესხა თავს. პაიაგუელები ამოწყვიტეს, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ბავშვი. ბავშვები გუბერნატორმა იეჟუიტთა მონასტერში გავაწავა.

მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როცა მრავალათასიანი ტომისგან მხოლოდ ათასი კაციღა დარჩა.

ინდიელებს არა მარტო მტრის ტყვია ანადგურებდა, არამედ ესპანელთაგან შემოტანილი ყვავილი და სხვა ავადმყოფობები.

1844 წელს პარაგვაიში ჩამოვიდა მოგზაური ალფრედ დე მერსი. მან დაადგინა, რომ პაიაგუას ტომისგან მხოლოდ ორასამდე კაცი დარჩა. ფაქტიურად ტომი განადგურებული იყო. დარჩენილი პაიაგუელების გადაშენების პროცესი თითქმის ას წელს გაგრძელდა.

პაიაგუას ტომის განადგურების ეს სამწუხარო ამბავი ერთადერთი არ არის. გასული საუკუნის დასაწყისში კუნძულ ტანზანიაზე ცხოვრობდა ათიათასიანი მშვიდობიანი მოსახლეობა. 1844 წელს კოლონიზატორებმა აქა-იქ შემორჩენილ ტანზანელებზე უკანასკნელი „ნადირობა“ მოაწყეს. გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ ისინი კიდევ არსებობდნენ კოლონიაში, სადაც, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი პალი წერს, „შავკანიანებზე ნადირობა კოლონისტების საყვარელი სპორტი

„აქვარიუმი“

რუსთაველის თეატრში დადგეს ახალი პიესა — „აქვარიუმი“. ამ პიესის ავტორი არის ახალგაზრდა მწერალი თამაზ ჭილაძე. სრულიდ ბუნებრივია, რომ მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ ახალ დრამატურგთან შეხვედრას.

თამაზ ჭილაძის მოთხრობების მთავარი თემა არის თანამედროვე ადამიანის, მეტწილად თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრება, მათი ფიქრები, მისწრაფებები, უარყოფითი თუ დადებითი მხარეები.

თეატრშიც თანამედროვე, საჭირო და აქტუალური თემით შემოაბიჯა თამაზ ჭილაძემ.

პიესაში მოთხრობილია ერთი ოჯახის ცხოვრების ამბავი. ხშირია შემთხვევა, როცა ყველაფერს მშობელი აკეთებს შვილის ნაცვლად, გადაჭარბებით ზრუნავს მასზე, ახშობს მასში საკუთარ ინიციატივას. ოჯახის უფროსმა პეტრე გურგენიძემ ცხოვრებაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და იგი თითქოს ერთგვარ ეტალონად გადაიქცა. მის ირგვლივ მყოფნი მხოლოდ მას უნდა ბაძავდნენ. არაფერმა არ უნდა დაარღვიოს მისი ბუდის მყუდროება, მას ეკუთვნის ოჯახში პირველი და უკა-

ნასკნელი სიტყვაც და, აი, თითქოსდა შეუმჩნევლად, თანდათანობით გურგენიძე კარგავს ადამიანებისადმი პატივისცემას, შათი გასაჭირის გაზიარების უნარს. იგი კარგი ექიმი; კარგი ექიმი, როგორც ოპერატორი, მაგრამ უკვე აღარ არის ავადმყოფის მკურნალი. პიესის სათაურიც ავტორმა ამ თემის მიხედვით შეარჩია.

აქვარიუმიში მშვიდად ცხოვრობენ ოქროს თევზები, მათ ყოველთვის უცვლიან წყალს, დროზე აწვდიან საკვებს, სათუთად უვლიან, ისინი უზრუნველად არიან და საფრთხეც არ მოელოთ. ყველაფერი აქვთ ოქროს თევზებს — სიმყუდროვე და სინათლე, ოღონდ ძნელია ასეთი ერთფეროვანი ცხოვრება, მძიმეა ასეთი სიმშვიდე და, აი, დგება დრო, როდესაც გინდა შენ თვითონ გაიკაფო გზა ცხოვრებაში, გინდა გაეჭქე ამ მეშინურ თავშესაფარს და გახდე დამოუკიდებელი, თავისუფალი.

როგორც ვხედავთ, პიესის თემა მართლაც საინტერესოა. შესძლო თუ არა თამაზ ჭილაძემ, როგორც დრამატურგმა, თეატრისა და სცენის კანონების თავისებურებათა გათვალისწინებით მოეცა მძაფრი ხასიათების დაპი-

რისპირება, სიუჟეტის თანმიმდევრული განვითარება და მოქმედ გმირების სულიერი გარდატეხის ჩვენება?

როდესაც სპექტაკლში პიესის გმირები საუბრობენ, უფრო სწორად, როდესაც საქმე გვაქვს დიალოგებთან, მაშინ სცენიდან დახვეწილი ქართული და ცოცხალი საუბარი გვესმის, რასაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენი მაყურებელი დანატრებულია. მაგრამ მოქმედების განვითარებას კი პიესაში დინამიურობა რამდენადმე აკლია.

ვფიქრობთ ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორი ჯერ კიდევ მთლიანად არ იცნობს თეატრისა და სცენის კანონებს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ავტორმა გმირთა ცხოვრება რეალურ დროში ვერ გაანაწილა. პეტრე გურგენიძის ოჯახში გამეფებული მოჩვენებითი სიმშვიდის გადმოცემას, პეტრე გურგენიძის ხასიათის გამომჟღავნებას — ასე ვთქვათ, „აქვარიუმის“ თემის გაშლას, დიდი დრო მონადრომა. მთელი პირველი მოქმედება ამას მიეძღვნა, ფაქტიურად კი ამბავი იწყება პირველი მოქმედების დასასრულს, იქ, სადაც ახალგაზრდები თავის პროტესტს ამჟღავნებენ, უფროსების ვავლენიდან თავის დახსნას ცდილობენ. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მაყურებელი მოელოდა მძაფრ კონფლიქტებს, შეჯახებებს, მაგრამ დრამატურგმა მოქმედების რიტმი რამდენადმე მოაღუნა, რის შედეგადაც ამ კონფლიქტმა თავისი სიმძაფრე დაკარგა. პიესის მეორე მოქმედება ფრაგმენტულია. ვხედავთ შედეგს, ვხედავთ, ახალგაზრდებმა მოახერხეს აქვარიუმის დანგრევა, მაგრამ ამ ნგრევის პროცესი ნათლად არ ჩანს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, სპექტაკლს მაყურებელი მაინც ინტერესით ადევნებს თვალს. ამის დადასტურებაა ის რეაქცია, რომელსაც დარბაზში მსხდომნი გამოხატავენ სპექტაკლის მსვლელობის დროს.

„კაცი თეატრში რომ მიდის, მას უნდა იქ თავისი თავი დაინახოს“ —

ამბობს თამაზ ჭილაძის ერთ-ერთ მოთხრობის გმირი. ახალგაზრდობის დრამატურგის დამსახურება ამ სპექტაკლში სწორედ ის არის, რომ მისი პიესის გმირებში მრავალი მაყურებელი იცნობს თავის თავს და არა მარტო იცნობს, ეს სპექტაკლი მას ღრმად დააფიქრებს და ალბათ სერიოზულ დასკვნებსაც გამოატანინებს. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს.

თამაზ ჭილაძის გარდა ამ სპექტაკლს რუსთაველის თეატრში ორი დებიუტანტი ჰყავს. ესენი არიან სპექტაკლის დამდგმელი გიზო ჟორდანიას და თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ზეინაბ გზირიშვილი.

გიზო ჟორდანიას ბათუმის თეატრიდან მოვიდა, სადაც მან მრავალი კარგი სპექტაკლი დადგა. მისი, როგორც რეჟისორის, დამსახურება ამ სპექტაკლში ის არის, რომ მან შესძლო შეექმნა სცენაზე უბრალოებისა და გულწრფელობის ატმოსფერო. მთელი სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე სცენიდან არც ერთი ყალბი სიტყვა არ თქმულა, რაც იმას მოწმობს, რომ რეჟისორმა იცის მსახიობთან მუშაობა. ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ მას: პიესის მიხედვით საავადმყოფოდან გამოქცეული აღელვებული ირინე თავის ძველ სახლში მიიღობენ და იქ შეხვდება ვაჟს დედას. რეჟისორმა კი რატომღაც ეს შეხვედრა ქუჩაში გადმოიტანა და გამოვიდა ძალიან ხელოვნური სცენა. აქ უკვე აჯობებდა რეჟისორს პიესის პირველი ვარიანტი დაეტოვებინა.

დიდი ბედნიერება ხვდა წილად ზეინაბ გზირიშვილს — ეთამაშნა სცენის ისეთი გამოჩენილი ოსტატების გვერდით, როგორიც არიან სერგო ზაქარიაძე, ემანუელ აფხაიძე და სალომე ყანჩელი. ახალგაზრდა დებიუტანტმა გამოცდას გაუძლო და შექმნა სიმპათიური და დასამახსოვრებელი სახე ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ვერ ეგუება გურგენიძეების ოჯახში გამეფებულ მეშჩანობას და პირველი იმალღებს ხმას ყოველივე ამის წინააღმდეგ.

ვინაიდან ჩვენი წერილი უფრო ახალგაზრდა დებიუტანტების პირველ ნაბიჯებს ეხება რუსთაველის თეატრის სცენაზე, ამიტომ აღარ შევუდგებით იმაზე ლაპარაკს, თუ რა უშუალოდ იმაზე მეტყველდა და დამაჯერებლად ანსახიერებს სერგო ზაქარიაძე პეტრე გურგენიძის როლს, თუ რაოდენ მართალი და გულწრფელები არიან სალომე ყანჩელი — ასმათი, ემანუილ აფხაიძე, გიორგი, ჯ. მონიავა — ლევანი, გ. ჭიჭინაძე — სანდრო მატაბელი და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობების ლ. გუდაძის და ტრ. ყველაიძის მიერ კარგად განსახიერებული ეპიზოდური როლები — ტელეფონის ჯიხურში მოლაპარაკე ქარაფშუტა ქალი და მოდას აყოლილი, უშინაარსო სტუდენტი გურამ გამყრელიძე.

მოვიდა თეატრში ახალგაზრდა მწე-

რალი, რომელსაც აფიქრებს დღევანდელი, თანამედროვე ცხოვრების საჭირობოტო საკითხები, ცდილობს ღრმად გაერკვეს დღევანდელი დღის პრობლემატიკაში. იგი უკვე გამოცდილი პოეტი და ბელეტრისტიკა. რასაკვირველია, მის პირველ პიესას თავისი დრამატურგიული ხარვეზებიც ექნებოდა, მაგრამ სცენის სპეციფიკის, თეატრის სტრუქტურის ახლოს გაცნობა მას ხელს შეუწყობს ამ ხარვეზების გამოსწორებაში. მთავარი კი ის არის, რომ თეატრში მოვიდა კიდევ ერთი მწერალი და სეროზული ნაბიჯი გადადგა თავისი დრამატურგიული მოღვაწეობის გზაზე. ვიმედოვნებთ, რომ მას სხვებიც მიბაძავენ.

ნათელა ლაშხია
აქგარიუმი



იყო“. ტანმანელი კლონისტები მეზობლებს სტუმრად იწვევდნენ. სადილის შემდეგ კი შეიარაღებულნი, ძაღლების თანხლებით შავკანიანებზე სანადიროდ ტყეში მიდიოდნენ. ზოცავდნენ ყველას, ვისაც კი წაწყებდებოდნენ.

კონცის მწვერვალზე მიმწვედელი ტანმანელები ჭაობიან ადგილას გადასახლეს. ტანმანის უკანასკნელი მკვიდრნი ჭაობებში ამოწყდნენ. ანბობენ, რომ მათ მიმართ გარკვეული „მზრუნველობაც“ კი გამოიჩინეს — კატეხიზისის გაკვეთილებს უტარებდნენ.

უკანასკნელი ტანმანელი ქა-

ლი 1876 წელს გარდაიცვალა. უკანასკნელი პაიაგუას ტომის ქალი — 1942 წელს.

უკანასკნელი... უკანასკნელი... რა ბედი ეწიათ შაიტის აბორიგენებს? სად არიან ჩრდილოეთ ამერიკის მრავალრიცხოვანი ტომები?

1870 წლის 28 იანვარს აშშ-ს არმიის რაზმმა პოლკოვნიკ ბეკერის მეთაურობით, გენერალ შერიდანის პირდაპირი მითითებით, ღამით ალყა შემოარტყა შავფეხიანთა მოდგმის დათვისთავიანთა ტომს და მთლიანად ამოწყვიტა. ეს ტომი თეთრკანიანთა მიმართ მე-

გობრულად იყო განწყობილი და ვერაფრით ვერ აეხსნა, რატომ დაესხნენ მათ თავს ლურჯმუნდირიანები.

ბურუტუაზიულმა „ემმატიანებმა“ რომანტიკული ელფერიით შემოსეს ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის კლონიზაციის ამბები. მათ შრომებში სიტყვები: „კონკისტადორები“, „შორეული დასავლეთის პიონერები“ ამაყად და საწიმიოდ უღერს. სინამდვილეში კი ამ სიტყვების მიღმა მილიონობით ადამიანის მწარე ტრაგედიაა დაფარული.

დასასრული.



ტრადიცია და სიმღერა

ოდესღაც ნეაპოლი განთქმული იყო ლამაზი, მელოდიური სიმღერებით. მღეროდნენ ქუჩებში, ბაღებსა და ტავერნებში... ახლა ნეაპოლში, იშვიათად ისმის სიმღერა.

ქალაქის ცენტრში სიმღერა „მოდაში არ არის“. ფეშენებელურ ბარებში, კაფეებსა და რესტორნებში გამეფებულია როკ-ნ-როლი! საესტრადო რეპერტუარიც სულ უფრო და უფრო განიცდის ამერიკული მოდის გავლენას.

ტრადიცია რომ არა — ე. ი. სახალხო კარნავალები და სიმღერის ფესტივალები, — შესაძლოა იტალიის ესტრადიდან „როკებს“ სულაც განედევნა მელოდიური სიმღერა.

ასეთი ტრადიციაა ნეაპოლისათვის პიედიგროტას კარნავალი, რომლის დროსაც ტარდება საუკეთესო სიმღერის კონკურსი.

ამ კარნავალის ტრადიციის შექმნაზე ჰყვებიან შემდეგს: ძველად, ნეაპოლის მახლობლად, დიდ მღვიმესთან სრულდებოდა წარმართული რელიგიური წეს-ჩვეულებანი. 1200 წელს ადგილის კურთხევის მიზნით აქ ააშე-

ნეს წმინდა მარიამის ეკლესია და პიედიგროტა უწოდეს, რაც მღვიმის ფსკერს ნიშნავს. 1616 წლიდან ნეაპოლიტანური ვიჩერების¹ მსვლელობას წმინდა მარიამის თაყვანსაცემად თან ახლდა ბრწყინვალე რელიგიური ზეიმი, რაც შემდეგ ყოველწლიურად მეორდებოდა.

დროთა მსვლელობაში კარნავალმა დაკარგა რელიგიური მნიშვნელობა და სახალხო ზეიმად გადაიქცა. ეს ზეიმი იწყებოდა ეტლების პარადით. ეტლებზე ისხდნენ ხალხური თქმულებების პერსონაჟები. პლებისციტის მოედნის შესასვლელთან რადიო აცხადებდა, თუ რომელი კვარტალის ეტლი მოდიოდა და ვინ იყო მისი „კონსტრუქტორი“. შემდეგ ყოველი ეტლის პატივსაცემად ყიურის წინ სრულდებოდა სიმღერა. იმ სიმღერას, რომელიც ხალხის განსაკუთრებულ მოწონებას დაიმსახურებდა, მაშინვე სწავლობდნენ და მეორე დღეს მთელი ქალაქი მღეროდა.

ზოგჯერ მოეწონებოდათ ორი სიმღერა. მაშინ ხალხი იყოფოდა ორ „მტრულ“ ბანაკად — „კვარტალი კვარტალზე“. თუ სიმღერა მართლაც კარგი იყო, მხარეები დათმობაზე მიდიოდნენ

¹ ასე ეწოდებოდა ესპანელთა ბატონობის პერიოდში იტალიაში ადგილობრივ მეფეებს.

და ორივე სიმღერა ჰპოვებდა აღიარებას.

ნეაპოლი ისეთი ქალაქია, სადაც ვერ ნახავთ კუთხეს, რომლისთვისაც პოეტებს ზოტბა არ შეეხსათ.

ნეაპოლის ყურეში სანტა-ლუჩიას კონცხია. ის საიმედოდ არის დაცული, ძლიერი ლეღვა ვერაფერს დააკლებს მეთევზის ნავს. ამას უმღერის ცნობილი სიმღერა „სანტა-ლუჩია“.

ხოლო „ა“ მარეკიარეს¹ ტექსტის ავტორმა პოეტმა სალვადორე დი ჯაკომომ ამ კონცხის უნახავად შეთხზა ეს ლექსი. შემდგომში შემთხვევით მოხვდა მარეკიარეზე, შევიდა ერთ ტავერნაში და იქ მას უამბეს, რომ თურმე პოეტმა დი ჯაკომომ მათი ტავერნის საკმლიდან დაინახა მიხაკები, ქალიშვილი კაროლინა და ეს ლექსი დაწერა...

ნეაპოლემა პოეტებმა მრავალი ლექსი უძღვნეს მზეს, მაგრამ პოეტ ჯოვანი კაპუროსა და კომპოზიტორ ედუარდო დი კაპუას მიერ შექმნილმა სიმღერამ „ო, ჩემო მზეო“ ყველას გადააჭარბა. მისი პოპულარობა უპრეცედენტოა.

1920 წელს ანტვერპენში ტარდებოდა მორიგი ოლიმპიური ასპარეზობანი. გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადაცემის დროს ბელგიურ ორკესტრს უნდა შეესრულებინა იტალიის ნაციონალური ჰიმნი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნოტები თან არ ჰქონდათ. მაშინ ორკესტრმა შეასრულა „ო, ჩემო მზეო“... პირველი აკორდისთანავე ხალხი ტრიბუნებიდან წამოიშალა და ამღერდა.

არა მარტო სიყვარულს, მზესა და ზღვას უმღეროდნენ ნეაპოლელები, არამედ სიმღერებს ხშირად რეკლამისათვისაც იყენებდნენ.

სწორედ ამ მიზნით იყო შექმნილი ცნობილი სიმღერა „ფუნეკული, ფუნეკულა“, რომელიც ავტორებმა ვეზუვის მთას მიუძღვნეს.

1880 წელს ვეზუვზე გაიყვანეს საპერო-საბაგირო გზა, მაგრამ ამ გზის

გამყვანმა კომპანიამ დიდი ზარალი წახა. ნეაპოლელები საბაგირო გზით მგზავრობას უკვე ნაცად გზაზე ფეხით უნდა წაქვამდნენ. ერთხელ ერთ-ერთ კაფეში იმ დროს ცნობილმა ჟურნალისტმა ბენინო ტურკომ მეგობრებს გამოუცხადა, რომ ის აიძულებს ნეაპოლელებს უღალატონ ვულკანზე ასვლის ძველ ჩვეულებას და იქვე, კაფეში, ძველებური სიმღერის — ლუიჯი დენცას „ცოკოლარეს“ მოტივზე დაწერა ლექსი, რომელშიაც აქებდა საბაგირო გზით მგზავრობას. სიმღერის ძალამ გასჭრა, ნეაპოლელებმა ერთხმად აიტაცეს სიმღერა და ახალი გზაც მთელი დატვირთვით ამუშავდა!

ასევე შეიქმნა მეორე ნეაპოლიტანური სიმღერა „დაბრუნდი სორენტოში“. 1902 წელს სორენტოში გაჩერდა ვინმე საპატო სტუმარი. ქალაქის მერმა მას დოტაცია სთხოვა საფოსტო განყოფილებისათვის. ნორწამხდარ სტუმარს შეეგება ჯამბატისტა დე კურტი-სი — პროფესიით მხატვარი და პოეტი. როდესაც გაიგო, თუ რამ დააღონა სტუმარი, მერს აღუთქვა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა. მართლაც მან დასწერა ლექსი, მისმა ძმამ ერნესტომ ჰანგი შეუწყო და... საღამოს იმპროვიზირებულმა ანსამბლმა სტუმარს ახალი სიმღერა უმღერა.

სტუმარი მეტად კმაყოფილი დარჩა — სორენტომ საჩუქრად მიიღო საკუთარი საფოსტო კანტორა.

ნეაპოლიტანურ სიმღერას საინტერესო წარსული აქვს. იგი XIII საუკუნიდან იწყება. ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების თანახმად, ნეაპოლში იმ დროს ძალიან პოპულარული ყოფილა სიმღერა „ამოდის მზე“, რომელიც სხვადასხვა დიალექტზე სრულდებოდა. XIV—XV საუკუნეებში დიდი წარმატებით სარგებლობდნენ მუსიკალური კუპლეტები და სიმღერა-

¹ კომპოზიტორი ფრანჩესკო პაოლო ტოსტი. „ა“ მარეკიარე ნიშნავს წყნარ ზღვას.

შაირები. ეს კუბლები და შაირები იქმნებოდნენ სხვადასხვა შემთხვევის, უფრო კი, პოლიტიკური მიზეზების გამო. ავტორები ამასხრებდნენ იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთაც ავტორიტეტი არ ჰქონდათ.

არაგონული დინასტიის მმართველობის დროს, როდესაც ნეაპოლიტანურმა დიალექტმა დამოუკიდებლობა მიიღო და აღიარება ჰპოვა სასახლის კარზე, ხალხურმა სიმღერამ ფრთა გაშალა.

ნეაპოლიტანურ სამეფოში ოფიციალური დეკრეტით ადგილობრივი დიალექტის აკრძალვამაც ვერ შეაჩერა სიმღერის განვითარება. ვერც ერთი დეკრეტი ვერ აძულებდა ნეაპოლელებს არ ეწერათ სიმღერები და ლექსები. სწორედ მაშინ განვითარდა და გავრცელდა ე. წ. „ვილანელა“ — ხალხური პოლიფონიური სიმღერა, ფორმით გარდამავალი შაირსა და სერენადს შორის.

ნეაპოლიტანურ სასიმღერო შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია „მიქელემამ“¹ (XVII ს), რომელიც თავისი დროისათვის გამოირჩეოდა მუსიკალური ფორმისა და ტექსტის ორიგინალობით. ის უფრო „საკეკავოს“ ჰგავდა, რადგან მასში ტარანტელას ელემენტები ჟღერდა.

ამ სიმღერაში უმღერიან გოგონას, რომელმაც მეკობრეთაგან გადაარჩინა თავისი ქალაქი.

ნეაპოლელი კომპოზიტორებისა და პოეტებისათვის დიდხანს იყო სიმღერის ნიმუშად მიჩნეული „არ ნათდება სარკმელი, არა“.² შემთხვევა, რომელიც საფუძვლად დაედო მის სიუჟეტს, მოხდა 1563 წელს, პალერმოს მახლობლად.

სიცილიელმა ბარონმა ლა გრუამ

¹ მიქელა — ქალის სახელია, სიმღერის ავტორი უცნობია.

² თავდაპირველი მელოდია სამგლოვიარო ხასიათისა იყო. 1854 წელს იგი გადაამუშავა მარიანო პაოლელამ. ამ სახით არსებობს ეს სიმღერა დღესაც.

³ 1797—1847 წარმოშობით ფრანგი. იგი ჩამოვიდა ნეაპოლში და აქ გაატარა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება.

⁴ პროფესიით ოპტიკოსი.

თავისი ქალიშვილი განარიდა მის მიჯნურს — კავალერ ვინჩენცო ვერნაგალოს და შორეულ ციხე-სიმაგრეში გამოკეტა. მაგრამ კავალერმა მაინც შეაღწია სიმაგრეში. ბარონმა გაიგო ეს და განრისხებულმა მამამ ქალიშვილი კატერინა მოკლა. მოჰკლეს კატერინა და წარმოიშვა ეს სიმღერა — „არ ნათდება სარკმელი, არა“.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხალხურმა სიმღერამ იმ პოეტთა და კომპოზიტორთა ყურადღება მიიპყრო, რომელნიც ადრე მას უგულვებელყოფდნენ, რადგან „პლესის“ ვასართობად მიიჩნდათ. ახლა ეს პოეტები და კომპოზიტორები „ხალხში“ გავიდნენ. მიდიოდნენ სოფლად, ისმენდნენ გლეხურ, მწყემსურ, საგმირო სიმღერებს, იწერდნენ და სწავლობდნენ მათ. ასე გაჩნდნენ ხალხური სიმღერის შემკრებნი და გამომცემელნი. მათ შორის გამოირჩეოდა ვილჰელმ კოტრო.³ სწორედ მან ჩაწერა „მიქელემამ“ და „არ ნათდება სარკმელი, არა“, მანვე გამოსცა სიმღერის კრებულები, რომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა კრებული „პარატემპი მუზიკალი“.

ამგვარად, სიმღერამ, როგორც ახალმა ლიტერატურულ — მუსიკალურმა ჟანრმა, დამოუკიდებელი არსებობა მოიპოვა. სიმღერის ავტორებს ოფიციალურად უწოდეს პოეტები, მუსიკის შემთხვევლთა კი — კომპოზიტორები.

ნეაპოლიტანური სიმღერის ისტორიაში აღსანიშნავი თარიღია 1835 წელი. ამ წელს, პიედიგროტას ფესტივალის დროს, ნეაპოლმა მოისმინა „ძალიან მიყვარხარ“.⁴ 7 სექტემბერს, საღამოს, შუა კარნავალის დროს მოხალისე პოეტმა რაფაელ საკომ⁴ მასთან შეკრებილ მეგობრებს წაუკითხა საკუთარი ლექსები, რომელნიც დაწერა პოპულარული მელოდიებისათვის და თვითვე შეასრულა ეს სიმღერები. უკანასკნელი მინამღერი „მე ძალიან მიყვარხარ, შენ კი მაწამებ“, — მის სარკმელთან შეკრებილმა ხალხმა აიტაცა... სიმღერა იმ დღესვე მოედო მთელ ქალაქს. ეს იყო

მსუბუქი, ნატიფი და სასიამოვნო მელოდია.

ნეაპოლში მიღებული იყო პოპულარული სიმღერის პაროდიული პასუხები. როდესაც სიმღერით გატაცებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, ქუჩებში გაჩნდა ფურცლები წარწერით: წესიერი ადამიანის აღსარება, რომელსაც მობეზრდა სიმღერის მოსმენა: „მე ძალიან მიყვარხარ, შენ კი მაწამებ“. პაროდისტი წუწუნებს: ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მოსახვევში ისმის გაცვეთილი მოტივი, თითქოს ირგვლივ ყველა შეიშალა — მოხუციცა და ახალგაზრდაც, ყველა გაპყვირის: „მე ძალიან მიყვარხარ, შენ კი მაწამებ“. ავტორს მეტი აღარ შეუძლია. იგი გულშეწუხებულია სიმღერით. მელოდია დღედაღამ თან სდევს და გულს უწყალებს.

სიმღერით გატაცებამ ცუდი შედეგი გამოიღო: ზოგმა ესთეტიკა ნეაპოლი დატოვა. პაროდია ამ ამბავსაც უძღვნეს:

მშვიდობით, ძვირფასო ქალაქო,
გტოვებ სამუდამოდ!
შენ მკითხავ, რა მოხდა?
— ძალიან მიყვარხარ,
შენ კი მაწამებ!

რაფაელ საკოს სიმღერა ნამდვილი ნეაპოლიტანური სიმღერა იყო. სრულყოფილად და რელიეფურად პირველად მასში გამოვლინდა იტალიური სიმღერის საუკეთესო თვისებები: მკვეთრი პოეტური ტექსტი, ადვილად დასამახსოვრებელი ლამაზი მელოდია.

ნეაპოლიტანური სიმღერის ოფიციალური ისტორიის დათარიღების საწყისად მიჩნეულია 1835 წელი. ყველაფერი, რაც მას აქამდე წინ უძღოდა, მისი პრეისტორია გახდა. ხოლო მისი აყვავება ემთხვევა XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც ნეაპოლში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ პოეტები და კომპოზიტორები: სალვადორე დი ჯაკომო და მარियो კოსტა. პასკუალე ჩონკუეგრანა და ფრანჩესკო პაოლო ტოსტი, ჯოვანი კაპურო და ვინჩენცო

ვალენტე, ანიელო კანიფალო და ედუარდო დი კაპუა, ჯუზეპე კაპალდო და სალვადორე ჯამბარდელა, ერნესტო მურთოლო და როდოლფო ფალო, როკო ვალდერი და ენრიკო კანო, ლიბერით ბოვიო და ერნესტო ტალიაფერი.

ეს არის შესანიშნავ პოეტთა და კომპოზიტორთა პლეადა, რომელმაც შექმნა იტალიური სიმღერის ოქროს ფონდი.

აღსანიშნავია, რომ ნეაპოლელი პოეტები, თუმცა სარგებლობდნენ დიდი პატივისცემითა და ღირსებით, როგორც წესი, ღარიბები იყვნენ. დი ჯაკომო, ყველაზე გამოჩენილი პოეტი, ხელმოკლე კაცი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის თუმცა აკადემიკოსად აირჩიეს, მაგრამ არ დასწრებია აკადემიის არც ერთ სხდომას — არ გააჩნდა შესაფერი ტანსაცმელი!

პოეტთა უმეტესობისათვის ლექსის წერა უსაყვარლესი საქმე იყო და არა შემოსავლის წყარო (მაშინ ჰონორარს არ უხდიდნენ ლექსის ავტორებს), ლექსების თხზვით ისინი ისვენებდნენ, ერთობოდნენ... მაგალითისათვის გავიხსენოთ პასკუალე ჩინკუენგრანოს, ლიბერით ბოვიოსა და ჯუზეპე კაპალდოს შემოქმედება. პირველმა, უკვე აღიარებულმა პოეტმა, მაინც ვერ შეძლო მთლიანად მისცემოდა შემოქმედებას და თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის. მეორემ, რათა ლექსების წერის საშუალება ჰქონოდა, აირჩია მშვიდი სამუშაო, მუზეუმის ადმინისტრატორობა. უკანასკნელი კი მუშაობდა რესტორანში ოფიციატად, ხოლო თავისუფალ დროს ლექსებს თხზავდა.

ესენი იყვნენ „იმპროვიზები“. პოეტური და მუსიკალური ნიჭის შეხამებამ მათი სიმღერები ხელოვნების ნიმუშებად აქცია.

სასიმღერო შემოქმედების ევოლუციის პროცესში სიმღერის კომპონენტებს შორის ურთიერთობა შეიცვალა. ნეაპოლიტანური სიმღერის აღმოცენე-

იური ვოლკოვი
ტრადიცია და სიმღერა

ბისას უდიდესი როლი ენიჭებოდა პოეტსა და კომპოზიტორს, მაგრამ გასული საუკუნის დამლევდიან მათი როლი შემცირდა. ეს ტენდენცია „გა-აღრმავეს“ ფერნანდო დი ლუჩიამ, ენრიკო კარუზომ, ტიტო რუფომ, ბენიამინო ჯილიმ და ტიტო სკიამამ. „ტენდენცია“ თანდათან ტრადიციად იქცა.

ამგვარად, იტალიური სიმღერის ევოლუცია მჭიდრო კავშირშია საშემსრულებლო ევოლუციასთან.

საესტრადო ხელოვნების და ჯაზის განვითარებამ იტალიაში 50-იან წლებში წარმოქმნა მთელი რიგი საშემსრულებლო მანერა. მათში ყველაზე ცნობილია: „არა მარტო სიმღერა, არამედ თხრობაც“. მისი ვეტერანები არიან ლუჩანო ტაიოლი, კლაუდიო ვილა და ჯორჯო კონსოლინი. სამივე ფლობს მალა, ელასტიურ, რბილი ტემბრის სასიამოვნო ხმას და გამოირჩევიან მკვეთრი დახვეწილი დიქციით. ხშირად მიმართავენ პიანოსა და პიანისიმოს, ხოლო მალა ნოტებზე ლამაზ ნახევარფალცეტს.

შესრულების ოსტატობით მათ გვერდში შეიძლება ამოვუყენოთ მომღერლები, რომელთა საშემსრულებლო მანერა „დამღერება“ — როდესაც მარტო კი არ მღერიან, არამედ უბრალოდ, გულშიჩამწვდომად ჰყვებიან ამბავს. ასე მღერიან ნილა პიცი და ტონინა ტორიელი.

უფრო ვოკალური მანერით — ხმის ჟღერადობისადმი მეტი ყურადღების გამახვილებით მღერიან ჯინო ლატილა და არტურო ტესტა. ყველა ეს მომღერალი თავისი შესრულების მანერით წარმოადგენს იმ მიმართულებას, რასაც იტალიაში ლირიკული ჰქვია. ეს არის სიმღერა „ა ლა იტალიანო“. არის კიდევ მეორე, ულტრარიტმული — „ა ლა ამერიკანო“ — ეს არის შესრულების უკიდურესად ეგზალტირებული მანერა, რომლის მიზანია მაღალი რიტმული ექსტაზით ააფორიაქოს მსმენელი. ამ მიმართულების მომღერლებს იტალიელები „მყვირალებს“ უწოდებენ. ეს მომღერლები კი არ მღერიან,

არც ჰყვებიან, არამედ ყვირიან ვენტიანად, ალგუნებულად! საშემსრულებლო ევოლუცია აქ იმორჩილებს მუსიკალურ ფორმას, ნორმას კი „მყვირალე-ბი“ ადგენენ.

რიტმით გატაცება იტალიაში დაიწყო 30-იან წლებში, როდესაც ოკეანის გაღმიდან აქტიურად შემოჰქონდათ საცეკვაო სიმღერა. ახალი ქანრი განმტკიცდა იტალიის კაპიტულაციის შემდეგ, 1944 წელს, როდესაც მოკავშირეთა მიერ შექმნილი ლამის კლუბები და ვარიეტები აივსო მოდური რიტმებით. ამერიკული როკი ხდება თითქმის ყველა კაფესა და ბარის განუყოფელი ატრიბუტი. იტალიურ ყაიდაზე გარდაქმნილი როკი ესტრადაზეც ვავიდა. „მყვირალეები“, რომელთაც აქამდე ადგილი არ ჰქონდათ დიდ ესტრადაზე, ახლა ლამის ბარებსა და რესტორნებში მასპინძლებად გრძნობენ თავს.

„რიტმული“ ევოლუცია დაიწყო სან-რემოს VII ფესტივალიდან (1958 წ.), როდესაც ყიურომ გადაწყვიტა კონკურსში მონაწილეობისათვის მოეწვია ისეთი მომღერალი, რომელსაც შესრულების მანერით საერთო არაფერი ექნებოდა წინა ფესტივალის მონაწილეებთან. ამ ფესტივალზე უნდა შესრულებინათ ახალი, ყველაზე თანამედროვე სიმღერა. არჩევანი წილად ხვდა დომენიკო მოდუნოს და მის სიმღერას „Volare“ (ფრენა).

დომენიკო მოდუნოს განსაკუთრებული ადგილი უკავია იტალიური სიმღერის განვითარებაში. შესრულების მანერით იგი დგას „ლირიკოსებსა“ და „მყვირალებს“ შუა. შემოქმედების ხასიათით იგი გამოდის სიმღერაში ხაზგასმული რიტმის მომხრედ. მოდუნო, როგორც კომპოზიტორი, აღზრდილია ხალხურ სიმღერებზე, რომლის შემოქმედებაში გამოსახულება ჰპოვა, როგორც ხალხურმა სასიმღერო ფოლკლორმა, ისე მოდურმა მიმართულებამ — „რიტმიზმმა“. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ მოდუნო იტალიაში ერთადერთი კომპოზიტორია.

დომენიკო მოდუნოს გარდა ფეს-

ტივალში მონაწილეობდნენ ცნობილი საესტრადო მომღერლები: ნილა პიცი, ტონინა ტორიელი, გლორია კრისტიანი, კარლა ბონი, კლაუდიო ვილა, ჯორჯო კონსოლინი, ჯინო ლატილა, აურალიო ფიერი, ნატალინო ოტო და ჯონი დორელი.

თანამედროვე იტალიურ ესტრადაზე სიმღერის წარმატება, ე. ი. კომპოზიტორის და ტექსტის ავტორის წარმატება, დიდად არის დამოკიდებული მომღერალზე. ამიტომაც სიმღერის პოპულარობაში ხშირად თვით მომღერალს უდევს წილი და პირიქით ცუდი შესრულების წყალობით სიმღერა შეუმჩნეველი რჩება.

ამ მხრივ საჩვენებელი გამოდგა მერვე ფესტივალი. პირველი პრემია მიიღო დომენიკო მოდუნის სიმღერამ „Volare“. ასეთი წარმატება ჯერ არ რგებია სან-რემოს ფესტივალების არც ერთ მონაწილეს. როგორც კრიტიკა აღნიშნავდა, თვით სიმღერა არ წარმოდგენდა რაიმე განსაკუთრებულს არც მუსიკალური ფორმის მხრივ, არც პოეტური შინაარსით, მაგრამ სიმღერამ არაჩვეულებრივი გამომსახველი შესრულებით ფესტივალზე ფურორი მოახდინა. მოდუნის გამარჯვება რიტმული მიმართულების¹ გამარჯვებას ნიშნავდა.

ამ დრომდე ოფიციალურ ესტრადაზე ბატონობდა „ლირიკა“ და ლირიკული მიმართულება.

მეორე პრემია ერგო სიმღერას „ვიუნ“, რომელიც ტრადიციული ლირიკული მანერითაა დაწერილი (კომპოზიტორი სარაჩინი, ტექსტის ავტორი დ' აკუსტო). შემსრულებლები: ნილა პიცი და ტონინა ტორიელი). 1959 წელს სატელევიზიო გადაცემის „კანცონისიმას“ დროს მოწყობილ რეფე-

¹ ტერმინმა „რიტმული მიმართულება“ გავრცელება ჰპოვა VII ფესტივალის შემდეგ და უშუალო კავშირშია დომენიკო მოდუნის სახელთან.

² სიმღერის ტექსტი ეკუთვნის ვერდეს.

³ პირველი ფესტივალი 1948 წელს ვიარეჯოში ჩატარდა, მეორე 1959 წელს.

რენდუმზე ამ სიმღერამ უმაღლესი შეფასება მიიღო და წელიწადის საუკეთესო სიმღერად იქნა აღიარებული.

დიდი წარმატება ხვდა წილად დომენიკო მოდუნის მე-9 ფესტივალზე. მან შეასრულა საუკეთესო სიმღერა „ჩაო, ჩაო ბამბინა“².

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ფესტივალების ერთსა და იმავე შემსრულებელს, იგივე კომპოზიტორს, ორჯერ ზედიზედ მოეპოვებინოს გამარჯვება. სიმღერის ბედი, როგორც წინა ფესტივალზე, ახლაც შესრულებამ გადასწყვიტა.

მოდუნის შესახებ წერდნენ, რომ ის ფლობს განსაკუთრებულ არტისტულ მონაცემებს, რომლებიც მას უპირატესობას ანიჭებენ სხვა შემსრულებელთა წინაშე.

1959 წელს ორ ფესტივალზე ორმა მიმართულებამ, ორმა სტილმა ჰპოვა გამონახულება. ერთზე, სან-რემოში, გამარჯვდა „რიტმისტმა“ დომენიკო მოდუნომ, მეორეზე, რომელსაც უწოდეს სან-რემოს კონტრფესტივალი, იზეიმა ტრადიციულმა ლირიკულმა სიმღერამ.

კონტრფესტივალი ჩატარდა ვიარეჯოში. იგი დაუკავშირეს ტრადიციულ ფესტივალს.³ ამ ფესტივალზე შეარჩიეს სულ ზუთმეტი სიმღერა. მათ შორის ცხრა ისეთი, რომელიც სან-რემოს ფესტივალის კონკურსზე არ გაუშვეს. სიმღერების ავტორები არიან კომპოზიტორები და პოეტები: ვინჩენცო დ' აკუსტო, კონჩინა, სავერო სარაჩინი, ლუიჯი ჩოფი, რენატო კარასონი.

ამ ფესტივალმა საწყისი მისცა პოლემიკას „მოდერნიზმის“, ე. ი. რიტმის და იტალიური სასიმღერო ტრადიციის მომხრეთა შორის. მან გამოხმაურება ჰპოვა სან-რემოს საიუბილეო ფესტივალზე. საიუბილეო ფესტივალის მეოთხე დღეს ათი წლის პრიზიორებმა შეასრულეს ათი საუკეთესო სიმღერა.

იური ვოლკოვი

ტრადიცია და სიმღერა

ფესტივალმა მიიზიდა შემსრულებელთა სარეკორდო რიცხვი — კონკურსში მონაწილეობის მსურველი აღმოჩნდა 40-მდე მომღერალი, ფაქტიურად, იტალიური ესტრადის ცნობილი მომღერლები, რომლებიც წარმოადგენენ ყველა ასაკს, მიმართულებას და სკოლას. უიურის კი ოცდაორი მომღერალი უნდა შეერჩია.

კონკურსში მონაწილეობდნენ: ნილა პიცი, ტონინა ტორიელი, იულია დე პალმა, სეტი კურტისი, ფლო რანტონისი, მირანდა მარტინო, ვილმა დე ანჯელისი, ირენ დ'არენი, გლორია კრისტიანი, ჯერმანა კაროლიკო, დომენიკო მოდუნო, ჯორჯო კონსოლინი, ჯინო ლატოლა, აკილე ტოლიანი, ტედი რენო, არტურო ტესტა, ჯონი დორელი, სერჯო ბრუნი, ფაუსტო ჩილიანი.

ახალბედებს შორის გამოირჩეოდნენ „მყვირალეები“. დამწყები მინა და ვეტერანები ჯო სანტური და ტონი დალარა — ახალი ლირიკული „ასს“-ი, ნეპოლელი მომღერალი და კომპოზიტორი რენატო რაშელი, რომელმაც საკონკურსოდ ტრადიციული ლირიკული მანერით დაწერილი „რომანტიკა“ წარმოადგინა.

საკუთარი სიმღერის შესრულების ნება კომპოზიტორთაგან მხოლოდ დომენიკო მოდუნო და რენატო რაშელს დართეს.

ფესტივალის პირველ დღეს, 28 იანვარს, დიდი წარმატება მოიპოვა დომენიკო მოდუნოს სიმღერამ „ლიბერო“. მეორე დღეს არანაკლები მოწონება ხვდა წილად რენატო რაშელის „რომანტიკას“.

ჟურნალ-გაზეთები ააჭრელა შთაბეჭდილებებმა. „რომანტიკის“ წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. აქამდე კი ყველას ეგონა, რომ დომენიკო მოდუნომ უზრუნველყო მესამე გამარჯვებაც. კულუარებში ჩურჩხულებდნენ, რომ მოდუნო უძლეველია... „რომანტიკის“ წარმატებამ მდგომარეობა გაამწვავა. ბილეთები ფესტივალის ბოლო დღეს გაიყიდა ჯერ არგაგონილ ფასებში.

ფესტივალის მესამე, გადამწყვეტი დღის მოახლოებამ, როდესაც შესრულებდნენ ფინალში გასულ სიმღერებს, მსმენელთა ინტერესი ისე გააცხოველა, რომ ყველა ნიძლავს დებდა. სანაძლევოს რიცხვი და ფასი საათობით იზრდებოდა.

„დომენიკო მოდუნო 30 იანვარს მღეროდა ისე კარგად, როგორც არასდროს, მან სიმღერაში ჩააქსოვა მთელი სული და გული, ფილტვების ძალა, მთელი თავისი გამომსახველობა, მაგრამ იგი დაამარცხა მისმავე იარაღმა, რომელიც უფრო სრულყოფილი და ქმედითი აღმოჩნდა“, — წერდა ფესტივალისადმი მიძღვნილი სპეციალური მუსიკალური ჟურნალი.

იგივე ჟურნალი — ტონი დალარას შესახებ შემდეგს წერდა: „ტონი დალარამ, რომელიც ასრულებდა სიმღერას „რომანტიკა“, სწორი გზა ჰპოვა. ის აღარ ისწრაფვოდა, როგორც ადრე, ტაში ეფექტების საშუალებით მოეწყვიტა, არ ცდილობდა მყუერებლის ფსიქიკაზე ემოქმედა აღგზნებული შეძახილებით. დალარამ შესძლო თავისი არტისტული ტემპერამენტი შეემოსა საჭირო ფორმით და კიდევ გაიმარჯვა“.

მხედველობაში რომ არ მივიღოთ დალარას და მოდუნოს ირგვლივ ატეხილი სარეკლამო აურზაური, ფესტივალის მომწყობებზე გარკვეული გავლენა მოახდინა 1959 წლის სან-რემოს IX და ვიარჯოს ფესტივალების რეზონანსმა.

მუსიკალური პრესა აღნიშნავდა, რომ 1960 წელი გამოირჩევა ტრადიციული ლირიკული და რიტმული სიმღერებისადმი ახალი მიდგომით, აღინიშნებოდა მათი დაახლოების გარკვეული ტენდენცია. კერძოდ, წერდნენ, რომ სიმღერათა გაორკესტრება შესრულებულია „ზომიერ“ სტილში.

ტექნიკური ენით რომ ვთქვათ, წინა ფესტივალზე გამარჯვება წილად ხვდებოდა ან ტრადიციულ-ლირიკულ სიმღერას და ლირიკულ შემსრულებელს, როგორც ეს მოხდა VII ფესტივალზე,

ან რიტმულ სიმღერას და მომღერალ რიტმისტს (VIII და IX ფესტივალე-ბი); X ფესტივალზე გაიმარჯვა სიმღე-რა „რომანტიკამ“, რომელიც დაწერი-ლია ტრადიციულ-ლირიკული მანერით და შეასრულა მომღერალმა — „მყვი-რალა“ ტონი დალარამ.

საერთოდ, იტალიაში თანამედროვე სიმღერაზე სხვადასხვა აზრი არსე-ბობს. ზოგს მიაჩნია, რომ იტალიურმა ლირიკულმა სიმღერამ, კერძოდ, ნეა-პოლიტანურმა, ამერიკანიზირებული „რიტმული“ სიმღერის გავლენით თა-ვისი საუკეთესო თვისებები — პოეტუ-რობა და მელოდიურობა დაჰკარგა. უფრო მეტიც, ნამდვილი იტალიური სიმღერა მოკვდა. ზოგი ამტკიცებს, რომ იტალიურმა სიმღერამ ახალი ხასიათი შეიძინა, მან შეითვისა ახალი რიტმი ისე, რომ თავისი სახე არ დაუკარგავს.

რა თქმა უნდა, იტალიური სიმღერის ევოლუცია, მით უმეტეს, ნეაპოლიტა-ნურის, არ შეიძლება დავიყვანოთ იქა-მდე, რომ, ვთქვათ, მელოდია და ლექ-სი შეცვალა შიშველმა რიტმმა და ბა-ნალურმა ტექსტმა, ხოლო მომღერალ-

თა ნაცვლად მოგვევლინენ „შოჩიჯი-ფენი“ და „მყვირალები“. ^{არქანჯელი} თანამედროვე სასიმღერო ^{შემოქმე-}დება იტალიაში მრავალგვარია, მასში მრავალი მიმდინარეობაა, დაწყებული ტრადიციულ-ლირიკულით, დამთავ-რებული „ულტრარიტმულით“. „ულტ-რარიტმისტებმა“ და „ულტრამყვირა-ლებმა“ აღიარებას მიადწიეს, მაგრამ როგორც ყოველი მოდა, ისიც სწრაფ-წარმავალია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში იტალიელმა კომპოზიტორებმა და პო-ეტებმა მრავალი წარმატაცი სიმღერა შექმნეს. მათ შორის, მელოდიური ლირიკული სიმღერები, შექმნილი ტრა-დიციული მანერით; „მამბო“ და „სამბო“ არ არის ზერიტმული რო-კები ღამის კაბარეებიდან, არც რიტმუ-ლი „დეტექტივები“, არამედ ზალისია-ნი, მქქეფარე, ცეცხლოვანი სიმღერე-ბია, რომელთაც მემკვიდრეობით გად-მოეცათ ნეაპოლიტანური ხალხური სიმღერისა და ცნობილი ტარანტელას საუკეთესო თვისებები.

იური ვოლკოვი
ტრადიცია და სიმღერა





თეორიკი შავიზვიდი

ძველი ბოლშევიკის მოგონებებიდან

ღამის ორ საათზე მატარებელი ვოლოგდის სადგურში გაჩერდა. ვაგონიდან ჩამოვედი, მოსაცდელ დარბაზში თავისუფალი ადგილი მოვძებნე და ჩამოჯექი. მესხიერებაში 1905 წლის რევოლუციის მქუხარე დღეები წამოიშალნენ. მომაგონდა დიდი ხნის წინათ ვოლოგდაში ჩამოსვლა. მაშინ ჩვენ, რკინის ბორკილებგაყრილი ოცდაათი კაცი, კატორღელები ვიყავით. ჟანდარმებმა სასწრაფოდ გაანთავისუფლეს სადგურის ბაქანი და საგანგებო სატუსალო ვაგონიდან გადმოგვსხეს. ახლოს არავის გვაკარებდნენ. სამ-სამად ჩავგამწყვრივეს და ქალაქის განაპირა უბანში მდებარე საკატორღო ციხეში წავგვიყვანეს. ორი ხმალამოწვდილი მცველი წინ მიგვიძლოდა და გამვლელებისაგან გზას გვითავისუფლებდა. გაძლიერებული დაცვითა და ბორკილების გამაყრუებელი ჩხარუნით გარემოცულნი მივკვებოდით ქუჩას...

გათენებამდე ბარე ხუთი საათი იქნებოდა. მესხიერებაში ჭაღარა წარსულის

გახსენებული ფურცლები შრიალეზდნენ... ვრცელი ვოლოგდის გუბერნია, 350 ათასი კვ. კილომეტრი ფართობით, მიყრუებული ტევრით, უსიერი ტყითა და მიუფალი ჭაობებით, რევოლუციონერებისა და პროგრესული მოღვაწეების გადასახლების ადგილი იყო.

„ვეებერთელა, მეჩხრად დასახლებული ტერიტორია, ჩრდილოეთის მკაცრი ბუნება, ადგილობრივ მცხოვრებთა უწიგნურობა და სიღატაკე, საშინელი უგზოობა, სამრეწველო პროლეტარიატის სიმცირე მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ იმდროინდელი მოწინავე ადამიანების ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლებლად“ („ვოლოგდელთა მონაწილეობა რუსეთის პირველ რევოლუციაში“, 1955 წელი, ვოლოგდის საოლქო გამომცემლობა).

ვოლოგდის გუბერნიაში ხალხს ასახლებდნენ რუსეთის ყოველი მხრიდან — პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, ვარშავიდან, ოდესიდან, ამიერკავკასიიდან, ბალტიისპირეთიდან. ჯერ კი-

დევ 1837 წლის თებერვალში ნიკოლოზ პირველმა ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ნადეჟდინი, რომელმაც უურნალ „ტელესკოპში“ გამოაქვეყნა ა. ი. ჩადაევის პირველი ფილოსოფიური წერილი. ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლებული იყვნენ ცნობილი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლები — ნ. ვ. შელგუნოვი და ვ. გ. კოროლენკო, ჩვენი პარტიის ცნობილი მოღვაწეები, პარტიის III ყრილობის დელეგატი ი. ა. სამერი (1899 წელს), ა. ვ. ლუნაჩარსკი (1902 წელს), მ. თ. შკირიატოვი და პ. ა. ჯაფარიძე (1911 წელს), მ. ი. ულიანოვა და ვ. ვ. ვოროვსკი (1912 წელს), „ბევრი მათგანი ინტელიგენტი, კარგად განვითარებული, ჰკვიანი ადამიანია“, — ვკითხულობთ ჟანდარმების საიდუმლო მოხსენებებში.

სოფლის მოსახლეობის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობითა და გუბერნიაში სამრეწველო მუშების სიმცირით დაიმედებულ მეფის მთავრობას მხედველობიდან გამორჩა მარქსისტული მოძღვრების ყოვლისშემძლე ძალა, ვერც იქ გადასახლებული პარტიული მუშაკების რევოლუციური ენერჯია შეაფასა მან სათანადოდ.

„ბოლშევიკებს გადასახლებაშიაც მტკიცედ და დიდი რწმენით ეჭირათ ხელში პარტიულობის დროშა. გადასახლების წლები მათ თავიანთი პოლიტიკური დონის მაქსიმალურად ამძლევისათვის გამოიყენეს და გადასახლება მარქსიზმ-ლენინიზმის თავისებურ უნივერსიტეტად გადააქციეს. გადასახლებაში ბოლშევიკები ქმნიდნენ პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც აერთიანებდნენ ადგილობრივ მოღვაწეებს, მოსახლეობაში ფართო პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ“. (ნ. ვ. ლებედევი, „ვოლოგდელი ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში“, ვოლოგდა, 1957 წ.).

ვოლოგდის ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველო თავის ერთ-ერთ ყოველთვიურ საიდუმლო მოხსენებაში პოლიციის მთავარ დეპარტამენტს ატყო-

ბინებდა: „ქალაქ სელვიჩეგორსკში გადამოსახლებული სოციალ-დემოკრატები — ივანე პეტრეს ძე პეტროვი, ვლადიმერ ხეილის ძე გოლუბევი, ნიკოლოზ მათეს ძე ილინი, ალექსანდრე იაკობის ძე შუარი (ებრაელი), იროდიონ ისაკის ძე ხოსიტოვი, — პოეტი იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი (ვედოშვილი), თევდორე ეგნატეს ძე სიატკოვსკი, მიხეილ ალექსის ძე კალანდაძე, გიორგი ალექსანდრეს ძე კოროსტელოვი და გრიგოლ ივანეს ძე ჟავორონკოვი ცდილობენ ჩამოაყალიბონ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და ამ მიზნით მართავენ კრებებს გოლუბევის, შურის, ხან კიდევ პეტროვის ბინებში. კითხულობენ რეფერატებს და მსჯელობენ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ პარტიული ინტერესებისათვის რუსეთ-ჩინეთის შესაძლო ომი. მათი შეკრების მიზანია მოამზადონ გამოცდილი პროპაგანდისტები გადასახლებულთა რიგებიდან“.

შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია, რომ დასახლებულ პირებზე დაწესდა განსაკუთრებული ფართული მეთვალყურეობა, რათა „საჭირო მომენტში ლიკვიდაცია ვუყოთო მთელ ჯგუფს“.

ვოლოგდაში რევოლუციური მოძრაობის ზრდით შეშინებული პოლიციის მთავარი დეპარტამენტი ჯერ კიდევ 1905 წლის 27 აგვისტოს ვოლოგდის გუბერნატორს წერდა: „პოლიციის დეპარტამენტში შემოსული ცნობებიდან ჩანს, რომ ვოლოგდაში უკანასკნელ ხანებში წარმოიშვნენ საიდუმლო ორგანიზაციები, ისინი ხშირად და მნიშვნელოვანი რაოდენობით აგრეგლებენ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ დანაშაულებრივი შინაარსის მოწოდებებს სოციალ-დემოკრატების სახელით“ (მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი N 102).

1905 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნებულმა მანიფესტმა საგრძნობლად შე-

თვედორე შავიშვილი
ძველი ბოლშევიკის მოგონებებიდან

ამცირა ვოლოგდის პოლიტიკურ გადასახლებულთა რიცხვი, რომელიც მაშინ 3.000 კაცამდე აღწევდა, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ იქ უკვე რვა ათასზე მეტი გადასახლებული იყო. ამჯერად, სხვადასხვა ეროვნების მუშები და გლეხები ჭარბობდნენ, მათ შორის ქართველიც ბევრი იყო. ერთი მათგანი, იოსებ ხიზანიშვილი 1906 წელს გარდაიცვალა ვოლოგდის საერობო საავადმყოფოში. ხიზანიშვილი 19 აპრილს დასაფლავეს. ქართველი გლეხის დასაფლავებამ მთავრობის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაციის ხასიათი მიიღო და ხაზი გაუსვა ვოლოგდელების პოლიტიკურ აღმავლობას, რუსეთის მონარქიის დასამხობად ბრძოლისათვის მათს მზადყოფნას.

ადგილობრივი ბოლშევიკების მოწოდებით დასაფლავებას დიდძალი ხალხი — მუშები, მოსწავლეები და ინტელიგენცია დაესწრო. დასაფლავების მეორე დღეს, 20 აპრილს, ვოლოგდის პროვინციული გაზეთი „სევერნაია ზემლია“ წერდა, რომ საერობო საავადმყოფოს ეზოში 12 საათისათვის 3000 კაცი შეიკრიბა. მათ მოიტანეს მრავალი გვირგვინი წარწერებით: „მებრძოლ გლეხს“, „ჩაგრულთათვის მებრძოლს“, „თავისუფლებისათვის მებრძოლს“, „ძალადობის მსხვერპლს“, „დიდება თავისუფლებისათვის დაღუპულს, ნათელი მომავლისათვის მებრძოლს“. „დღის სამ საათზე, — ვკითხულობთ გაზეთში, — პროცესია ვედენის სასაფლაოსკენ დაიძრა. წინ, მჭიდრო წყებად შეიარაღებული მებრძოლა რაზმი მიდიოდა. რაზმს პროცესია მიჰყვებოდა. კუბო ზელით მაქონდათ ხიზანიშვილის პატიმრობის ამხანაგებსა და თანამემამულე ქართველებს. ოთხი საათი რომ დაიწყო, პროცესია არხანგელსკის ქუჩას მიადგა. აფრიადდნენ წითელი დროშები: „სიკვდილი ჯალათებს!“ „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ „ძირს თვითმპყრობელობა!““. გაისმა შოპენის სამგლოვიარო მარშის ჰანგები და მრავალი ადამიანის ხმაც ერთ საპროტესტო ხმად შეერთდა: „თქვენ მსხვერპლი გახდით!“.. სასაფლა-

ოზე ბევრი მგზნებარე სიტყვა წარმოიტქვა. პირველმა ორატორმა ილაპარაკა რუსეთზე, რომელიც მისი შემსწრე მშვილების სისხლით არის მორწყული, ილაპარაკა თვითნებობის მსხვერპლზე, განსვენებული ამხანაგის აუწერელ წამებაზე, იგი მხოლოდ იმაში იყო დამნაშავე, რომ თავისუფლება უნდოდა. მეორე სიტყვას ამბობს გადასახლებული ქართველი. ქართველები არ მოელოდნენ, რომ შორეულ ჩრდილოეთში იბოვნიდნენ სულიერ ძმებს, მებრძოლ ამხანაგებს. ახლა კი მათ გულელებში სამუდამოდ დარჩება მადლობის გრძნობა ჩრდილოელებისადმი.

შემდეგ გამოვიდა მეორე ქართველი. იგი მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა. მისი სიტყვა ჩვენთვის გაუგებარი იყო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ რაღაც ძლიერსა და ლამაზს ამბობდა. ვხედავდით მისი თავჩაქინდრული და პირქუში ამხანაგები როგორ სწევდნენ მაღლა თავებს. მათი თვალებიდან რისხვა გამოკრთოდა. ისევე: „თქვენ მსხვერპლი გახდით!“.. დროშები ტარებს ჩამოგლიჯეს და მიცვალებულს გადააფარეს, ერთ დამსწრეთაგანს წინადადება შემოაქვს, უკვდავყოთ მებრძოლი გლეხის ხსოვნა კავკასიელი ხალხებისადმი ძმური სოლიდარობის გამოხატვითა და იმ შემადრწუნებელი ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რასაც კაზაკები და მეფის მოხელეები ჩადიან კავკასიაში, შეეკრიბოთ ფული განსვენებულის ცოლშვილის სასარგებლოდ. ყველანი თანახმანი არიან. იქვე, საფლავზე, შეავროვეს 78 მანეთი და 71 კაპიკი, ოქროს სამაჯური და ბეჭედი...

ასე დასაფლავეს ვოლოგდელებმა ქართველი გლეხი“ (გაზეთი „სევერნაია ზემლია“, 1906 წ. 20 აპრილი, № 80).

სამი დღის შემდეგ, იმავე გაზეთში, გამოქვეყნდა გადასახლებულთა მიმართვა ვოლოგდის საზოგადოებისადმი, სადაც, სხვათა შორის, ეწერა: „საძაგელი ოპრინჩიკების მიერ ციხეებსა და გადასახლებებში გამომწყვდეულნი, ჩვენ აქ მძიმე ფიქრებით მოვდიოდით. აქ მტრობასა და გულგრილობას ველოდით, მაგ-

რამ შევცდით. თქვენ შეგვხვდით, როგორც ძმები, — გულთბილად და თანაგრძნობით. ეს შეხვედრები დაუფიქყარია. ახლა, ვოლოგდელს მოქალაქენო, ჩვენი ამხანაგის, ხიზანიშვილის დასაფლავების გამო მოგმართავთ. თქვენ რამდენიმე ათასი იყავით და ხელში თავისუფლების დროშა გეჭირათ“. „სევერნაია ზემლიას“ კორესპონდენტი წერს, რომ ნახევარ ვერსზე გაშლილი კორტეჟი არნახულ სანახაობას წარმოადგენდაო. „თქვენ გავგივეთ ჩვენ და ჩვენც გავგივეთ თქვენ. ჩვენი აზრები ერთ მთლიან აზრებად გაერთიანდა. ჩვენი სულიერი გრძნობები ერთ გრძნობად გადაიქცა. მოქალაქენო! თქვენს მიერ გამართული სამეგლოვიარო პროცესია წარუშლელად აღიბეჭდა ჩვენს გულებ-განსვენებული ხიზანიშვილი მეტად ღარიბი იყო. საქართველოში მას დიდი ოჯახი და მცირეწლოვანი შვილები ღარჩა. თქვენ გაიღეთ შეწირულება შორეული მხრიდან გადმოსახლებული რევოლუციონერის ოჯახის დასახმარებლად. ერთმა ქალმა ბეჭედი და სამაჯური წაიძრო ხელიდან. ვოლოგდელი მოქალაქის საქციელით გულის სიღრმემდე აღელვებულებმა, ჩვენ გადავწყვიტეთ ბეჭედი და სამაჯური გადავუგზავნოთ განსვენებულის ცოლშვილს შორეულ კავკასიაში. ქართული ზნე-ჩვეულების მიხედვით, ოჯახი ამ საგნებს შეინახავს, როგორც სალოცავს. ქართველი მამაკაცები და დედაკაცები, მოხუცები და ახალგაზრდები მივლენ, ნახავენ ამ საგნებს, გაიხსენებენ შორეულ მიწაში დამარხულ ამხანაგ ხიზანიშვილს და მხურვალე მადლობას გადაუხდინან იმ მშვენიერ ვოლოგდელ ქალს და ყველა თქვენგანს, ვოლოგდელს!“ (გაზეთი „სევერნაია ზემლია“, 1906 წ. № 83).

აღნიშნული წერილების გამოქვეყნებისათვის შავრაზმელებმა გაზეთის რედაქცია დაარბიეს.

...გათენდა. ქალაქში გამოვედი. დიდი ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი განახლებულ ქუჩებს, მოედნებს, სახლებს; არც ერთი ნაცნობი არ შემხვედრია ამ ვებერთელა ქალაქში, რომელთა-

ნაც ასე დაკავშირებულია ჩემი ახალგაზრდობის მოგონებები.

სასტუმროში დავბინავდი სათანადო დაწესებულებებში წავედი. შევედივარ პოლკოვნიკ სტეპანოვის კაბინეტში. მან დიდი ყურადღებით მიმილო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ცარიზმის დროს მე აქ საკატორლო ციხეში ვიჯექი, ახლა მოგონებების დაწერა განვიზრახე, მინდა საარქივო მასალებს გავეცინო, ამისათვის ჩამოვედი საქართველოდან. ვთხოვთ, დამესმაროთ!

პოლკოვნიკმა ცნობისმოყვარეობით შემათვალისწინა და დახმარება აღმოთქვა. პირველად ჩემი პატიმრობის ადგილს ვესტუმრე. ყოფილი საკატორლო ციხის სამსართულიანი რუხი შენობის დანახვაზე მყისვე წამოიშალნენ მესხიერებაში უკვე მივიწყებული სურათები: კამერები, „პარაშკა“, პატიმრების წამება, როზვი, ბნელი კარცერები, შიმშილობა, ობსტრუქციები და უნებლიეთ გამახსენდა უკვდავი შოთას სიტყვები:

მაშინ ღზინი ამო არის,
რა ვარდინდის კაცი ჭირსა.

რამდენიმე დღის შემდეგ წიგნისათვის შეგროვილი საჭირო მასალებითა და ვოლოგდელი ამხანაგებისადმი დიდი მადლობის გრძნობით გამსჭვალული, მზად ვიყავი უკან წამოსასვლელად, მაგრამ, ვიდრე სადგურში გავიდოდი, გადავწყვიტე ვოლოგდის გარეუბანში, ვედენის სასაფლაოზე წავსულიყავი და მენახა გლეხი რევოლუციონერის იოსებ ხიზანიშვილის საფლავი.

დიდხანს ვიდექი ქუდმოხდილი იოსებ ხიზანიშვილის საფლავთან. ვოლოგდელი ამხანაგები მალალ შეფასებას აძლევენ იოსებ ხიზანიშვილის დასაფლავებასთან დაკავშირებით გამართულ პოლიტიკურ დემონსტრაციას. 1955 წელს ვოლოგდაში გამოვიდა საარქივო ორგანოების მეცნიერ-მუშაკთა კოლექტიური ნაშრომი 1905-1907 წლების რევოლუციაში ვოლოგდელელების მონაწილეობის

თევდორე შავიშვილი
ძველი ბოლშევიკის მოგონებიდან

შესახებ. ავტორები, სხვათა შორის, ეხებთან ამ დემონსტრაციასაც და წერენ: „დემონსტრაციის მნიშვნელობა დიდი იყო. იმ დღეს ვოლოგდელებმა პოლიტიკური გადმოსახლებულის მიმართ გამოსატყის თანაგრძნობა და ძმური სიმპათია, გამოავლინეს მტკიცე ერთსულოვნება საქმლევი თვითმპყრობელურ-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტყუილად როდი ამბობენ პოლიტიკური გადმოსახლებულები ვოლოგდელი მშრომელებისადმი მიმართვაში: „თქვენ გაგვიგეთ ჩვენ, ჩვენც გაგვიგეთ თქვენ!“ („ვოლოგდელების მონაწილეობა რუსეთის პირველ რევოლუციაში“, ვოლოგდა, 1955 წ. გვ. 48).

მე არ ვიცოდი საქართველოს რომელი რაიონიდან იყო განსვენებული ი. ხიზანიშვილი. ამის დასადგენად და მის შესახებ ზოგიერთი ცნობის შესაკრებად თბილისში დაბრუნებისას დავუკავშირდი ნაცნობ ძველ რევოლუციონერებს, რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებსა და გაზეთების რედაქციებს, მაგრამ ვერაფერი დავაუწყებ. არც ადგილობრივ არქივებში აღმოჩნდა საამისო მასალა. გაზეთებშიც გამოვაქვეყნე წერილები ამ საკითხზე, მაგრამ მას არავინ გამოეხმაურა. იმის შესამოწმებლად, ნამდვილად ეხებოდა თუ არა მოწოდებული ცნობა 1906 წელს ვოლოგდაში დასაულავებულ ი. ხიზანიშვილს, მე პრესაში განზრახ არ ვაქვეყნებდი მისი მამის სახელს. ჩემი უკანასკნელი წერილი ამის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1962 წლის პირველი ნომერის ნომერში სათაურით: „იცნობდით თქვენ გლეხ იოსებ ხიზანიშვილს“? რამდენიმე დღის შემდეგ ბინაზე დამირეკეს.

— შავიშვილი ბრძანდებით?

— დიახ!

— თქვენი ნახვა გვინდა ხიზანიშვილის საკითხთან დაკავშირებით.

— რომელი ხიზანიშვილის?

— იოსებ ნიკოლოზის ძე ხიზანიშვილის, მასზე თქვენი წერილი იყო გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტში“.

ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. დიდხანს ვისაუბრეთ. გამოირკვა, რომ ი. ხიზანიშვილი თბილისის გუბერნიის ფორის მახრის სოფელ ხოვლეს მცხოვრები ყოფილა. 1905—1906 წლების მღელვარე დღეებში იგი წითელი რაზმის მებრძოლი იყო, იმ რაზმისა, რომელსაც პერსონალური პენსიონერი ივანე ბესარიონის ძე ბახტაძე მეთაურობდა. 1906 წლის დამდეგს ი. ხიზანიშვილი დააპატიმრეს და გორის სამაზრო ციხეში მოათავსეს. მალე, სხვა რევოლუციონერებთან ერთად, იგი ჩრდილოეთში გადაასახლეს. როდესაც იოსები დააპატიმრეს მას დარჩა ცოლი ერმონა და ექვსი მცირეწლოვანი შვილი — ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ამჟამად მხოლოდ ორი ვაჟია ცოცხალი — შაქრო და მისი მომდევნო ძმა ვასო. შაქრო პენსიონერია, ხოლო ვასო ხოვლეს კოლმეურნეობაში მუშაობს. ხიზანიშვილის ორმოცდაცხრა შვილიშვილისა და შვილთა შვილისაგან ზოგი მსახურობს, ზოგი კოლმეურნეობაში მუშაობს, ზოგიც მოსწავლეა.

1906 წლის 19 აპრილს ვოლოგდაში ი. ხიზანიშვილის საფლავზე შეგროვებული ფული, სამაჯური და ბეჭედი დაობლებულ ოჯახს კონსპირაციის მიზნით გადმოეგზავნა არა პირდაპირი მისამართით, არამედ თბილისის იმდროინდელ საზოგადოებაში გავლენიანი პირის, ქეთევან ვიორგის ასულ ჯავახიშვილის სახელზე; ქეთევანი ჩემი თანამოსაუბრეების გადმოცემით, თანაუგრძნობდა რევოლუციას. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1963 წელს, თბილისში.

სამაჯური იოსების უფროს ქალიშვილს გაატანეს მზითევში. დროთა მსვლელობაში ეს ისტორიული ნივთი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ი. ბ. ბახტაძის დახმარებით, მე მივაგენი ამ უნიკალურ ნივთს და იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ნ. ჯანაშიას სახელობის მუზეუმს გადავეცი.



ლიბიჯი შანშაშვილი

ყირიმის ცის ქვეშ

დოროშენკოს პოლკი სატანკო დივიზიის მიამაგრეს. ოპერაციის პირველ პერიოდში, სანამ ჩვენი ჯარები დაცვის მთავარ ხაზს გაარღვევდნენ, მფრინავებს სატანკო ნაწილები მტრის ბომბდამშენებისაგან უნდა დაეცვათ, ხოლო როცა ბრძოლის ველზე გერმანელთა ავიაცია არ იქნებოდა, მაშინ დოროშენკოს მფრინავები მტრის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებს დაბომბავდნენ.

საბრძოლო ამოცანის დასაზუსტებლად და ურთიერთმოქმედების დაწვრილებით გარკვევის მიზნით, დოროშენკომ სატანკო დივიზიის შტაბში მფრინავი დავით ჯაბიძე და შტაბის ერთი ოფიცერი გაგზავნა. თათბირის შემდეგ ჯაბიძე პოლკში უნდ დაბრუნებულიყო, შტაბის ოფიცერი კი ოპერაციის დამთავრებამდე ტანკისტებთან დარჩებოდა.

ჯაბიძე და მისი ამხანაგი შტაბში შევიდნენ. დიდხანს უსხდნენ რუკას პოლკოვნიკი და ავიაციის წარმომადგენლები, დაწვრილებით დააზუსტეს ურთიერთმოქმედების გეგმა მომავალ ბრძოლებში.

ავიაციის თადარიგის გენერალ-მაიორი დიმიტრი შანშაშვილი გამოსაცემად ამზადებს წიგნს „ყირიმის ცის ქვეშ“. ჟურნალის ამ ნომერში ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის გმირს დავით ჯაბიძეს.

ოპერაცია ადრე დილით დაიწყო. დოროშენკოს პოლკი ფრონტისაკენ დაიძრა, არტილერიას ცეცხლი უკვე გაეჩაღებინა. პირველი საბრძოლო გაფრენისას ჯაბიძე და მისი ამხანაგები სივარის პლაცდარმის მოიერიშეთა ამოცანას ასრულებდნენ. არტილერიის ცეცხლს მტრის ბანაკი ისე აერივდა-დაერია, რომ ჩვენი მფრინავები საუტეხოდ შესწავლილ სამიზნეებს ძლივს პოულობდნენ. ორმოცდამეთერთმეტე არმიამ, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი კრეიზერი მეთაურობდა, თავისი მარცხენა ფრთით პირველ დღესვე გაარღვია მტრის დაცვა, შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად სამ დღეში დაეუფლა მთელ სიღრმეს და ოპერატიულ სივრცეში გაიჭრა. ბრძოლაში სატანკო შენაერთი ჩაება. გამართლდა ავიატორების ვარაუდი: პირველი საბრძოლო გაფრენისას მტრის ავიაციამ ვერ მოასწრო წინააღმდეგობის გაწევა. გერმანელთა „მესერ-შმიტები“ და „ფოკვეულფები“ მხოლოდ მეორე გაფრენის დროს შეეცადნენ ხელი შეეშალათ ჩვენი ავიაციის მოქმედებისთვის, მაგრამ მტრის თვითმფრინავებმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს ჩვენს მოიერიშეებსა და ბომბ-

დიმიტრი შანშაშვილი
ყირიმის ცის ქვეშ

დამშენებს, რადგანაც მათ საიმედოდ იცავდნენ „იაკები“ და „ლაფოჩკინები“.

ჩვენი ავიაციის უპირატესობა ამჟამად იყო, მაგრამ საღამოს მეზობელი პოლკი მტრის ძლიერ ჯგუფს წააწყდა და უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა. ჯაბიძე თავის ხელქვეითებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. ამ დროს ჰაერში მწვანე შუშ-ხუნა ავარდა. ბრძოლის ველზე ჯაბიძის ესკადრილას იხმობდნენ.

— თვითმფრინავებში! — ბრძანება გასცა დავითმა.

წუთიც და ესკადრილა ჰაერში იყო.

— 31-ე კვადრატში შენს მეგობარს — მანუკიანს უჭირს, დაუჩქარე! — მოესმა ჯაბიძეს კაპიტან მაკოვსკის ხმა.

დავითი შეწუხდა. 31-ე კვადრატამდე ოთხი წუთის საფრენი მაინც იყო. ვაზის ბერკეტი ბოლომდე წასწია წინ და რადიო მიღებაზე გადაიყვანა. დავითმა იცნო მანუკიანის ხმა, დილაქს თითი დააჰქირა და გადასცა: „არმენაკ, დავითი ვარ, გამაგარი, ორ წუთში შენთან ვიქნები!“

ჯაბიძემ შორიდანვე დაინახა თერთმეტი ნომერი „ლაფოჩკინი“. ეს მანუკიანის მანქანა იყო. ჩვენი „იაკების“ ესკადრილა ქარიშხალივით შეიჭრა ბრძოლის შუაგულში. ძალთა შეფარდება უცბად ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა.

— დასცხე მაგ რაჯულაძლეებს! — შესძახა დავითმა, მანქანა მეგობრისკენ წაიყვანა და გვერდით ამოუდგა, ერთად შეუტეეს „ფოკევულფების“ ჯგუფის წამყვანს. მტრის თვითმფრინავი ჰაერში გადატრიალდა და აღმოდებული წავიდა მიწისკენ. მალე მეგობრებმა „მესერიც“ ჩამოაგდეს.

ჯაბიძე და მანუკიანი გამარჯვებულები დაბრუნდნენ ბაზაზე.

მეორე დღეს გერმანელებმა ავიაციის მოქმედება გააძლიერეს, რუმინეთიდან იუნკერსთა დიდი ჯგუფები მოდიოდნენ და ტანკების შეჩერებას ცდილობდნენ. ასეთ ვითარებაში მოიერიშე ავიაცია ეხმარებოდა სატანკო ნაწილებს.

ჯაბიძე მოიერიშე პოლკს აცილებდა. წინა გაფრენაში სლავა ბონდარენკო მსუბუქად დაიჭრა და მის ნაცვლად

ჯაბიძის წყვილში წამყვლის ადგილი სახელგანთქმულმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა კაპიტანმა ~~გაქვანცაძემ~~ დაიჭირა.

ჩვენები ევპატორიის მიმართულებით მიდიოდნენ. უეცრად ჯაბიძემ ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე „იუნკერსების“ დიდი ჯგუფი შენიშნა. ამ ჯგუფს ექვსი გამანადგურებელი იცავდა. ფაშისტები ბახჩისარაისკენ მიემართებოდნენ. ჯაბიძეს წამიც არ დაუყოვნებია, თავისი რგოლით მტრის „იუნკერსებისკენ“ გაეშურა, თან თავის მოადგილეს კუნენკოვს რადიოთი აცნობა შექმნილი მდგომარეობა და მოიერიშეების დაცვა უბრძანა. თავისი რგოლის მეორე წყვილის მეთაურს მესერების თვალყურის დევნება დაავალა, თვითონ კი კაპიტან მაკოვსკისთან ერთად გადაწყვიტა, ბომბ-დამშენებს გამასპინძლებოდა. კაპიტანმა ჯაბიძეს გადაწყვეტილება მოუწონა.

გერმანელები მიხვდნენ, ოთხი საბჭოთა მფრინავი ოცდაექვსის წინააღმდეგ რომ ბედავდა შერკინებას და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. ისინი უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, სიმაღლე მეტი ეჭირათ.

პირველი დარტყმა მთელმა რგოლმა მიიღო, მაგრამ უშედეგოდ. ახლა ჯაბიძის მეორე წყვილმა განაგრძო ბრძოლა მესერებთან, თვითონ ჯაბიძემ და მაკოვსკიმ კი ბომბდამშენებს შეუტეეს. ერთი „იუნკერსი“ მაკოვსკიმ ცეცხლში გაახვია. მფრინავები პარაშუტით გადმოხტნენ. მესერების მეწინავეს თვითმფრინავი დაუზიანდა და უკან გაბრუნდა. ამასობაში ჯაბიძემ კიდევ ერთი „იუნკერსი“ ჩამოაგდო. ბრძოლაში გართულმა დავითმა ვერ შეამჩნია, როგორ მიეპარა მტერი. თვითმფრინავის მარცხენა ფრთაზე ტყვიები ატაკუნდნენ. ჯაბიძემ მანქანა მოხერხებულად შეატრიალა და მოწინააღმდეგეს ეკვეთა. მტერი დაფრთხა და გაიქცა.

ეს იყო ოთხი საბჭოთა „ასის“ ბრწყინვალე გამარჯვება. იმავე დღეს ოთხივე გმირი სამამულო ომის ორდენებით დააჯილდოვეს.

პიტლერელები არ ფიქრობდნენ სევასტოპოლის დატოვებას და ჩვენს ჯარებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწყებდნენ. საპაერო დაზვერვამ აღნიშნა, რომ პიტლერელებს ავიაციის დახმარებით მარცხი ჯარები გადმოჰყავდათ სევასტოპოლში. ჩვენმა სარდლობამ შეტევა დროებით შეაჩერა, რომ გმირი ქალაქის განთავისუფლებისათვის უფრო კარგად მომზადებულიყვნენ.

დოროშენკოს პოლკი კახას აეროდრომზე დაეშვა, კარვები გაშალა და დაბანაკდა. სევასტოპოლის მხრიდან ქვემეხების გრუსუნნი ისმოდა.

ერთ დღეს პოლკში გენერალი სავიცი და მისი მოადგილე პოლკოვნიკი რედკინი მოფრინდნენ. აეროდრომის დათვალიერების შემდეგ პოლკი მწყობრში დააყენეს და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაჯილდოვებული ორდენები და მედლები გადასცეს. ჯაბიძე სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

სევასტოპოლის განთავისუფლების შემდეგ დოროშენკოს პოლკმა ბელორუსიაში გადასვლის ბრძანება მიიღო.

ივნისის ბოლო რიცხვებში ბელორუსიის მესამე და ბალტიისპირეთის პირველი ფრონტების ნაწილები ვიტებსკის დასავლეთით შეერთდნენ და ფაშისტების ძლიერი დაჯგუფება „ქვაპში“ მოამწყვდიეს. ამ ბრძოლებში დოროშენკოს პოლკი უცვლელად იღებდა მონაწილეობას.


ერთხელ, ორშის ჩრდილო-დასავლეთით საპაერო ბრძოლებისას, ჯაბიძემ დაინახა, რომ გერმანელებმა დოროშენკო თავის რგოლს მოწყვიტეს. პოლკის მეთაურს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ჯაბიძემ „ფოკეულფისკენ“ მკვეთრად შეაბრუნა მანქანა. მტერმა მოფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ იგი ცეცხლის აღში გაეხვია. ბრძოლაში გართულმა დავითმა უეცრად უსიამოვნო ბიძგი იგრძნო.

თვითმფრინავის ძრავა განუღებელი, ჭურვის ნატეხი რადიატორს მფრველს ბრძოლის გავრძელება აღარ შეუძლებოდა. დავითმა ვეზი აეროდრომისაკენ აიღო. ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა. აეროდრომამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ქვემოთ გაუვალი ტყე და ქაობი ჩანდა. აქ დაშვება ყოველად შეუძლებელი იყო. დავითი საგონებელში ჩავარდა. მას პარაშუტით გადმოსტომა შეეძლო, მაგრამ დასამტვრევად ვერ გაიმეტა ახალთახალი „იაკი“, რომელიც თბილისის მშრომელებმა საჩუქრად გაუგზავნეს ფრონტს, პოლკის მეთაურმა კი თვითმფრინავი დავითს ჩააბარა, თანამემამულეები არ შეარცხვინოთ, უთხრა... დავითი გამოერკვა, სიმაღლე თანდათან იკლებდა, უცებ პატარა მინდორი შეამჩნია, დავითმა შვებით ამოისუნთქა. ორასიოდ მეტრიღა დარჩა, მაგრამ ეს რა არის? მინდორი კი არა, გაჩენილი ტყე აღმოჩნდა, კუნძებით სავსე. ფიქრის დრო აღარ იყო, დავითმა თვითმფრინავი ტყისკენ წარმართა, ბორბლები აკრიფა და მანქანა ხეებზე დასვა. „იაკი“ გადაჩრა. მართალია, ოღნავ დაზიანდა, მაგრამ ეს არაფერია, პატარა შეკეთება და კვლავ საბრძოლო რიგში ჩადგება თბილისელთა საჩუქარი.

პოლკში უმალ გაიგეს ჯაბიძის „დაკარგვა“ და ორი „იაკი“ გაგზავნეს საძებნად. ტყეში მარტო დარჩენილი ჯაბიძე მიხვდა, ვის ეძებდნენ „იაკები“. პისტოლეტიდან შუშუნის გასროლით ამცნო მეგობრებს თავისი ადგილსამყოფელი.

ბელორუსიის შემდეგ დოროშენკოს პოლკი ლიტვის დედაქალაქის — ვილნიუსის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩააბეს. ქართველმა მფრინავმა დავით ჯაბიძემ აქაც ისახელა თავი გამბედაობითა და მამაცობით.

დიმიტრი შანშაშვილი
ყირიმის ცის ქვეშ



უკანასკნელი მანეთიანი

I

ეს ამბავი ახლთში მოხდა.

ნულთუ თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ახლთში? არც გაგიგონიათ? ეს კი ძალიან მიკვირს! არც ჩემს ბიძაშვილს იცნობთ, ამირანს? არა? ყოვლად შეუძლებელია მაშინ მე თავს ვალდებულად ვთვლო, ზოგი რამ ვიამბოთ ამ შესანიშნავ ყმაწვილზე.

მე და ამირანი ბავშვობაში შალის გრძელ შარვლებზე ვოცნებობდით.

ამირანმა გამოიანგარიშა, თუ ძალ-ღონემ არ გვიმტყუნა, ორ-სამ თვეში შევძლებთ ასეთი შარვლის ყიდვასო. მაგრამ ჯერ ფული უნდა გვეშოვნა. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ბოლოს გამოსავალიც ვიპოვეთ: ამირანმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, დაიყოლია მოხუცი ილარიონი და მან თანაშემწეებად აგვიყვანა. ილარიონი დამდამობით აბრეშუმის ყაპს იღებდა. ჰოდა, ჩვენც დამით უნდა გვეზიდა წყალი მდინარიდან. რას იზამ? ხომ გაგიგონიათ, როგორც ვიკირდეს, ისე გვიღირდესო. ჩვენც ასე ძვირად გვიღირდა ნამდვილი შარვალი, შალის გრძელი შარვალი.

ილარიონმა ჯერ უშველებელ ვედროზე მიგვითითა, მერე ტარანივით გაფშეკილი ხელი მდინარისკენ გაიშვირა და გვითხრა:

— შუალამეზე გაგაღვიძებთ და რიგრიგობით უნდა ზიდოთ წყალი.

რაღა დამე ხარშავს ამ ყაპს ეს ოჯახდასაქცევი-მეთქი, — გავიფიქრე, თორემ თქმას როგორ გაებედავდი?

— ახლა კი ჰაიდა, დასაძინებლად! — დაძინა მან, პარკის საშრობში შეგვიძღვა დეტომრებზე მიგვითითა. მე მამაჩემისეული ძველი პიჯაკი გადავიხურე, ამირანმა კი — საცერციეთ დაცხრილული ნაბალი.

შუალამისას ილარიონმა გამაღვიძა. ვედროს ხელი წამოვავლე და თავქვე დავეშვი. ახლაც რომ გამახსენდება ის ციკაბო ფერდობი, თმა ყალყზე მიდგება და, წარმოვიდგენიათ, მაშინ, თითის სიგრძე დლაპს, რა შიში უნდა მეჭამა მერე რა უკუნეთი დამე იყო... მთის ძირში უზარმაზარი, ყინულივით ცივი მდინარე მოჰქუხდა, ყოველი ჯირკი ჩასაფრებულ, ხანჯალ-ამოწვილ ყაჩაღად მეჩვენებოდა.

ილარიონს, თუ სადმე სამართალია, ჯერ ამირანი უნდა გაეღვიძებინა. რაც არ უნდა იყო, სამიოდე კვირით ხომ იყო ჩემზე უფროსი. მე ორი დღის წინ შევსრულდი ათი წლის. მაგრამ რას იზამ, ასეა, — უმცროსს ყოველთვის ჯაბნინან...

რამდენ ხანს ვეზიდებოდი წყალს, ან რამდენი ვედრო მოვიტანე, არ მახსოვს.

— კარგი, ცოტა ხანს იკმარებს, — ამოღებოდა ბოლოს ილარიონმა, — წაიღე ახლა და დაძინე!

უყურე შენ, ამირანს ჩემი თბილი პიჯაკი არ დაუხურავს? — მე ფრთხილად გამოვაცოცე მისი ნაბდისძველა, გადავიხურე და დაძინე.

— იდექი, ბიჭო, იდექი! — ჩამესმა ძილში ილარიონის ხმა, წამოხტომა და უშველებელი ვედროს ხელში აღება ერთი იყო. რა ვიცოდე

მე ჩერჩებოდა, რომ ილარიონმა ხელმოკრედაც მე გამაღვიძა და არა ამირანი? ბერიკაცმა ალბათ ასე ფიქრა: პიჯაკიანმა წელი მითინა წყალი, ახლა ნაბდიანის ჯერიაო.

სამი ვედრო რომ ამოვიტანე და ოფლში გახვიებული ჩვენს „საძინებელ ოთახში“ შევლასლასდი, ისევ ჩემი თბილი პიჯაკი წავიხურე.

— ადექი, ბიძიკო, ადექი! — ისევ გამაღვიძა ბერიკაცმა ცოტა ხნის შემდეგ.

თვალების ფშვინებითა და ხელის ფათურით ძლივს მივაგენი ვედროს.

მზე ამოვიდა. კეთილმა ილარიონმა გაგვაღვიძა და ყუთზე თევშით ღომი დაგვიდგა:

— ჭამეთ, შეიღებო, ღმერთმა შეგარგოთ! ამირანი მადიანად ეცა ღომს. მე მინცადამინც არ მშობოდა, მეძინებოდა კი ძალიან.

— კარგი კაცი კი ყოფილა ეს ილარიონი, — თქვა ამირანმა და ღომის უშველებელი ლუკმა პირისკენ გააქანა. — ერთხელაც არ გაგვალღვიძა, ალბათ წყალს თვითონ ვზიდებოდა.

ამის გაგონებაზე ღომი ყელში გამეჩხირა და კინაღამ დავიხრჩეი. რაო, ერთხელაც არ გაგვალღვიძაო? ვაი ჩემო თავო! აბა, მართო მე ვეზიდებოდი მთელი ღამე წყალს?

კეთილი ბერიკაცი შეწუხდება, ამას რომ გაიგებს-მეთქი, ვიფიქრე და გავჩუმდი, აღარაფერი მითქვამს.

მეორე ღამეს, იცოცხლე, წყალზე წასვლის წინ ჩემს პიჯაკს საველდაველოდ ვინახავდი. დილით ბერიკაცმა ისევ შემოღვა ყუთზე ცხელი ღომი და სქელი მაწინით სავესე ჯამი.

— რა მოვივიდა, რატომ არ სკამი?! — კითხვით თვალმინაბულ ამირანს.

— უჰ, რომ იცოდე, როგორ დავიღალე... — თქვა მან, მერე თავი ჩაჰკიდა და ხერხინვა ამოუშვა.

2

მე და ამირანმა, როგორც იქნა, ვიყიდეთ გრძელი შარვლები. ოღონდ შალის კი არა, რაღაც მუჭი ტილოს მსგავსი მატერის, ისიც ახალსენაკში კი არა, ჩვენი ახუთის ღუშანში. მუდის შარვლისათვის ფული არ გვეყო. სამაგიეროდ, სახელმძღვანელოების საყიდელი ფული დავგვრჩა. მაგრამ ახუთში წიგნები რომ არ იშოვება? მაინც ახალსენაკში ვართ წასასვლელი, მერე რით უნდა გვემგზავრა — ურმით? ოცდაათუთმეტი კილომეტრი ურმით ჩემმა მტერმა იარა!

— ეტლით წავიდეთ! — მითხრა ამირანმა.

— ნეტა ვიცოდე, სადა გაქვს ეტლის ფული.

— კაცო, შენ რა გინდა, თქვი, წავიდეთ თუ არა?

როგორ შეიძლება, უფროსს არ დაეთანხმო? დავეთანხმე. ეტლი ახუთში ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება. ხვალ კი დიდი საეკლესიო

დღესასწაული და ქალაქიდან ბევრი ხალხი ჩამოვა. ეკლესიის პირდაპირ რომ დიდი ცაქს-ვია, ახუთელები იქ შეგროვდებიან. დღესასწაული თავისთავად ხომ არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენს. მოდის და მოდის სახეიმოდ მორათულ-მოკაზმული ხალხი. თან მოაქვთ ღვინო და ნაირნაირი საკმელები. იწყება „სმა-პამა დიდად შესარგი“, მერე კი, როგორც წესი, — მოქეიფეთა შორის ძველი „ანგარიშების“ გასწორება, ცემა-ტყემა.

ამჯერადაც მდიდარი ახუთელების ნათესაეები სამი ეტლით ჩამობრძანდნენ. ვიდრე საპატიო სტუმრები უკან გამობრუნდებოდნენ, მე და ამირანი ახალსენაკის გზაზე გავედით.

— ახლა მიყურე და შენც ჩემსავით მოიქეცი, გესმის? — თითქმის მიბრძანა ჩემმა ბიძაშვილმა.

გამოჩნდა პირველი ეტლი. ამირანი, ვითომც აქ არაფერიაო, უდარდლოდ გაჰყურებდა სივრცეს, მაგრამ როგორც კი ეტლმა ჩაუქროლა ისეუბა და ელვის უმალ უკანა ღერძს მოახტა. ცოტა ხანაც და მოსახვევიდან მეორე ეტლი გამოჩნდა. დიდულვაშა, ლოყებდაღაჟა მეეტლეს ტყავის ქული ეხურა. მეც მოეწყდი აღვილიდან. არა, მე ამირანივით კოხტად რაღვი დავსკუბდი ღერძზე. ვიდრე ამას შევძლებდი, იცოცხლეთ, ღლე დამადგა! ის-ის იყო თავის უფლად ამოვისუნთქე, რომ მეეტლეს მათარხმა ათვალაშუნა, ტკივილისაგან შევკვივე, ღერძს ხელი ვუშვი და ძირს ვადმოვარდი. ადგომის თავი აღარ მქონდა, მაგრამ მესამე ეტლის დანახვამ გამომადგინა, წელი რის ვივავლახით ავითრიო და გზის კიდულ ღობეს მივაღექე. ეტლი გაჩერდა. მესმის ვიღაც მეძახის:

— ბიძიკო, მოდი აქ! მოდი, ნუ გეშინია! — შევხედე, თურმე მეეტლე მეძახოდა.

— აქ მოდი, ნუ გეშინია! — გამიმეორა აღერსიანად მეეტლემ და მათარხი ფეხქვეშ ამოიღო. — დაჯექი! ჰო, არ გესმის? ამოდი კოფოზე, ჩქარა!

უარის თქმა უზრდელბად მივიჩინე, მეეტლეს კეთილ თვალებში შევხედე და სიხარულით კოფოზე ავხტი. ერთი კი გამიფლვა თავში, ვათუ მცდის და კინწისკერით ისევ დაბლა გადამიძახოს-მეთქი, მაგრამ შიში არ შევიმჩინე.

— მაინც საით მიემგზავრებოდი ღერძზე მოკუნტული? — მკითხა მეეტლემ ბოლოს.

— სენაკში.

— ნათესაეებთან?

— არა, სახელმძღვანელოები უნდა მეყიდა.

— წყნარად იჯექი მე ჩავიყვან.

ჩემს ნეტარებას სახლვარი არ ჰქონდა. ეტლი ნელა ირწეოდა, ირგვლივ ჩიტების მზიარული ჟივრევი ისმოდა, გზაზე ჰრელი ბუბლები და-

იასონ გერსამია

უკანასკნელი მანეთიანი

ფრფრეებდნენ... ქვემოთ კი, გზის გასწვრივ, ტყეურა მოჩხრიალებდა.

ამასობაში ამირანი გამახსენდა. როგორ შემეცოდა, როცა წარმოვიდგინე, რა საცოდავად იქნებოდა ლერძზე მოუქნტული და მტვერში ამოვანგლული.

— რა გქვია, ბიძო, შენ? — მკითხა მეეტლემ.

— გიორგი, ბატონო.

— შე სარდიონი მქვია. ვინ მოგცა წიგნების საყიდელი ფული? — ამ სიტყვების გაგონებაზე ისე შევტი, კინაღამ ძირს ბრავკანი მოვადინე. რატომ მკითხება ფულზე? რასაკვირველია, მომთხოვს საფასურის გადახდას. მერე წიგნები რითი ვიყიდო? არ მერჩია, ფეხით წამოვჩანჩალებულიყავი? მართალია, ამირანი ოთხად მოკაეული ზის, მაგრამ ფულს მაინც არაფერ მომთხოვს.

— ფული? ღამე წყალს ვეზიდებოდი... — და მოუყევი სარდიონს, რა გზით შევაგროვეთ ფული.

— ყოჩად, ბიჭო! — შემაქო მეეტლემ.

ნოქალაქებს ეუახლოვდებოდი.

„ხილამდე მივალ და მერე ჩამოვტები. ეგერ, წინ რომ შეუტრმე მიდის, იმას შევეხვეწები და ის მიმიყვანს“ — გადავწყვიტე მე.

მოიცა, მოიცა, ეს ვინ უნდა იყოს, ურემზე რომ ზის შავბლუზიანი? ამირანია?! კი, ნამდვილად ამირანი იყო.

— ამირან! — დავუძახე და ძირს ჩახტომა დავაბირე, მაგრამ სარდიონმა დროზე მტაცა ქამარში ხელი. მარჯვენა ხელით კი მათრახი მოიქნია. ჩვენ ქარივით ჩავუქროლეთ კამეჩებ-შებმულ ურემს. — ყველაფერი გათავდა! მშვიდობით, წიგნებო!

— რა ღირს თქვენი ეტლით სენაკამდე მგზავრობა, ბიძა სარდიონ? — შიშით ვკითხე მე.

— შე სულელო, — კეთილი ღმილით გადმოხედა მეეტლემ. — რაკი დავგაბტიე, ფულს როგორ გამოგართმევ? ისიც შენისთანა კი ბიჭს, წიგნების ფული შრომით რომ გამოვივა. ეგერ, ეტლში მთვრალი „კამეჩები“ რომ ყვინთავენ, ხომ ხედავ? ფულს ისინი გადაიხდიან.

უკან მოვიხილე, ღვინით გამობრუებული სამი კაცი მართლაც ყვინთავდა ეტლში. ხუთი საათის შემდეგ სენაკს მივალწვით. კოფიდან ჩამოვხტი, ხელი თავისთავად ჯიბისკენ გამექცა — კიდევ არ მჯეროდა სარდიონის ნათქვამი.

— ხომ ვითხარი, შენ ფულს არ გამოგართმევ-მეთქი, — შემაჩერა სარდიონმა.

ვიღებ სარგდაყლაპულივით და ამ კეთილკაცს მივჩერებოდი. დამიჯერებთ? მაღლობის თქმაც ვერ მოვახერხე, ამასობაში ახალი მგზავრები ჩასხდნენ და ეტლიც დაიძრა.

— ეს რა მომივიდა, რა ეშმაკმა წამართვა ენა, მაღლობაც არ მითქვამს მე სულელს, — ენად ვისვენებდი. გამახსენდა სახელმძღვანე-

ლოები რომ უნდა მეყიდა და პირი მაჩხრახკენ ვიბრუნე.

აი, სენაკის ბაზარიც. საშინელად გამაჩხრახკე, ყაყანი და ჩხუბი. ვაჭრები ისე გააყვირიან, გეგონება, ხმაღამწვდელი ყაჩაღი თავზე ადგათ და ყელი უნდა გამოსტრასო. არის ერთი განიასი და ორმობრიალი. მე მაგრად მოუქპირე ფულს ხელი და წიგნის ღუქანს დავუწყე ტებნა.

— ფული გაქვს? აბა მაჩვენე! — მკითხა ერთმა მედუნემ. როცა ფული დავანახე, დამიტბა და ბოლოს კაბიკიანი ფანჯარიც კი მაჩუქა.

ველარ მოვიტონე, ცოტა მკაღი ვიყიდე და ზედ ტბილი წყალი დავაყოლე. წყლის გამყიდველს ერთადერთი სქელი, ქუჭყიანი ქიქა ჰქონდა და ამით ასმევდა ყველას, წყალსაც არ გამოვლებდა ხოლმე. დიდხანს დავეხეტებოდი ბაზარში, ვიდრე ვილაცამ მხარში არ წამავლო ხელი.

— ამირან, შენი ქირიმე! ასე მალე როგორ ჩამოდი.

— მეურმემ ცოტაზე წამომიყვანა და მერე საღდაც გადაუხვია. მე ფეხით მივდიოდი, მერე მეეტლე წამომეწია და ეტლით ვიმგზავრე. ასე რომ ფული აღარა მაქვს.

— წიგნები?

— შენი წიგნებით ორივემ ვისწავლოთ! წამოდი, „ტიანუშკა“ ვიყიდოთ!

ღამე სენაკის განაბირას, ერთი გლხის ოჯახში გავათიეთ. დილით ფეხით დავადექით გზას.

თქვენ წარმოიდგინეთ, მე და ის კეთილი მეეტლე, სარდიონი კვლავ შევხვდით ერთმანეთს... თორმეტი წლის შემდეგ:

მე სამსახურის საქმეების გამო № — საღვურის ბაქანზე ვიდექი. სამხედრო მატარებელი ჩამოვდგა, ჯავშნიან მანქანებს ბრეზენტი ჰქონდა გადაფრებული. და თუკებ საიდანლაც სარდიონი არ გამოქვრა? — თურმე ბრეზენტ-ქვეშ შემვვრალა და ისე წამოსულა. მცველმა დინახა, სტაცა ხელი და მე მომგვარა.

შეხვედე — სარდიონია. იმწუთშივე ვიცანი.

იმას, აბა, აზრად როგორ მოუვიდოდა, რომ ეს მაღალმალალი, ფორმიანი უფროსი ის პატარა, გამხდარი ბიჭუნა იყო, მან სენაკამდე უფასოდ რომ წაიყვანა.

თავიდან არ გავუხილე სარდიონს ჩემი ვინაობა, ისე გამოვიკითხე ყველაფერი: სად მუშაობდა, სად ცხოვრობდა და სხვა და სხვა.

— ერთ ღროს მეეტლე ვიყავი, საკუთარი ეტლი მყავდა. ახლა სოფელში უძირკოს ძმასთან ცეცხვრობ, ვეხმარები. ძმამ საყიდლებზე ქალაქში გამომგზავნა. სანამ რა ვიყიდე, სანამ რა, დამავიანდა. სამხედრო მატარებელზე დავჯექი და ა, ბატონო, რა მომივიდა..

— იცით თქვენ, რა მკაცრად დისიჯებით სამხედრო ემელონით მგზავრობისათვის?

— კი ვიცი, მაგრამ მოცდაც არ შემეძლო... ისედაც ერთი დღე და ღამე სადგურში ვავატარებ.

მე გავსინჯე სარდიონის საბუთები, მისამართი ჩავიწერე, ოქმი შევადგინე, უჯრაში ჩავკეტე და ვთქვი:

— ახლა წვიდეთ!

სარდიონს არც კი უკითხავს სად მივყევარო, იმდენად იყო დარწმუნებული, რომ დაეპატიმრებოდა.

მე და სარდიონი ბუფეტში შევედით. მაგიდასთან დავსვი და სადილი მოვიტხოვე. ყოფილ მეეტლეს სახე გაუბრწყინდა. იფიქრა, სადილისა და ღვინის ფულს მე ვაღამახდევინებს და ვამანათიანს ფულსო. აბა, როგორ! რაიკი, მისი ფიქრით, ფული თვითონ უნდა ვაღაგხადა, ადრე მორცხვობდა და მაღიანადაც ილუქმებოდა.

ვისადილეთ. სარდიონმა ჯიბეს იკრა ხელი და საფულე ამოიღო.

— რა საჭიროა! მე ვპატივებთ!

დავბრუნდით ჩემს კაბინეტში.

— თავიუფალი ხართ! წაბრძანდით! ნახვამდის! — ვუთხარი გაოგნებულ სარდიონს და ხელი გავუწოდე:

— კარგად ბრძანდებოდეთ!

კარგა ხნის შემდეგ სარდიონი ისევე ბაქანზე დაინახე.

— რატომ არ წასულხართ?

— ვერაფერი ვაგიკვ: არ დამსაჯეთ და პირიქით, სადილზე დამპატივეთ!

— თქვენ ახუთში ყოფილხართ?

— უპ, ვინ მოთვლის რამდენჯერ!

— გასსოვთ ასეთი შემთხვევა: თქვენ სხვა მეეტლის მათრახით ვალახული ბიჭი შეიცოდეთ, კოფოზე დაისვით, სენაკამდე მიიყვანეთ? მას სახელმძღვანელოები უნდა ეყარა.

— დიას, დიას, მასსოვს, რაღაც დღესასწაულზე ხალხი ახუთში ჩაიყვანე და...

— რა უპასუხეთ თქვენ, როცა იმ ბიჭმა გკითხათ, რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

— აბა, რა მასსოვს, შეილო!

— თქვენ ბავშვს უთხარით, შე სულელო, მე დაგაპატიე და ფულს როგორ გადაგახდევინებო. ის ბიჭი მე ვარ და ახლა მე დაგაპატიეთ. მე გიორგი მჭეია. მამატიეთ, მაშინ ვერ მოვასწარი მაღლობის თქმა.

გაოცებული სარდიონი თვალებს დიდხანს ახამხამებდა. ამ შეხვედრის შემდეგ იგი ჩემი დახმარებით რკინიგზაზე მოეწყო სამუშაოდ და კარგა ხანიც დაჟყო იქ.

3

ახუთის ეკლესიის მღვდელს, მამა ანტონს, ვერაფერში შეედავებოდი. ან ვინ გაუბედავდა სიტყვის თქმას. მამაჩემს, მავალითად, ლარბლატე გლეხს სად ჰქონდა გამავლობა, რომ

მღვდლის საწინააღმდეგო რამე ეთქვა? ~~იქცა-~~ ჩემს ხომ მით უმეტეს. და მერე კიდევ, ~~დღე-~~ ჩემის აზრით, მამა ანტონი აბეცებულ მწიგნობარს ვიწახე ღმერთის სრულუფლებიან წარმომადგენელი იყო. სულ იმას ჩამჩინებდა, ეკლესიაში ყველაზე წინ უნდა იდგა და ღმერთი მოგებდავსო. მაინც ასე იყო: ჩემი სიმაღლის წყალობით ყველაზე წინ ვიყავი დაჟუღბული.

მე ყოველთვის წყნარად ვიდებდი, ჩემი ამხანაგები კი ცულუტობდნენ: ერთმანეთს ემანკებოდნენ, მუჯღუნებს იკვრებებოდნენ და, რა დასამალოა, ნემსებითაც იხელებოდნენ. მერე და, სად ხდებოდა ეს? საღმრთო ტაძარში. მოდი და ასეთ ვითარებაში, როცა ყოველ წუთს ან ჩხვლებას მოელი, ან მუჯღუნებს, წყნარად იდებდი და უცოდველი ბატკანივით მიიჩრდი მღვდელს. კარგი ბატონო, ნემსის, ან ჭინძისთვის ჩხვლეთა ერთს მაგრად შეგაბტუნებს და გათავდა, მაგრამ გავეებული მაისის ხოჭო თუ დარბის თქვენს ზურგზე და ამ დროს კი მამა ანტონი ლაპარაკობს მორჩილებაზე, შეწყნარებაზე, მოყვასის სიყვარულზე, ჯანდაბასა და ღოზანაზე, როგორი მოსათმენია? იმშუშნები, ავზნინივით იგრინები და ბოლოს, სულელივით ავიტყუდება სიცილი. განრისხებული მამა ანტონი მოგაიხლოვდება და, ლოცვა-ქურთხევის შეუწყვეტლად, თავისი უხარმაზარი და ტყვიასავით მიმივ საჩვენებელი თითით შუბლზე ისეთ წკიპურტს მოგაყოლებს, თვალშიდან ნაბერწკლები წამოგცივთა. სკოლაში კი იგი წკიპურტებს არ სჯერადებოდა და ვაი იმის ბრალი, ვისაც რომელიმე წმიდანის სახელი დაავიწყებოდა, უფრო ნახევრამდე აახვედა. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, მქონდა თუ არა საფუძველი არ მყვარებოდა წვერებცანცარა ანტონი და სიმამიეროს გადახდაზე მეფიქრა?

ყოველგვარი უჯღმართობის წამომწყები ჩემი ბიძაშვილი ამირანი იყო: მაისის ხოჭოები მას მოჰყავდა ეკლესიაში, ამხანაგებსაც თვითონ აგდებდა ცულ დღეში, მაგრამ მღვდლის ხელის სიმწარე მაინც არასოდეს უგემნია. მიუხედავად ამისა, ამირანმა მირჩია, მღვდელს ჰქუთა ვასწავლოთო. კი ბატონო, მაგრამ როგორ? შურისძიების საშუალება მანვე მოიფიქრა.

შუალამისას სასაფლაოზე გასვლას კაი ვაეცაცობა უნდა, რას იტყვი!

— იქნებ გეშინია, პა? — მკითხა ამირანმა.

— მე? ვინ გითხრა, მეშინიაო, — ვუთხარი და მუხლები ამიკანკალდა.

ზაფხულის დამე ჩამოწვა. მთები სქელ ბურუსში გახვეულიყო, ჩამიჩუმი არსით ისმოდა. ახუთი ღრმა ძილს მისცემოდა სინათლის

იასონ გერსამია
უკანასკნელი მანეთიანი

ნასახიც არ ჩანდა. ჩვენ ფრთხილად გამოვედით სახლიდან, ქაშკაშებში ორივემ დანები გავირტყეთ; ეს დანები რაღად გვინდოდა, თვითონაც არ ვიცოდით.

ეკლესია და სამრეკლო არც ისე შორს იყო. აღმართს აივლი, მერე მარჯვნივ გაუხვევ და მისული ხარ.

ამირანს ხმაში ხრინწი შეეპარა. მე სულ ჩამწყვეტოდა ხმა. რაშია საქმე? რა გვემართება?

— აბა, დავიძრათ! — მომმართა ჩემმა ბიძაშვილმა.

მე თავი დავუქნიე.

— რა ენაჩავარდნილი ხარ, ბიჭო!

— წავიდეთ! — ძლივს ამოვივლულულე ბოლოს, თითქოს სამუდამოდ ვემშვიდობებოდი ამ ქვეყანას.

გზა გადაუჭერით და სიბნელეში სისაფლაოს ყოფი მოვისინჯეთ.

— აღი სამრეკლოზე და დარეკე ზარი. ნუ გეშინია, მე აქედან ვიყარაულე!

რად მინდა ყარაულობა? ნეტა ვინ მესხმის თავს? რაც მართალია, მართალია, იმ წუთში თავი ნამდვილ ვაჟაკად წარმოვიდგინე და თამამად წავედი შურის საძიებლად. სამრეკლოს კარი, ბეღად, ღია დამხვდა. საფეხურებზე უშიშრად ავიდოდი. როგორც იქნა, მივალწიე ზარებამდე. ოფლს ვიწმენდ, უკუნ ღამეში ხელის ფათურით ზარების ბაწარს ვეძებ. შენც არ მომიკვდე, არაა! იმ ჩემი ცოდვით სავსე მარკოზას თურმე ბაწარები მოაჯირზე მიუბამს. მე რა ვიცოდი?

მე რომ ამ გაჭირვებაში ვარ, ქვევით ამირანმა შიშით მართლა კინაღამ სული გააცხო, ეშმაკი მოლანდებია, რქებიანი შვეი ეშმაკი, ბაკობუკით რომ ამოდიოდა ზვეით. გიორგი, გიორგიო, — იყვირა, მაგრამ რა იყვირა ამირანმა!

ამის გაგონება და... მეც მოვტრიალდი, მაგრამ ფეხი ბაწარს წამოვდე და ძირს ვავიშხნართე. მთელ ახლეთ მოედო ზარის გუგუნე: ბუმ, ბუმ, ბომ...

ზარის ხმით შეშინებულმა ეშმაკმა, რაღა თქმა უნდა, მოჰკურცხლა, ერთი კი მოასწრო დაბლაღვლება — მმე-ეე-ეეო და გაიქცა. ეშმაკი ერთ მხარეს გარბის, ამირანი — მეორეზე. მე ყველას გავასწარი. ეკლესიის დარაჯს იქვე, ბღში უქინა. მოეჩვენა, ზარმა თავისით იწყო რეკვაო, მას ჩვენზე მეტად შეეშინდა და მამა ანტონის გასაღვიძებლად გაჰქუსლა. ამ ალიაქოსის ერთადერთი მიზეზი კი განხლდათ ერთი უპატრონო, შვეი თხა, დღენიადაც აღმა-დაღმა რომ დაეხეტებოდა. მეორე დღეს ეკლესიაში „სასწაულთმოქმედების“ აღსანიშნავად საარაკო ლოცვა-კურთხევა ვადაიხადეს და მამა ანტონმა კარგად მოითბო ხელი.

აი, რა შედეგი გამოიღო ჩვენმა შურისძიებ-

ბამ. არა, ყველაფერი კარგად მოეწყობოდა, იმ წყევულ თხას რომ არ შევეშინებინეთ.

თხუთმეტოდე წლის შემდეგ ჩემთან მარკოზის მოვიდა ახლეთის ეკლესიის ყოფილი დარაჯი მარკოზ სვანიძე, წვერულვაშავათურებული, მაგრამ ჯერ კიდევ ქარმაგი კაცი. მომპაპრო თავისი ბებრული თვალები, თავი გვერდზე ვადასწია და დაიწყო:

— შენ გიორგი არ ხარ, ახლეთელი ალექსანდრეს შვილი? მე ვერ მიცანი?

— კი ბატონო, როგორ არა. გამარჯობათ!

— ვერ დამიცავ ამ ურჯულო ხალხისაგან? საჩივარი მოვტანე და, შენი ჰირომე, წაიკითხე ერთი.

წავიკითხე. ბერიკაცი ნამდვილად ვაუნაწყენებიათ.

— ვერაფრით დაგეხმარებოთ...

— რატომ, შენი ჰირომე?!

— თქვენს ბიოგრაფიაში არის ერთი შვეი ლაქა.

— რა ლაქა, არ გადამრიო! ჩემი წარსული, წყაროსავით ანკარაა, ჩემო შვილო. — გაცხარდა მოხუცი.

— „სასწაულთმოქმედება“ — ზარების რეკვა შუალამისას, დაგაიწყდა?

— რამ გვახსენა, შენი ჰირომე, სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. კი უნდა მიმიხედე ამას. თუ გინდა, ყველაფერს მოგიყვები.

— დიდი სიამოვნებით მოვისმენ!

მარკოზმა ყაბალახი მოიხადა, დაჯდა და დაიწყო:

— სასწაული... ხა-ხა-ხა, შენ რა გითხრა. სტუმრად ვიყავი დაბატყებული. მგონი მირონ თუნგიაშვილი მოვიწყვია. კი, კი, ღვინო, რასაკვირველია, კარგა ბლომად გსვით. დამე საშინელი დახუთული იყო და გარეთ, ბაერზე დაწოლა ვარჩიე. ვწვევარ და ვფიქრობ, რა დიდებული ღვინო აქვს ამ ჩვენს მირონს-მეთქი. უცებ შესმის: ბიმ, ბომ, ბიმ, ბომ!

წამოვხტი, ჯოხს ხელი დავავლე და ვავიქეცი. ვიფიქრე, ცეცხლი თუ გაჩნდა-მეთქი. ეკლესიასთან მოვიბრინე და რას ვხედავ? სამრეკლოს კარი ღია არ დამჩინია! ავვარდი ზვეით და ასანთი გავკარი. ვხედავ, ყველაზე დიდი ზარის ბაწარი ქანაობს, მარა რას ქანაობს, რეკავს და რეკავს ზარი. ნასვამი კი ვიყავი, მარა ჰქუა არ მქონდა, ბაწარი თავის ადგილას მივაბი, კარი დავეკეტე და მღვდლისაკენ გავქანდი. ხომ ვახსოვს, ანტონ მღვდელი რა ლევისრისხვა და მყარალი კაცი იყო. ჰოდა, შევშინდი, წავხლდი კაცი. ვიცოდი, კარგ დღეს არ დამაყრიდა.

ხალხი უკვე შეკროვილიყო და საყდრისკენ მოდიოდა. დამინახეს თუ არა, აყაყანდნენ, ეს რა ამბავია ჩვენს თავსო.

— რა ვიცი, თქვენი ჰირომეთ, სამრეკლო დაკეტილია, ბაწარები მიბმულია და ზარები

კი რეკავენ-მეთქი, — ვიცრუე, — სასწაულია, ბატონო, სასწაული — გავიძახდი ხმაშაღლა.

კარი ფოფოლიამ გამიღო. ანტონ მღვდელს ეძინა და მისი ხერხინვა მეორე სოფელში ისმოდა.

— გაიგონეთ, ბატონო, ზარების რეკვა? — ვეკითხები ფოფოლიას.

— გავიგონე, გავიგონე! ნეტავი ვინ რეკავდა?

— თვითონ ირეკებოდა, ბატონო, სასწაული მოხდა!

როგორც იქნა, გამოვალეძეთ, მღვდელი. აღდა თმაგაბურძენილი, და როგორც იყო, უკაცრავად პასუხია, საცვლების ამარა, ჩემყენ ჯიქურ წამვიდა, ყელში მწვდა და იყვირა, მარა რა იყვირა: — „მე შენ გაჩვენებ სასწაულს, შე ღვთის გლახა!“

რომ ჰკითხო, წმინდა მამა ვარო და ყელში კი ნამღვლი ყაზალივით მეცა. მე შიშით კინაღელ სული გავაცხე. ჩემი სიკეთის არ იყოს, ისიც ნასევამი იყო, შემეშვა ხელი, ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე ცოლს უთხრა:

— მოგვიტანე, ქალო, ღვინო.

ფოფოლიამ ღვინო შემოიტანა, მამა ანტონმა კი ბოხი ხმით დღიგუჟუნა:

— გაგვიმარჯოს ღვთისა და ეკლესიის სახელით, ა-ამინ!

— ამინ! — ამოვთქვი მეც.

რა დაღიმალა, კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი „ლოცვა-კურთხევა“ და „ამინის“ ძახილი. დილით კი მამა ანტონმა „სასწაულის“ შესახებ აცნობა მრევლს, — სიცილით დაასრულა მარკოზმა.

ჩემი ბიძაშვილი ამირანი ტანად ჩემზე დაბალია. ქერა თმა და ცისფერი, სხივიანი თვალები აქვს, მაგრამ ეშმაკი და ქვეყნის დამქცევი რომაა, ეს ერთი შეხედვითაც ეტყობა. ისიც ეტყობა, კუჭი არასოდეს არ ამოუესია. მამამისის, მეურამე კაცის ავლადღებებს ერთი პატარა ურემი და გადაბერებული კამეჩი შეადგენდა. მამაჩემს არც კამეჩი გააჩნდა და არც ურემის თვალი. ახლა წარბიღვინეთ, რა „შეძლებული“ ოჯახი გექნონია. სამაგიეროდ ექვსი ძმა და სამი და მყავდა. ღმრთი უფრო ხშირად მეზობლები გვაქმედნენ. ყოველივე ამის შემდეგ პატივცემული მკითხველი ადვილად მიხვდება, რა შესახედავი ვიქნებოდით მე და ამირანი, სოფელში ახალი შარბილებით რომ ავიარ-ჩავიარეთ. სკოლაში მივდიოდით, წიგნები ზიარი გვექონდა. ერთადერთი ხსნა იმაში იყო, კარგად უნდა გვესწავლა, კარგად დავემახსოვრებინა ჩვენი მასწავლებლის ანდრონიკ ჯოხთაბერიძის თვითეული სიტყვა. ასეც იყო. ამირანი უყურებდა მასწავლებელს და როცა მან გვითხრა, წუხელ ვიღაც საღაზანები სამრეკლოზე ასულან და ზარების რეკვით

ხალხი შეუშინებიათო, ჩემი ბიძაშვილი ^{არც} გულუბრყვილოდ მიიჩერდა მას, რომ მე ^{არც} ხალივით გავწითლოდი.

მასწავლებელმა, ეტყობოდა, არ იცოდა, ^{არც} გორ გამოიყენა ანტონ მღვდელმა ეს ამბავი.

იმ წელს გაზაფხული იდრე დადგა. მთის მწვერვალებიდან ბარაქიანად დაიძრა წყლად-ქვეული თოვლი. ასეთ დროს ტეხურაზე ხეტყეს აცურებენ.

— წამო სალხინოში, — მითხრა ერთხელ ამირანმა, — იქ ხეებს აცურებენ!

— რა იყო, არ მინახავს დაცურებული ხეები თუ?

— არა, ვიმუშაოთ. ჩვენც დავაცუროთ, ბიჭო, დამცურებლებს ფულს კარგად უხდიანო. ჩვენი ნათესავი კაცია იქ, ის მოგვაწყობს, ან იქნებ გეშინია?

აბა, რაღა მეთქმოდა. სამუშაო არ მაშინებდა, ოღონდ კი ფული მეშოვა და ჩემს მშობლებს ცოტათი მაინც დავხმარებოდი.

ავიკარით ჩვენი გულა-ნაბადი, საგზლად მებლა, ნიორი და მარილი წავიდეთ და სალხინოსკენ გავწიეთ. ამირანის ბიძის ნათესავმა ძია სანდრომ დამცურებლებად აგვიყვანა. ჩვენ ხის მორები ნაპირამდე უნდა მიგვეგოტრებინა და მერე მდინარეში გადაგვეშვა. იმას, რასაც ერთი კაცი იოლად აკეთებდა, მე და ამირანი ძლივს ვერბოდით. ცოტა ზემოთ სხვა დამცურებლები უშეუბღნენ წყალში მორებს. მთავარი იყო, მორები დროზე „დაგვეჩანგლა“, რომ გზაში არ ჩახერგილიყვნენ და მომღვენობისათვის გზა მიეცათ. მაგრამ აი, ერთი მოზრდილი მორი ნაფორივით დაბზრილიდა და რაღაცას წამოდებო. წამოდებო და გზა გადაკეტა. მას მეორე წამოდეწა, მეორეს მესამე, მეოთხე. რამდენიმე წამში მორების გაუვალი ჯგბირი გაკეთდა და ხიდივით შეიკრა. ასეთ შემთხვევაში ღიდი სიმარდე და მამაცობაა საჭირო: დამცურებელმა გზის შემკერელ შორს წამის უშმა ადგილად უნდა მოუწინაცვლოს, თუ წამი-როა, გადაქრას კიდეც. ერთი ხიტყვით, უნდა იმარჯვოს.

დამცურებლები ბჭობდნენ, ვინ გადავა მოლიბულ, წამდალულმ მოძრავ მორებზეო. ვასვლას ვერავენ ბედავდა. ჯერ ერთი, ყინულივით ცივ წყალში ამოვლებდა არავის ეხალისებოდა. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, საქმე სახიფათო რომ არ ყოფილიყო: ადგილმონაცვლებული მორი სხვა მორებთან ერთად კაცსაც გაიყოლებდა.

— მოზრდილი ადამიანისათვის ძნელია. ბიჭი კი ადვილად გადავა. თუ გაუჭირდება, ჩვენ ავერ არა ვართ? — თქვა ერთმა.

იასონ გერსამია

უკანასკნელი მანეთიანი



— წელზე გრძელი თოკი მოვებით და ისე გავუშვით, — დასძინა მეორემ და ჩვენ მოგვიბრუნდა: რომელი უფრო მარჯვეა თქვენ შორის?

— ეს! — დამასწრო ამირანმა. — გიორგის არაფრის არ ეშინია! ჰყითხეთ თუ არა!

ახლა თქვენ მითხარით, შემემლო ამის შემდეგ უარის თქმა? ხმა არ ამოვიღია. შიშით თუ მორცხვობით, აღარ მახსოვს, ენა მუცელში ჩამივარდა. ფიქრის დრო აღარ იყო, მსხვილი თოკი წელზე შემომახვიეს, მეორე ბოლო ერთმა ჰალარა დევკაცმა მკლავზე დაიხვია და გაეყევი მორებს ხელში ნაჯახმომარჯვებული. ნელნელა, კეს ნაბიჯით ვუახლოვდებოდი იმ ჩემი ცოდვით სავეს მორს.

როგორც იქნა, ვაჩხერილ ყოვთან მივედი. საქმეს შევუდგექი. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, იმ ტრუს ვჭრიდი, რომელზეც ვიდექი. მორი თითქმის ნახევრამდე გადავიჭრი, რომ ნაპირზე საშინელი ჩოჩქოლი და ყვირილი ატყდა. ვიღაცა კიდევ იგინებოდა, სანდრო ყვიროლით და ხელების ქნევით მორბოდა ჩემკენ:

— შეჩერდი! თავს დაიღუპე! — მაფრთხილებდა იგი, — მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მორი შუაზე გადატყდა. გაისმა საშინელი გრუხუნის. ერთიერთმანეთზე დახერგილმა მორებმა თითქოს შეება იგრძნესო, ჩქარ დინებას თავი მისცეს და მეც თან გამიყოლიეს, თუმცა ნაპირიდან თოკით მეჭაჩებოდნენ, მაგრამ ახლა ეს უფრო საშიში იყო. დაცურებული მორები იმ მორს ეჯახებოდნენ, რომელზეც მე ვიდექი. სანდრომ, „ხილის“ ჩანგრევისას ჩემსავით წყალში მოაღინა ზღართანი, მერე ჩემკენ გამოსცურა და ზურგით მიცავდა. ახლა თოკებით ორივეს ნაპირისკენ გვეზიდებოდნენ.

მერე რა მოხდა? მე მშრალი ტანსაცმელი მომცეს და კოცონთან დამსვეს. გვერდით ჩემი ერთგული მეგობარი და ბიძაშვილი ამირანი მეგდა.

— ბიჭო, ეგ სანდრო ნამდვილი ეპეკაცი ყოფილა, არა? — მითხრა მან.

მე დავეთანხმე.

ხე-ტყის დაცურების კანტორამ მე და ამირანს კარგა ბლომად გადაგვიხადა ფული.

შალის შარავლები აი, ჩემი ოცნების დასასწყისი და დასასრული. სენაკის ბაზარშიც მხოლოდ ეს გვახსოვდა.

ვიყიდეთ, შევისრულეთ ამდენი ხნის ნატვრა. მე თავი გადავდე და შარვალი მამაჩემსაც ვუყიდე, დედაჩემს კი თავშალი ვაჩუქე.

დედაჩემს თავშალი რომ მივეცი, ძალიან გაუხარდა. მეც გული ამიჩუყდა. აბა, ამას თქვენ რას მიხვდებით, თუ პირველი ჯამაგირით დედისთვის საჩუქარი არ გაყიდიათ.

იმ ზაფხულს მე და ამირანი მტკიცებით გადავდით. ცუდლუტ ამირანს ბავშვური შეტყაპალს არაფერი ერჩია. ჰოდა, ერთხელ დავმართა სერიანი. სწორედ იმ დღეს ჩაუარა დუქანის, სადაც ნავთი, საპონი, შაქარი და სხვა ათასი რამ იყიდებოდა. შევიდა ამირანი დუქანში და პირდაპირ ჩვენს ფოფოლიას, ანფისას არ წააწყდა?

— შენ, ბიჭო, მოდი აქ!

ამირანი ზრდილობიანი ყმაწვილი ვახლდით და ფოფოლიას თავის დაკვრით მიესალმა.

— შენ, რა გქვია? დამაიწყდა...

— ამირანი.

— ჰო, ჰო, ამირანი. რამ დამაიწყა?! ეს კალათა, ჩემო ამირან, სახლში წამიღე. მე აქ დაგვლოდები. მალე დაბრუნდი, იცოდე!

ამირანმა დაავლო ხელი მრგვალ, მძიმე კალათას და მხარზე გაიდგა.

ფოფოლია სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. საწყალი ამირანი ხან ერთ მხარზე შემოიდგამდა იმ კალათს და ხან მეორეზე. გავანია სიციხე იყო. მერე ძაღლები? სოფელში მშვიდ ძაღლებს რა გამოლევს: უსათუოდ რაღაცა მათი საკბილო იყო იმ დასაწყევ კალათში და ძაღლი, აბა რის ძაღლია, სუნი რომ არ აიღოს? ბევრი რომ არ გავაგრძელო, რაც უფრო უახლოვდებოდა ოფლში გაწურული ამირანი მღვლები სახლს, მით უფრო შატლობდა. კბილებაკწაყნებული ძაღლების რიცხვი. ორლობის ძაღლებმა შორიდანვე შენიშნეს უცხო ძაღლები და ეცნენ ერთმანეთს, ხან ერთი ძაღლი გაშლიანდებოდა გასაფრთხილებელი ამირანის ფეხებში და ხან მეორე. ბარე ორჯერ ამირანმა თავის კალათიანად კინაღამ ბრავანის მოაღინა მიწაზე.

ამირანს ფოფოლიას მოახლე გამოეგება და კალათა ჩამოართვა. ერთ წუთს ღობეს მიეყარდნო, შეისვენა, მერე ვაოფლილ შუბლზე ხელი მოისვა, პირში ჩალაგამოვლებულ ძაღლებს გადახედა და უკან გაბრუნდა. ძაღლები ერთ ხანს კიდევ წრიალებდნენ მღვლის ეზოსთან, მერე თითქოს მიხვდნენ, აქ სახიერო არაფერი გვეღრისო და ნელ-ნელა დაიშლნენ.

მამა ანტონი მეზობელ სოფლებშიც სწირავდა. ამიტომ ხშირად უხდებოდა აღმა-დაღმა სიარული, ხანდახან მდინარის გაფონვაც. ამიტომ ანტონმა ჯორი იყიდა. ჯორის კობტას ემასდნენ. კობტა საკამოდ მოზრდილი, ყურებ-პარტყუნა, ყოვლად საძაგელი ხასიათის ცხოველი იყო. ვაი იმის ბრალი, თუ ვინმე უკნიდან მიუახლოვდებოდა, ისეთ წიხლს სდრუზავდა, მტრისას! წინიდან რომ მისულიყავი, უსათუოდ კბენას მოგიწოდებოდა.

ამირანმაც სწორედ კობტას საშუალებით გა-

დაწვივება შურისძიება. ჯორისთვის უნაგირის ქვეშ ნიგვზის ნაჭუჭი უნდა ამოგვედო, მაგრამ როგორ გინდოდით, რომ მივეკარებოდით?

ხანგრძლივი დახვედრის შემდეგ ვაივავთ, რომ მღვდელს ჯორი თავლამა ჰყავდა დაბამული. ჩვენ მოგუხშირეთ იქ სიარულს. ჯორისთვის მიგვექონდა სიმინდის ტარობები, ახალი სტაფილო და სხვა ამისთანები. ჯორი თანდთან შეგვეჩვივა. ერთხელ სასწაულიც მოხდა: ამირანის დანახვაზე ჯორმა დაიფრტუნა. ამის გავგონებზე ამირანმა ბევრი აღარ დააყოვნა, ღობეს გადაეყვინა და საჯინებოში შინაური კაცივით შევიდა. ჯორი მისკენ მიბრუნდა და... ისევ დაიფრტუნა, სასუსუნავს ელოდა და მიიღო კიდევ. მალე ის ჯორი სავესებით მოვიშინაურეთ. სადაც არ უნდა დაგვენახა იგი, თამაშად მივდიოდით და ვუმასპინძლებოდით. თმავარი სიძნელე კი მაინც უნაგირის ქვეშ ნიგვზის ნაჭუჭის ამოღება იყო.

მერე კიდევ, ხომ შეიძლებოდა ვინმე ენაქარტლას ეთქვა მღვდლისათვის, ბიჭები შენს ჯორს უტრიალებდნენ?

ასეთ საქმეში არაჩვეულებრივი მოთმინება და გამბედაობაა საჭირო. მაშ, რა გგონიათ?

დადგა წვიმიანი შემოდგომა. ერთ საღამოს მე და ამირანმა ჯორზე ამხედრებული მამა ანტონი დავენახეთ. ბაზართან ისე ჩაიარა, ჩვენ არ დაეუნახავივართ.

ჩვენ უკან ავედევნეთ. მას რა უჭირს, ჯორზე ზის, ჩვენ კი ამ თავსხმა წვიმაში ქვეითად მივეყვებით. მაგრამ თურმე რას არ ჩაიდენს შურისძიებით ანთებული კაცის გული!

უცებ მღვდელი შეჩერდა. ჯორი ღობეზე მიაბა და თვითონ რომელიღაც მეზობელთან შევიდა. ჩვენ სუნთქვა შეგვეკრა. მაგრამ ვაგვასენდა, რომ ჯორის გასამასპინძლებელი არაფერი გვექონდა. რა უნდა გვექნა? ვეკადრეთ ღობეზე გადაძრომა და მეზობლის ბაღში ორიოდვე საგვიანო მსხლის მოწყვეტა. ამირანმა მსხალი შუაზე ვაჭრა და ჯორს მიართვა. ჯორმა სიამოვნებით შექვამა. ამასობაში ამირანმა ნიგვზის ნაჭუჭი უნაგირის ქვეშ შეაკიცა. მზღავს! ახლა კი სეირს უნდა ვუყუროთ. ღობეს ამოვედვართ. წვიმა უკვე გადაიღო. ჯერ არც ისე ბნელოდა.

მალე მეზობელი სახლიდან მღვდელიც გამოვიდა. მას მასპინძელი მოაცილებდა. მღვდელმა უზანგში ფეხი შეჰყო და უნაგირზე მძიმედ დაეშვა. ჯორი, ვითომც არაფერიყო, მშვიდად გაუდგა გზას. ჩვენ პირდაპირი გზით უნაგირებდით ამ სურათს. ღმერთო ჩემო, რამდენმა შრომამ, რამდენმა წვალებამ ჩავვიარა ფუჭად! მაგრამ წუთიც და ჯორი ბზრიალსავით დატრიალდა და ტლინკები აჰყარა. მერე თითქოს გაიფლადო, ყალყზე შედგა. გაცივებულ და შეშინებულ მღვდელი ჯერ ფეხებს უბრაგუნებდა საბრალო პირუტყვს, მერე ივად-

რა ფაფარში ხელის ჩავლება. ჯორმა ბოროტს თითქოს მდევარს გაექცაო, ბაზრისკენ გაქუსლა. მერე ისევ ერთ ადგილზე დახვდა და დაფეთებული მამა ანტონის ვეკაცობაზე ხალხი შეგროვდა. ჯორი კი არ ცხრებოდა. მამა ანტონი შეშინებულ თვალებს აციცებდა და ხალხს ევედრებოდა:

— მიშველეთ, რომელი-ხართ ქრისტიანი! ვაგიყებულ ჯორთან ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა.

— ვალიკო, ბიჭო, — შევედრა მღვდელი ერთ ხალგაზრდა გლეხს, — მიშველეთ, თორემ ვინ მოგინათლავს ბიჭს!

ვალიკომ ერთი კი წამოიწვია, მაგრამ ჯორმა ისეთი ტლინკები აყარა, რომ გლეხმა იფიქრა, ჯობია ისევ ჩემი ბიჭი დარჩეს მოუნათლავიო.

— ე, ბიჭო, გადამარჩინეთ, იცხონეთ სული!

ხალხი ჩოჩქოლობდა, მაგრამ ეტყობოდა, სულის ცხონებაზე მაინცადამაინც არავინ ფიქრობდა.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მტერი დამარცხებული და თვალაფლასმული იყო იმდენი ხალხის წინაშე.

5

ღმერთის ისედაც არაფერი გვემამა მე და ამირანს და მამა ანტონის მიზეზით ყველანაწილორანი შევიძულეთ, თუმცა არც ვაჭრები გვეხატა ვულზე.

ალბათ ვახსოვთ, „ნების“ წლებში როგორ აღორძინდა კერძო ვაჭრობა? იმ ხანებში ჩვენ სოფელში შუაგულ ბაზრის მოედანზე ღვინის სარდაფი გაიხსნა. სარდაფის მეპატრონე სილოვან ქორქია ერთი ხეპრე, დაუნდობელი, მაგრამ მშობარა კაცი იყო. როგორც დაქვრივებულმა სილოვანმა მესამედ ახალგაზრდა, ღარიბ-ღატაკ ნინოზე დაიწერა ჯვარი. მე და ამირანს, და განა მართო ჩვენ, ტანწერწეტა, ლამაზი ნინო არ გვემეტებოდა სილოვანს და მთხვეულისათვის, მაგრამ სილოვანს სოფელში ორსართულიანი სახლი ედგა, ცხენები ჰყავდა და, ასე ვანსაჯეთ, საზღვარგარეთული გრამაფონი ჰქონდა. იგი ვილაც მეზღვაური-სამან ვილაც სოხუმში. იმ დროს გრამაფონი დიდი იშვიათობა იყო.

ჩვენ კირივით გვეშულდა ამპარტავანი სილოვანა. მას სახე ისე ულაპლაპებდა, თითქოს ზედ ქონი წაუსვესო. მწვადი კი კარგი იცოდა. იმ მწვადებზე მე და ამირანს მხოლოდ ოცნება თუ შეგვექლო. ვოცნებობდით კიდევ წლების მანძილზე.

ერთ კვირა დღეს მე და ჩემი ბიძაშვილი

იასონ გერსამია
უკანასკნელი მანუთიანი

მუშაკაცის პირობაზე კარგად გამოვეწყვეთ, ჩვენი მონაგარი ფული ჯიბეში ჩავიდეთ და გადავწვიტეთ, თითო ულუფა მწვადი გვექაპა და თითო ჭიქა ღვინოც დაგვეყოლებინა. რაც არ უნდა იყოს, უკვე თითხმეტი წლის ბიჭები ვიყავით.

ჩავედით სამწვადეში და კუთხეში დავეჯექით, მერე იქაურობა გულდასმით მოვათვალიერეთ, — მაგიდებს ლოთი-ფოთი ხალხი უჯდა. ყველა ერთად ლაპარაკობდა. უცებ ჩვენთან ოფიციალის მაგივრად თვითონ სილოვანი მოვიდა და ჩასისხლიანებული თვალები დაგვიბრიალა:

— რაზე მოსულხართ? აბა, მოუსვით ახლავე აქედან!

— ფული გვაქვს, მწვადი გვინდა, — უთხრა ამირანმა.

— წადით-მეთქი აქედან! — ხმას აუწია მან, რომ ყველას გაეგონა. — ეინ მოგცათ ფული, მოიპარეთ, ხომ?

საყელოში მწვდა. გაგვლანძოა და კინწისკვრით გარეთ გამოგვყარა. ამ დროს ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ მასწავლებელმა ანდრონიკმა გამოიარა, გამოგვკითხა, რაშია საქმეო და მერე გვითხრა:

— კაცმა რომ თქვას, რა თქვენი საქმე იყო იქ შესვლა! ისე კი სილოვანი საზიზღარი კაცია. მისგან ყოველგვარი სიყვება მოსალოდნელი. მშრომელი ხალხის ხარჯზე მდიდრდება. როცა წამოიზრდებით, სილოვანისთანა მუქთახორებს უნდა ებრძოლოთ. ისინი ჩვენი მტრებია! ასეა ხომ? მაგას ჩვენ ახლაც მოგვუგრებთ კისერს. მამა ანტონს ხომ ვაყურებინეთ თვალის სერი, არც სილოვანს შევარჩნეთ ჩვენს საქვეყნოდ შერცხვენას!

ამირანმა ბევრი იფიქრა, რით გადაგვხნადა სამაგიერო და ბოლოს მითხრა:

— მოვიფიქრე! მარილი უნდა ვიყიდოთ ბლომად! მაგრამ ჩვენ თვითონ თუ ვიყიდეთ, მელუნე გაგვცემს.

მარილის საყიდლად ჩემი ძმა გავაზახვეთ. სამი გირვანქა მარილი მოგვიტანა. უკვე ამდენ ვერაფერი მოვახერხეთ. ბოლოს შევწყურვეთ, სილოვანა კვირისთვის უშველებელ ქვაბში ხაშს ხარშავს, თვითონ შინ იქნება და სამზარეულოში მზარეულის მოწაფე ახალგაზრდა ბიჭი რჩებათ. დამით სამზარეულოს მივებარეთ, კარი დაკეტილი დავგვხედა. შიგნით ლამაზ ენთო; ფანჯარაში შევიხედეთ, ცეცხლზე უხარმაზარი სახაშე ქვაბი იდგა. ბიჭი ჭურჭელს რეცხდა. დავიჯერო, რამე საქმეზე ეზოში არ გამოვა? ვიცადეთ, ვიცადეთ და ბოლოს გვეშველა. ბიჭმა ედროს დაავლო ხელი და გარეთ გამოვიდა.

— არიქა, გავარდი ეზოს ბოლოში და მორთე ტირილი! — სხაპასხუპით მეუბნება ამირანი, — ოღონდ ძაან არ იბღავლო! — ყველაფერს მივხვდი და მოგკურცხლე, ავზლუქუნდი, ვითომ რაღაცა დამეკარგა...

— რა გატირებს, ბიჭო? — ვავიგონე ხმა.
— დანა დამეკარგა, დანა. ასანთი ხომ არა გაქვს?

— კი, საღ ხარ?
— აგერ ვარ, აგერი!

სანამ მე და მზარეულის მოწაფე „ჯაყყას“ ვეძებდით, ამირანმა თავისი საქმე გააკეთა. სამი გირვანქა მარილი ხაშით სავსე ქვაბში ჩალუშა. დილით ღვინის სარდაფში საშინელი ყაყანი ატყდა. ერთი ნამთვრალევი მუშტარი იფურთხებოდა და სილოვანს უშეერი სიტყვებით იხსენიებდა... მას მეორეც აჰყვა, — ხაში არ იქმევა, მოგვწამლა ამ კაცმაო.

ბოლოს ვილაცამ იყვირა:

— ეს ოჯახქორი დამაპლ ხორცს ასაღებსო, — და სილოვანისკენ წაიწია. სილოვანი არ შეეპუა და მუშტარს გარეთ გაგდება დაუბირა. იმას ამხანაგები გამოესარჩლენენ, შეიქმნა გავწე-გამოწევა ერთი სიტყვით, სილოვანა ისე მაგრად დაეყეეს რომ მეზობელი სოფლიდან ფერშლის გამოძახება გახნა საჭირო.

დასასრული იქნება





სკორტი ღა ესთეტიკა

თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის ცენტრალური კორტის ტრიბუნები ღელავღა. მაყურებელი ღაძაბული მოელოღა თომას ლეიუსის უკანასკნელ, ეგრეთ წოდებულ, „სამატჩბოლო“ მიწოდებას. საკმარისი იყო ერთი ბურთის აღებაც ღა იგი გაიმარჯვებღა ყველაზე მრისხანე მეტოქეზე — თბილისელ ალექსანდრე მეტრეველზე.

ლეიუსმა ძლიერი დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის მოედანზე გაგზავნა ღა ბადისაკენ დაიძრა, რათა ახლო მანძილიღან უკეთ „ჩაეკლა“ მეტრეველის საპასუხო დარტყმა. ლეიუსმა მოედნის მარჯვენა მხარე ჩაჰკეტა, რადგან მოეჩვენა, რომ მეტრეველი სწორედ იმ მიმართულებით აპირებღა ბურთის დაბრუნებას, მაგრამ ქართველმა სპორტსმენმა ელვის სისწრაფით შეაბრუნა ტანი ღა მოჭრილმა ბურთმა ლეიუსს მარცხნივ ჩაუქროლა. ტრიბუნებზე შევბით ამოისუნთქეს.

მეტრეველმა ასევე მოხდენილად მოიგერია მომდევნო მიწოდებებიც ღა

ქულა თავის სასარგებლოდ ღაამთავრა. გამოცოცხლებულ მაყურებელთა გამამხნეველ შეძახილთან ერთად მეტრეველმა თანღათან უმატა ტემპს, მეტოქის მოედანს ტყვიასავით „ღაღღ“ თეთრი ბურთები, ზედიზედ მოიგო ორი პარტია ღა გაღამწყვეტი პარტიის ბოლო ბურთის მოგებისათვის მოემზაღა.

აი, მეტრეველმა შეასრულა ბოლო დარტყმა; იგი გაიჭრა ბადისაკენ, მაგრამ ლეიუსმა თავზე გადაუტარა ბურთი ღა თვით შეუტია. მეტრეველი მოწყდა ადვილს, მიუსწრო ბურთს ღა შემოტრიალებით შეასრულა დარტყმა. ბურთი გვერდით ხაზს გაჰყვა ღა რომ ეგონათ, ყველაფერი ღამთავრღაო, ლეიუსი ავაზასავით შეიკუმშა, ჰაერში გაიშალა ღა აკრობატული ნახტომით რაკეტის წვერი მიაწვდინა ბურთს. არ ელოღა ქართველი სპორტსმენი ასეთ პასუხს, ანგარიშმიუცემლად დაუბრუნა ბურთი ესტონელ ოსტატს. ლეიუსმა გააკეთა მკვეთრი მოძრაობა, შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ძა-

ლით აპირებდა გამჭოლი დარტყმის შესრულებას, მაგრამ სწრაფად შეცვალა გადაწყვეტილება და ისევ ზემოდან სცადა ბურთის გადატარება; ახლა კი მომზადებული შეხვდა ბურთს მეტრეველი, სწრაფად გაიმართა წელში და ზემოდან მკვეთრი დარტყმით უკანასკნელი ბურთიც მოიგო.

მაყურებელი ფეხზე წამომდგარი მისალმებოდა გამარჯვებულ ქართველ ჩოგბურთელს. გულშემატკივრები დიდხანს არ ტოვებდნენ ტრიბუნებს და გაცხარებით მსჯელობდნენ ნახულსა და განცდილზე.

— ეს მატჩი მარტო სპორტული შერკინება კი არა, დრამატული მომენტებით აღსავსე მთელი სპექტაკლი იყო! — გადაულაპარაკა მეგობარს ჩემს მეზობლად მჯდომმა, ხანში შესულმა მამაკაცმა, — დიდი ხანია ასეთი ლამაზი სანახაობა არ მიხილავს!

— ჩემთვის კი მთავარი ისაა, რომ მეტრეველმა შეხვედრა მოიგო! — უბასუხა მეგობარმა და უდარდელად გააბოლა პაპიროსი.

— სწორია, მაგრამ განა მაყურებელი მხოლოდ ამისათვის მოდის შეჯიბრებაზე? მატჩის ანგარიშს ხომ სასლშიც გაიგებდი? — შეედავა მას თანამოსაუბრე, — დაძაბული სპორტული შერკინების ნახვისას მე უმთავრესად განუსაზღვრელ ესთეტიკურ სიამოვნებას განვიციდი. იმ დღეს აღტაცებული ვბრუნდები შინ, თითქოს ერთი-ორად მეზრდება სიყვარულის გრძნობა ყოველივე მშვენიერისა და მიმზიდველისადმი, უფრო მეტად განვიციდი მათს ზემოქმედებას!

მე მოვცილდი მოდავეებს, გავიგონე მხოლოდ სპორტზე თავისებურად შეყვარებული მამაკაცის უკანასკნელი სიტყვები: „სპორტი ადამიანთა ესთეტიკური აღზრდის უშრეტო წყაროა! სამწუხაროდ, შენი არ იყოს, ბევრს არ სურს დაინახოს მასში ეს უდიდესი ძალა...“

სწორი ბრძანებაა! ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მისი რო-

ლი ადამიანთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარებისათვის დღეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ საკვანძოზე უკვე საკმაოდ ითქვა და დაიწერა. მაგრამ დღემდე ბევრისათვის უცნობია მისი კიდევ ერთი დიდი როლი, კერძოდ, როლი ადამიანთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

როგორც ცნობილია, ესთეტიკაწარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ადამიანთა მიერ სინამდვილის მხატვრული შემეცნების კანონზომიერებებს, და რამდენადაც მხატვრული შემეცნების უმაღლესი ფორმა ხელოვნებაა, ამდენად ესთეტიკას ხელოვნების ძირითად კანონზომიერებათა მეცნიერებად თვლიან.

მაგრამ ესთეტიკური დამოკიდებულებანი სამყაროსთან შენაძლებელია არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ფიზიკურ კულტურაშიც. ფიზიკური კულტურა ხელს გვიწყობს შევიცნოთ ცხოვრების სიხარული და სილამაზე, იგი ზრდის ადამიანთა შემოქმედების აქტივობას, მისი დახმარებით შევიცნობთ მშვენიერებას თვით მოძრაობაში, ადამიანში გამომუშავდება მოძრაობის გამომსახველობის უნარი, როგორც მისი ხასიათისა და მოქმედების დამახასიათებელი ნიშანი. ფიზიკური კულტურა ხელს უწყობს აკრეთვე ტანის ისეთი სილამაზის შექმნას, რაც შეესაბამება ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალებს; იგი ანვითარებს ადამიანში იმის უნარსა და მოთხოვნილებას, რომ მონაწილეობა მიიღოს ლამაზისა და მშვენიერის შექმნაში.

სწრაფვა მშვენიერებისა და სილამაზისაკენ ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა გამოსახეს თავიანთ შეუღარებელ სკულპტურულ ნაწარმოებებში. ბადროს მტყორცნელის, მოკრივის, შუბოსანის, ჰერკულესისა და სხვათა ქანდაკებები აშკარად მიუთითებენ, რომ ძველი ბერძნები ტანის სილამაზეს და კარგ ფიზიკურ თვისებებს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიკეთედ

თვლიდნენ; ჰეგელი შენიშნავდა: „ბერძნები ჯერ თვით იძენდნენ მშვენიერ ფორმას, ხოლო შემდეგ ობიექტურად გამოსახავდნენ მას მარმარილოსა და სურათებში.“

ახოვანი, პროპორციულად განვითარებული სხეულის სილამაზე ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, იგი საყოველთაო ესთეტიკური ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ტანის მხოლოდ გარეგნული სილამაზის მოწონება ზერელე და შემთხვევითი გრძნობაა, იგი ესთეტიკური შეგრძნების მხოლოდ ელემენტარული სტადიაა. ლამაზი სხეული ყოველთვის არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვიმსჯელოთ მის მშვენიერებაზე. ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იმსახურებს ათლეტური ტანმშენებლობის, ე. წ. „კულტურისტების“ საქმიანობა. ამ ტანმშენებლობაში განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდებს შორის მოიპოვა პოპულარობა. სპორტის მრავალი თეორეტიკოსი ქმნის ვარჯიშთა სპეციალურ კომპლექსებს „კულტურისტებისათვის“, გამოდის სახელმძღვანელოები.

ერთი შეხედვით, თითქოს საძრახისი არ უნდა იყოს ყოველდღიური ზრუნვა ტანის სილამაზისათვის, კუნთების გასქელებისა და ტანის მასის გაზრდისათვის; მაგრამ საქმე ისაა, რომ ათლეტურ ტანმშენებლობაში მეცადინეობას იქ მეტად ცალმხრივ მიზანს უქვემდებარებენ, ხარბი ადამიანის გატაცებით „იბერავენ“ კუნთებს, ისქელებენ კისერს, მკერდსა და ბეჭებზე ედებათ ხორცის უზარმაზარი მასა, სამაგიეროდ სრულიად შენელებულია ყურადღება ცხოვრებისეული ფიზიკური და მორალურ-ნებელობითი თვისებების განვითარებისადმი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იმართება ტანის სილამაზის პრიზის გათამაშება. პირველ ადგილზე გამოსული საზეიმოდ ცხადდება „მისტერ ამერიკად“, ე. ი. ჟიურისა და საერთოდ ამერიკელ იდეოლოგთა განმარტებით, გამარჯვებული ადამიანის გარეგნობა წარმოად-

გენს თანამედროვე ამერიკის განსაზღვრებას (მთელი ქვეყნის პოტენცილის გაიგივებას მთასავით აგორებულ მთა-მიან-მსხეცთან“ ყოველი სახელმწიფოს ნორმალური მცხოვრები ქვეყნის უკიდურეს შეურაცხყოფად ჩათვლიდა, მაგრამ, რას იზამთ, ამერიკელ იდეოლოგებს სურთ, რომ მსოფლიოს ხალხებს სწორედ ასეთი წარმოდგენა ჰქონდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე). ცხადია, ეჭვი არავის შეეპარება იმაში, რომ ასეთი მსჯელობის ავტორები ესთეტიკური აღზრდის სრულიად მცდარი დებულებებიდან გამოდიან.

ათლეტურმა ტანმშენებლობამ უკანასკნელ ხანს ჩვენშიც გაიღვა ფესვი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება სრულიად არ უნდა გვაშინებდეს, პირიქით, ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ მოვარჯიშე, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ათლეტური ტანმშენებლობაში მწვრთნელის მეტად გულისხმიერ ზედამხედველობას საჭიროებს, რათა არ წარიმართოს იგი არასწორი გზით, არ ჰქონდეს მცდარი მიზანი ამ მეცადინეობას და, რაც მთავარია, მცდარად არ იქნას გაგებული ტანის მშვენიერების პრობლემა. ათლეტურ ტანმშენებლობაში მომეცადინეო წინა პლანზე უნდა დააყენოს იმ ფიზიკური და მორალური თვისებების გამომუშავება, რაც ხელს შეუწყობს მას უკეთ იმსახუროს საზოგადოებას ბედნიერი მომავლის მშენებლობაში. მხოლოდ ამ დიდი შინაარსის მატარებელი გარეგანი სილამაზის მქონე პიროვნება გვრის ადამიანს ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას. მე ვიცნობ ერთ ახალგაზრდას, რომელიც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის დარბაზში მოდიოდა ყოველდღიურად და ინდივიდუალურად მეცადინეობდა ათლეტურ ტანმშენებლობაში. ერთხელ მეგობრებმა — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ხუთმა სტუდენტმა, რომ-

ავთანდილ ციბაძე
სპორტი და ესთეტიკა

ლებიც არც კი იცნობდნენ ათლეტურ ტანვარჯიშს, მას თავისებური გამოცდა მოუწყვეს: შეარჩიეს სპორტის ოთხი სახე (რბენა 100 მეტრზე, 800 მეტრზე, ხტომა სიგრძეზე და ბირთვის კვრა) და გამოიწვიეს იგი შეჯიბრებაში. მან თამამად მიიღო გამოწვევა და ინსტიტუტის სტადიონზე ბრძოლა გაჩაღდა. მოხდა „კულტურისტი“ ახალგაზრდისათვის საოცარი, მაგრამ ჩემთვის სასწავლებელი გასაგები ამბავი: იგი ბოლო ადგილზე გამოვიდა; რვაას მეტრზე რბენის დისტანცია კი საერთოდ ვერ დაამთავრა უკიდურესი გადაღლის გამო. დარცხვენილი ახალგაზრდა ფიზიკური კულტურის ისტორიის კაბინეტში ავიყვანე, ვუჩვენე ჰერკულესის ცნობილი ანტიკური ქანდაკება და ვუთხარი: „ამ ქანდაკებამ მსოფლიო მოიარა; იგი მშვენიერი ტანის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა. მაგრამ როდესაც ასეთ შეფასებას აძლევენ ჰერკულესის ქანდაკებას, ხალხს მხოლოდ მისი გოლიათური მოყვანილობა როდი აქვს მხედველობაში. მათ იციან, რომ ჰერკულესი მაღალი იდეალების ადამიანი იყო და ლამაზ აგებულებასთან ერთად მაღალი ფიზიკური თვისებებითაც გამოირჩეოდა. ლეგენდის მიხედვით, ეს თვისებები მას ხალხის სამსახურს, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლას უადვილებდა. სწორედ ამიტომ ვტკბებით დღეს, როდესაც ბრწყინვალე გარეგნობის ჰერკულესის ქანდაკებას შევცქერით. შენ კი, — მივმართე შემდეგ ახალგაზრდას, — ერთის შეხედვით კარგი აგებულება გაქვს, მაგრამ რვაასი მეტრის გარბენა ვერ შესძელი. ნუ გეწყინება, დღევანდელი შეჯიბრების შემდეგ შენი ლამაზი ტანი სრულიად აღარ იწვევს ჩემს აღტაცებას“. შემდეგ განვუმარტე ინდივიდუალურ წვრთნაში დაშვებული შეცდომები და ვურჩიე მისულიყო ათლეტური ტანვარჯიშის ცნობილ სპეციალისტ დიმიტრი კაპცოვთან. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და დღეს ის ახალგაზრდა ფიზიკური და სულიერი ძალების საგრძნობი სიძლიერით

სასიათღება. და ეს მოხდა იმის გამო, რომ მწვრთნელის დახმარებით ახალგაზრდამ სწორად წარმართა სპორტის პროცესი და მთავარ მიზნად დისანა არა უხეში ზემოქმედება სხეულზე, არამედ ზემოქმედება მთლიანად ინტელექტზე, პიროვნებაზე.

შესაძლოა „კულტურისტებზე“ უკეთესი ტანის სილამაზით არ გამოირჩეოდა ჩვენი ცნობილი ტანმოვარჯიშე ალექსანდრე ჯორჯაძე, მაგრამ მისი ხილვა ძალიან მოსწონდა მაყურებელს, და ეს მოწონება გამოწვეული იყო არა მარტო მისი ახოვნებითა და ვარჯიშების ბრწყინვალე შესრულებით, არამედ იმითაც, რომ ამ მოძრაობათა ავტორში მაყურებელი ვერცხვდა ადამიანურ შესაძლებლობათა სიმდიდრეს, ძალას, სიმარჯვეს, ფიზიკურ და სულიერ თვისებათა მაღალ დონეს. აი, როგორ აღწერს ჯორჯაძის ვარჯიშით განცდილ სიამოვნებას საქვეყნოდ აღიარებული ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინი: „...ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, თქვენი თანამემამულის ალექსანდრე ივანეს ძე ჯორჯაძის თავისუფალი ვარჯიში რომ ვხილავ. სიკვდილამდე არ დამავიწყდება ეს დიდებული სანახაობა. მე იშვიათად მინახავს ასე მოხდენილად ურთიერთშერწყმული — ჯადოსნური ძალის მუსიკა (იგულისხმება ანდრია ყარაშვილის „სამშობლო“) და არანაკლებ მომხიბლავი გარეგნობის მოვარჯიშე. მაყურებელი ჯერ ქარიშხლის მოლოდინით მონუსხული ფრინველივით გაინაბა, ხოლო როდესაც მუსიკის უკანასკნელი აკორდი მიწყდა და ჯორჯაძე ზეცაში გასაფრენად მომზადებულ არწივივით გაქვავდა, ტაშმა ჭერი ასწია. ეს იყო შესანიშნავი სანახაობა, რომელმაც ერთნაირად დაატკბო დიდიცა და პატარაც, ტანვარჯიშის ცნობილი ოსტატებიცა და ახალბედებიც. გთხოვთ გადასცეთ ამხანაგ ჯორჯაძეს დიდი მადლობა ჩემი ბავშვობის დღეების ერთ-ერთი სასიამოვნო მოგონებისათვის, მადლობა, რომლის თქმაც მაშინ ვერ მოვახერხე.“

შზია ნინოშვილის თავისუფალ ვარ-

ჯიშში კი მაყურებელი ხედავდა არა მარტო პლასტიკურობასა და მოძრაობათა კომპლექსს, არამედ უფრო მეტს; აი, როგორ განიცადა მზიას ვარჯიში მოსკოველმა მწერალმა სერგეი ტოკარევმა: „მზია ნინოშვილის ვარჯიში გამოირჩეოდა ქართული ეროვნული კოლორიტით. ძნელია არ შევნიშნოთ: ის თვითონ რაღაც მეტისმეტად ქართველი ქალია, ნამდვილი ქართველი ქალი... არის ასეთი პაწია დეტალი თავისუფალ ვარჯიშში — მხრების გადაშლა, ნარნარი კი არა, არამედ მკვეთრი. ამაყად აწეული, უკარება სახე. ასე მიცურავს ალბათ ცეკვის დროს მორჩილად თავდახრილი ტურფა კავკასიელი ქალი, ხოლო იქვე გვერდით ფრთებსავით გაშლილი ჩოხის სახელოებით ბორგავს ხანჯლიანი ვაჟაკი... ან კიდევ — დახრილ თავთან მიტანილი ხელები. ისე კი არა, როგორც ლატინინას აქვს, როცა ხელი, მტევანი, ყოველი თითი იცინის; ისე კი არა, როგორც ასტანოვას აქვს, თითქოს არყის ხის ტოტებიო, რომელიც მიწაზე კი არ ხარობს, არამედ მხოლოდ ზღაპარში. არა — ეს თავისებურია, ოდნავ მკვეთრი, სრულიად აუხსნელი მშვენიერებით სავსე, ძველებური ფრესკა. შესაძლოა მე ბევრი დავუმატე; შესაძლოა, როცა ის კომბინაციას ადგენდა, ამოცანას სრულიად სხვა, წმინდაწყლის ტანვარჯიშულ პირობას უდებდა საფუძვლად. მაგრამ მე, უპირველესად, მაყურებელი ვარ.

ეროვნული კოლორიტი — ესაა ზუსტი, საერთოდ ყველასათვის ერთნაირი სკოლის ჩუქურთმა. მე ვკითხე: „მზია, საიდან გაქვთ თქვენ აი, ეს — მხრებით მოძრაობა? იქნებ რომელიმე ცეკვიდან?“ ის იმშუშნება. — არა, ეს იცით, საერთოდ ქართველი ქალია ასე, — და თავი გადაიქნია. რა შესანიშნავია! ვერ ახსნი. ეს სისხლშია!“

ჰნედავთ? ქართველი გოგონას ვარჯიშში მაღალი გემოვნების მაყურებელმა დაინახა მთელი ქართველი ერის რაღაც დამახასიათებელი თვისება, მისი მაღალი სულიერი სილამაზე.

მაგრამ ტანვარჯიშიდან მოწყვანილ ეს მაგალითები ისე არ უნდა ვაფიქსოთ, თითქოს მხოლოდ ტანვარჯიში და სოციალური სხვა მსგავსი მოძრაობები თამაშობენ როლს ესთეტიკურ აღზრდაში. ასეთი როლი მეტნაკლებად სპორტის ყველა სახეზე ნაწილდება. სპორტის ისეთი „უხეში“ და „ულამაზო“ სახეც კი (როგორც მას უწოდებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი), როგორცაა კრივი, წარმოიდგინეთ, ადამიანებზე ესთეტიკური ზემოქმედების არანაკლებ საშუალებას წარმოადგენს. თუ ესთეტიკური თვალსაზრისით კრივს ზოგჯერ უნდობლად ეკიდებიან, ამაში თვით მოკრივეები არიან დამნაშავენი. ხშირად იმართება შეხვედრა, სადაც მაყურებელი ვერ ხედავს მაღალ ტექნიკას, ბრძოლა მიმდინარეობს მომზებუბელი ერთფეროვნებით. ასეთი მოკრივეების აზარტში შესვლა გული-სამრევ ფორმებს იღებს და ნამდვილი ბრძოლის ნაცვლად რინგზე იმართება ჩხუბი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. დიას, ცუდი კრივი — საზიზღრობაა, კარგი კრივი კი — ლამაზია! აი, რას წერს საბჭოთა კრივის ცნობილი ოსტატი ნიკოლოზ კოროლიოვი: „მოკრივეთა ბრძოლა — ეს შემოქმედებაა. ესაა მოწინააღმდეგეთა გაანგარიშებული მოქმედების, ნებისყოფის, ვაჟაკობის შეჯიბრება. ტექნიკის ცოდნა უნდა იყოს ბრწყინვალე, ფიზიკური მომზადების დონე — მაღალი, მანძილისა და დროის გრძნობა — განვითარებული, რეაქცია — ელვისებური. რინგზე კარგი მოკრივეების ორთაბრძოლა მაგონებს საჭადრაკო პარტიის იმ მწვავე მომენტს, როდესაც მოჭადრაკეები ცაიტნოტში ვარდებიან. გონება, ნებისყოფა, მთელი სულიერი ძალები უკიდურეს დამაბულობას განიცდიან. მოკრივეები მართლაც ყოველთვის ფსიქოლოგიურ ცაიტნოტში არიან რინგზე, რადგანაც ყოველი შეცდომა, უყურადღებობა დროის მიმართ შეიძლება

ავთანდილ ციბაძე
სპორტი და ესთეტიკა

მას დამარცხების ფასად დაუჯდეს“. კარგი კრივის მშვენიერებას ადამიანი განიცდის იმდენად, რამდენადაც იგი მასში ხედავს მოძრაობათა დინამიურობას, მოკრივეთა მანევრირების დიდ უნარს, შესანიშნავ ფიზიკურ და სულიერ თვისებებს — ძალას, მოქნილობას, სიმარჯვეს, მოსაზრებულობას, სწრაფ ორიენტაციას, სწრაფვას გამარჯვებისადმი პატიოსანი ბრძოლის გზით და ა. შ.

სპორტის ამა თუ იმ სახის ესთეტიკური ღირებულების შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით მაყურებლის ესთეტიკური გემოვნების დონეს, მის უნარს — სწორად შეიცნოს საგნისა თუ მოვლენის სილამაზე, შეეძლოს მშვენიერის ესთეტიკური განცდა. ასეთი უნარის მქონე მაყურებელს, პირველ რიგში, ადაფრთოვანებს სპორტული ბრძოლის შინაარსი, მეტოქეთა მძალი კლასი, ტექნიკა, ბრძოლაში გამოვლინებული ფიზიკური და სულიერი თვისებები, კორექტულობა, პატიოსნება პაექრობაში. აი, რას წერდა 1888 წელს გაზეთი „თეატრი“ ორი ქართველი ფალავნის კულა გლდანელი-სა და ნესტორ ესებუას შერკინების შესახებ: „გამოვიდნენ მოწინააღმდეგე მოჭიდავენი, ორივე მშვენიერი, ტანადი, მხნე და მამაცი; მაყურებელს სიამით ევსებოდა გული“. ამ შემთხვევაში მაყურებელი სიამოვნებას განიცდიდა არა იმდენად ორი ღირსეული ფალავნის აღნაგობით, რამდენადაც ბრძოლის სილამაზით, ამ სიტყვის ღრმა გაგებით. კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას მაგვარი ლამაზი ტანის ახალგაზრდის გამოყვანა თითქმის ყოველ ქართულ სოფელს შეეძლო, მაგრამ ამ უამრავ გოლიათთა შორის ხალხმა მხოლოდ ზოგიერთები, და მათ შორის, კულა და ნესტორი შეამკო შარავანდელით, შექმნა მათზე ლექსები. მაყურებელი მათში ქართველ მოჭიდავეთა საუკეთესო თვისებების განსახიერებას ხედავდა, იზიდავდა მათი ვაჟკაცური შემართება და სანახავად საამო ჭიდილი. მაგრამ საკმარისი იყო იგივე

მოჭიდავენი გამოსულიყვნენ პროფესიული ცირკის დასში, რომ მაყურებელს უნახევრდებოდა ესთეტიკური სიამოვნების განცდა, რადგან იცოდა, რომ ცირკის მესვეურების წინადადებით ხშირად არენაზე ვაჟკაცური ჭიდაობის ნაცვლად, მხოლოდ ჭიდაობის ყალბი ინსცენირება იმართებოდა ხოლმე.

რამდენი თამაში მოუგია თბილისის ფეხბურთელთა გუნდს „დინამოს“ დიდი ანგარიშით, მაგრამ მათი უმრავლესობა დღეს შეიძლება ნაკლებად გვახსოვს. მაგრამ მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება თუნდაც წაგებული, მაგრამ ორივე გუნდის მიერ მძალი ოსტატობით ჩატარებული მატჩი. სპორტულ თამაშობათა სილამაზე და მშვენიერება მაყურებელმა სპორტული ბრძოლის მძალი შინაარსში უნდა ეძებოს. მოწინააღმდეგე გუნდების ბრძოლის გაუფერულება, გამარჯვებისაკენ სწრაფვის დაკარგვა, თამაშში ძალების მხოლოდ მინიმალური გამოყენება და სხვა ამდაგვარნი, მაყურებელთა ესთეტიკური აღზრდის უპირველესი მტერია. ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს გავახსენო ერთი საგულისხმო ფაქტი: შარშან გათამაშდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. საქართველოს ზონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ნორჩი „დინამოელისა“ და ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდები. ფაქტიურად საქართველოს ზონის ფინალში გასვლით ორივე გუნდმა უკვე მოიპოვა საკავშირო ტურნირის ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება. მიუხედავად ამისა, მაყურებელი მაინც დიდი ინტერესით მოელოდა შეხვედრის დაწყებას. ცნობილი იყო საკავშირო ფინალის გათამაშების სტრუქტურა: ფინალური ჯგუფი ორ ზონად იყო გაყოფილი. საქართველოს ორი გუნდიდან გამარჯვებული ერთ ზონაში ითამაშებდა, დამარცხებული კი — მეორე ზონაში. მატჩის წინ ცნობილი გახდა ისიც, რომ საქართველოს ფინალში გამარჯვებული გუნდი ხვდებ-

ბოდა საკავშირო ფინალის ისეთ ზონაში, რომელიც მეტად ძლიერი გუნდებით იყო დაკომპლექტებული; დამარცხებული გუნდი კი უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებოდა — იგი ხვდებოდა საკავშირო ფინალის გაცილებით სუსტ ზონაში. ამრიგად, შეიქმნა იშვიათი სიტუაცია: გამარჯვებული ისჯებოდა ძლიერ მეტოქეებთან მოხვედრით, დამარცხებულს კი მომდევნო წარმატების მეტი შანსები ეძლეოდა. მწვრთნელებმა ნორჩ ფეხბურთელებს არ გაუმხილეს ეს ამბავი და სწორადაც მოიქცნენ, მაგრამ თვით ახალგაზრდებმა სხვა წყაროებიდან გაიგეს ყველაფერი და მოედანზე ერთმანეთთან ჩურჩულით ჩამოაყალიბეს კონკრეტული მიზანი — რადაც უნდა დაჯდომოდნენ, წაეგათ შეხვედრა.

მწვანე მინდორზე ჯერ არნახული კომედია გაიმართა; მოწინააღმდეგენი ერთმანეთს თავაზიანად უთმობდნენ ბურთებს, ხოლო როცა ამით არაფერი გამოვიდა, საკუთარ კარში დაიწყეს ბურთების გატანა.

ალარაფერს ვლადპარაკობთ იმაზე, რომ ამ მოქმედებით ნორჩების ზნეობრივ აღზრდაშიც გაჩნდა ბზარი. ეს ფაქტი ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას გაკვეთილადაც გამოადგებოდა. თურმე საკმარისია დაუშვა მცირე შეცდომაც კი ორგანიზაციულ საკითხში, რომ შემდგომ ამ შეცდომის შედეგები სავალალო აღმოჩნდეს ახალგაზრდობისათვის, მისი ზნეობისა და ესთეტიკური გემოვნებისათვის.

თუ რა შედეგებია მოსალოდნელი სპორტის ჭეშმარიტი მიზნების დაკარგვით, ეს თვალნათლივ ჩანს დასავლეთის სპორტული მოძრაობის მავალითების მიხედვით. იქ, როგორც იდეური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი სანახაობების სისტემატური ჩვენებით, თანდათან ჩლუნდება მაყურებელთა ესთეტიკური გემოვნება. ევროპის ქვეყნებში ვაგრცელებული ქალთა ფეხბურთი, ამერიკაში პოპულარული ქალთა კრიკი, ჭიდაობა და სხვანი დიდ მოწონებას იმსახურებს

მაყურებელთა ერთ ნაწილში, თუმცა არც კია საჭირო იმის მტკიცება, რომ ეს სახეები სრულიად არ შეესაბამება ქალთა ფიზიკურ შესაძლებლობებს და შეჯიბრება საზოგადოებრივ ფორმებს იღებს. არნახული პოპულარობით სარგებლობს ძუძუმწოვარა ბავშვების შეჯიბრება ხოხვაში, ყვინთვა ნაგვით სავსე უზარმაზარ კასრში, შეჯიბრება ტირილში, კეტჩი, კალათბურთი სიბნელეში და სხვა მრავალი. მსგავსი ღონისძიებების სისტემატური ჩვენებით დასავლეთის ქვეყნების მაყურებელთა ერთი ნაწილის გემოვნება იმდენად დაეცა, რომ ამ სანახაობებით ისინი ესთეტიკურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ. პროგრესული ამერიკელი ჟურნალისტი ჟან ბრისსონი წერდა: „იმ მომენტში, როდესაც დაძაბულობა აღწევს უმაღლეს წერტილს, როდესაც დარტყმები ორივე მხრიდან ხდება უფრო და უფრო გააფთრებული და ერთ-ერთი მონაწილე ბარბაცებს, — მოწყვიტეთ თვალი რინგს და გადახედეთ თქვენს მეზობლებს. თქვენ დაინახავთ ცხოველთა დონემდე დასულ ადამიანებს, რომელთა სახეებიც ყველაზე სულმდაბალ ვენებებს გამოხატავენ“. ხოლო რა ხდება კეტჩის დროს? „კეტჩში მორიგი მატჩის შემდეგ, — წერს ფრანგული ჟურნალი „სპორტ რევიუ“, — სპორტის სასახლის დამლაგებლებმა არენიდან გაიტანეს 65 კილოგრამი დამპალი პამიდორი, 7 კილოგრამი კარტოფილი, 2 კილოგრამი თალგამი, 37 ლაყე კვერცხის ნამსხვრევი, ქალის 3 ფესხაცმე-ლი, კბილის 2 პროთეზი და 157 ჭალაღლის ჭიქა“. ამ ბრძოლის შეფასებისას პარიზის იგივე ჟურნალი თვით უსვამს ნიშანს გემოვნებაშერყვნილი მაყურებლის ესთეტიკური ტკბობის უნარს: „ყოველივე ეს იმას მოწმობს, — წერს ჟურნალი, — რომ ბრძოლა მიმდინარეობდა მიმზიდველად და საინტერესოდ. მაყურებელმა განიცადა დიდი სიამოვნება და გამოხატა კიდევ თავისი

ავთანდილ ციხაძე
სპორტი და ესთეტიკა

ვეშმარიტი სპორტული გრძნობები. დიას, ჩვენ კიდევ გვეყვანან ნამდვილი გულშემმატკივრები!“

უწევინ რა ანგარიშს მაყურებელთა გარკვეული ნაწილის შერყევინ სულიერ იდეალებს, სპორტის შესევურები ცდილობენ უფრო „მიმზიდველი“ გახადონ სანახაობა: „პროფესიონალთა ხოკეი ისეთი თამაშია, სადაც უხეშობა მაღალ და აუცილებელ ხელოვნებად ითვლება“, — ამხნეებს ხოკეისტებს თავის წიგნში ჯეკ ადამსი. „ხოკეისტს უნდა შეეძლოს დარტყმის ატანა და ხურდის დაბრუნებაც,“ — ქადაგებს პროფესიონალ ხოკეისტთა კავშირის დებულება. ბურჟუაზიული სოციოლოგები სპორტის ესთეტიკური ღირებულების შეფასებისას გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველთა როლში გვევლინებიან და გააფთრებით ქადაგებენ ზემოთ აღწერილ საზარელ სანახაობათა სარგებლიანობას. დასავლეთ გერმანელი სოციოლოგი ვუიციინგი ამტკიცებს, რომ საინტერესოა სპორტის სწორედ გარეგანი მხარე; მისი დაკავშირება ცხოვრებასთან არ იქნებოდა სწორი, რადგან ეს სპორტს უკარგავს ესთეტიკურობასო. სინამდვილეში ვუიციინგი და მისი თანამოაზრენი უფრო შორს იხედებიან. მათი ქადაგების ნამდვილი დედაზრი ამგვარად უნდა წავიკითხოთ: სპორტი მხოლოდ სანახაობაა, მან უნდა გაართოს ადამიანი და დაავიწყებინოს ფიქრი სიღუბეში და კლასობრივ ბრძოლაზე.

ბურჟუაზიული პროფესიონალური სპორტისა და მისი მაყურებლის გემოვნების გადაგვარების ზემოქმედებითი ფაქტები ბევრისმთქმელია და მათგან ჩვენს ფიზკულტურულ მუშაკებსაც დასჭირდებათ საჭირო დასკვნების გაკეთება. მართალია, ჩვენში სპორტული სარბიელებისათვის უცხოა ქალთა კრივი, კეტჩი. ჭიდაობა ტალახში და სხვა უხამსობანი და ამ მხრივ ჩვენი მაყურებელი დაზღვეულია ესთეტიკური გემოვნების დამახინჯებისაგან, მაგრამ აღმოსავლურება მთელი რიგი სხვა მოვლენები, რომლებიც არასა-

სურველ ზეგავლენას ახდენენ მაყურებელთა გემოვნებაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთ გამოვლენებს, როგორცაა უხეშობა მოედანზე, უტაქტობა, ხულიგნობა და სხვანი. ჩვენი მწვრთნელებისათვის არც იმ გამოცდილების გაზიარება იქნება ურიგო, რომ ფეხბურთელთა მთელ რიგ გუნდებში უხეშობის აღმოფხვრის მიზნით აძლიერებენ სპორტსმენთა ესთეტიკურ აღზრდას. მართლაც, ესთეტიკური იდეალები ხომ ყოველგვარი უხეშობის, უმსგავსი ჩვევების სასტიკი წინააღმდეგია. თუ სპორტსმენებში შევძლებთ მაღალი ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, — უხეშობასა და ხულიგნობას მათს ქცევაში თავისთავად მოედება ბოლო.

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მაყურებელთა ესთეტიკურ აღზრდაზე მხოლოდ სპორტსმენის მოქმედება ახდენს გარკვეულ გავლენას. ამ შემთხვევაში ასეთ ზემოქმედებას ახდენს შეჯიბრების მსვლელობა მთლიანად, შეჯიბრების ადგილის მოწყობაც კი. შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრების ესთეტიკა მისი ორგანიზაციიდან იწყება. კარგად მორთული სუფთა მოედანი ან სტადიონი, მაღალორგანიზებულიად ჩატარებული ღონისძიება მაყურებელთა ესთეტიკური აღზრდის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. როდესაც მსაჯთა კოლეგები მოედანზე გამოსვლის უფლებას არ აძლევენ უსუფთაო ფორმაში გამოწყობილ სპორტსმენებს, ზოგიერთ მაყურებელს ეს ჯიუტ მსაჯთა კაპრიზად მიაჩნია. სინამდვილეში ეს კაპრიზი კი არაა, არამედ ყოველი სპორტული ღონისძიების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. მაყურებელს თვალს არ უნდა ჰქრიდეს სპორტსმენთა ჭრელა-ჭრულა, უგემოვნო ტანისამოსი, უხეირო, არაფრისმთქმელი პლაკატები. ეს კარგად უნდა ახსოვდეს სპორტული მოძრაობის ადგილობრივ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებიც მიეჩვივნენ შეჯიბრების არაორგანიზებულად და უშინაარსოდ ჩატარებას.

ამით ისინი ძალაუნებურად გამოდიან
მაყურებელთა და სპორტსმენთა ესთე-
ტიკური აღზრდის ხელისშემშლელთა
როლში.

მართალია, ამ მხრივ მაყურებელს
მრავალი პრეტენზია გააჩნია შეჯიბრე-
ბის ორგანიზატორების მიმართ, მაგრამ
ბევრი მოეთხოვება თვით მაყურებელ-
საც. პირველ რიგში, მას უნდა შეეძ-
ლოს სპორტული ღონისძიების, შეჯიბ-
რების რთული პერიპეტეიების სათანა-
დო გაგება, სწორედ ისე, როგორც მუ-
სიკის მოყვარულებს ესმით რთული
სიმფონია თუ სხვა სახის მუსიკალური
ნაწარმოები, ფერწერის მოყვარულებს
— ღრმამზინაარსიანი მხატვრული ტი-
ლოები და ა. შ; თუ მაყურებელი ასე
აღზრდის თავის თავს და, როგორც იტ-
ყვიან, შეეძლება „კარგისა“ და „ცუ-
ლის“ ერთმანეთისაგან გარჩევა, მაშინ
სრული გარანტია გვექნება იმისა, რომ
სტადიონებზე არ ატყდება უმცირესო
სტვენა და შეურაცხმყოფელი წამოძა-
ხილები, რასაც სამწუხაროდ, ზოგჯერ
ადგილი აქვს ხოლმე ჩვენში. საქმე
ისაა, რომ ასეთი „მყვირალეები“ სახელს
უტეხენ საერთოდ მაყურებლის ძირი-
თად მასას, რომელიც მსოფლიოში
ცნობილია თავისი მაღალი ესთეტიზ-
მით. მათ მიმართ საჭიროა ქმედი-
თი ზომების მიღება. მასსოვს, გასუ-
ლი წლის სპორტული სეზონის ერთ
მატჩს ერთად დავესწარიტ მე და ჩემი
მეგობარი, წარსულში „დინამოს“ სა-
ხელოვანი მეკარე სერგო შუდრა. იმ
მატჩში „დინამოს“ მეკარემ შედარე-
ბით იოლი ბურთი გაუშვა, რის გამოც
ჩვენს მეზობლად მჯდარმა ზოგიერთმა
„სტვენამ“ გულისწყრომა გამოხატა
ისტერიული კივილით: „გაადგეთ!“,
„დასახვრეტია!“, „გამოცვალეთ ეგ...“
და ვინ მოთვლის კიდევ როგორ ამკობ-
დნენ მეკარეს, რომელმაც არაერთხელ
ბრწყინვალედ დაიცვა ჩვენი რესპუბ-
ლიკის ღირსება. ამასთან დაკავშირებით
სერგო შუდრამ ასეთი ამბავი გაიხსენა:
„1944 წელს ირანს ვესტუმრეთ. „ამ-
ჟანდიეს“ სტადიონზე ტევა არ იყო.
ირანის პირველ ნაკრებს ვეთამაშებო-

დით. მე მიინცადა მაინც არ მაწყურებ-
ნენ ირანელი თავდამსხმელები და სპორ-
ტულად უსაქმოდ მდგარი ვაგხედავდი
ხოლმე ტრიბუნებს, სადაც სრული დუ-
მილი სუფევდა. და სწორედ მაშინ,
როდესაც ბორის პაიჭაძემ მეხუთედ
შეარხია ირანელთა კარის ბადე, ჩემი
კარის უკან დუმილით მოცული ტრი-
ბუნებიდან შემზარავი კივილი გაისმა:
„ირანელო ფეხბურთელებო, თავს ნუ
გვკრით!“ მე შემოვტრიალდი. მეორე
რიგში, სულ ათიოდე ნაბიჯზე კარი-
დან, ზარბაზნის ლულასავით გადმო-
ეყუდებინათ გრამოფონის უზარმაზარი
რუპორი, რომელმაც გააძლიერა ეს
კივილი და ჭეჭა-ჭუხილივით დაატყდა
ტრიბუნებს. ორი დღის შემდეგ მეორე
ნაკრებს შეგვხვდით. ირანელთა კარის
მეთხედ აღების შემდეგ ჩემი კარის
უკან კვლავ მომესმა ჩოჩქოლი. შემოვ-
ბრუნდი და კარგად გავარჩიე ისევ ის
გრამოფონის რუპორი. მაგრამ „მყვი-
რალას“ არ დასცალდა. მეზობლებმა
წაართვეს რუპორი, ფეხებით დაჭყლი-
ტეს და ტრიბუნებს უკან ისროლეს. მის
პატრონსაც უთავაზეს და იმ ადგილიდან
გააძვეეს“. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება,
თუ ზოგიერთ „სტვენას“ იმ გრამო-
ფონის რუპორივით დავუსრესთ ყუ-
რებს და დავატოვებინებთ სტადიონს.

სერგო შუდრას ნამამბობი ბევრს მოხ-
ვდა გულზე. ეს, ცხადია, საქმისათვის
სასარგებლო იყო, მაგრამ ასეთი საუბ-
რები ხშირად უნდა იმართებოდეს პრე-
საში, რადიოში, ტელევიზიაში, სხვადა-
სხვა თავშეყრილობაზე. ჩვენს სტა-
დიონებზე არ უნდა ისმოდეს სიტყვები,
რომლებიც წამლავენ პერს და სხვებ-
საც უმცირებენ შეჯიბრების ხილით
მიღებულ სიამოვნებას!

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ
საკითხს იმის შესახებ, თუ რა ესთეტი-
კური ღირებულება გააჩნია სპორტს-
მენთა სპორტსმენისათვის.

სპორტული მოქმედება სპორტსმენი-
სათვის დიდი სიხარულისა და ესთეტი-

ავთანდილ ციხაძე
სპორტი და ესთეტიკა

კური სიამოვნების წყაროს წარმოადგენს. ფიზიკური ვარჯიშობით გამოწვეულ დაღლას აკადემიკოსმა პავლოვმა მოხდენილად უწოდა „კუნთების სიხარული“, მაგრამ მარტო ამისი განცდა ესთეტიკური სიამოვნების მხოლოდ მცირე ნაწილია. მთავარი ის არის, რომ სპორტსმენი თავის თავში ხედავს საერთოდ ადამიანური ძლიერების განსახიერებას; იგი სიამოვნებით განიცდის ძალის, გამძლეობისა და სხვა თვისებების გამოვლინებას; მას ახარებს გამარჯვება, სპორტული შეჯიბრების ახარტის ესთეტიკური შეგრძნება. მაგრამ შეგნებული სპორტსმენის ესთეტიკური სიამოვნების მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ ფიზიკური მონაცემები მას საშუალებას აძლევს უკეთ დაიცვას თავისი კოლექტივის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის ღირსება. პირველ რიგში სწორედ ამიტომ ამყობენ სამშობლოში გამარჯვებით დაარუნებული ოლიმპიელები, ამიტომ არ შორდებოდან ბედნიერების ღიმილი ჩვენს „დინამოელებს“ 1964 წლის საფეხბურთო სეზონის შემდეგ, სწორედ სამშობლოს ღირსების დაცვის გრძნობა ამოძრავებდა ჩვენს მოჭიდავეს რომან ძნელაძეს, რომელიც მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ნაღრძობი ხელით უტევდა მეტოქეებს: მაშინ ნამდვილი პარადოქსი მოხდა. უნგრელ პოლიკთან წმინდა დამარცხების შემთხვევაში ძნელაძე მეორე ადგილზე გადიოდა, ხოლო ვაჟკაცური ბრძოლა და ქულებით დამარცხება მესამე ადგილს აძლევდა (გამარჯვებაზე ძნელაძეს ფიჭვიც არ შეეძლო ძლიერ ნაღრძობი მკლავის გამო). მაშინ ძნელაძის წინაშე ასეთი კითხვა წამოიჭრა: რა უფრო ძვირფასია სამშობლოსათვის — ლაჩრული დამარცხება და მეორე ადგილი, თუ ვაჟკაცურ ბრძოლაში მიღებული მესამე ადგილი (ამ მომენტში ჩვენი სპორტული დელეგაცია ამერიკელებს უსწრებდა მთელი 100 ქულით). ძნელაძემ ქედი არ მოიხარა მეტოქის წინაშე, დამარცხდა ქულების მცირე უპირატე-

სობით და მესამე ადგილზე გამოვიდა. სხვათა შორის, იგივე ამბავი შეეხებოდა საბჭოთა მოჭიდავეს ტერენტიევიჩს. წელს ნეაპოლში გამართულ მსოფლიო პირველობაზე. ძნელაძის მოქმედებით გაოგნებული ერთი ამერიკელი სპორტული ჟურნალი წერდა მაშინ: „ასეთი პარადოქსები იშვიათად ხდება სპორტში და, სამწუხაროდ, აქაც საბჭოთა სპორტსმენმა შემოგვთავაზა სიურპრიზი“. ძნელაძე ბრინჯაოს მედლით ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ სამაგიეროდ მსოფლიოს თავისებურად ვაჟკაცო საბჭოთა ადამიანის უტეხი, ვაჟკაციური ბუნება. ესეც ვალის მოხდა იყო სამშობლოს წინაშე.

სპორტში მეცადინეობა, სპორტული დახელოვნება სპორტსმენს აძლევს იმის უნარსაც, რომ ჩვეულებრივზე უკეთ შეიცნოს ბუნება, დატკბეს მისი მშვენიერებით. ისე როგორც მუსიკოსი თავისებურად აღიქვამს და ტკბება ტყეში ფრინველების ვალობით, სპორტსმენი მოცურავეც თავისებურად და მძაფრად განიცდის წყლის სტიქიას. მთების სილამაზე ბევრში გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს, მაგრამ მთამსვლელი მათს სილამაზეს უფრო ნათლად, უფრო ღრმა გრძნობით განიცდის. ბუნების გარეგანი სილამაზით ტკობასთან ერთად სპორტსმენი განიცდის დიდ სიამოვნებას იმის გამოც, რომ იგი გრძნობს თავის ბატონობას წყალზე, მთებზე, თავის თავში იგი ხედავს ბუნების დამმორჩილებელს, რომ მის ფიზიკურ და სულიერ ძალებს წინ ვერაფერი დაუდგება.

კიდევ მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, თუ ფიზიკური კულტურა და სპორტი რამდენად საშუალებაა ადამიანთა ესთეტიკური აღზრდისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, ნათქვამიდანაც ნათელია, თუ ამ მხრივ რა დიდი ამოცანები ისახება ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის, პედაგოგების, მშობლების წინაშე. ალბათ ძნელი იქნება ისეთი მშობლის მონახვა, რომელსაც არ სურს მისი შვილი იყოს მაღალი ესთეტიკური გემოვნ-

ნების პიროვნება. ამისათვის შეჰყავთ ბავშვები მუსიკალურ სკოლებში, სხვადასხვა თვითმოქმედ წრეებში, დატარებენ სპექტაკლებზე და ა. შ. ეს, ცხადია, მთავარია და აუცილებელი ბავშვის ესთეტიკური აღზრდისათვის, მაგრამ იმ მშობლებს, რომლებიც ერიდებიან ბავშვის ფართოდ ჩაბმას ფიზიკურ აღზრდაში, გავახსენებთ, რომ ისინი ამით კარგავენ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის კიდევ ერთ დიდ შესაძლებლობას. ჩვენ ზოგჯერ გვესმის მშობლის მსჯელობა: „სპორტი აუნეშებს ბავშვის სულს, მუსიკა კი აფაჩიზებს და ალამაზებს მას“. ნაჩქარევი და არასწორი დასკვნაა. განა ცოტაა შემთხვევა, როცა მცდარი გზით განვითარებული მუსიკალური ნიჭი, პირიქით, ბავშვის სულიერი დამკნინებლის როლს თამაშობს? განა ზოგიერთის გატაცება უხამსი კაკაფონიებითა და მყვირალა ჯაზ-ბანდური მუსიკით არ ადასტურებს ამას? დიახ, ასევე მცდარი მეთოდებით წარმართული ფიზიკური ვარჯიშობის პროცესი აუნეშებს ბავშვის სულს. ჩვენი მოვალეობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ვიზრუნოთ ბავშვის აღზრდის პროცესის სწორად აგებისათვის, ფიზიკური აღზრდა იქნება იგი, გონებრივი, მხატვრული თუ სხვა.

ბევრი აქვთ გასაკეთებელი ჩვენს პედაგოგებს, მწვრთნელებს. მწვრთნელი მოვალეა ვარჯიშთან ერთად, აღსაზრდელს სპორტის ამა თუ იმ სახის მთელი სილამაზე უჩვენოს, შექმნას ესთეტიკური აღზრდის ხელშემწყობი პირობები. უნდა განზოგადდეს და გადაღებულ იქნას გამოცდილება იმ მწვრთნელებისა, რომლებსაც შესწევთ უნარი ააგონ მეცადინეობა მიმზიდველად, ცოცხლად, რაც დაღლას შეამცირებს და გაზრდის სიამოვნების გრძნობას სპორტსმენებში. გულისხმიერი მუშაობის შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობები მწვრთნელს უკლებლივ სპორტის ყველა სახეში ეძლევა.

ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას დასჭირდება კიდევ ერთი მომწი-

ფებული საკითხის გადაწყვეტაც. ჩვენ ვორც ცნობილია, სპორტულ მოედნებზე ოფიციალური ვარჯიშობის განხორციელება ჩვენი ბავშვების დიდი ნაწილი ერთობა და თამაშობს ეზოებში, პარკებსა და სხვა ადგილებში. თუ სტადიონებსა და მოედნებზე ისინი მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ მოქმედებენ, ეზოქუჩებსა და პარკებში მათი მოქმედება მოკლებულია ყოველგვარ კონტროლს. სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი უფიქრდება იმას, თუ რას და როგორ თამაშობს მათი შვილი. სავსებით მოსალოდნელია, რომ კონტროლსმოკლებული და აზარტში შესული ბავშვები ენასაც მეტ თავისუფლებას მისცემენ, თამაში მიიღებს უხეშ ფორმებს, რაც, ცხადია, სავალალოდ იმოქმედებს ბავშვის ფსიქიკასა და ესთეტიკურ აღზრდაზეც. არც ერთი ბავშვი არ უნდა თამაშობდეს უფროსების პერიოდული კონტროლისა და ჩარევის გარეშე. ამ მხრივ საინტერესო სამუშაოს გაშლა შეუძლიათ სახლთმმართველობებსა და სპორტულ საზოგადოებებს. ეზოს მოზრდილ მცხოვრებთა აქტივის დახმარებით უნდა შეიქმნას ეზოს ბავშვთა გუნდები, რომლებიც ორგანიზებულად ივარჯიშებენ უფროსების დახმარებით, უნდა მოეწყოს ტურისტული ლაშქრობები და ა. შ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მკითხველს ლენინგრადის სახლთმმართველობებისა და სპორტული საზოგადოებების გამოცდილება გავახსენოთ: მათ სანიმუშოდ რამოდენიმე საცხოვრებელი კვარტალი აიღეს და გააჩადეს იქ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის. ერთი წლის შემდეგ სტატისტიკამ უჩვენა, რომ მინიმუმამდე შემცირდა ამ კვარტალში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, გაიზარდა მათი ქცევის კულტურა ოჯახსა და სკოლაში.

ახალგაზრდობის ზნეობრივ და ესთე-

ავთანდილ ციბაძე
სპორტი და ესთეტიკა

ტიკურ აღზრდაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ გამოჩენილ სპორტსმენებსა და ვეტერანებს. ისინი ცნობილნი არიან ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის, ახალგაზრდები ცდილობენ მიბაძონ მათ ყველაფერში — სპორტულ წარმატებაში, მოქცევაში, მაღალ-ადამიანური თვისებების გამოვლინებაში. თავისთავად გასაგებია, თუ ეს გარემოება რა დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ცნობილ სპორტსმენებს. მათი ყოველი მოქმედება სცილდება ვიწრო ფარგლებს და მთელი ახალგაზრდობის მისაბამ მაგალითად ხდება. ამასთან დაკავშირებით ძნელია არ გაიხსენო ჩვენი სახელოვანი ფალავნის ვახტანგ ბალავაძის სისტემატური გამოსვლები ახალგაზრდობის წინაშე, ანდა აიღეთ გაზეთ „ლელოს“ მიერ 1964 წლის დეკემბერში დაბეჭდილი ცნობა კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს პირველობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გივი კარტოზია, როგორც მთავარი მსაჯი, ბრწყინვალედ გაუძღვა შეჯიბრებას და უნაკლოდ ჩაატარა იგი. ამ შემთხვევაში ჩვენს სასახელო ჩემპიონებში ახალგაზრდობა ხედავს საუკეთესო მოქალაქეებსა და საქმისა-

დმი თავდადებულ ადამიანებს. და ეს ახალგაზრდები, რომლებსაც კედლებზე უკიდლით ჩვენი მოწინავე სპორტსმენების პორტრეტები, ჰერკულესის ქანდაკებისა არ იყოს, იღებენ ესთეტიკურ სიამოვნებას არა მარტო მათი ფართო მხარ-ბეჭისა და მედლებით დამშვენებული მკერდის ცქერით, არამედ იმით, რომ ამ ადამიანების სახით ისინი უმთავრესად ხედავენ ქვეყნის ღირსების დამცველებსა და მისი ბედნიერებისათვის ბრძოლის დიდ შესაძლებლობათა მქონე გმირებს.

საბჭოთა სპორტული მოძრაობა ყოველთვის პირნათლად იხდიდა ვალს ჩვენი პარტიის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტაში; ამჟამად ერთ-ერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის აღზრდა, ეს პედაგოგიური პროცესი კი გონებრივ, ფიზიკურ, შრომითს და ზნეობრივ აღზრდასთან ერთად ითვალისწინებს ბავშვების ესთეტიკურ აღზრდასაც.

აქაც საბჭოთა სპორტული მოძრაობის წარმომადგენლებმა, ჩვენმა მწვრთნელებმა, პედაგოგებმა და ცალკეულმა სააღმზრდელო ორგანიზაციებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან!

ამსტრალია

აშშ

ნები პალმერის სსოვნის
ალხანიშნავად

ორი ახალი ფილმი

80 წლის ასაკში გარდაიცვალა ავსტრალიის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნები პალმერი. ყოველკვირეულ „ტრიბუნში“ მოთავსებულია ნეკროლოგი, სადაც აღნიშნულია მწერალი ქალის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. სიცოცხლის ბოლო წლებამდე ნები პალმერი მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო.

ამერიკის ეკრანებზე თითქმის ერთდროულად გამოვიდა „მიუზიკლის“ უანრის ორი ახალი ფილმი — „ჩემი მშვენიერი ლედი“ და „მერი პოპინსი“. ორივე ფილმი დიდი მოწონებით სარგებლობს მაყურებელში. თუ პირველ ფილმს წინ უსწრებდა დიდი სარეკლამო ხმაური და მისი წარმატება ეჭვს არ იწვევდა (ეს ფილმი არის ძალზე პოპულარული პეიჯის „პიგმალიონის“ ეკრანიზაცია. მასში მონაწილეობენ ცნობილი „ვარსკვლავები“ ოდრი ჰეპბერნი და რეეს მარისონი), სრულიად მოულოდნელი იყო თითქმის ურეკლამო ფილმის „მერი პოპინსის“ წარმატება. ეს ფილმი გადაიღო რეესისორმა რობერტ სტივენსონმა უოლტ დისნეის სტუდილაში.

მერი პოპინსი საბავშვო წიგნების გმირია. ეს არის ახალგაზრდა გუვერნანტი ქალი, რომელსაც ყველა ოჯახში სიმშვიდე და სიკეთე შეაქვს. მერი ყველას უყვარს, განსაკუთრებით ბავშვებს. კრიტიკამ ფილმს მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა: „მთავარი როლის შემსრულებელი ჯული ენდრიუსი ისე მშვენიერად თამაშობს, მღერის და ცეკვავს, რომ სინანული ვიპყრობთ, ოდრი ჰეპბერნის ნაცვლად რატომ იგი არ გადაიღეს „ჩემს მშვენიერ ლედიში“ (მით უმეტეს, რომ ჯული ენდრიუსს ელიზა დულიტლის როლი არაერთხელ შეუსრულებია თეატრის სცენაზე).

ფილმში დისნეის მულტიპლიკაციური პერსონაჟებიც მონაწილეობენ. შესანიშნავი მუსიკა, ფაქიზი რეესისურა, ბრწყინვალე ქორეოგრაფია, მსახიობთა მიერ კარგად მიგნებული სახეები — ყველაფერმა ამათგანაპირობა ის, რომ ფილმი „მერი პოპინსი“ უკანასკნელი წლების ამერიკული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შენაქმნაა“.

ქიმიური საათი

ილინოისის შტატის მცხოვრებმა, ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ფელიქს კალბინმა გამოიგონა ქიმიური საათი. ქვიშის საათის მსგავსად, ქიმიური საათი მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთს უჩვენებს. საათი წარმოადგენს შუქმგამონობიარე ფერებით შეღებილ ქაღალდს, რომლის ფერი იცვლება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

კალბინის გამოგონება უკვე დაინერგა. ახტ ქაღალდებში პროფექტებისაც ახვევენ. ქაღალდის სახვევს ფერის ცვლის საშუალებით შეუძლია ვადმოსცეს, რამდენად ვარგისია მასში მოთავსებული პროფექტი.

ხელი ხელს ბანს

ამერიკელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც მხეცურად უსწორდებიან სამხრეთ ვიეტნამის მცხოვრებლებს, ამიერიდან შეუძლიათ ადარ იჯავრონ იმაზე, რომ მათი გმირობა ისტორიას შეუქმნენ-

ამსტრია

„პიკის ქალი“ შემოკლებით ვენაში შედგა ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალის“ პრემიერა. როგორც იუწყებიან, „ეკონომიური თვალსაზრისით“ სპექტაკლიდან ამოღებულ იქნა გუნდი და მეჯლისის სცენა.

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა

ბანდა აღმოჩენილია

ახლახან დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომელიც დამნაშავეთა დიდი ჯგუფის საქმეს იხილავდა. როგორც იუწყებიან, ბრალდებულებს საზღვარგარეთ გაჰქონდათ ოქრო, ეგვიპტისა და უცხოეთის ვალუტა. ბანდის მოთავეს — გერმანელ მფრინავ ვალტერ შნეიდერს 33 წლით თავისუფლების აღკვეთა და ერთი მილიონი ეგვიპტური ფუნტი ჯარიმა მიუსაჯეს.

ველი დარჩება. საქმე იმაშია, რომ საბნების დამამზადებელმა სოლიდურმა ფირმამ—„პურეკსმა“ მიზნად დიასახა აგრესორები ქება-დიდებათ მოიხსენიოს.

ამას წინათ „პურეკსმა“ მოაწყო სატელევიზიო გადაცემა. უჩვენებდნენ ფილმს „წერილი ვიეტნამიდან“. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას წინ უსწრებდა შემდეგი შინაარსის რეკლამა: „სამხედრო თვითმფრინავებზე მოწყობილ კინოკამერებს ბრძოლის შუაგულში გადავყავართ. თქვენ საკუთარი თვალით ნახავთ, რა საფრთხესაც განიცდიან ჩვენი მამაცი ჯარისკაცები ამ ვეფლურ ქვეყანაში“. ფილმის შუალედებში უჩვენებდნენ რეკლამებს, რომლებიც აქება-დიდებადნენ „პურეკსის“ ფირმის მიერ გამოშვებულ საბნებს.

„წერილი ვიეტნამიდან“ დამთავრდა გულამაჩუყებელი სარეკლამო სცენით: ბავშვები მხიარულად დაბტიან დედის გარშემო და სთხოვენ, უჩვენონ მათ „პურეკსის“ საბნით დაბანილი ხელები.

სამწუხაროა, რომ ამერიკელი ტელემეაყურებლები ვერ ხედავენ იმ ქუჭუქიან ხელებს, რომლებიც უდანაშაულოთა სისხლს ღვრიან სამხრეთ ვიეტნამში.

ზანგი მომღერალი

ცნობილმა ზანგმა მომღერალმა ქალმა მარიანა ანდერსონმა კარნეგი-ჰოლში გამოსათხოვარი კონცერტი გამართა. როგორც ერთი კაცი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოიგდო და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ლეგენდარულ მომღერალ ქალს, რომლის შესანიშნავი კონტრალტო 30 წლის განმავლობაში ხიბლავდა მსმენელს. მარიანამ წამოიწყო თუ არა სიმღერა, დარბაზი გაირინდა, სუნთქვა შეიკრა. მომღერლის მომაჯადოებელი ხმა დაეუფლა ყველას გულსა და გონებას. ორი საათის განმავლობაში მღეროდა მარიანა ანდერ-

სონი შეუსვენებლივ. პროექტორების შუქზე მკვეთრად ჩანდა მისი სახის ყოველი ნაკვთი. მსმენელთა შეძახილებსა და ტაშს ბოლო არ უჩანდა, აღფრთოვანებული ხალხი დარბაზიდან არ გადიოდა...

— თქვენ მაშინაც კი არ უნდა მიატოვოთ სცენა, როცა სიმღერაც არ შეგეძლებათ, — უთხრა ანდერსონს ცნობილმა იმპრესარიომ სოლ იურენკა, — თქვენ შეგიძლიათ სცენაზე გამოხვიდეთ ლინკოლნისა და ჯეფერსონის ნაწარმოებთა კითხვითაც კი, ან საეკლესიო ჰიმნების გალობით. თქვენი ყოველი კონცერტი, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, აუარება ხალხს მიიზიდავს.

— მე დიასახლისი უნდა გავხდე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩემი სურვილია, რაიმე გავაკეთო ბავშვებისათვის. მინდა ვიზრომო მკლავებდაკაპიწებულმა, ვიზრომო სულითა და გულით.

გადაპარბეზული ზრდილობა

ამას წინათ ნიუ-იორკში დაარსდა „თავაზინათა კლუბი“. „კლუბის წევრი ვალდებულია ქუდი მოიხადოს მაშინაც კი, როცა იგი მანდილოსანს ელაპარაკება... ტელეფონით“, — აღნიშნულია კლუბის წესდების ერთ-ერთ მუხლში.

რეკლამა

ნიუ-იორკის ერთ-ერთი მეტროს მეგავარები ორი თვის განმავლობაში საოცარი სანახაობის მოწმენი გახდნენ: მინის სატელეფონო ჯიხურები ახალგაზრდა ქალიშვილი ყოველგვარი სირცხვილისა და მორიდების გარეშე ყველას თვალწინ იძრობდა ტანსაცმელს. როცა ხალხის ცნობის-მოყვარება უმადლეს წერტილს მიაღწევდა, ჯიხურის კარზე ჩნდებოდა განცხადება: „სტრიპტიზის გაგრძელება შეგიძლიათ ნახოთ ყოველ საღამოს „ბროდვეი-კასლში“ (ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბარი).

მისი უპასხანალო სურვილი

გარკვეული გინეკოლოგი

სპრინგტაუნში მრეცდა კატა ჯემში, რომელმაც ადგილობრივ ეკლესიას 30 ათასი დოლარი დაუტოვა. კატის პატრონი ქალის ანდერძის თანახმად, ჯემში წელიწადში სამი ათას დოლარს იღებდა. ანდერძი აღნიშნული იყო: კატის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი თანხა ეკლესიას გადასცემოდა.

იაკონია

კუროსხაპას ახალი ფილმი

იაკონიის ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორი აკირა კუროსავა იღებს ისტორიულ ფილმს. ეს არ იქნება შორეული წარსულის ამსახველი ცივი, „სამუზეუმო“ ნაწარმოები — რეჟისორი ფილმში ეძებს უპირველესად მას, რაც ასე ადელტებს დღეს ადამიანებს. ფილმის სათაურია „აკა ხიგა“ — „წითელი წვერი“. მთავარი გმირი არის ექიმი, რომელსაც ზედმეტსახელიად „წითელი წვერი“ ქვია. იგი ცხოვრობდა საუკუნუნახევრის წინათ. ექიმის როლს ასრულებს ტოშირო მიფუნე. ეს მსახიობი კუროსავას მრავალ ფილმში მონაწილეობს.

ინგლისი

დუელი ნამგლავით

მსხვილი მიწათმფლობელი ხიუ ლანფისი ბრიტანეთის პრემიერს ჰაროლდ მაკმილანს ყოველ ორშაბათს იწვევდა დუელში. დუელის მიწეში გახლდათ მიწათმფლობელის ექსპროპრირებული მამულის ძალზე უმნიშვნელო კომპენსაცია. განაწყნებული მემამულე ჩვეულებრივი საბრძოლო იარაღის ნაცვლად ნამგლს ითხოვდა, რადგან დუელის ამკრძალავ ინგლისურ კანონში ჩამოთვლილ იარაღებს შორის ნამგალი არ იყო აღნიშნული.

საგზის გზინა, ვიდრე ბარსილდის

15 წლის დღეებში ჯერჯერობით ნუშინებრი ჯიკვლები ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ სავადმყოფოში აღვლიდა არ აღმოჩნდა და ბიჭუნა რიგში ჩაწერეს. გავიდა ათი წელი, დღეები უკვე სამი შვილის მამაა. ამას წინათ მან სასიხარულო ცნობა მიიღო. ჯერჯერობით საოპერაციოდ იწყებდნენ. როგორც ჩანს, მისმა რიგმა მოაღწია.

სტამბოლის შიშველები

კომპანია „გერმანიონი“ გამოიმუშავა ახალი შემოქმედება მასალა. მასში კარგად ინახება როგორც თხიერი, ასევე მკვრივი პროდუქტები. კომპანია აღნიშნავს, რომ ამ მასალისგან დამზადებულ კონტეინერში ყველაზე კარგად რძე ინახება.

კონტეინერი მზადდება სქელი ქსოვილისგან. ეს ქაღალდები ბაქტერიების მოშორების ნივთიერებითაა გაჟღერებული. მასალას ორივე მხარეზე პოლიეთილენის ფირფიტას აკრავენ. პოლიეთილენის დაზიანების შემთხვევაში პროდუქტის სტერილიზაციას იცავს ქაღალდის შიდა ფენა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ბაქტერიებს სპობს.

გარდაიცვალა თომას ელიოტი

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი თომას ელიოტი. ინგლისის კრიტიკოსთა აზრით, სახელგანთქმული მწერლის შემოქმედებამ, კერძოდ, დრამატურგიამ, პოეზიამ და კრიტიკულმა წერილებმა დიდი გავლენა მოახდინეს ნაციონალურ კულტურაზე.

იტალია

ძალაბის პროტესტი

პალერმოში წყლით მომარაგების საკითხი მუდამ არეული

იყო, წყალი ხშირად წყდება. ქალაქში თავიანთი აღმოჩენის გამოსახატავად შეტად ქვიანური საშუალება გამოიხატეს: სახლებიდან ახაზნები გამოვიდნენ და ქალაქის ყველა მთავარი ქუჩა გადაკეტეს. ქალაქში მოძრაობა შეწყდა. ენერგიული „ბოლოადი“ შეშფოთებულმა ქალაქის მამებმა პაროზი დასდეს, მდგომარეობას გამოასწორებდნენ...

ძურღს რა უნდა და...

პალერმოში სინათლე ხშირად ითიშებოდა. ქალაქის მცხოვრებლები ამას ხაზის დაზიანებას აბრალებდნენ. სინამდვილეში კი მიზეზი სულ სხვა რამ იყო: ქალაქის მთავარი ელექტრომექანიკოსი ჯოვანი იანდოლო შუქს ვანჯარს თიშავდა. ამით იგი ეხმარებოდა თავის შვილებს, რომლებიც ჩაბნელებულ ქალაქში მანქანებს ადვილად იტაცებდნენ.

საშაბარის მორავინისთან

ალბერტო მორავიამ დაამთავრა თავისი ახალი რომანი — „ყურადღება“. მწერალი ყოველნაირად ცდილობს გარს-შემოსეული კორესპონდენტების მოგერიებას. კორესპონდენტებს რომანის სიუჟეტი და პერსონაჟები აინტერესებთ. გავიდა „პაუზ-სერას“ კორესპონდენტის კითხვაზე, ვინ არის რომანის მთავარი გმირი, მორავიამ უპასუხა, რომ ამჟამად მთავარი გმირი იქნება მამაკაცი („ქალი რომიდან“ და „ჩოჩარას“ განსხვავებით).

აი, რა ძუნწად პასუხობს მორავია კორესპონდენტის შეკითხვებს:

- წიგნის რომელ გვერდამდე ხართ მისული?
- 221-მდე.
- ე. ი. რომანს უკვე ამთავრებთ.

— სრულებითაც არა. რომანი ოთხას გვერდია.

— წინასწარ ამის თქმა ძნელია.

— რატომ წინასწარ? რომანი ხუთჯერ მაქვს გადაწერილი,

ამჟამად მეექვსე ვერსიისზე ვმუშაობ.

— თქვენი ფიქრობს თუ არა ნასკენელი იქნება? *გინდოვანა*

— იმედი მაქვს, მაგრამ დარწმუნებით მანაც ვერაფერს ვიტყვი.

— ხომ არაფერს იტყვით მთავარი გმირის შესახებ?

— მივლოდ ერთს გეტყვით, იგი ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცია.

— ქალი, ალბათ, უარყოფითი ტიპი იქნება.

— რომანში არ იქნება უარყოფითი და დადებითი გმირები.

— თუ შეიძლება, ორი-სამი სიტყვით დაგვიხსიათ თუ რომანი.

— ეს იქნება რომანი რომანის შესახებ.

ფილმი გრემიტი ბარბოზა

ცნობილ პროდუსერს დინოდე ლაურენტისს გადაწყვეტილი აქვს გადაიღოს ფილმის სახელგანთქმული მსახიობი ქალის ერთ-ერთი გარბოზა („ქალი კამელიებით“) ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ფილმში მთავარ როლს შეასრულებს სილვანა მანგანო.

სოფია ლორენი და ჩარლი ჩაპლინი

იტალიის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს ჩარლი ჩაპლინისა და სოფია ლორენის მომავალი ერთობლივი მუშაობის შესახებ. თავის ბოლო ინტერვიუში ჩაპლინიმ განაცხადა, რომ სოფია ლორენი მას მიანიჭა ერთ-ერთ ნიჭიერ მსახიობად და გადაწყვეტილი აქვს თავის ფილმში იგი მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვიოს. როგორც გაზეთები იუწყებიან, მომავალი ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი თვით ჩაპლინი იქნება.

კოლონეთი

საუკეთესო მკვლავი-მომხმანე

წუთში 450 უმეცლოდ და-რტყმა ასეთი შედეგი აქვს საუკეთესო მკვლავი-მომხმანე

ნის კონკურსში გამარჯვებულ ლიდა ურასვესკიას. იგი მუშაობს ვარშავაში, საგარეო ვაჭრობის სამინისტროში.

იზვიათი უმეტხვევა

ვროკლავის სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კლინიკაში ახალდაბლებულმა ბავშვმა ექვსჯერ განიცადა კლინიკური სიკვდილი. ექიმებმა მას ექვსჯერ დაუბრუნეს სიცოცხლე. ამჟამად ბავშვი კარგად არის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანი გადარჩინეს რამდენიმე კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

გალსტმასის ყურები

ყურის ნიჟარის დეფექტის შემთხვევაში მედიცინაში აქამდე გამოიყენებოდა ზრტილი, რისგანაც ახალი ნიჟარის ჩონჩხს ამზადებდნენ. ყელყურის ცნობილი სპეციალისტი პროფესორი იანუშ ბარდახი ყურის შიდა სასმენ ორგანოებსაც ამზადებს. ლოძის კლინიკაში მას 80-მდე ასეთი სახის

ოპერაცია აქვს ჩატარებული, მათ შორის — ხმენის ორმხრავი დაკარგვის შვიდი შემთხვევა.

კოლონეთი

სასნიჰვარულო ჩანაწერები

ქალაქ კელცეში ერთ-ერთი ტაქსის მძღოლი აწარმოებს სასიყვარულო ამბების ჩაწერას. მისი მანქანით მრავალ შეყვარებულს უმგზავრია და მძღოლიც ასევე მრავალი სასიყვარულო ამბის უნებური მოწმე გამხადარა. ჩანაწერები ას გვერდს ითვლის. ავტორის სურვილია, ეს ჩანაწერები მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდეს.

ჩეხოსლოვაკია

შურნალისტი, მხატვარი, მებრძოლი, ალამინანი

ჩეხოსლოვაკიაში მალე საზეიმოდ აღნიშნავენ შეხანიშნავი მწერალ-კომუნისტის ეგონ

ერვინ კიშის დაბადების 80 წლისთავს. როგორც ცნობილია, იგი პრალაში ეტყუებოდა და გერმანულად წერდა. კიშის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას დაწერილი რეპორტაჟები. ამ რეპორტაჟებს სააშკარაოზე გამოჰყავს ბურჟუაზიული „დემოკრატია“. აი, ეს რეპორტაჟები: „ეგონ ერვინ კიშის პატივი აქვს წარმოვიდგინოთ ამერიკული სამოთხე“, „შესვლა აკრძალულია“, „ავსტრალიაში“, „აღმოჩენები მექსიკაში“ და სხვა.

კიშის შემოქმედება შეტად პოპულარულია, იგი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ეგონ ერვინ კიშის ხსოვნას სათუთად ინახავენ ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ახლახან გამოიცა კიშის „რეპორტაჟების“ ორი წიგნი. მწერლის იუბილეს მიეძღვნება მრავალი წერილი და სტატია, აგრეთვე რადიო და ტელეგადცემა.



მხატვრული რედაქტორი ტიტე შეილაძე

ტექნიკური რედაქტორი მელეა შონია

რედაქციაში უამოხული მასალები, მოცულობით ერთ თაბახხაზე, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.


თელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებაში: კრი.

ტიპისა და კუბლიცისტიკის — 5-08-85, კოაშიცისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 670. უე 03308. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 8.500.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ახალი თბილისი

ფოტო თარხან არჩვაძისა



ქავკასიის ღაცვა

ფ. იონანი



შემდებლანაუბი

მ. ხელას



336A 60 333

ИЗДАТЕЛЬСТВО
"ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236